


ლოვან  
მენაბდე



სველი  
ქართული  
კულტურის  
კენიჭი

## რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა „სარანგი“

მონოგრაფიაში „ძველი ქართული კულტურის კერები“ მიმოხილულია ჩვენს მიწა-წყალზე თუ საზღვარგარეთ აღმოცენებული კერების ისტორია, წარმოჩენილია მათი წვლილი ქართველთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

რადგან ძველი ქართული კულტურის კერებს შორის როგორც საქართველოს ცალკეულ მხარეებში (აღმოსავლეთი, სამხრეთი, დასავლეთი), ისე მის ფარგლებს გარეთ (ანლო აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი), გარდა ტერიტორიული სიახლოვით გამოწვეული კავშირისა, შეინიშნება მკიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა და აქტიური თანამშრომლობა, ამიტომ მასალა დალაგებული და მიმოხილულია ტერიტორიულ-გეოგრაფიული პრინციპით — სანადაო ქრონოლოგიური რიგის დაცვით.

## შესავალი

წარსულის კულტურული მემკვიდრეობას შესწავლა ჩვენი საპატიო მოვალეობაა; მისი ათვისება და გამოყენება თანამედროვე საზოგადოებრიობის წინსვლის წინაპირობაა.

ჩვენს ქვეყანაში ინტენსიურად შიმდინარეობს წარსულის მიერ ნაანდერძევი მემკვიდრეობის გაცნობა-ათვისება. კერძოდ, გულისყურით შეისწავლება ქართველი ხალხის მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურა, რომლის ისტორიული მნიშვნელობა და მეცნიერული ღირებულება საყოველთაოდ ცნობილია.

ქართული კულტურული მემკვიდრეობის დღემდე მოტანა ერთობ ძნელი იყო. ქართველ ხალხს საუკუნეთა მანძილზე უხვებოდა უთანასწორო ბრძოლა მოძალებული მტრის ურდოების წინააღმდეგ (ქართველი ხალხის ისტორია ხომ სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მისი პატივისა და ღირსებისათვის ბრძოლის ისტორიაა!). ქართველი მამულიშვილები თავგამოდებით იბრძოდნენ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახის შენარჩუნებისათვის.

იშვიათად თუ განუცდია რომელიმე ხალხს ის ყაბაღა სიღვე, ის ძნელბედობა, რომელიც ქართველობას ხედა წილად ძველ ხანაში. ქართველებს, მართალია, ახსოვთ ნათელი ეპოქებიც, მაგრამ უფრო ის ძაძითმოსილი შემზარავი საუკუნეები ახსოვთ, როდესაც მათ ქვეყანას საფრთხე ელოდა. საბედნიეროდ, შავბედობა ვერ ტეხდა ქართველობას, ვერ აჯაბანებდა ლომგულ ვაჟკაცებს, ვერ ახშობდა რაინდების ომახიან შეძახილს. ქართველობა არ ეძლეოდა სასოწარკვეთილებას, ინარჩუნებდა სულიერ მხნეობას, მტკიცედ იცავდა და არ თმობდა მამა-პაპათა სისხლით მორწყულ მამულს, არ ელეოდა წინაპართა ძვლებით მოფენილ მიწა-წყალს და შეუპოვრად უმკლავდებოდა თავდამსხმელებს.

ქართული კულტურის დაცვასა და ისტორიულ ქარტეხილებში გამოტარებას აფერხებდა როგორც გარეშე მტრის ძალმომრეობა, ისე საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანიზმის სისუსტე, ქარ-

თული სამეფო-სამთავროების შეუთანხმებლობა, ძმათაშორისი კამპი და ბრძოლა.

ქართველებმა დაძლიეს ყოველგვარი წინააღმდეგობა, სათანადოდ უპასუხეს დამპყრობლებს, შეინარჩუნეს ეროვნული სახე და დღემდე მოიტანეს თავიანთი მატერიალური და სულიერი კულტურა.

ქართული კულტურა დღეს მსოფლიოს მრავალეროვნული კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. დახვეწილი მხატვრული გემოვნების მქონე მომთხოვნი თანამედროვე საზოგადოებრიობა დიდად აფასებს იმ სასახელო წვლილს, რომელიც ქართველობას შეუტანია მსოფლიო კულტურის დიდებულ საგანძურში.

დღეს საკამათო აღარაა, რომ ყოველ ერს, — როგორც ხალხმრავალს, ისე მცირერიცხოვანს, — თავისი თვისებრივი თავისებურება, თავისი სპეციფიკა აქვს. სწორედ ეს თვისებრივი თავისებურება, ეს სპეციფიკა განასხვავებს მას სხვა ერებისაგან და სრულად წარმოაჩენს მის დამოუკიდებელ სახეს. ამასთანავე, ეს თავისებურება ის წვლილია, რომელიც ყოველ ერს შეაქვს მსოფლიო კულტურის ისტორიაში.

ცნობილია, რომ ამათუ იმ ერის თვისებრივი თავისებურება თავს იჩენს ხალხის ფსიქიკაში, ვლინდება ლიტერატურაში. ლიტერატურა რაც უფრო მეტად გამოხატავს ერის გულისწადრღს, მით უფრო ეროვნულია და მისი თვისებრივი თავისებურებაც ადვილად შესაცნობია.

ქართველი ხალხის თვისებრივი თავისებურება მკაფიოდ გამოვლინდა ქართულ მწერლობაში; მასში აღიბეჭდა ხალხის მაღალი სულიერი თვისებანი, ფიქრები და გრძნობები, განცდები და მისწრაფებანი, კეთილშობილური ზრახვანი და ნათელი ოცნება ბედნიერ მომავალზე. თავისი ესთეტიკური იდეალებით, თავისი სასიცოცხლო შინაარსით იგი ხალხის ფიქრებისა და აზრების გამომხატველია.

ქართული ლიტერატურა ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურაა; თავისი იდეური სიღრმითა და მრავალფეროვნებით მას საპატიო ადგილი უჭირავს მსოფლიო კულტურის საგანძურში.

«ქართულ ლიტერატურას, — წერდა კ. კეკელიძე, — მეტი თუ არა, თექვსმეტსაუკუნოვანი ისტორია მაინც აქვს, — ლიტერატურული ძეგლები ჩვენ უკვე მესუთე საუკუნიდან მოგვეპოვება, — ამ მხრივ ჩვენი ლიტერატურა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურაა. დიდია და განუზომელი, მეცნიერული თვალსაზრისით, ამ ლიტერატურის მნიშვნელობა; იმაში აღბეჭდილია ქართველი ერის კულტურულ-ისტორიული ცხოვრების პერიპეტები;

მის ძეგლებში, ორიგინალურსა და ნათარგმნში, გამოვლინებულია უდავო ნიშნები ქართველთა შემოქმედებითი პოტენციისა“.

დიდი კულტურულ-ისტორიული და მხატვრული ღირებულება აქვს ძველ ქართულ ლიტერატურას (V—XVIII სს.). მართალია, მისი იდეოლოგია და მსოფლგაგება ჩვენთვის ზოგჯერ მისაღები არაა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მასაც აინტერესებდა ის აქტუალური ცხოვრებისეული პრობლემები, რომელთაც დღემდე არ დაუქარავთ მნიშვნელობა.

ძველი ქართული ლიტერატურა კარგად გვაცნობს ჩვენი ხალხის ისტორიული ცხოვრების გზას, მის პოლიტიკურსა და ეკონომიკურ მდგომარეობას, სოციალურ წყობას, ეთნოგრაფიულ ყოფას, სახელმწიფოებრივ მშენებლობას, საეკლესიო ორგანიზაციას. მას შემოუნახავს და დაუცავს ქართული ენა, უსაზღვროა მისი მხატვრული ღირსება.

ძველ ქართულ ძეგლებში ოსტატურადაა ასახული სამშობლოსათვის ბრძოლის, მისთვის თავდადებისა და თავგანწირვის კეთილშობილური იდეა. ძველმა მწიგნობრებმა დიდი გატაცებით დახატეს სამშობლოს უანგარო სიყვარულის უწმინდესი და უფაქიზესი გრძნობით აღსავსე ქართველ ვაჟაკთა სახეები და თანამემამულეებს განუმტკიცეს ეროვნული სიამაყის კანონიერი გრძნობა. მათ ნათლად აღწერეს ის რთული და მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა, რომელსაც ქართველები ეწეოდნენ პოლიტიკური და კულტურული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად აუ შესანარჩუნებლად.

როდესაც ძველ ქართველ მწერლებზე ვსაუბრობთ, რასაკვირველია, მათგან რაღაც განსაკუთრებულის მოთხოვნა შეუქალბელია; სენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოუცილათ ძველ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით.

ძველ ქართულ ლიტერატურას აქვს ერთობ დიდი ეროვნული და ზოგადსაქართველო მნიშვნელობა, ძალიან დიდია მისი ქართველოლოგიური და ზოგადმეცნიერული ღირებულება.

ძველი ქართული ლიტერატურის დიდი მეცნიერული ღირებულებით აიხსნება ის გარემოება, რომ მას ეწაფებიან სხვადასხვა დარგის სპეციალისტები; ძველ ქართულ წერილობით კულტურას ეცნობიან, სწავლობენ და იკვლევენ არა მხოლოდ ლიტერატურათმცოდნენი, არამედ ისტორიკოსები, ხელოვნებათმცოდნენი, ფოლკლორისტები, ენათმეცნიერები, ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, სამართლისმცოდნენი, ფიზიოლოგები, გეოგრაფები და სხვ.

ძველი ქართული ლიტერატურის მნიშვნელობას მკაფიოდ და ნათლად ავლენს, აგრეთვე, სხვა ხალხებთან ქართველთა ლიტერატურული ურთიერთობის ისტორია და ამ ურთიერთობის შედეგად ქართულ ენაზე შემონახული ძეგლები, რომელთა ორიგინალები დაკარგულია, ყოველ შემთხვევაში, დღემდე მიკვლეული არაა ან ცნობილია განსხვავებული რედაქციით (საკმარისია მოვიგონოთ ქართულ-ბიზანტიური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა).

ქართული ლიტერატურა ჩვენს ერამდე რამდენიმე საუკუნით ადრე აღმოცენდა. მასალის მოუღწევლობის გამო ძნელია მსჯელობა წარმართობის ხანის ქართულ ლიტერატურაზე, მაგრამ ჩვენი ეროვნული ლიტერატურის განვითარების ზოგადი ხაზების გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მან გამოიყენა ადგილობრივი შესაძლებლობანი და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობით გაიმდიდრა თავისი საგანძური.

ბიზანტიელი რიტორისა და ფილოსოფოსის თემისტის (IV ს.) ცნობით, დასავლეთ საქართველოში, ფოთის ახლოს, არსებობდა კოლხეთის (ფაზისის) აკადემია, — ფილოსოფიურ-რიტორიკული განათლების ცენტრი, — სადაც, საფიქრებელია, სწავლობდნენ და შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ როგორც საზღვარგარეთიდან მოვლინებული ახალგაზრდები, ისე ადგილობრივი მკვიდრნიც. სამწუხაროდ, ჩვენს ქართველთა კულტურულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობას ჩვენამდე არ მოუღწევია, რის გამოც ამ აკადემიაში ქართველთა მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობაზე არაფერი ვიცით. ასე რომ, ხელშესახები მასალა ამ პერიოდიდან არ გავაჩნია, იგი მხოლოდ V საუკუნიდან გვაქვს. კარგადაა ცნობილი, რომ ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ორიგინალური თხზულება — გამოჩენილი მწერლისა და მოაზროვნის, მხატვრული სიტყვის აღიარებული დიდოსტატის იაკობ ცურტაველის „წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“ V საუკუნის სამოცდაათიან წლებში უნდა იყოს დაწერილი. ამიტომაც ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიას, ისე როგორც ძველი ქართული წერილობითი კულტურის კერების ისტორიას (მოღწეული მასალის მიხედვით) V საუკუნიდან ვიწყებთ, მათ განვითარებას მხოლოდ V-XVIII საუკუნეებში შეიძლება გავადევნოთ თვალი.

ქართული კულტურა ინტენსიურად ვითარდებოდა როგორც საკუთრივ საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ქართველმა მოღვაწეებმა ნაყოფიერი კულტურულ-აღმშენებლობითი და ლიტერატურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა გააჩაღეს სამშობლოში,

სირია-პალესტინაში, ბიზანტიაში, რუსეთში. ქართველთა სამოღვაწეო პუნქტებში — ჩვენში თუ უცხოეთში — გაშლილი იყო მრავალმხრივი მუშაობა: იქმნებოდა ხუროთმოძღვრებისა და ფერწერის დიდებული ნიმუშები, ჩქეფდა ლიტერატურული ცხოვრება, იწერებოდა ორიგინალური თხზულებანი, ითარგმნებოდა უცხოური ძეგლები, მრავლდებოდა ხელნაწერები, დგებოდა სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის კრებულები, მდიდრდებოდა ეროვნული კულტურა.

რადგან ძველი ქართული კულტურის კერებს შორის როგორც საქართველოს ცალკეულ მხარეებში (აღმოსავლეთში, სამხრეთში, დასავლეთში), ისე მის ფარგლებს გარეთ (ახლო აღმოსავლეთში, დასავლეთში, ჩრდილოეთში) გარდა ტერიტორიული სიახლოვეთ გამოწვეული კავშირისა, შეინიშნება მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა და აქტიური თანამშრომლობა, ამიტომ მასალას დავალაგებთ და მიმოვიხილავთ ტერიტორიულ-გეოგრაფიული პრინციპით — სათანადო ქრონოლოგიური რიგის დაცვით. ეს უკეთ წარმოაჩენს ამა თუ იმ მხარის როლს ქართული კულტურის განვითარებაში.

განუსაზღვრელია ის წვლილი, რომელიც საზღვარგარეთის ქართულმა საენაენებმა შეიტანეს ჩვენი კულტურის ისტორიაში, მაგრამ დაბეჭიტიებით შეიძლება ითქვას, რომ მეტი მნიშვნელობა მაინც საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე, ჩვენს მიწა-წყალზე არსებულ კერებს ჰქონდათ — არსებითად და ძირითადად მათ განსაზღვრეს ქართული კულტურის განვითარების გეზი და მიმართულება. საქართველოს ეკუთვნის პრაიორიტეტი ქრონოლოგიური თვალსაზრისითაც. ამიტომაც საუბარს საქართველოს კულტურის კერების მიმოხილვით დავიწყებთ.

## კულტურის კერები ძველ საქართველოში

აღმოსავლეთი საქართველო. საუკუნეთა მანძილზე აღმოსავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორია ქართული მწერლობის კერებით იყო დაფარული. მწერლობა ვითარდებოდა როგორც დიდ (თბილისში, გორში, გრემში, თელავში), ისე მცირე ქალაქებში (მძოვრეთში, ახალგორში, დუშეთში), ზოგჯერ სოფლებშიც კი (გრემისხევში, მუხრანში, ტანძიაში, ბელოთში).

ძველი ქართული მწერლობის კერებად იქცნენ სატახტო ქალაქები (თბილისი, გრემი, თელავი), რეზიდენციები ბატონიშვილებისა (მუხრანი, ბელოთი) და დიდებულებისა (ცურტავი, მძოვრეთა, ტანძია, ახალგორი, დუშეთი და სხვ.). ერთიმეორის მიყოლებით აღმოცენდნენ ასეთი კერები საცოციანოში (მძოვრეთში), სამუხრან-ბატონოში (მუხრანში), საყაფლანიშვილოში (ტანძიაში), ქსნის საერისთავოში (ახალგორში, ბელოთში), არაგვის საერისთავოში (დუშეთში, გრემისხევში) და ა. შ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც გაშლილი იყო ძველ კათედრალებსა (სვეტიცხოველში, ბოლნისში, რუისში, ურბნისში, წილკანში, სამთავისში, ნეკრესში, ალავერდში, ნინოწმინდაში, ბოდბეში) და მონასტრებში (შიომღვიმეში, ლარგვისში, ოკორთაში, კაბენში, ქვათახევში, ფიტარეთში, ზედაზენზე, გარეჯაში, იყალთოში).

ზემოთქმული, რასაკვირველია; არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ამ კერებში გაიშალა კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობა. ცნობილია, რომ ხელნაწერებს ამრავლებდნენ, ახალ ნუსხებს ამზადებდნენ მეგვირისხევში, ვეჯინში, ხირსაში, ახმეტაში, სიღნაღში, სართიჭალაში და სხვ. ზოგიერთ პუნქტში მცირე კერაც კი იყო (მაგალითად, ქვიშხეთში).

აღმოსავლეთ საქართველოში ადრეული ხანიდანვე დიდ წარმატებას მიაღწია ქართულმა მწერლობამ. არსებითად აქედან დაიწყო მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორია, აქ დაირწა აკვანი ქართული კულტურისა, აქ შეიქმნა დიდი ნაწილი ეროვნული მწერლობის შედეგებისა.

აღმოსავლეთ საქართველოში ადრევე აღმოცენდა (ჩვენამდე მოღწეული მასალით V საუკუნეში) და სწრაფი ტემპით განვითარდა ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა. აქაურ კერებში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მწიგნობრები—მწერლები, მთარგმნელები, კალიგრაფები და სხვ. აქაურ კულტურულ-ლიტერატურულ გარემოში წერდნენ იაკობ ცურტაველი, შიომღვიმელი, იოანე საბანისძე, არსენ დიდი, არსენ მეორე, იოანე ბოლნელი, ლეონტი მროველი, დავით აღმაშენებელი, არსენ იყალთოელი, დემეტრე პირველი, ნიკოლოზ გულაბერისძე, ბაგრატ მუხრანბატონი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი, ნიკოლოზ ორბელიანი, ბესარიონ ბარათაშვილი-ორბელიშვილი, ტიმოთე გაბაშვილი, დოსითეოს ჩერქეზიშვილი, ანტონ პირველი, ზაქარია გაბაშვილი, ამბროსი მიქაძე, ვაბრიელ მცირე და სხვანი, რომელთაც არაერთი მნიშვნელოვანი თხზულებით გაამდიდრეს



მშობელი ხალხის სულიერი საგანძური; აქ მოღვაწეობდნენ ის მთარგმნელები, რომლებიც ბერძნულიდან, სომხურიდან, რუსულიდან და სხვა ენებიდან გადმოღებული ძეგლებით ამდიდრებდნენ ქართულ მწერლობას, აფართოებდნენ მკითხველო საზოგადოების გონებრივ პორიზონტს (ლეონტი მროველი, არსენ იყალთოელი; ნიკოლოზ გულაბერისძე, კვაპრიანე სამთავნელი, ფილაპე ყაითმაზაშვილი, დოსითეოზ ჩერქეზიშვილი და სხვ.); აქვე ამრავლებდნენ ზღაპრებს კალიგრაფები (ბედისმწერლიშვილები, მესხიშვილები, ჩაჩიკაშვილები და სხვ.).

აღმოსავლეთ საქართველოს მოღვაწენი ინტერესს იჩენდნენ სასულიერო-საეკლესიო მწერლობის ყველა დარგისადმი. ამის დასადასტურებლად საკმარისია გაცნობა ძველ ქართულ ზღაპრებთან იმ კოლექციისა, რომელმაც აღმოსავლეთ საქართველოს კულტურულ-ლიტერატურული კერებიდან მოაღწია.

ბიბლიური წიგნებისადმი ინტერესის მანვენებელია ის ფაქტი, რომ აქაური კერებიდანაა მოღწეული ძვირფასი ნუსხები: მცხეთის ბიბლია, მცხეთის დავითნი; სახარებანი ურბნისისა, ქსნისა, ალავერდისა, რუისისა, ყანჩაეთისა, შიომღვიმისა და სხვ. მართალია, ამ ზღაპრებთანავე ყველა აღმოსავლეთ საქართველოში არაა დამზადებული, მაგრამ ისინი აქაურ ეკლესია-მონასტრებში იყო დაცული; ეს კი ადგილობრივ მოღვაწეთა ბიბლიური წიგნებით გატაცებაზე მეტყველებს. ამასთანავე, მრავლადაა მოღწეული აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, თბილისში, გარეჯასა და სხვაგან გადაწერილი ბიბლიური წიგნები. საჯულისხმოა, რომ თბილისის სტამბის ისტორია სახარების, დავითნისა და სამოციქულოს გამოცემით იწყება. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ბიბლიის ძველ ქართველ მთარგმნელთა შორის აღმოსავლეთ საქართველოს მოღვაწენიც იქნებოდნენ.

ასეთივე ინტერესი შეინიშნება აპოკრიფული მწერლობისადმი. ამას ამოწმებს არა მარტო სიმრავლე აპოკრიფების შემცველი ზღაპრებისა, არამედ მთარგმნელობითი მუშაობა, რომელიც XVIII საუკუნის მიწურულამდე გრძელდებოდა (დოსითეოზ ჩერქეზიშვილი).

ყურადღების გარეშე არც ეგზეგეტიკური მწერლობა დარჩენილა (ნიკოლოზ გულაბერისძე, ანტონ პირველი, იონა ხელაშვილი და სხვ.).

ჩვენი წინაპრები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ქრისტიანულ დებულებებს, დოგმატებს, უხვად თარგმნიდნენ დოგმატიკური მწერლობის ნიმუშებს (არსენ იყალთოელი, ნიკოლოზ გულაბერის-

ქე), თხზავდნენ საყურადღებო ძეგლებს (სულხან-საბა ორბელიანი, გერონტი სოლოლაშვილი).

ისტორიული პირობების გამო აღმოსავლეთ საქართველოს მოღვაწენი იძულებული იყვნენ პაექრობა გაემართათ როგორც არაქრისტიანებთან, ისე ქრისტიანობის წიაღში აღმოცენებული, — მართლმადიდებლური აღმსარებლობისაგან განსხვავებული, — სხვადასხვა მიმდინარეობის წარმომადგენლებთან. ამან კი განაპირობა დაინტერესება პოლემიკური მწერლობით, რაც უკვე უძველეს ძეგლებში შეიგრძნობა („მარტვილობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხეთელისაი“, „მოქალაქობაი და წამებაი წმიდისა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისაი“). ნაყოფიერად მუშაობდნენ ამ მიმართულებით არსენ საფარელი („განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“), არსენ იყალთოელი („დოგმატიკონი“), ბაგრატ მუხრანბატონი („მოთხრობაი სჯულთა უღმრთოთა ისმაილიტთაი“), ბესარიონ ბარათაშვილი-ორბელიშვილი („გრდემლი“), ანტონ პირველი („მზამეტყველება“) და სხვ.

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია აღმოსავლეთ საქართველოში ჰაგიოგრაფიამ (არა მხოლოდ თარგმნილმა, არამედ, რაც უფრო საინტერესოა, ორიგინალურმა). ერთიმეორის მიყოლებით შეიქმნა ჰაგიოგრაფიული თხზულებანი: „წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“ (იაკობ ცურტაველი), „მარტვილობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხეთელისაი“ (ანონიმი), „წამებაი წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტეისისა ჰაბოისი“ (იოანე საბანისძე), „მოქალაქობაი და წამებაი წმიდისა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისაი“ (არსენ დიდი), „ცხორებაი და მოქალაქობაი და ღუაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩუენისა ნინოისი“ (არსენ ბერი) და სხვ. გვიან ხანაში ჩამოყალიბდა მოზრდილი ჰაგიოგრაფიული კრებულიც (დომენტი მესამე).

სათანადო ყურადღება დაეთმო ასკეტიკურ-მისტიკურ მწერლობას (გაბრიელ მცირე).

განვითარდა ჰომილეტიკა, დაიწერა და შეითხზა მრავალი მოძღვრება-ქადაგება. ამ მხრივ თავი გამოიჩინეს იოანე ბოლნელმა, სულხან-საბა ორბელიანმა, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა, იობ ფიტარელმა, ამბროსი მიქაძემ და სხვ.

საეკლესიო სამართლისადმი ყურადღებას მოწმობს არა მხოლოდ „დიდი სჯულისკანონის“ მრავალი ნუსხის დამზადება აღმოსავლეთ საქართველოში, არამედ სპეციალური საეკლესიო კრების მოწვევა და სავალდებულო იურიდიული ნორმების დაკანონება (რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“ 1104 წლისა).

ღვთისმსახურების შესრულების აუცილებლობამ განაპირობა ლიტურგიკული მწერლობის განვითარება და სათანადო წიგნების თარგმნა. აღსანიშნავია ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში შემუშავებული და შედგენილი წიგნები — გულანები სვეტიცხოვლისა, გელათ-გარეჯისა, ყანჩაეთისა და სხვ.

აღმოსავლეთ საქართველოში აღმოცენდა მდიდარი და მრავალფეროვანი სასულიერო-საეკლესიო პოეზია (ნიკოლოზ გულაბერისძე, გრიგოლ ვახვახიშვილი, ლევან ბაგრატიონი, მარიამ-მაკრინე ბაგრატიონი, იესე ყულარაღასი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი და სხვ.).

ყოველივე აღნიშნული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს კერებში თავშეფარებული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა მყარ ნიადაგზე იდგა და შესამჩნევ წარმატებას აღწევდა. მის ზრდა-განვითარებასა და გამდიდრებაზე დღენიდაღ ზრუნავდნენ ძველი ქართული მწერლობის სახელოვანი წარმომადგენლები.

აღმოსავლეთ საქართველოშივე აღმოცენდა და განვითარდა საერო ლიტერატურა. სამეფო კარსა და დიდებულთა სასახლეებში (თბილისში, გრემში, თელავსა და სხვ.) მოღვაწეობდნენ ცნობილი მწერლები: იოანე შავთელი, ჩახრუხაძე, მოსე ხომელი, სარგის ამოგველი, შოთა რუსთაველი, თეიმურაზ პირველი, ნოდარ ციციშვილი, იოსებ სააკაძე, არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, ვასტანგ მეექვსე, თეიმურაზ მეორე, ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) და სხვანი, რომლებიც გულმოდგინედ იღვწოდნენ მშობლიური ლიტერატურის გამდიდრებისათვის, თხზავდნენ თუ თარგმნიდნენ და ახალ-ახალ ძეგლებს მატებდნენ ეროვნულ სულიერ საგანძურს.

საერო ლიტერატურამ წარმატებას მიაღწია უკვე კლასიკურ ხანაშივე (XI—XIII სს.). ამ პერიოდში ძალზე განვითარდა ეპოსი; ჩამოყალიბდა საგმირო-საფალავნო მოთხრობათა კრებული „ამი-რანდარეჯანიანი“, ითარგმნა სატრფიალო-სამიჯნურო ნაწარმოები „ვისრამიანი“, დაიწერა ეროვნული პოეზიის გვირგვინი „ვეფხისტყაოსანი“, შეიქმნა სახოტბო პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშები — „აბდულმესიანი“ და „თამარიანი“.

ქამთა სიავისაგან შენელებული და თითქმის შეწყვეტილი კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა ახალი ძალით გაჩაღდა XVI საუკუნიდან. გამოცოცხლდა ლიტერატურული ცხოვრება, გაფართოვდა თემატიკა, გაჩნდა რამდენიმე ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა და ქანრი, გაღვივდა და გაძლიერდა ეროვნული თვითშეგნების გრძნობა და სხვ.

XVI—XVIII საუკუნეებში საგრძნობლად განვითარდა ეპოსი, როგორც საგმირო („როსტომიანი“, „ყარამანიანი“, გალექილი „ამირანდარეჯანიანი“), ისე რომანტიკული („ვეფხისტყაოსნის“ დამატებანი, „იოსებზილიხანიანი“, „ლეილმაცუნიაანი“, „ბარამგურიანი“), საზღაპრო (გალექილი „ფირმალიანი“), დიდაქტიკურ-მორალური („სიმბრძნე სიცრუისა“, „ქილილა და დამანა“, „თიმსარიანი“, „მელის წიგნი“) და საისტორიო („ქეთევანიანი“, „შაჰნავაზიანი“, „დიდმოურავიანი“...). როგორც ამ უბრალო ჩამოთვლიდან ჩანს, აღორძინების ხანის ქართული ეპოსი წარმოდგენილია როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი ძეგლებით.

არანაკლებ საინტერესოა ამ პერიოდის ლირიკა, რომელიც კარგად გვაცნობს ჩვენი სასიქადულო პოეტების (თეიმურაზ პარველის, არჩილის, ვახტანგ შვექესის, თეიმურაზ მეორის; ბესიკისა და სხვ.) ნათქვამსა და ნააზრევს, მათ მსოფლმხედველობას, მათ სულერ ზრახვებს.

XVIII საუკუნის მიწურულში სამეფო კარზე საფუძველი ჩაეყარა თეატრსა და დრამატურგიას.

აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი საერო ლიტერატურის ძეგლების სიმრავლე და მაღალი ღირსება ცხადყოფს, რომ არსებობდა აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა ქართული საერო ლიტერატურის ოქროს ფონდი, არსებითად აქ შეიქმნა ის საგანძურები, რომელიც კანონიერი სიამაყის გრძნობით აღავსებს თითოეულ ჩვენთაგანს და ნათლად წარმოაჩენს იმ წვლილს, რომელიც ქართველობას შეუტანია ზოგადსაქაოცობრიო კულტურის ისტორიაში.

აღმოსავლეთ საქართველოში საკმაოდ განვითარდა საისტორიო მწერლობაც. უკვე აღრეულ ხანაში (XI—XIII სს.) აქ მოღვაწეობდნენ ლეონტი მროველი („ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“), არსენ ბერი („ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“), თამარის უცნობი ისტორიკოსი („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“), ბასილ ეზოსმოდგარი („ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“) და სხვ. შემდეგ სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ ავგაროზ ბანდაისძე (XIV ს.), ბერი ეგნატაშვილი, სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე (XVIII ს.) და სხვ.

აღმოსავლეთ საქართველოში განვითარდა მედიცინა („წიგნი სააქიმო“, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სამკურნალო წიგნი), ლექსიკოგრაფია (სულხან-საბა ორბელიანი) და სხვა დარგები.

ბუნებრივად იზადება კითხვა: რამ განაპირობა ძველი ქართული მწერლობის ასეთი განვითარება აღმოსავლეთ საქართველოში, რამ

უზრუნველყო მისი ზრდა და წინსვლა გაუთავებელი ომების ხანაში, რამ შეუწყო ხელი აქაური კერების დაწინაურებას?

უცილობელია, აღმოსავლეთ საქართველოში მწერლობის განვითარებასა და კულტურულ-საგანმანათლებლო კერების მომრავლება-გაძლიერებას დიდად შეუწყო ხელი ქვეყნის პოლიტიკურმა და სოციალ-ეკონომიკურმა ვითარებამ. მართალია, V—X საუკუნეებში და გვიან ხანაშიც აღმოსავლეთი საქართველო დაყოფილი იყო პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებად, მაგრამ საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებთან შედარებით აქ მაინც მეტად შეიგრძნობოდა ცენტრალური ხელისუფლების ძალა; საქარბაკელოს სხვა კუთხეებთან შედარებით აღმოსავლეთი საქართველო ძლიერი იყო პოლიტიკურად და ღონიერი — ეკონომიკურად.

მწერლობის განვითარებას შესამჩნევად შეუწყო ხელი კულტურულმა გარემოცვამ, ლიტერატურული ცხოვრების მაჟისცემამ, განათლების დონის თანდათანობითმა ამაღლებამ, სწავლულთა რიცხვის შეუნელებელმა ზრდამ, ქართველთა ეროვნულ-პოლიტიკურმა გათვითცნობიერებამ. დიდი როლი შეასრულა, აგრეთვე, ქართველთა ურთიერთობამ სხვა ხალხებთან, უცხო ლიტერატურულ სამყაროსთან. ქართველ მწიგნობართა მიერ ბერძნული, სომხური, სირიული, კობტური, არაბული, სპარსული, რუსული და სხვა ენებიდან თარგმნილი წიგნებით ყოველდღიურად მდიდრდებოდა ქართული მწერლობა. ქართველ მოღვაწეებს მჭიდრო, უშუალო კავშირ-ურთიერთობა ჰქონდათ მეზობელი ხალხების კულტურულ-ლიტერატურულ კერებთან, მეცნიერული აზროვნების ცენტრებთან. ჩვენი მწიგნობრება უშუალოდ ადგილზე — იერუსალიმში, კონსტანტინოპოლში, მოსკოვში, პეტერბურგში და სხვაგან ეცნობოდნენ და ეწაფებოდნენ უცხოეთის სწლიერ კულტურას, ხოლო შემდეგ ეროვნულ ნიადაგზე გადმოჰქინდათ უცხოური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები. ქართული მწერლობას ვამდიდრებასა და განვითარებაზე უთუოდ გავლენა ჰქონდა უცხოელი მწერლების — ხაყანის, ნიზამის, ოვანეს ერზინკაცის, ოენათან ნაყაშის, ვიდადის, ვაგიფისა და სხვათა ყოფნას ჩვენში.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კერების გაძლიერებასა და დაწინაურებას, ცხადია, საგრძნობლად შეუწყო ხელი აქაურ მოღვაწეთა ცხოველმა კავშირ-ურთიერთობამ როგორც ადგილობრივ, ისე უცხოეთის სამეცნიერო-ლიტერატურულ წრეებთან.

აღმოსავლეთ საქართველოში მწიგნობრობის მრავალი კერა არსებობდა. საგანგებოდ მხოლოდ სამს მიმოვიხილავთ — ქალაქს (თბილისს), მონასტერს (გარეჯას), აკადემიას (იყალთოს), სხვებზე ზოგად ცნობებს დავიმოწმებთ.

**თბილისი.** საქართველოს სახელოვანი დედაქალაქი საუკუნეთა მანძილზე დიდ როლს ასრულებდა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. ის იყო როგორც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ცენტრი, ისე ლიტერატურულ-შემოქმედებითი კერაც.

თბილისში იყრიდა თავს მოწინავე ქართველობა, აქ ვითარდებოდა ქართული მხატვრული აზროვნება, აქ მუშავდებოდა საზოგადოებრივი აზრი; არსებითად კულტურულ მოძრაობას საქართველოში თბილისი წარმართავდა.

თბილისში აყვავდა ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა და საერო ლიტერატურა, აქ მიაღწია განვითარების უმაღლეს მწვერვალს ქართულმა სულიერმა კულტურამ, აქ გამოჩნდა მკვეთრად და რელიეფურად მისი თვითმყოფადი სახე, აქაურ ლიტერატურულ გარემოში გაიფურჩქნა პოეტური გენია მრავალი ქართველი კალმის ოსტატისა.

თბილისში ითხზებოდა სიტყვაკაზმული მწერლობის შედეგები — მაღალმხატვრული და ღრმაშინაარსიანი ნაწარმოებები, რომლებიც დიდი სისწრაფით ვრცელდებოდა ქართველ საზოგადოებრიობაში; აქ ითარგმნებოდა სასულიერო და საერო ხასიათისა და შინაარსის ძეგლები, აქ მზადდებოდა ხელნაწერები, ხოლო გვიან ხანაში აქ იბეჭდებოდა პირველი ქართული წიგნები, რომელთაც ინტერესით ეცნობოდა და ეწაფებოდა ცოდნას მოწყურებული ქართველობა.

თბილისელი მწერლები, რომელთაც ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ სხვა ქართველ მწიგნობრებთან, აქედან უკავშირდებოდნენ როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ საგანმანათლებლო კერებს, ისე საზღვარგარეთის ქართულ სამეცნიერო-ლიტერატურულ ცენტრებს, კულტურულ-შემოქმედებით მუშაობდნენ ეწეოდნენ მოწინავე ერთა ლიტერატურული ურთიერთშემოქმედების სფეროში და ენერგიულად იღვწოდნენ ქართული მწერლობის ზრდა-განვითარებისათვის.

თბილისი იყო ძველი ქართული მწერლობის უმთავრესი კერა, მასთან იყო დაკავშირებული განვითარება მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურისა, რომელიც ადრეულ ხანაში მეტწილად

მეფე-დიდებულთა სასახლეებსა და ეკლესია-მონასტრებში იყო თავშეფარებული.

მართალია, ძველი ქართული ლიტერატურის ადრეული ძეგლების უმრავლესობა თბილისს გარეთაა შეთხზული (ეურტაეში, მცხეთაში...), მაგრამ ჩვენთვის ცნობილი პირველი ნაწარმოები, რომელიც თბილისშია დაწერილი — „წამებაი წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტეისისა ჰაბოისი“ (VIII ს.), ნათელ წარმოდგენას გვიქმნის თბილისის ლიტერატურულ ცხოვრებაზე. მისმა ავტორმა, დახელოვნებულმა მხატვარმა და ცხოვრებაში ღრმად ჩახედულმა მოაზროვნემ იოანე საბანისძემ სრულად ასახა VIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის პოლიტიკური ვითარება და სარწმუნოებრივი მდგომარეობა, თანამემამულეებს განმათავისუფლებელი იდეები უქადაგა და ეროვნული თვითშეგნება გაუღვივა, სარწმუნოებრივი გრძნობა განუმტკიცა და ისინი ქართლის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და საზოგადოებრივ-კულტურული დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად დარაზმა. მწერალმა, ერთი მხრივ, გაგვაცნო მისი დროის თბილისის ლიტერატურული დონე, მეორე მხრივ, ცხადყო თბილისში მწერლობის განვითარება უკვე ადრეულ ხანაში, როდესაც აქაურ წიგნსაცავებში არაერთი თხზულება ინახებოდა.

იოანე საბანისძის შემდეგდროინდელი თბილისის ლიტერატურულ ცხოვრებაზე კარგა ხანს არაფერი ვიცით. საფიქრებელია, არაბთა ხანგრძლივმა ბატონობამ აქაური ლიტერატურული ძალები დაასუსტა, საგანმანათლებლო მუშაობა შეაფერხა და დააქვეითა.

თბილისი როგორც ქართული კულტურის კერა აღდგა და მთელი სიდიადით გამოჩნდა XII-XIII საუკუნეებში. იმ დროს საქართველომ არნახულ წარმატებას მიაღწია. ქართველი მამულიშვილების მრავალმხრივი მოღვაწეობის შედეგად საქართველო გაფართოვდა ტერიტორიულად, გაძლიერდა პოლიტიკურად, მოღონიერდა ეკონომიკურად, დაწინაურდა კულტურულად. შეიქმნა და განმტკიცდა დიდ ფართობზე გადაჭიმული მძლავრი ფეოდალური მონარქია — წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფო, რომლის ცენტრად უძველესიან მპყრობელთაგან განთავისუფლებული თბილისი იქცა. უკეთველთა ძველი სატახტო ქალაქი გახდა მრავალეროვანი სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების კერა, სადაც ინტენსიურად გაიშალა მწიგნობრულ-საგანმანათლებლო და მეცნიერულ-შემოქმედებითი მუშაობა.

თბილისში ქართული ლიტერატურის ზრდა-განვითარებას ენერ-

გიულად უწყობდა ხელს ცენტრალური ხელისუფლება. დიდად ზრუნავდა ეროვნული მწერლობის განვითარებაზე დავით აღმაშენებელი (1089—1125). არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ჯაუზის ცნობით, მან თბილისში პოეტებისათვის თავშესაფარი ააგო, მათ ხშირად მატერიალურადაც ეხმარებოდა და სადღესასწაულო მეჭლი-სებსაც უმართავდა.

დავით აღმაშენებელი, — გულუხვი მეცენატი და ფრიად განათლებული შემოქმედი, რომელიც ადრეული ხანიდან, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაშივე, დაინტერესდა კულტურულ-ინტელექტუალური საკითხებით, — არა მარტო ეხმარებოდა მწერლებს, არა მხოლოდ სხვებს მოუწოდებდა საგანმანათლებლო საქმიანობისაკენ, არამედ უშუალოდ მონაწილეობდა მეცნიერულ-ლიტერატურული თუ იდეურ-სარწმუნოებრივი საკითხების განხილვაში და პირადი წვლილიც შეჰქონდა მშობლიური მწერლობის განვითარებაში — თხზავდა საგალობლებს და ამდიდრებდა ქართულ ჰიმნოგრაფიას. მისი სახელით მოღწეული „გალობანი სინანულისანი“ ყურადღებას იქცევს სიტყვაკაზმულობით, აზრის სიღრმით, გრძნობის უშუალოებით, კარგად გვიჩვენებს ავტორის განათლებასა და ლიტერატურულ გემოვნებას, ნათლად გვაცნობს მის მსოფლმხედველობა-განწყობილებას.

დავით აღმაშენებლის მხარდაჭერითა და ხელშეწყობით მოღვაწეობდნენ იოანე პეტრიწი, არსენ ბერი, არსენ იყალთოელი და სხვ.

არსენ ბერი (იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელზე ქვემოთ ვისაუბრებთ) დავითის პოლიტიკის მომხრე და ერთგული ქომაგი, ამ პოლიტიკის დამცველი და გამტარებელი იყო. მას არაერთი თხზულება მიეწერება. საყურადღებოა მისი „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“, რომელიც სრულად ასახავს დავით აღმაშენებლის სამხედრო-პოლიტიკურ, სამოქალაქო-საეკლესიოსა და კულტურულ საქმიანობას.

შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა დავით აღმაშენებლის ვაჟი დემეტრე პირველიც (1125—1156), რომელიც ახლოს იყო მწერლებთან და მეცნიერებთან (არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-აზრაც ალ-ფარიკის ცნობით, დემეტრე მეფის ურთიერთობა „მეცნიერებისა და კეთილსათნოების ხალხთან მოკრძალებული და გულუხვი ყოფილა“). მისი სახელით მოღწეულია მცირე, მაგრამ საინტერესო ლიტერატურული მემკვიდრეობა — იამბიკოები. მათ შორისაა უკანასკნელ ხანამდე გავრცელებული საგალობლის ტექსტიც („შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული“).



განსაკუთრებით აღსანიშნავია თამარ მეფის (1184 — 1213) ნე-  
ცნატობა, რაზეც თუნდაც ის მეტყველებს, რომ მისი სასახლე გა-  
დაიქცა შემოქმედთა საკრებულოდ. თამარის კარზე, — ისე რო-  
გორც დავით აღმაშენებლის, დემეტრე პირველისა და გიორგი მე-  
სამის სასახლეებში, — მრავლად იყვნენ მგოსნები, რომლებიც მო-  
ნაწილეობდნენ პოეტურ ტურნირებსა და სახალხო დღესასწაუ-  
ლებში. არცთუ იშვიათად თბილისში ჩამოდიოდნენ უცხოელი  
მწერლები და მეცნიერები. საფიქრებელია, თბილისში იყვნენ დი-  
დი აზერბაიჯანელი პოეტები ხაყანი (1120 — 1199) და ნიზამი  
(1141-1203/9).

თამარი (ისე როგორც დავით აღმაშენებელი) უხვად ეხმარე-  
ბოდა ეკლესია-მონასტრებს (ამას საგანგებოდ აღნიშნავს თამარის  
ყველა ისტორიკოსი).

როგორც ჩანს, ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაში  
მოღვაწე ქართველ მეფეებს კარგად ესმოდათ, რომ საქართველოში  
თუ მის საზღვრებს გარეთ არსებული ქართული ეკლესია-მონას-  
ტრები წარმოადგენდნენ არა მხოლოდ საკულტო, არამედ, ნაწი-  
ლობრივ, სამეცნიერო-მწიგნობრულ დაწესებულებებს, რომლებიც  
ქართული სამეფო კარის ყურადღებასა და მზრუნველობას იმსახუ-  
რებდნენ. თამარის შეუხელებელი ზრუნვა ქართულ საგანებზე  
რამდენადმე მაინც მისი ლიტერატურულ-საგანმანათლებლო ინ-  
ტერესებით უნდა აიხსნას.

როდესაც თვალს ვადევნებთ თამარის საქმიანობას, ძალაუვნებ-  
რივ გვებადება აზრი მის ორიგინალურ შემოქმედებაზე. არაა გა-  
მორიცხული, რომ მეფე ქალი თვითონაც მონაწილეობდა ლიტე-  
რატურულ პროცესში და, შეძლებისდაგვარად, ქმნიდა ორიგინა-  
ლურ ნაწარმოებებს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თამარს  
იკუთვნის ძველ ხელნაწერებში შემონახული რამდენიმე იამბიკო  
(პ. ინგოროყვა).

თამარის ხანაში დიდ წარმატებას მიაღწია ქართულმა მწერლო-  
ბამ. აღმავლობის გზას დაადგა საერო ლიტერატურა. შეიქმნა მა-  
ლალმხატვრული თხზულებანი: „აბდულშესიანი“, „თამარიანი“,  
„ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“, „ვეფხისტყაოსანი“ და სხვ.  
მართალია, ჩვენ არ გავაჩნია პირდაპირი ხასიათის ცნობები ამ  
ძეგლების თბილისში დაწერისა თუ თარგმნის შესახებ, მაგრამ მათ-  
ში ისე სრულადაა გამოვლენილი ქართული სამეფოს ცენტრის  
ინტერესები და მისწრაფებანი, აზრები და ზრახვები, სურვილები  
და იდეალები, რომ ძნელია მათი თბილისის ლიტერატურული გა-  
რემოდან გამოთიშვა. ყველა ზემოდასახელებული თხზულება, სა-

ფიქრებელია, თბილისში შეიქმნა.

თამარის ხანაში შესამჩნევად განვითარდა საკარო-სახოტბო პოეზია. საქართველოს სამეფო კარზე ადრეც მოღვაწეობდნენ პოეტები და მემპტიანენი, რომლებიც განადიდებდნენ გვირგვინოსნებს, მაგრამ სახოტბო პოეზია და საისტორიო მწერლობა განსაკუთრებით მაღალ საფეხურზე ავიდა თამარის მეფობაში, როდესაც ქართულმა ფეოდალურმა მონარქიამ ძლიერების მწვერვალს მი-აღწია.

მეფის სამსახურში მყოფი მწიგნობრები მონარქს აიდეალებდნენ. რასაკვირველია, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ის გარემოება, რომ ისინი უფლებრივად და მატერიალურად თავიანთი ქების ობიექტებზე იყვნენ დამოკიდებულნი, მაგრამ, მიუხედავად გარკვეული შეზღუდულობისა, მაინც ახერხებდნენ მაღალიდერი მხატვრული ნაწარმოებების შექმნას. ამ რიგის თხზულებათაგან ჩვენამდე მოღწეულია „აბდულმესიანი“ და „თამარიანი“.

„აბდულმესიანი“ ვრცელი და შინაარსიანი სახოტბო ძეგლია. იგი არსებითად თამარისა და დავით სოსლანის ქებათა ქებაა. მისი ავტორი, — თამართან ძალზე დაახლოებული პოეტი იოანე შავთელი, — თამარის თაყვანისმცემელი და მიმდევარია, მისი საქმიანობის აბოლოგეტია. მეხოტბე აიდეალებს თამარს, მიაწერს მას ყოველგვარ დადებით თვისებას, მიიჩნევს მას სიბრძნისა და გონიერების, სიწმინდისა და სიფაქიზის განსახიერებად, აქებს მის განსწავლულობასა და მართლმსაჯულებას, აღტაცებულია ქართველთა გამარჯვებებითა და წარმატებით.

საქართველოს ძლიერება და სიმტკიცე არანაკლებ აღაფრთოვანებდა იმ დროის მეორე დიდ პოეტს ჩახრუხაძეს, რომელმაც ნათლად წარმოგვიდგინა თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალი „თამარიანიში“. მძაფრი პოლიტიკური განწყობილების შემცველ ნაწარმოებში მან დიდების ჰიმნი უმღერა თამარის სიბრძნესა და ზნეფაქიზობას, ჰუმანურობასა და სწორუპოვრობას, ქართველთა დიდებულ აწმყოს.

საფიქრებელია, თამარის კარზე ჩამოყალიბდა საგმირო-საფან-ღავნო მოთხრობათა კრებული „ამირანდარეჯანიანი“, რომელსაც ტრადიცია მოსე ხონელს მიაწერს (როგორც ჩანს, უფრო სწორი ფორმა უნდა იყოს ხომელი). ის ასახავს სამხედრო-ფეოდალური საზოგადოების ყოფა-ცხოვრებას, იცავს პატრონყმობის საფუძვლებს, აღიღებს მეფეთა ღირსებას, ვაჟკაცთა გულოვნობასა და რაინდთა შემმართებლობას. „ამირანდარეჯანიანი“ გვიჩვენებს ფეოდალური საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებას

იმ სურათს, რომელიც მისი დროის საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი. მას ეხმაურება სარგის თმოგველის მიერ სპარსულიდან თარგმნილი „ვისრამიანი“, რომელიც ასახავს უ.წ. მაღალი საზოგადოების ცხოვრების ინტიმურ მხარეს. ამ სატრფიალო-სამიჯნურო თხზულების ქართველი მთარგმნელი თავისუფლად ეკიდება დედანს, შეაქვს მასში რედაქციული ცვლილებანი, აძლიერებს პატრიოტულ მოტივს, აცხოველებს მშობლიური მამულის სიყვარულის დიად გრძნობას.

თამარის ხანის ლიტერატურული ძეგლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველი ხალხის სულიერი კულტურის, ჩვენი მდიდარი და ღრმაშინაარსიანი სიტყვაკაზმული მწერლობის გვირგვინი „ვეფხისტყაოსანი“.

შოთა რუსთაველმა აითვისა ადრინდელი ხანისა თუ მისი დროის ქართული მწერლობის მონაპოვარი, წინ წასწია მხატვრული აზროვნება და მეტყველება, დააგვირგვინა მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზია. მან ბრწყინვალედ დაგვიხატა რთული და მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ცხოვრება, შესანიშნავად უმღერა ადამიანის გამაყეთილშობილებელი გრძნობების თავისუფლებას, მიჯნურობის ამამაღლებელ ძალას, თავგამოდებით იქადაგა სამშობლოს ღრმა სიყვარულის, ხალხთა ძმობა-მეგობრობის დიადი იდეები და ჰუმანისტური მსოფლმხედველობითა და რენესანსული სულისკვეთებით წინ გაუსწრო თავის ეპოქას. დიდი შემოქმედლის პოემა დღესაც გვაჯადოებს თავისი ჩანაფიქრით, გვიბლავს მხატვრული ელვარებით, გვიტაცებს და აღგვაფრთოვანებს მაღალი იდეით, რომელიც მას ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას ანიჭებს და მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში საპატიო ადგილს უპყვადრებს.

რუსთაველი უცილობლად თამარ მეფის თანამედროვე და მისი ახლობელი თანამოღვაწე იყო. არაა ინტერესს მოკლებული, რომ იგი პოემას უძღვნის თამარს, რომელსაც შთამაგონებლად გვისახელებს. თამარის დიდბუნებოვნებითა და დავით სოსლანის ძლევამოსილებით აღტაცებული მგოსანი სიყვარულით აღსავსე ხოცბას ასხამს მათ.

თამარის ხანაში წარმატებით ვითარდებოდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობა (იოანე ჰიმნოგრაფი, ნიკოლოზ გულაბერისძე...), ისტორიოგრაფია („ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“, „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“...).

იოანე ჰიმნოგრაფი განსწავლული მწიგნობარი იყო. იგი ძირითადად ეგზეგეტიკური მწერლობის სფეროში მოღვაწეობდა, მაგრამ

ფილოსოფიისადმიც დიდ ინტერესს იჩენდა და თანამემამულეებსაც აჩვენებდა ფილოსოფიურ მსჯელობას. მას აღუწერია დემეტრე პირველის მეფობა, სიტყვა წარმოუთქვამს თამარ მეფის დაკრძალვაზე.

ნიკოლოზ გულაბერისძე თამარის კიდეც ერთი სახელოვანი თანამოღვაწეა. იგი ჯერ კიდეც გიორგი მესამის (1156—1184) დროს იყო კათალიკოსად, შემდეგ იერუსალიმს წავიდა. თამარის მეფობაში დაბრუნდა და მხარში ამოუდგა გვირგვინოსან ქალს. საფიქრებელია, მაშინ დაწერა „საკითხავი სუეტისა ცხოველისაი, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისაი“, რომელშიც თამარის სახელისა და ავტორიტეტის განსამტკიცებლად, ტახტზე ქალის ასვლის გასამართლებლად ხაზი გაუსვა ქალის (ნინოს) მოღვაწეობას, მის პატივსა და ღირსებას.

უცნობი ავტორის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ქართული საისტორიო მწერლობის მშვენიერია. მემატია — სამეფო კარზე მიღებული და სახელმწიფოებრივ საქმიანობაში ჯიშინად გარკვეულ პირი — თამარის თანამედროვე და თვითმხილველია. ის ვრცლად აღწერს თამარის სამხედრო-პოლიტიკურ, სამოქალაქო-სახელმწიფოებრივსა და საეკლესიო-სარწმუნოებრივ საქმიანობას, აღტაცებულია მისი ჰუმანიზმითა და გონიერებით. უცნობი მემატია ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს მომხრე და ერთგულია, გადაჭრით ილაშქრებს გამთიშველთა წინააღმდეგ, გმობს პარტიკულარიზმს. თავისი სამშობლოს ძლიერება და წინსვლა მას სიამაყის გრძნობით აღავსებს.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ღრმად შეხიზნა ისტორიისათვის. ის რამდენადმე სცილდება კიდეც საისტორიო მწერლობის ფარგლებს და წმინდა მხატვრული ლიტერატურის სფეროში გადადის.

მომდევნო ხანაში მონღოლთა შემოსევისა და გაბატონების შედეგად, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა მძიმე, ხოლო ეკონომიკური ცხოვრება აუტანელი შეიქმნა. დამპყრობელთა ძლიერებამ, ქართველ მამულმშვილთა უთანასწორო ბრძოლამ და მონობის უღელმა, თბილისი ჩამოარჩინა; ლიტერატურის დონე დაქვეითდა, სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობა მინელდა, მაგრამ მცირე მასშტაბით მაინც შეინიშნება კულტურული მაჯისცემა. ამასთანავე, თბილისი კვლავ იზიდავდა არაქართველ მოღვაწეებს (1284 წელს აქ იყო სომეხი მწერალი და მეცნიერი ოვანეს ერზინკაცი).

ვითარება რამდენადმე შეიცვალა XVI საუკუნიდან. თბილისის ლიტერატურული ცხოვრება გამოცოცხლდა, ფეოდალური საზოგადო-

დობროობის ინტერესებისა და სულისკვეთების შესაბამისად გაჩაღდა საგმირო-სარაინდო თხზულების — ფირდოუსის (X—XI სს.) „შაჰ-ნამეს“ თარგმნა და გალექსვა (ხოსრო თურმანიძე).

ქართლის დედაქალაქში ლიტერატურულ-შემოქმედებითი მუშაობა უფრო გაიშალა და შესამჩნევი გახდა XVII საუკუნეში.

1623—1632 წლებში თეიმურაზ პირველმა (1589—1663) — ღვაწლმოსილმა პოეტმა და მრავალჭირანახულმა ჰამულიშვილმა — თბილისში დაწერა პოემები „ლეილმაცუნუნიანი“ და „იოსებზილ-ხანიანი“ და ბიძგი მისცა რომანტიკული ეპოსის შემდგომ განვითარებას.

თბილისში ლიტერატურული ტრადიციების გაღვივებას დიდად შეუწყობ ხელი როსტომ მეფის (1633—1658) მეუღლემ მარიამ დედოფალმა, რომელიც მწიგნობრობით ფრიად დაინტერესებული პიროვნება იყო; მისი თაოსნობით არაერთი ხელნაწერი დამზადდა (მარიამ დედოფლის მოღვაწეობის შესაფასებლად საკმარისია მოვიგონოთ „ქართლის ცხოვრების“ სახელგანთქმული ნუსხა, რომელიც მან 1633—1644 წლებში გადააწერინა). მანვე ტყვეობიდან დაიხსნა რამდენიმე ხელნაწერი — პარხლის მრავალთავი, სვეტიცხოვლის ეპინი, ტბეთის ოთხთავი და სხვ.

როსტომის კარზე მრავლად იყვნენ მეჩანგენი და მგოსნები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს სახოტბო პოეზიის განვითარებას.

საკარო-სახოტბო პოეზია კიდევ უფრო განვითარდა ვახტანგ მეხუთის (1658—1675) მეფობის დროს. ამ პერიოდში, — ქართლის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად, — შემოქმედებითი ძალების გამოცოცხლება შეინიშნება საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაშიც; მეტი ყურადღება მიექცა სწავლა-განათლებას, იმატა ქართველ მწიგნობართა რიცხვმა.

ვახტანგ მეხუთის დროს საგრძნობლად გაძლიერდა და განმტკიცდა სამეფო კარი, რომლის დიდებასა და ბრწყინვალეობას უცხოელი მოგზაურებიც კი მოჰყავდა აღტაცებაში. მომრავლდნენ მეხოტბენი, რომელთა შორის გამოირჩეოდა ფეშანგი ხითარაშვილი. მან 1664 — 1665 წლებში შეთხზა პოემა „შაჰნავაზიანი“, რომლითაც განაღვივდა ვახტანგ მეხუთე და მისი გარემო. — აღწერა მეფის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა და ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობა, დახატა ფეოდალური საზოგადოებრიობის ყოველდღიური ცხოვრების დამახასიათებელი სურათები. მართალია, ფეშანგი რიტორიკამ გაიტაცა, მწერალმა ყალბ პათოსს თავი ვერ

დააღწია, მაგრამ „შაჰნავაზიანი“ მინც საყურადღებო საისტორიო წყარო და მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლია.

ვახტანგ მეხუთის კარზე, დროის შესაფერისად, კარგად იყო დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმე. ამის შედეგია ვახტანგის შვილების (არჩილის, გიორგის, ლევანის) ჩინებული განსწავლულობა და ლიტერატურული მოღვაწეობის მრავალმხრივობა.

ქართლის სამეფო კარზე აღიზარდა და არსებითად მის დედაქალაქში დაეაყვაცდა არჩილ ბაგრატიონი (1647—1713), რომელსაც ფიზიკურ ძალასა და მოხდენილ გარეგნობასთან ერთად დიდი ლიტერატურული ნიჭი და მხატვრული გემოვნება ჰქონდა. თბილისში შეისწავლა და გაიცნო მან ძველი ქართული კულტურა, აქ შეითვისა და შეიყვარა ძველი ქართული მწერლობის სახელოვანი ტრადიციები. მშობლიური ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა აშკარად გამოხატვის არჩილის პოეტური მემკვიდრეობიდან, რომელსაც თავის მხრივ, საპატიო ადგილი უჭირავს ქართული სიტყვიერი კულტურის ისტორიაში.

არჩილი იყო ახალი ლიტერატურული მოძრაობის მეთაური, ისტორიულ-ნაციონალური თემატიკის ბრწყინვალედ დამუშავებელი, მშობლიური ენის სიწმინდისათვის თავგამოდებული მებრძოლი, გამოჩენილი პოეტი და დიდაქტიკოს-მორალისტი.

მართალია, ჩვენ სათანადოდ არ ვიცნობთ არჩილის შემოქმედებითი მოღვაწეობის თბილისის პერიოდს, მაგრამ, ვფიქრობთ, მისი პოეტური გენია თბილისის კულტურულ გარემოში აყვავდა, აქ გადადგა მან პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე და მალე ეროვნული ლიტერატურის პროგრესულ მიმართულებასაც ჩაუდგა სათავეში.

საკმაოდ იჩინდა ინტერესს საგანმანათლებლო საქმიანობისადმი მისი ძმა გიორგი მეთერთმეტე (1676—1688, 1703—1709), რომელიც თვითონაც მონაწილეობდა ლიტერატურულ ცხოვრებაში და სხვებსაც უწყობდა ხელს სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობაში. მას უნდა ეკუთვნოდეს „თხრობანი სულთა და ხორცთანი ურთიერთას“, ლექსნარევი პროზაული თხრობა, რომელიც გვაცნობს ავტორის ნაფიქრ-ნააზრევს. მისი დავალებით იაკობ დუმბაძეს გაუღექსავს ბაგრატ მუხრანბატონის პოლემიკური თხზულება („უხულოს მამამდიანთა და ქრისტიანეთა გაბაასება“), მდივან ბეგთაბეგს ვადაუწერია „ვეფხისტყაოსნის“ ძვირფასი ნუსხა და ა. შ.

გიორგი მეთერთმეტის მეფობაში განვითარდა საისტორიო

მწერლობა (სეხნია ჩხეიძე), საისტორიო ეპოსი (იოსებ სააკაძე) და ა. შ.

იმხანად თბილისში მოღვაწე მწიგნობართაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725). ის ახლო ნათესაურ კავშირში იყო სამეფო კართან, აქტიურად მონაწილეობდა ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სწორედ თბილისში, ქართლის სამეფო კარზე მოღვაწეობისას დაევალა მას ტახტის მემკვიდრის — ლევან ბატონიშვილის ვაჟის ვახტანგის აღზრდა. იმ დროსვე დაიწყო მან „სიბრძნე სიცრუისაზე“ მუშაობა (1678—1688).

„სიბრძნე სიცრუისას“ პრაქტიკულ-აღმზრდელი მნიშვნელობა განუსაზღვრელია. მის ავტორს, სხვა მიზნებთან ერთად, კონკრეტული პირს — ვახტანგ ლევანის ძის აღზრდის ამოცანებიც ამოქმედებდა. დიდი იგავთმწერალი თავის პრაქტიკულ საქმიანობას წიგნში თეორიულად ამართლებდა და ასაბუთებდა.

„სიბრძნე სიცრუისა“ ქართული მხატვრული ლიტერატურის შედევრია, იგი იმთავითვე შევიდა ჩვენი ეროვნული კაზმულსიტყვაობის ოქროს ფონდში.

ქართლის სამეფო კარზე ყოფნის წლებშივე დაიწყო სულხან-საბა ორბელიანმა ლექსიკონის შედგენა.

XVI—XVII საუკუნეებში დაწყებულმა პროცესმა თბილისის ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლებისა უფრო მკვეთრი სახე მიიღო XVII საუკუნის პირველ მეოთხედში, როდესაც ქვეყნის სათავეში დადგა დიდად განათლებული მწიგნობარი, ნიჭიერი შემოქმედი და ცნობილი მეცენატი ვახტანგ მეექვსე (1675—1737).

ჯერ კიდევ ვახტანგის გამგებლობის დროს (1703—1712) შეინიშნება ქართლის როგორც სახელმწიფოებრივი აღორძინება, ისე კულტურული დაწინაურებაც. ეს ხანა ერთ-ერთი ნაყოფიერი და საყურადღებოა ქართული კულტურის ისტორიაში.

„სწორედ გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა ასეთი დაუღალავი, მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო და ღრმა ნიადაგი ეპყრა, უფლებას გვაძლევს ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა დავარქვათ სახელად. თითქმის ყველა ამდროინდელი მოღვაწის აზრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნამუშევარი და ნაჭირნახულევი შეეკრიბათ, შეესწავლათ და ჩამომავლობისათვის დამთავრებული, ყოველმხრივი წარმოდგენა და ცოდნა გადაეცათ. ამ დი-

ადი საქმის მოთავედ და სულისჩამდგმელად დიდებული დაუვიწყარი ვახტანგი იყო“ (ი. ჭავჭავაძის მიხედვით).

ვახტანგი გულისყურით ეკიდებოდა როგორც პოლიტიკურ საკითხებს, ისე ადმინისტრაციულ-ეკონომიკურსა და პრაქტიკულ-სამეურნეო საქმეებს. მთელი მისი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივ-კულტურული მოღვაწეობა ღრმად იყო გააზრებული. იგი ორიგინალურად მოფიქრებული გეგმითა და პროგრამით მოქმედებდა და ყველაფერს აკეთებდა ქვეყნის პოლიტიკური გაძლიერების, ეკონომიკური მოღონიერებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

ვახტანგის თაოსნობით გაჩაღდა მეცნიერულ-ლიტერატურული მუშაობა, გაიშალა სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობა. საქართველოს გული თბილისი კვლავ იქცა შემოქმედებითი მუშაობის დიდ კერად, სადაც ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების განვითარება და წარსულის ტრადიციების აღდგენა მიჩნეულ იქნა ქართველთა კულტურული დამოუკიდებლობის შენარჩუნების წინაპირობად. ამიტომაც მალე აქ თავი მოიყარეს და ნაყოფიერი მოღვაწეობა დაიწყო ალმოსავლეთ საქართველოს მეცნიერებმა და მწერლებმა, კალიგრაფებმა და მხატვრებმა, მემატიანეებმა და მეზოტეებმა. ქართლის სატახტო ქალაქში თავი მოიყარეს დასავლეთ საქართველოდან თუ სხვა ქვეყნებიდან მოსულმა მწიგნობრებმაც, კერძოდ, აქ მოღვაწეობდა სომეხი ოენათან ნაყაში (1661—1722).

ვახტანგის ასეთი სახელმწიფოებრივი საქმიანობა და კულტურულ-ინტელექტუალური მოღვაწეობა სულხან-საბა ორბელიანის დიდი აღმზრდელი მუშაობის ბრწყინვალე შედეგია. ქართლის გამგებლად ვახტანგის დანიშვნისთანავე სულხან-საბა ორბელიანმა დატოვა გარეჯის მონასტერი (იხ. ქვემოთ) და თბილისს მოაშურა. მართალია, გარეჯასთან კავშირი არ გაუწყვეტია და ხშირად იყო იქ, მაგრამ ძირითადად თბილისში უცხოვრობდა და ვახტანგთან თანამშრომლობდა. ის იყო ვახტანგის პოლიტიკური მრჩეველი და მესაიდუმლე, მისი ეკონომიკური და კულტურული რეფორმების სულისჩამდგმელი. გადაუქარბებლად შეიძლება ვთქვათ, რომ ვახტანგის ყველა კულტურული წამოწყება მეტ-ნაკლებად მისი დიდებული აღმზრდელის სახელთანაა დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, უნდა დავსძინოთ, რომ ეპოქის მთელი საგანმანათლებლო საქმიანობის მეთაური, ქართველთა მწიგნობრულ-შემოქმედებითი მუშაობის ორგანიზატორი, იდეური წინამძღოლი და პრაქტიკული ხელმძღვანელი მაინც ვახტანგი იყო.

ვახტანგი უაღრესად მრავალფეროვან ლიტერატურულ საქმიან-



ნობას ეწეოდა. მართალია, ორიგინალური თხზულებების უმრავ-  
ლესობა მან სამშობლოს გარეთ, უცხო მხარეში დაწერა, მაგრამ  
იგი არსებითად თბილისის კულტურას ნაზიარები მგოსანი და  
აქაურ ტრადიციებზე აღზრდილი მოაზროვნეა.

ვახტანგი თხზავდა ლექსებს, თარგმნიდა ჰაარსულიდან („ამირ-  
ნასარიანი“, „ქილილა და დამანა“), ათარგმნიებდა სხვებსაც („ბახ-  
თიარ-ნამე“, „ბარამგულანდამიანი“), ამრავლებინებდა ხელნაწე-  
რებს და ა. შ.

ვახტანგი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა თანამედროვე-  
ებს და მათ უფრო აქტიური საქმიანობისაკენ მოუწოდებდა. იგი  
არა მხოლოდ შემოქმედებითი მუშაობით იყო გატაცებული, არა-  
მედ უხვად ეხმარებოდა ცნობილ მწიგნობრებსა თუ დამწყებ მუ-  
შაკებს. მან ქართლის კულტურულ ცხოვრებაში ჩააბა მოწინავე  
ქართველობა.

ერთი მეცნიერის მართებული შენიშვნით, ვახტანგის სასახლე  
იყო ერთგვარი პოეტური აკადემია, სადაც თავს იყრიდა იმდროინ-  
დელი საზოგადოებრიობის მთელი ინტელექტუალური აქტივი.  
ვახტანგის ენერგიული ხელმძღვანელობით ეს აკადემია შესაფერი-  
სად ეხმარებოდა ეპოქის კულტურულ მაჯისცემას. არსებითად  
ვახტანგის მხარდამხარ მოღვაწეობდა თბილისში იმ ხანის თითქმის  
ყველა გამოჩენილი მწერალი—სულხან-საბა ორბელიანი, ონანა  
ქობულაშვილი, გივი თუმანიშვილი, დომენტი მესამე და სხვ. აქ  
შექმნეს მათ არაერთი ნაწარმოები.

ნაყოფიერად მუშაობდა ამ პერიოდში სულხან-საბა ორბელი-  
ანი. იგი შეუწელებელი ინტერესითა და ენერგიის დაუზოგავად გა-  
ნაგრძობდა მუშაობას ლექსიკონზე, ავსებდა, ავრცობდა და აზუს-  
ტებდა მას. ამის შედეგად მივიღეთ მაღალ მეცნიერულ დონეზე  
შესრულებული ნაშრომი, რომელიც კარგად წარმოაჩინს ქართული  
სიტყვიერი საუნჯის უღვე არსენალს; ამავე პერიოდში იგავთმწერა-  
ლი ხეწდა „სიბრძნე სიცრუისას“ და უკვდავ ნაწარმოებს საბო-  
ლოო სახეს აძლევდა.

მომდევნო წლებში სულხან-საბა ორბელიანი კვლავ გულმოდ-  
გინედ მუშაობდა. კერძოდ, დაწერა სამოგზაურო-მემუარული ძეგ-  
ლი „მოგზაურობა ევროპაში“, „ქილილა და დამანას“ ვახტანგი-  
სეული თარგმანი გადაამუშავა, შეასწორა, სათანადო ადგილები  
გალექსა, ზოგი რამ შეცვალა და მას კანონიკური რედაქციის სახე  
მისცა.

თბილისის კულტურულ გარემოში აღიზარდა ქართველ მეცნი-  
ერთა და მწერალთა ის სახელოვანი თაობა, რომელმაც შემდეგ რუ-

სეთში არსებულ ქართულ კოლონიებში განაგრძო მრავალმხრივი საქმიანობა (ვახუშტი ბაგრატიონი, ბაქარ ბაგრატიონი, ერასტი თურქისტანიშვილი, დიმიტრი ორბელიანი, მამუკა ბარათაშვილი და სხვ.).

ეროვნული თვითშეგნების ამაღლებამ და მეცნიერების განვითარებამ განაპირობა საზოგადოებრიობის ინტერესის გაზრდა წარსულისადმი. ვახტანგმა ჩამოაყალიბა სწავლულ კაცთა კომისია (ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით), რომელმაც შეკრიბა ძველი ხელნაწერები, ჩაატარა ტექსტოლოგიური სამუშაო და შეიმუშავა „ქართლის ცხოვრების“ ახალი რედაქცია.

იმ ხანის კულტურულ წამოწყებათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისში პირველი სტამბის დაარსება (1709 წ.) და საგამომცემლო საქმიანობის გაჩაღება. ვახტანგის ზრუნვითა და რუდუნებით, აგრეთვე სტამბის მუშაკების (მიხაილ უნგროვლახელის, ნიკოლოზ ორბელიანის, გერმანე მღვდელმონაზვნისა და სხვათა) ენერგიული შრომის შედეგად თბილისის პირველმა ქართულმა სტამბამ, მიუხედავად მცირე ხანს არსებობისა (1709—1722), საყურადღებო ძეგლები გამოაქვეყნა. თბილისის სტამბაში დაიბეჭდა არა მხოლოდ სასულიერო წიგნები (სახარება, დავითნი...), არამედ სასკოლო სახელმძღვანელო („სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“); მეცნიერული შრომა („აიათი“) და, რაც მთავარია, „ვეფხისტყაოსანი“. რუსთაველის პოემის პირველ მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემას ვახტანგმა დაურთო ვრცელი კომენტარები — სპეციალური გამოკვლევა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რუსთველოლოგიას როგორც სამეცნიერო დისციპლინას.

თბილისის სტამბის სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა განუზომელია. იგი თითქოს მხოლოდ ქართლის მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად დაარსდა, მაგრამ მალე საერთო-ქართულ ეროვნულ დაწესებულებად იქცა და იქიდან გამოსული წიგნები მთელ საქართველოში გავრცელდა.

ვახტანგის რუსეთში გადახვეწის შემდეგ საქართველოში საერთოდ და თბილისში კერძოდ საგრძნობლად შეფერხდა მწიგნობრულ-შემოქმედებითი საქმიანობა. ვახტანგს რუსეთში წაჰყვა მრავალრიცხოვანი ამაღლა — მწერლები, მეცნიერები, კალიგრაფები. რასაკვირველია, ასეთ მოღვაწეთა რუსეთში გამგზავრება დიდი დანაკლისი იყო საქართველოსათვის. არსებითად ვახტანგს წაჰყვა საქართველოს შემოქმედებითი მუშაკების მოწინავე რაზმი, ქართუ-

ლი კულტურულ-საზოგადოებრივი საქმიანობის მრავალი მოთავე. ასე რომ, თბილისში თითქმის შეწყდა ინტელექტუალური მუშაობა.

ნაყოფიერი მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობა გაჩაღდა თბილისში მას შემდეგ, რაც ქართლის ტახტზე ავიდა ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენელი თეიმურაზ მეორე (1700—1762).

თითქმის საუკუნის განმავლობაში ქართლი სპარსეთიდან თუ ოსმალეთიდან მოსულ მავპადიან მმართველებს ან გამაჰმადიანებულ ბაგრატიონებს ეპყრათ. 1744 წელს ქართლის ტახტზე ქრისტიანი მეფე — თეიმურაზ მეორე ავიდა და მაშინვე ენერგიულად შეუდგა სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. იმ პერიოდში კახეთის ტახტზე მისი ვაჟი ერეკლე იჯდა და მამასთან თანამშრომლობით თავდადებით იღვწოდა სამშობლოს კეთილდღეობისათვის. აღმოსავლეთი საქართველო ფაქტობრივად გაერთიანდა მამა-შვილის ხელში.

ქართლში თეიმურაზისა (1744—1762) და ერეკლეს მეფობაში (1762—1798) მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდამ და მოძალებული შტრის მრავალგზის დამარცხებამ ქართლს ნაწილობრივ აღუდგინა ძველი სახელი. ქვეყნის მესვეურთა ყურადღების გარეშე საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი უბანი არ დაჩინილა. განახლდა და გაცხოველდა თურქ-ოსმალთა შემოსევისა და ვახტანგისა და მისი ამაღლის რუსეთში წასვლის შედეგად შეწყვეტილი მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა.

1749 წელს ამუშავდა ქართული სტამბა, რომლის პროდუქცია მთელ საქართველოს მოეფინა. განახლებულმა სტამბამ, რომელმაც 1795 წლამდე იარსება, დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიაში. ქართული წიგნების გამოცემაზე იღვწოდნენ იოანე მიქაძე, ქრისტეფორე კეჭერაშვილი და სხვ.

1755 წელს გაიხსნა საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური სემინარია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ თვალსაჩინო მწერლები და მეცნიერები (ანტონ პირველი, ფილიპე ყაითმაზაშვილი, იოანე მიქაძე). ამ სასწავლო დაწესებულებაში ბევრი მწიგნობარი აღიზარდა.

შესამჩნევად გაიზარდა რიცხვი პირველდაწყებითი სკოლებისა (სიონში, მეტეხში, ანჩისხატში, კალოუბანში...), სადაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ისტორიას, რიტორიკას, გალობასა და სხვა დისციპლინებს; ამზადდებდნენ ქართული მწიგნობრობის მომავალ კადრებს. საფუძველი ჩაეყარა თეატრს, რომელმაც, თავის მხრივ, განაპირობა ეროვნული დრამატურგიის განვითარება.

თბილისში მრავლად იყვნენ ქართველი მწერლები, ერთხანს აქვე მოღვაწეობდნენ აზერბაიჯანელი პოეტები ვილადი (1709—1808) და ვაგიფი (1717—1797).

მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა დიდად იყო დაინტერესებული შემოქმედებითი საქმიანობის გაცხოველებით და ყოველმხრივ ხელს უწყობდა ქართული ლიტერატურის განვითარებას. ამის შედეგად აღმავლობის გზას დაადგა სიტყვაკაზმული მწერლობა, გაძლიერდა ეროვნული მოტივი, გაიზარდა რეალისტური ტენდენციები, გაფართოვდა თემატიკა. ამ ხანის წერილობით ძეგლებში შეინიშნება პატრიოტული განწყობილების წინა პლანზე წამოწევა, ვაჰრულ-ხელოსნური მოტივების შემოჭრა, რომანტიზმის ელემენტების ჩასახვა, მგრძნობიარე ლირიკის აყვავება, სატირის განვითარება, ვერსიფიკაციის გასამდიდრებლად ხალხური სიმღერების კილოს გამოყენება და ა. შ.

კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდა თეიმურაზ მეორეც. მართალია, იგი საკმაოდ რთულ ხანაში ცხოვრობდა, დღენიადაგ ლაშქრობასა და ბრძოლაში იყო (აკი ამიტომაც წერდა: „ვისწერდი. ცხენს მჯდომი, ვლაშქრობდი“), მაგრამ მაინც პოულობდა დროს ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწეობისათვის. თბილისში ყოფნისას დაწერა მან არაერთი თხზულება („ქება სრისა“, „განზარახვანი და ვედრებანი“ და სხვ.), თვითონაც ამრავლებდა ხელნაწერებს და სხვებსაც ავალებდა ახალი ნუსხების დამზადებას.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ინტერესით ადევნებდა თვალს ერეკლე მეორეც. იგი ეხმარებოდა მწიგნობრებს და არ აკლებდა მათ ზრუნვასა და ყურადღებას. მისი ბრძანებითა და ინიციატივით გაიშალა მთარგმნელობითი მუშაობა (კერძოდ, მისი მოწოდებით მთარგმნიდნენ ანტონ პირველი, ფილიპე ყაითმაზაშვილი, იოანე ხუცესმონაზონი, გაიოზ. რექტორი, ისაკ მცირე და სხვანი). ერეკლე მეორე ზრუნავდა ხელნაწერთა ბედზეც (იხსნიდა მათ ტყვეობიდან, ამზადებინებდა ნუსხებს და ა. შ.). ზოგიერთი ცნობით, მას თავისებური მონაწილეობა ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობაშიც მიუღია.

ქართლის სამეფო კარზე დამკვიდრებულ ლიტერატურულ ტრადიციებზე აღიზარდნენ ერეკლე მეორის შვილები და შვილიშვილები. მათ შორის თითქმის არ მოიძებნება პირი, რომელსაც, შეძლებისდაგვარად, მონაწილეობა არ მიეღო მეცნიერულ-ლიტერატურულ საქმიანობაში.

ქართული მწერლობის ისტორიაში საკმაოდ ცნობილი არიან

მირიან, ფარნაოზ, ვახტანგ, დავით, იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ, ილია და სხვა ბატონიშვილები. ბევრი მათგანის მემკვიდრეობის მხატვრული ღირებულება და მეცნიერული მნიშვნელობა საკმაოდ დიდია. მართალია, მათი კულტურულ-საზოგადოებრივი საქმიანობა ძირითადად რუსეთის ქართულ კოლონიებში გაიშალა, მაგრამ საეგზეთ ბუნებრივია მათი მოხსენიება თბილისის ლიტერატურული ცხოვრების მოკლე მიმოხილვაში. ჯერ ერთი, ისინი აქ აღიზარდნენ და გაიწაფნენ, აქ გაიცნეს და შეიყვარეს მათ მშობლიური მწერლობა, მეორე — თბილისთანაა დაკავშირებული მათი შემოქმედებითი მუშაობის პირველი ნაბიჯები. ასე რომ, ბატონიშვილთა ლიტერატურული მემკვიდრეობის შექმნა-ჩამოყალიბების პროცესში გარკვეული როლი შეასრულა თბილისის კულტურულმა გარემომ, თბილისელ მწერალთა და მეცნიერთა წრემ.

თბილისთანაა დაკავშირებული ქართული მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ხელოვნის ბესარიონ გაბაშვილის — ბესიკის (1750—1791) ცხოვრება-მოღვაწეობის მნიშვნელოვანი პერიოდი აქ დაუნჯდა მისი პოეტური გენია, აქ გამოვლინდა სრულად მისი დიდებული ნიჭი; მგრძნობიარე მგოსანი. აქაურ სასახლეებსა და ბალებში აფრქვევდა პოეტურ მარჯალიტებს, „რუსთველისებრ ხმატკბილობით“ ამღერებდა თავის ლექსებს.

თბილისში იყო ბესიკი 1771 წლის დამდეგამდე (ჩათვლით). ჩანს, აქ ყოფნისას დაწერა მან სამიჯნურო-სატრფიალო და სატირულ-პოლემიკური ლექსების დიდი უმრავლესობა, აქვე შეთხზა პოემა „რძალღედამთილიანი“. თბილისში დაწერილი ლექსებით ბესიკი წარმოგვიდგება მგზნებარე პატრიოტად და თავდავიწყებულ მიჯნურად, ნიჭით უხვად დაჯილდოებულ და ფრიად განსწავლულ შემოქმედად, რომელმაც მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების მრავალფეროვნებითა და ლექსის მუსიკალობით ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიაში.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის თბილისში მოღვაწეობდნენ დავით ორბელიანი, სოლომონ ლიონიძე, მზექაბუჯ ორბელიანი და სხვა მწერლები. შესამჩნევად მომრავლდნენ მგოსნები და მგალობლები. კვლავ განვითარდა სახობო პოეზია და საისტორიო მწერლობა (პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე). არისტოკრატიულ-მწიგნობრული ლიტერატურის გვერდით განვითარდა და აყვავდა აშუღური პოეზია, რომელიც სათავეს XVII საუკუნიდან იღებს.

აშუღური პოეზიის ყველაზე თვალსაჩინო და ტიპური წარმომადგენელია ცნობილი პოეტი-იმპროვიზატორი, დახელოვნებუ-

ლი დამკვრელი და მომღერალი საიათნოვა (1722—1801). გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ორიგინალური შემოქმედი აშუღურ პოეზიას არ ჰყოლია. საიათნოვამ აშუღური პოეზია გაასხივოსნა და არნახულ ღიმადღეზე აიყვანა, შემატა მას შინაგანი სიღრმე და გამომსახველობითი ძალა.

საიათნოვა თხზავდა და მღეროდა ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად. ის მთელი მგზნებარებით აქლერებდა ჩანგს და კიდევ უფრო ამტკიცებდა. და აღუღაბებდა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობას. თავისი ლექსებით მან გამოხატა სამივე ხალხის ცალკეული ფენების აზრები და მისწრაფებები, ზრახვები და ოცნებები, მსოფლმხედველობა და იდეოლოგია. ამის გამო საიათნოვას მიიჩნევენ საერთაშორისო პოეტად ამიერკავკასიის მასშტაბით.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შესამჩნევ წარმატებას მიადწია ქართულმა სასულიერო-საეკლესიო მწერლობამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა მწერალი და მეცნიერი ანტონ ბაგრატიონი—კათალიკოსი ანტონ პირველი (1720—1788). განათლებული მღვდელთმთავარი აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ენერგიულად ხელმძღვანელობდა ეკლესიას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდა თაობის აღზრდას, პირადად მონაწილეობდა თბილისის სემინარიის მუშაობაში— „თვით წვრთიდა ტფილისის სკოლასა შინა მოწაფეთა თვისთა“. ის იყო ინიციატორი ახალი, ორიგინალური თხზულებების შექმნისა, ის იყო წამომწყები იმ მთარგმნელობითი მუშაობისა, რომელიც ამ პერიოდში გაიშალა. გაოცებას იწვევს ანტონ პირველის ლიტერატურულ-მეცნიერული მემკვიდრეობის მრავალფეროვნება. როგორც ჩანს, მისი კალამი თანაბარი ნაყოფიერებით ქმნიდა შრომებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში. მისი მოღვაწეობის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა ისე დიდია, რომ ზოგჯერ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ სასულიერო-საეკლესიო მწერლობას ანტონ პირველის ეპოქასაც კი უწოდებენ.

ამ ეპოქაში ნაყოფიერად მუშაობდნენ სხვა მწერლებიც— ფილიპე ყაითმაზაშვილი, ზაქარია გაბაშვილი, ისაკ მცირე, იესე ბარათაშვილი და ა. შ. გახშირდა ძველი ხელნაწერების აღდგენა-გაცხოველება, შეიქმნა კალიგრაფთა სკოლები. ხელნაწერთა გამრავ-

ლებსათვის იღვწოდნენ მესხიშვილები, ჩაჩიკაშვილები, თუმანიშვილები...

მესხიშვილების სამოღვაწეო ადგილი ძირითადად ანჩისხატის ტაძარი იყო. ერეკლე მეორემ სემინარია ანჩისხატის ეზოში მოათავსა. ამან საიანე კულტურულ-საგანმანათლებლო კერად აქცია, ხოლო იქაური მოღვაწენი — სამეცნიერო-ლიტერატურული დარგის მუშაკებად. ამას ერთოდა ისიც, რომ ანჩისხატში დასადგურებული იყო მესხიშვილთა ოჯახი, რომელმაც არაერთი მწიგნობარი მისცა მშობლიურ კულტურას (ალექსი, დავითი, სოლომონი, ნიკოლოზი, გიორგი, იერონიმე, ტარასი და სხვ.).

ძველი ხელნაწერების გამრავლებასა და ახალი ნუსხების დამზადებაში ანჩისხატს არ ჩამორჩებოდა სიონი, სადაც მრავალი კალიგრაფი მოღვაწეობდა.

ხელნაწერები მრავლდებოდა დედაქალაქის სხვა ეკლესია-მონასტრებშიც: კალოუბანში, მეტეხში და ა. შ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში დამკვიდრებული ლიტერატურული ტრადიციების გავლენა გვიან ხანამდე შეინიშნება. XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დამდეგის ბევრი ქართველი მწერალი არსებითად ამ ტრადიციებზე აღიზარდა. გასაგებია, რომ მათ ნაწერებში თავს იჩენს ამ ხანის თბილისის ლიტერატურის ცხოველყოფელი გავლენა.

გარეჯა. როგორც აღვნიშნეთ, ძველი ქართული მწერლობა ვითარდებოდა არა მხოლოდ ქალაქებსა და სოფლებში, არამედ მონასტრებშიც. ბევრი მონასტერი საქართველოში, ისე როგორც თითქმის ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში (ბიზანტიაში, რუსეთში, სომხეთში და ა. შ.), კულტურის კერა იყო, იქ საკმაოდ იგრძნობოდა ეპოქის ლიტერატურული ცხოვრების მაჯისცემა. მათი, როგორც მწიგნობრობის კერების, მნიშვნელობა უცილობელია. „მონასტრების, როგორც დამწერლობისა და საკოლონიზაციო ბაზების დამწერგავთა, პროგრესული როლი“ ერთობ დიდი იყო. ქართულ მონასტრებში თავმოყრილნი იყვნენ მწერლები, მეცნიერები, კალიგრაფები, „ეტირატის შემქმნელნი“, წიგნების „მკაზმველნი“ და „მმოსველნი“. იქ გაჩაღებული იყო ორიგინალურ ნაწარმოებთა თხზვა, უცხო ენებიდან თარგმნა და რედაქტირება, ახალი ნუსხების დამზადება, ძველი ხელნაწერების გაცხო-

ველება და ა. შ. თუ თავდაპირველად მონასტრებში მხოლოდ სკოლასტიკური ძეგლები იწერებოდა, შემდეგ ხანაში იქ განვითარდა ღრმაშინაარსიანი სასულიერო-საეკლესიო მწერლობა, შეიქმნა მხატვრული თხზულებანი.

ძველ საქართველოში ერთ-ერთი ასეთი საგანე და კულტურის მძლავრი კერა იყო გარეჯის უდაბნოს სამონასტრო ანსამბლი, რომელიც მდებარეობს კახეთში, საგარეჯოდან ოცდაათი ოდე კილომეტრის დაშორებით. იქ, ხრიოკ, უწყლო და მოუსავლიან ტრამალებში ცხოვრობდნენ და კულტურულ-საგანმანათლებლო და ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი — მწიგნობრები, ხუროთმოძღვრები, მხატვრები.

მართებულად წერდა ი. ჯავახიშვილი: „ეს კუთხე ოდესღაც ქართული კულტურის დიდებული კერა იყო. საკმარისია ადამიანმა დაათვალიეროს ქართული ხუროთმოძღვრებას ისეთი შესანიშნავი ძეგლი და ქართული მხატვრობის მრავალი განსაცვიფრებელი ნაწარმოები, რომელნიც დავით გარეჯის უდაბნოში შენახული არიან და ყოველგვარი მტრის გამანადგურებელ შემოსევას გადაურჩნენ, რომ ნათლად წარმოიდგინოს რამდენად დაწინაურებული ქართული კულტურული ცხოვრების ასპარეზი იყო ეს კუთხე“.

გარეჯის მრავალმთის სამონასტრო კოლონიზაცია დაიწყო VI საუკუნის შუა წლებში, როდესაც საქართველოში დაბრუნდა სირიაში მოღვაწე ქართველთა ჯგუფი იოანე ზედაზნელის ხელმძღვანელობით. ჰაგიოგრაფთა ცნობით, იოანესთან ერთად ჩამოვიდა სირიული ასკეტიზმის მკაცრ ბერმონაზვნურ რეჟიმში აღზრდილი და გაწაფული მოღვაწე დავითი, რომელმაც გარეჯას მიაშურა — „ადირჩია სჯაი გარეჯან უდაბნოსა შინა. ამისათვის ეწოდების უდაბნოსა მას გარესჯაი“ (გარეჯის მონასტრების აღმოცენებასა და განვითარების პირველ ეტაპზე საინტერესო ცნობებია შემონახული ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, რომლებშიც დავითის თავგადასავალია მოთხრობილი — „ცხოვრებაი და მოქალაქობაი წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისაი“, X ს.; „ცხოვრებაი და მოქალაქობაი წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისაი“, XII ს. და სხვ.).

დავითმა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მხოლოდ ერთი მოწაფე (ლუკიანე) ჰყავდა, საფუძველი ჩაუყარა საგანეს, რომელსაც დავითის მონასტერი ან ლავრა (ე. ი. დიდი მონასტერი) ეწოდა. საცხოვრებელი პირობები იქ ძალზე მძიმე იყო — სიციხე, უწყლობა და ა. შ.

ერთხანს დავითი და მისი მოწაფე თითქოს ირმის რძითა და მი-



სი ნაწარმით საზრდოობდნენ (ეს ეპიზოდი ასახულია რამდენიმე მონასტრის — ლავრის, უდაბნოსა და ბერთუბნის მხატვრობაში). მაგრამ დავითი, როგორც აღვნიშნეთ, სირიის უდაბნოებში მძიმე პირობებში ცხოვრობდა, მეტისმეტად სასტიკ გარემოში მოღვაწეობდა და გარეჯის მრავალმთის ბუნება მისთვის განსაკუთრებული აღარ იყო.

მიუხედავად მძიმე საცხოვრებელი პირობებისა, მოღვაწეთა რიცხვი მალე გაიზარდა, ბერები შესამჩნევად მომრავლდნენ. ამას მოჰყვა სადგომთა რიცხვის ზრდაც. უკვე დავითის სიცოცხლეში დაარსდა სხვა მონასტრებიც. ერთია დოდოს მონასტერი (დოდოს რქა, დოდორქა), რომელიც დავითის მოწაფემ დოდომ დააარსა, მეორე ნათლისმცემლის მონასტერი, რომელიც შეიძლება დავითისავე მოწაფის ლუკიანეს დაარსებული იყოს. ნათქვამიდან უკვე ჩანს, რომ დავითის ლავრამ ადრევე დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიაში.

დოდორქის საკმაოდ გრძელი სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ლავრის პირდაპირ (რგი არსებითად პირველი სავანეა, რომელიც ლავრას გამოეყო და ცალკე ერთეულად ჩამოყალიბდა). ნათლისმცემლის მონასტერი რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული ლავრიდან.

შემდეგ ხანაში ქართველი მოღვაწენი ჩანან გარეჯის მრავალმთის სხვა სავანეებშიც (უდაბნოში, ჩიჩხიტურში). განსაკუთრებით აღსანიშნავია XII საუკუნის მიწურულში აღმოცენებული ბერთუბანი, სადაც ჩამოყალიბდა დიდად განვითარებული მხატვრული სკოლა.

საყოველთაოდ შეწყნარებული აზრით, უძველესი და ყველაზე მნიშვნელოვანი მონასტერი დავითის ლავრა იყო. ერთი გვიანდელი ცნობით, ის იყო „მონასტერი ყოვლად სახელოვანი და პატივთა პირთულ მდგომარე ყოველთა მონასტერთა გარეჰსჯისათა“.

გარეჯა თანდათან იქცა მძლავრ სამონასტრო ცენტრად, სოლო შემდეგ კულტურის კერადაც. მას უხვი შეწირულებით ეხმარებოდნენ სამეფო კარის წარმომადგენლები, დიდებულები, საეკლესიო მოღვაწენი. ამის შედეგად იგი აღმავლობის გზას დაადგა, მაგრამ გვიან ხანაში, — საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური დასუსტებისა და ეკონომიკური დაუძლურების კვალდაკვალ, — გარეჯაც დასუსტდა და დაკნინდა. იქაური მონასტრები რამდენჯერმე დაარბიეს და აიკლეს მომხდურებმა (მონღოლებმა, სპარსელებმა, ლეკებმა).

ჟამთა სიავემ დააუძლურა გარეჯა, ძველი დიდება თანდათან

დავიწყებას მიეცა. მალე იქ ცხოვრებაც კი თითქმის შეუძლებელი შეიქმნა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეფე-დიდებულთა დახმარებითა და ადგილობრივ მოღვაწეთა ენერგიული საქმიანობის შედეგად იგი XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე განაგრძობდა არსებობას როგორც საეკლესიო სენიორია.

ამჟამად გარეჯა დაცულია როგორც ქართული კულტურის დიდებული ძეგლი, რომელიც ნათლად გვაცნობს ძველ ქართველ ხუროთმოძღვართა და მხატვართა უკვდავ ქმნილებებს და ცხადყოფს ძველი ქართული კულტურის მალალ დონეს.

გარეჯის მრავალმთა მხოლოდ ქართველ მხატვართა, ხუროთმოძღვართა და მშენებელთა კერა არ ყოფილა. ის მძლავრი ლიტერატურულ-საგანმანათლებლო კერაც იყო. ლავრაში, დოდორქასა და ნათლისმცემელში მოღვაწეობდნენ ქართველი კალმის ოსტატები, რომლებიც მხოლოდ საკუთარი სხეულის გვემითა და ლოცვით არ კმაყოფილდებოდნენ და მშობლიური კულტურის სარბიელზეც შრომობდნენ.

ლიტერატურული ინტერესების გაღვიძება გარეჯელთა შორის ადრეული ხანიდან შეინიშნება: ცნობილია იქაური მწიგნობრები XII საუკუნისა—ონოფრე გარეჯელი, დემეტრე პირველი და სხვ. სწორედ ონოფრე გარეჯელის ინიციატივით, მისი მოწოდებით, დავალებითა და შთაგონებითაა დაწერილი „დავითის ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია — „ცხოვრებაი და მოქალაქობაი წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისაი“ — რომელიც დაწვრილებით გვაუწყებს დავითის თავგადასავალს, ამასთანავე, ზუსტად აღწერს და ახასიათებს გარეჯის ადგილმდებარეობასა და ბუნებას, კარგად იცნობს მრავალმთას, იქაურ კლიმატს, იქაურ გარემოს. მისი ავტორიც გარეჯელი მწიგნობარი უნდა იყოს.

დემეტრე პირველი, — დავით აღმაშენებლის ვაჟი, — როგორც აღვნიშნეთ, იამბიკოებს თხზავდა (იხ. თბილისი). იგი ერთხანს გარეჯის უღაბნოში მოღვაწეობდა. ბერად შემდგარი მეფეყოფილი, ვფიქრობთ, მონასტერშიც განაგრძობდა კულტურულ საქმიანობას.

გარეჯა, — როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, — განსაკუთრებით დაწინაურდა XVII საუკუნის მიწურულიდან; შესამჩნევ წარმატებას მიაღწია მან XVIII საუკუნეში, როდესაც იქ მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მწერლები (სულხან-საბა ორბელიანი, ბესარიონ ბარათაშვილი-ორბელიშვილი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, გრიგოლ ვახვახიშვილი; ანტონ პირველი, რომანოზ ერისთავი, ტიმოთე გაბაშვილი, ამბროსი მიქაძე და სხვანი). მათ გარს ეხვია მრავალრიცხოვანი არმია ლიტერატურული ფრონ-

ტის მუშაებისა (ონოფრე მაჭუტაძე, გაბრიელ საგინაშვილი, გაბრიელ მცირე, გერონტი სოლოლაშვილი და ა. შ.).

გარეჯელი მწიგნობრები თხზავდნენ ძეგლებს, ამრავლებდნენ ხელნაწერებს, ამზადებდნენ ახალ ნუსხებს და ეწეოდნენ წერილობითი ძეგლების პოპულარიზაციას, აღგენდნენ ორიგინალური პაგიოგრაფიული ნაწარმოებებისა და ასკეტიკურ-ჰომილეტიკურ თხზულებათა კრებულებს, ეხმარებოდნენ სხვა კერებს და ა. შ.

ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა, ვისაუბროთ თითოეულ მოღვაწეზე, მაგრამ ზოგიერთზე რამდენიმე სიტყვას მაინც ვიტყვი.

ონოფრე მაჭუტაძე, — გარეჯის წინამძღვარი 1690 წლიდან. — ენერგიული და შრომისმოყვარე მუშაკი იყო. იგი თავგამოდებით იღვწოდა გარეჯის მონასტრების კეთილმოწყობისა და იქაურ ბუნადართა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, დღენიღაგ ზრუნავდა მამულების გაფართოებასა და ეკლესია-მონასტრების აღდგენა-განახლებაზე. მას დამსახურებისამებრ შეარქვეს გარეჯის „მეორედ აღმაშენებელი“. ო. მაჭუტაძის თავდადებული მუშაობა გაპარტახებული ლავრა აღმავლობის გზას დაადგა; დაიწყო სხვა მონასტრების (ნათლისმცემლისა და დოდორქის) გამოცოცხლებაც, მომრავლდა ბერმონაზვნობა.

ო. მაჭუტაძე სათანადო ყურადღებას უთმობდა მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობას. მან არა მარტო სამონასტრო მეურნეობა მოაღონიერა, არამედ ხელი შეუწყო ლიტერატურული საქმიანობის გაშლა-გაფართოებას. სწორედ მისი წინამძღვრობის პერიოდში მომრავლდნენ გარეჯის მონასტრებში მწერლები და მქადაგებლები, კალიგრაფები და ბიბლიოფილები. არსებითად იმ პერიოდში იქცა გარეჯა ქართული მწერლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერად.

ო. მაჭუტაძემ წვლილი შეიტანა ქართული ორიგინალური პაგიოგრაფიის ისტორიაში, ქართველი მოღვაწეების დამსახურების წარმოჩენაში, ქართველთა შორის ეროვნული თვითშეგნების გაღვივებაში. მის სახელთანაა დაკავშირებული პირველი ცდა პაგიოგრაფიული კრებულის შედგენისა. სწორედ მისი დაკვეთით გადაწერა შიო გარეჯელმა (1699 წ.) ქართველ მოღვაწეთა „ცხოვრებათა“ წიგნების შემცველი კრებული. როგორც ჩანს, კურსი ქართული პაგიოგრაფიული კრებულების შედგენისაკენ აღებულ იქნა XVII საუკუნეში და ამ საქმის სათავეებთან ო. მაჭუტაძე იდგა.

ო. მაჭუტაძის ხელშეწყობითა და დახმარებით ამრავლებდნენ ხელნაწერებს ბ. ბარათაშვილი-ორბელიშვილი, გ. საგინაშვილი და სხვა მწიგნობრები. ცალკე აღსანიშნავია ის დიდი დამსახურება,

რომელიც ო. მაჭუტაძეს მიუძღვის გარეჯელთა წიგნადი ფონდის გაზრდაში, გაფართოებასა და დაცვაში.

XVII საუკუნის მიწურულს გარეჯაში დამკვიდრდა სულხან-საბა ორბელიანი. 1698 წლის 18 მარტს სულხანი ბერად შედგა და საბად იწოდა. მრავალტანჯულმა მამულიშვილმა და ლეაწლმოსილმა მწერალმა გარეჯას მიაშურა და ნათლისმცემლის მონასტერში დაიდო ბინა. გულადმა შეამბოხებ და მამაცმა მებრძოლმა პოლიტიკური სარბიელიდან სასულიერო-საეკლესიო ასპარეზზე გადაინაცვლა და ბნელ სენაკებში დაისადგურა.

სულხან-საბა ორბელიანი აქტიურად მონაწილეობდა სამონასტრო ცხოვრებაში, დღენი ადაგ სავეანის გაძლიერებასა და განმტკიცებას ცდილობდა, მაგრამ მას არ აკმაყოფილებდა ღამისთევა და ლოცვა, მისი შემოქმედებითი უნარი ვერ ჩაკლა გარეჯის ხრიოკმა უდაბნომ. ნათლისმცემლის მონასტერში დაწერა მან ქადაგებათა კრებული „სწავლანი“, რომელშიც ნათლად ჩანს ავტორის მგზნებარე პატრიოტიზმი და მხურვალე მამულიშვილური გრძნობა. ჩანს, უდაბნოში გახიზნული მწერალი კვლავ მწვავედ განიცდიდა სამშობლოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ძნელბედობას, მას გულს უკლავდა ზოგიერთი ქართველის მიერ მამაპაპეული სარწმუნოების დაგმობა და ანგარებისა და პატივმოყვარეობის გამო მაჰმადიანობის მიღება; კარგად ესმოდა, რომ ძველი სარწმუნოების დაგმობა და დამპყრობელთადმი მიკერძოება გამოიწვევდა ქართველთა გადაგვარებასა და ეროვნულ კატასტროფას. თავისი ქადაგებების კრებულთ სულხან-საბა ორბელიანი დაუღლელად იბრძოდა ერთიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზმისათვის, ქართველთა ეროვნული გრძნობის გაღვივებისა და ამაღლებისათვის, შეღახული ღირსების აღდგენისათვის.

XVII საუკუნის მიწურულსა და XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში გარეჯაში მოღვაწეობდა მწერალი ბესარიონ ბარათაშვილი-ორბელიშვილი, რომელმაც იქ დაწერა რამდენიმე ჰაგიოგრაფიული თხზულება და ღირსეულად წარმოაჩინა სახელოვან წინაპართა ლეაწლი და დამსახურება ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ცნობილია მისი რამდენიმე ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები: „შესხმაი წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელიზბარისი და უწყებაი წამებისა მათისაი“, „ლუაწლი წმიდისა და სანატრელისა მოწამისა და მეფისა ლუარსაბისი“, „შესხმაი და წამებაი წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი“ და სხვ. ამ ძეგლებში ბ. ბარათაშვილ-ორბელიშვილმა სამშობლოს წარსულის ღრმა ცოდნით, დიდი სითბოთი და სიყვარულით გადმოსცა სახე-

ლოვან მოღვაწეთა თავგადასავალი, რითაც არა მხოლოდ საეკლესიო-სარწმუნოებრივი, არამედ პატრიოტული გრძნობებიც გაულვივა მკითხველებს. ნათლისმცემლის მონასტერში ცხოვრების პერიოდშივე დაწერა მან პოლემიკური თხზულება „გრდემლი“, რომელიც კათოლიკეთა წინააღმდეგაა მიმართული.

ბ. ბარათაშვილი-ორბელიშვილი ნაყოფიერი კალიგრაფიც იყო; ნათლისმცემელში მან არაერთი ხელნაწერი დაამზადა, ამასთანავე, სხვებსაც გადააწერინა წიგნები, სახელდობრ, იოსებ არაგვის ერისთავის შვილს (1713 წ.), იობ წინამძღვარს, გ. საგინაშვილს (1719 წ.).

გაბრიელ საგინაშვილს მრავალი ხელნაწერი დაუშვადებოდა. საყურადღებოა ჰაგიოგრაფიული კრებული (1713 წ.), რომელშიც ბევრი მოღვაწის თავგადასავალია მოთხრობილი. ეს კრებული საფუძვლად დაედო შემდგომ ხანაში გადაწერილ ნუსხებს.

საგულისხმოა, რომ გ. საგინაშვილი მუშაობდა საკმაოდ რთულ პირობებში — ლეკთა მოთარეშე რაზმების თავდასხმის შიშის ქვეშ. ერთ მინაწერში იგი კიდევ აღნიშნავდა: „ავად წერისათვის ნუ დამწყევლით. ვეშურებოდნი. ლეკისაგან გვეშინოდა. ამ წიგნს რომ ვწერდი, მოუხდა ლეკის ჯარი დავით გარეჯას“.

რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო მშობლიური მწერლობის სიყვარული, რომ ესოდენ ძნელ პირობებშიც კი განეგრძოთ მუშაობა ქართულ მწიგნობრებს.

ბ. ბარათაშვილ-ორბელიშვილის მოწაფე და მისი ლიტერატურული წრის, ამისი „კრებულის“ წარმომადგენელია იოსებ არაგვის ერისთავის შვილი, კალიგრაფი, რომელმაც საინტერესო ცნობები შემოგვინახა ოსმალობისა და ყიზილბაშობის, აგრეთვე ლეკთა თარეშის შედეგად გარეჯელთა საცხოვრებელი პირობების გაუარესების, მოწესეთა კრებულის დაშლისა და დაქსაქსვის შესახებ. მისი ანდერძი (1713 წ.) ძვირფასი მასალაა ძნელბედობის ხანის ქართველ მწიგნობართა კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის პირობების გასაცნობად და გასათვალისწინებლად.

XVIII საუკუნის დამდეგს დოდორქის მონასტერში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გრიგოლ ვახეანიშვილი-დოდორქელი. მისი მემკვიდრეობიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „წამებაი ყოვლად დიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისაი“, რომელიც ქართველი დედოფლის მოწამებრივი აღსასრულის საკმაოდ სრული აღწერილობაა და კარგად გვაცნობს ავტორის პატრიოტულ განწყობილებას.

თავდაპირველად XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ხოლო შემდეგ შუა წლებში ნათლისმცემელში მოღვაწეობდნენ — ორი-

გინალურ-შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ, ახალ ნუსხებს ამზადებდნენ მწერლები რომანოზ ერისთავი და ტიმოთე გაბაშვილი. იმავე საუკუნის შუა წლებში ნათლისმცემელში ცხოვრებისას ანტონ პირველმა გარეჯელ მოწამეთა სადიდებლად შეთხზა საგალობლები, საუკუნის მიწურულში მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობა გააჩაღეს იქ გაბრიელ მცირემ (რომელმაც შემოგვიანხა „მემუარული თხრობანი“ — „ღმრთივესულიერნი თხრობანი სულთა ღმრთისმოყვარულთა ფრიად სარგებელნი“ — მოგონებები გარეჯელ მოღვაწეებზე) და გერონტი სოლოღაშვილმა.

სხვადასხვა დროს გარეჯაში ყოფილან სხვა მწერლებიც: იონა გელევანიშვილი, იონა ხელაშვილი, გიორგი ავალიშვილი.

ქულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა: ხელნაწერთა გამრავლება გარეჯის მონასტრებში XIX საუკუნის მიწურულამდე გრძელდებოდა.

გარეჯელ მწიგნობართა რაოდენობა, რასაკვირველია, დასახელებული პირებით არ ამოიწურება. ჩვენამდე მოღწეული მასალებიდან ცხადი ხდება, რომ გარეჯის მონასტრებში დასადგურებული ქართველი მოღვაწეებიდან ბევრი ზრუნავდა ძველი ნუსხების დაცვა-გამრავლებაზე. სხვადასხვა დროს იქ ხელნაწერები დაუმზადებიათ ნიკოლოზ ჯორჯაძეს, დიმიტრი ალექსიძეს, დავით რექტორს, ნიკოლოზ ვაჩნაძეს, დავით ჯანდიერს, იოსტოს ანდრონიკაშვილს და ა. შ.

გარეჯის მონასტრებში ძველი ქართული ხელნაწერების უმდიდრესი კოლექცია იყო დაცული. იქიდან მოღწეული ბევრი ხელნაწერი ახლა ჩვენი სიძველეთსაცავების მშვენებაა და ნათლად წარმოაჩენს იმ დიდ ლიტერატურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, რომელსაც რამდენიმე საუკუნის მანძილზე ეწეოდნენ გარეჯელი მწიგნობრები.

**იყალთო.** კახეთში, თელავის ჩრდილოეთით, 7—8 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ლამაზი სოფელი იყალთო, რომლის განაპირას, დაახლოებით ნახევარი კილომეტრის მანძილზე, შემონახულია ძველი მონასტრის ნაგებობანი და ქართული კულტურის ცნობილი კერის — იყალთოს აკადემიის ნანგრევები. იყალთოს სამივე ეკლესია, ისე როგორც კახეთის ეკლესიათა უმრავლესობა, შეღებილია თეთრად და მწვანე მთების ფონზე შორიდანვე იპყრობს ყურადღებას.

მონასტერი დააარსა იოანე ზედაზნელის მოწაფემ ზენონმა

(VI ს.). ადრეულ ხანაშივე იქ მრავალრიცხოვანი კრებული იყო დასადგურებული. ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს მონასტრის ეზოში თუ გალავანს გარეთ შემორჩენილი მრავალი ნაგებობა, რომელთა რიცხვი ახლა ოცამდეა, ხოლო ერთი საუკუნის წინ სამოცამდე აღწევდა. ხალხმრავალ ძმობას, ბუნებრივია, სენაკიც მრავლად დასჭირდებოდა. ეს კი იწვევდა ზენონის მიერ დაარსებული მონასტრის ზრდასა და განვითარებას.

დროთა განმავლობაში, ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის გამო, იყალთოს მონასტერი დაცემულა და განადგურებულა, მისი დიდებული შენობები მტერს შეუშუსრავს. უძველეს ნაგებობათაგან ახლა მხოლოდ სამების ეკლესიაა შემორჩენილი, სხვა შენობებს XIX საუკუნეში ჩატარებული მშენებლობის დროს მიღებული სახე აქვთ და ძველ მონასტერზე ნათელ წარმოდგენას ძნელადღა გვიქმნიან.

ძველს წყაროებსა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია გვხვდება აზრი იყალთოს მონასტერში სასწავლებლის არსებობის შესახებ. ჰერ კიდევ დავით რექტორი (1745—1824) აღნიშნავდა: არსენ იყალთოელს „აქვნდა შკოლა იყალთოს მონასტერსა და იყო მოძღვარი სამეცნიეროსა დავით აღმაშენებლისა მეფისაო“. თეიმურაზ ბაგრატიონი (1782—1846) გვაუწყებს, რომ მას თვით უნახავს იყალთოს მონასტერი და სკოლა, რომლისგან,—მტრის თავდასხმების გამო,—კედლებილა იყო დარჩენილი. იყალთოში სკოლის არსებობას გვიდასტურებენ თავიანთ შრომებში სხვა სწავლულებიც (ა. მურავიოვი, პ. იოსელიანი და ა. შ.).

იყალთოს აკადემიის მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაუყარა გ. ჩუბინაშვილმა, რომელმაც გამოკვლევაში „საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში“ (1923 წ.) სრულად განიხილა საკითნი, შეისწავლა და დაახასიათა მონასტრის გალავნის შიგნით შემორჩენილი ორსართულიანი ნაგებობა და ის აკადემიის შენობად მიიჩნია.

1938 წლიდან თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისა და მეტეხის მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლებმა ვ. ჩუბინაშვილის კონსულტაციითა და ა. მამულაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყეს იყალთოს აკადემიის ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლა. გულდასმით ჩატარებულმა ძიებამ საყურადღებო შედეგი მოგვცა: დადგინდა და შესწავლილ იქნა აკადემიის შენობა, წარმოდგინდა იქნა რეკონსტრუირებული ფასადის სახე, გამოვლინდა სამშენებლო და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დღესაც არ გავაჩნია იყალთოს

აკადემიის შესახებ ძველი სარწმუნო წყარო, წერილობითი, დოკუმენტური მოწმობა, მაინც გადაჭრით შეგვიძლია ვამტკიცოთ იყალთოში აკადემიის არსებობა. გვიანდელი ავტორების დაბეჭითებით განცხადებასთან ერთად ამას ადასტურებს ზემოხსენებულ ძიებათა შედეგიც. დღეს უკვე საეჭვო აღარაა, რომ იყალთოს ღვთაების მონასტრის გალავნის შიგნით, სამხრეთ ნაწილში დაცული გრძელი ორსართულიანი სამოქალაქო ნაგებობა, რომელსაც აღმოსავლეთიდან საწნახელი ეკვრის, არის ქართული საერო ხუროთმოძღვრების ღირსშესანიშნავი ძეგლი — XII საუკუნის ქართული აკადემიის შენობა. მას მრავალი ნიშანი აკავშირებს გელათის აკადემიასთან, მაგრამ უფრო გრანდიოზულია, მოცულობით გელათის აკადემიაზე დიდია.

იყალთოს აკადემიის შენობა რამდენჯერმე გადაუკეთებიათ. უკანასკნელად კი, ხანძრის შემდეგ დანგრეული, აღარ აღუდგენიათ. მხოლოდ მეცნიერ მუშაკთა მიერ გაჩაღებული მუშაობის შედეგად გაიწმინდა ძველი ნაგებობის ნანგრევები კედლებზე ამოსული ნარგავებისა და ღორღისაგან.

თავისთავად ის ფაქტი, რომ XII საუკუნეში საქართველოში დაარსდა ორი უდიდესი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება — აკადემია (გელათსა და იყალთოში) ნათლად წარმოაჩენს იმ მაღალ დონეს, რომელსაც იმხანად ქართულმა კულტურამ მიაღწია.

იყალთოს აკადემიაში ისწავლებოდა იმდროინდელ სასწავლებლებში მიღებული ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინები (ფილოსოფია, რიტორიკა, მათემატიკა, ასტრონომია და ა. შ.) და, საფიქრებელია, გამოყენებითი მეცნიერების დარგებიც — მეტალურგია (მჭედლობა), აგრონომია (მევენახეობა-მელვინეობა) და სხვ.

იყალთოს აკადემიის დაარსება დაკავშირებულია გამოჩენილი ფილოსოფოსის არსენ იყალთოელის (XI—XII სს.) სახელთან. არსენმა განათლება ბიზანტიის კულტურულ ცენტრებში მიიღო, ხოლო შემდეგ, — ჰამბოგოლოში დაბრუნებულმა, — ენერგიულად გააჩაღა ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობა.

არსენს ძველი მოღვაწენი (დავით აღმაშენებლის მემკვიდრე, ანტონ პირველი, თეიმურაზ ბაგრატიონი და სხვანი) დიდის პატივით იხსენიებენ და საგანგებოდ წარმოაჩენენ მის პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობას.

ზოგიერთი ცნობით, არსენის მიერ იყალთოში სკოლის გამართვა იმით აიხსნება, რომ იგი წარმოშობით იქაური იყო.



გადმოცემით, იყალთოს აკადემიაში თითქოს შოთა რუსთაველიც კი სწავლობდა.

იყალთოს აკადემიას უთუოდ ჰქონდა მდიდარი წიგნსაცავი, რომლითაც სარგებლობდნენ როგორც ადგილობრივი მასწავლებლები, ისე მსმენელებიც. სამწუხაროდ, იქაურ ძველ ხელნაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ (ყოველ შემთხვევაში, ჭერჭერობით გამოვლენილი არაა). ის რამდენიმე ხელნაწერი, რომელიც იყალთოდანაა შესული ჩვენს სიძველეთსაცავებში, გვიანდელი ხანისაა და აკადემიის შესახებ ცნობებს არ შეიცავს. რასაკვირველია, იყალთოს ძველი ხელნაწერების მოპოვება გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას და უფრო ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ამ სავანისა და იქაური აკადემიის შესახებ.

დასასრულს გვსურს კმაყოფილება გამოვთქვათ იმის გამო, რომ რამდენიმე წელია იყალთო როგორც თელავის რაიონის, ისე რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ყურადღების სფეროში მოექცა. ყოველწლიურმა შოთაობამ და იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის მრავალმხრივმა საქმიანობამ, უნივერსიტეტისა, რომელსაც ენერგოულად ხელმძღვანელობს მისი უცვლელი რექტორი, ამ საქმის უდიდესი ენთუზიასტი გ. შათირიშვილი, კარგა ხანია საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

აღმოსავლეთ საქართველოს კულტურის კერების საქმიანობასა და იქიდან მოღწეულ ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად მხოლოდ ზემოთ მიმოხილული სამი კერის გაცნობა, რასაკვირველია, საკმარისი არაა. ამ რეგიონში, როგორც აღენიშნეთ, მწიგნობრობის მრავალი კერა არსებობდა. ყველას მიმოხილვა ამჟერად არაა შესაძლებელი. ჩვენ მხოლოდ დავასახელებთ ქართლისა და კახეთის კერებს და ზოგადად მოვიხსენიებთ იქაურ მწერლებსა თუ თხზულებებს. მასალას დავალაგებთ ტერიტორიულ-გეოგრაფიული პრინციპით — სათანადო ქრონოლოგიური რიგის დაცვით, მაგრამ, რასაკვირველია, არა ამა თუ იმ კერის (ქალაქის, სოფლის, მონასტრის...) აღმოცენების, არამედ იქ გაჩაღებულ. შემოქმედებითი მუშაობის მიხედვით.

## ქართლი

ცურტავი — დაბა ქვემო ქართლში, მდინარე ხრამის ხეობაში (ზუსტი ადგილმდებარეობა დაუდგენელია). V საუკუნის მეორე ნახევარში იქცა სწავლა-განათლებისა და მწერლობის კერად. იქ აღიზარდნენ ისტორიკოსი ლაზარ ფარბეცი (V ს.), შუშანიკ დედოფალი

და სხვანი. იქ დაიწერა (476—483) ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ორიგინალური თხზულება „წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“, რომელიც შესავალშიც მოვიხსენიეთ. მისი ავტორი იაკობ ცურტაველი მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატია. ბუნებრივი თხრობა და მოქმედების ექსპრესიული განვითარება, პერსონაჟთა სულიერი ცხოვრების ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი, მხატვრული დეტალების ოსტატური დამუშავება, ცხოვრებისეული მოვლენების შეუფარავად ასახვა და მძაფრი სიტუაციების რელიეფურად წარმოჩენა, ლაკონიური სტილი და მდიდარი ლექსიკა, გმირთა მეტყველების ინდივიდუალობა და დრამატული ინტონაციებით დატვირთული დიალოგები, მაღალი ესთეტიკური ლიტერატურული გემოვნებითა და შემოქმედებითი ფანტაზიით შექმნილი შთამბეჭდავი სახეები თვალსაჩინოს ხდის მწერლის ტალანტს, ხოლო მის ნაწარმოებს პირველხარისხოვან ქართულ ლიტერატურულ ძეგლთა გვერდით მიუჩენს ადგილს. ამასთანავე, თხზულების მაღალმხატვრული დონე და იდეურ-შინაარსობრივი სიღრმე საფიქრებელს ხდის, რომ იაკობ ცურტაველს დაწერილი უნდა ჰქონოდა სხვა ნაწარმოებებიც.

„წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“ საყურადღებოა როგორც საისტორიო-ლიტერატურული წყაროც. მისი ცნობით, V საუკუნის 70-იან წლებში ცურტაველ მოღვაწეებს არაერთი ხელნაწერი წიგნი ჰქონდათ (სახარება, დავითნი, მოწამეთა წიგნები).

შიომღვიმე — თბილისიდან ორმოციოდე კილომეტრის დაშორებით, მცხეთის დასავლეთით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სხალტის ქედის ძირში, -სართულებად განლაგებული ბუნებრივი თუ ხელოვნური გამოქვაბულების წინ მდებარე შენობათა კომპლექსი — ერთ-ერთი უძველესი ქართული მონასტერი, რომელიც დააარსა იოანე ზედაზნელის მოწაფემ შიომ VI საუკუნის შუა წლებში (მონასტრის აღმოცენებაზე ცნობებს გვაწვდიან არსენ მეორის (X ს.) „ცხოვრებაი და მოქალაქობაი ღირსისა მამისა ჩუენისა შიონისი და ევაგრესი“ და ამ ძეგლის მეტაფრასული რედაქცია — „ცხოვრებაი და საკვირველებანი წმიდისა და ნეტარისა შიონისნი, რომელი იყო ანტიოქიით შუამდინარისაით, ხოლო მოიწია ქუეყანად ქართლისა და დაემკვიდრა სარკინისა მღვიმესა“, (XII ს.).

ნათლისმცემლის ეკლესიის აგებისა და ბერთა კრებულის გაზარდის შემდეგ შიომ საცხოვრებლად შეარჩია ერთი მღვიმე, სადაც დაასრულა კიდევ სიცოცხლე. მალე იქ აშენდა ეკლესია, რომელიც მომდევნო ხანაში ნათლისმცემლის ეკლესიას შეუერთდა (სხვათა

შორის, ეს მღვიმე წმინდა ადგილად იქნა მიჩნეული და სავანის სახელიც იქიდან წარმოსდგა — შიოს მღვიმე, შიოსმღვიმე, შიომღვიმე).

დროთა განმავლობაში შიომღვიმე დაწინაურებულ სამონასტრო ცენტრად იქცა, მას „დიდი მღვიმის უდაბნოს“, „დიდ ლავრას“, „დიდ უდაბნოს“ უწოდებდნენ. მოწესეებით აივსო სხალტბოს ქედის გამოქვაბულები (იქ ახლაც შეინიშნება ასამდე გამოქვაბული, ხოლო ადრე გაცილებით მეტი იყო). სამეფო კარის დახმარებითა და ხელის შეწყობით გაძლიერებული სავანე — საკმაოდ დიდი ფეოდალურ-საეკლესიო სენიორია — მრავალრიცხოვან კრებულს აერთიანებდა.

შიომღვიმეში არაერთი მწიგნობარი ცხოვრობდა. ზოგიერთი ცნობით, პირველი შემოქმედი თვითონ შიო ყოფილა. მას მიეწერება „ასსამოცი თავი სწავლაი ყოვლად შუენიერი და ტკბილი, რომლითა განისწავლებოდეს ყოველნი იგი კრებულნი მარადის“ და ღრმა ლირიზმით აღსავსე ჰიმნები „თქმულნი წმიდისა და ნეტარისა შიოს მიერ, რომელსა მარადის იტყვიან ოხითად მკვიდრი შის მონასტრისანი“.

XI საუკუნეში შიომღვიმეში მოღვაწეობდა კათალიკოსი ბასილი, რომელიც ეფრემ მცირის ძმა უნდა იყოს — კარიჭისძე. მან თავი მოუყარა გადმოცემებს შიო მღვიმელის სასწაულთმოქმედებაზე და დაამუშავა ლიტერატურულად. „თხრობაი სასწაულთათვის წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოისთაი, რომელი-ესე სხუათა მიერ აღწერილი, ადგილ-ადგილ ერთად შემოკრიბა ბასილი კათალიკოსმან, ძემან დიდისა პატრიკისა ვაჩესმან“ შიო მღვიმელის სასწაულების აღწერასთან ერთად შეიცავს ისტორიულ ცნობებსაც. ბასილსვე უნდა ეკუთვნოდეს შიოს დასდებელიც.

შიომღვიმეში გაატარა ცხოვრების უკანასკნელი წლები და იქ დაასრულა დოგმატიკურ-პოლემიკური კრებული „დოგმატიკონი“ არსენ იყალთოელმა. იქვე მოღვაწეობდა სამეფო კართან დაახლოებული ბერი არსენი, რომელსაც დავით აღმაშენებელი შიომღვიმისადმი ბოძებულ ანდერძში თავის „სასოს და განმანათლებელს“ უწოდებდა. იმავე ანდერძიდან ჩანს, რომ მეფემ არსენს მიანდო შიომღვიმეში ეკლესიის მშენებლობა. არსენ ბერმა სავანეში ახალი დისციპლინური წესი განაჩინა და სვიმეონ სასწაულთმოქმედის მონასტრის ტიპიკონი დაამკვიდრა.

შიომღვიმეში ამრავლებდა ხელნაწერებს კალიგრაფი გიორგი ხუტესმონაზონი (XIII ს.). მისი დამზადებულია ტიპიკონის მოზარდილი ხელნაწერი, რომელშიც საკუთრივ ტიპიკონის ტექსტს უძ-

ღვის შიო მღვიმელის სვინაქსარული „ცხოვრება“, ნინოს საგალობლები და სხვ. მასვე გადაუწერია სახარება, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში შიომღვიმის ოთხთავის სახელითაა ცნობილი.

XVIII საუკუნეში შიომღვიმეში მოღვაწეობდნენ მწიგნობრები: იოსებ სამებელი (ქობულაშვილი), გამალიელ გამრეკელი, გერონტი სოლოლაშვილი და იონა ხელაშვილი.

შიომღვიმეში მდიდარი წიგნსაცავი ყოფილა. 1804 წლის ცნობით, იქ იმ დროს იმდენი ხელნაწერი იყო, რომ 10 ურემიცვერ დაიტევდა. შიომღვიმელ მოღვაწეთა კუთვნილმა რამდენიმე ათეულმა ხელნაწერმა ჩვენამდეც მოაღწია. გარდა დასახელებულისა საყურადღებოა აგრეთვე ოლიმპის მთაზე დამზადებული კრებული (978 წ.), პროკლე დიადოქოსის „ქავეშირნი ღმრთისმეტყუელებითნის“ ქართული თარგმანის უძველესი ნუსხა (XIII ს.) და სხვ.

მცხეთა — ქართველთა ძველი დედაქალაქი, ქართული ქრისტიანული ეკლესიის ცენტრი. წყაროების ჩვენებით, იქ გაიშალა ქართველთა განმანათლებლის ნინოს (IV ს.) სამისიონერო მოღვაწეობა, იქ გამოცხადდა ქრისტიანობა ქართლის სახელმწიფოებრივ რელიგიად, იქვე დაიწყო პირველი ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა. ძველ ნაგებობათაგან განსაკუთრებით გამოირჩეულია ქართული ხუროთმოძღვრების საიამაყე სვეტიცხოველი (XI ს.). ძირითადად მასთანაა დაკავშირებული ის კულტურულ-ლიტერატურული მუშაობა, რომელიც გვიან ხანაში მცხეთაში იყო გაჩაღებული.

მცხეთაში დაიწერა ერთ-ერთი უძველესი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლი „მარტვილობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხეთელისაი“ (VI ს.). უცნობმა ავტორმა მიუდგომლად აღწერა მცხეთაში დამკვიდრებული სპარსელის ტრაგიკული თავგადასავალი, ქართლის სახელმწიფოებრივი მდგომარეობა, სპარსელთა სარწმუნოებრივი პოლიტიკა.

მცხეთის მწიგნობრულ-შემოქმედებითი წრის წარმომადგენელია კათალიკოსი არსენ დიდი (IX ს.) — „მცხეთისა საყდრისა გვირგვინი დაუქნობელი“ (გიორგი მერჩულე). მას მიაკუთვნებენ აბიბოს ნეკრესელის ცხოვრების აღწერილობას („მოქალაქობაი და წამებაი წმიდისა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისაი“) და პოლემიკურ ტრაქტატს „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“.

ნაყოფიერად მუშაობდა კათალიკოსი არსენ მეორეც (X ს.) — ავტორი ჰაგიოგრაფიული თხზულებებისა: „ცხოვრებაი და მოქალაქობაი წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისა და მოწაფე-

თა მისთაი, რომელთა განანათლეს ქუეყანაი ესე ჩრდილოეთისაი“ და „ცხოვრებაი და მოქალაქობაი ღირსისა მამისა ჩუენისა. შიოსი და ევაგრესი“. მან აღწერა იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების ქართლში დაბრუნება და დასახლება, მათ მიერ სამონასტრო მშენებლობის გაჩაღება და საკულტო კერების დაარსება.

ასევე მცხეთელი უნდა იყოს ის უცნობი მწერალი, რომელსაც ეკუთვნის „ცხოვრებაი და მოქალაქობაი ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოსი“ (XIII ს.).

გვიანფეოდალურ ხანაში მცხეთელ მწიგნობრებად ჩანან მალაქენი, რომელთაც XV საუკუნიდან სვეტიცხოვლის ქადაგობა და ამ თანამდებობისათვის განკუთვნილი მამულები ეპყრათ. ხელნაწერთა გამრავლებითა თუ საბუთების წერით გამოირჩეოდნენ ქადაგი ნიკოლოზ მალაქე (XVII—XVIII სს.), რომელსაც პავიოგრაფიული ნაწარმოებიც დაუწერია („ცხოვრებაი და შესხმაი ახლად მოწამედ გამოჩენილისა შიოსი და ხუთთა მონაზონთა, რომელნი დახოცნეს დავით გარეჯას ლექთა უღმრთოთა“), „მდივან-მწიგნობარ-მალობელი“ სოლომონ მალაქე (XVII—XVIII სს.), „მდივან-მწიგნობარ-ქადაგი“ ნიკოლოზ მალაქე (XVIII ს.) და სხვ.

მცხეთის საკათედრო ტაძარს ძალზე დიდი ბიბლიოთეკა ჰქონდა. „საუნჯეთა წიგნის საცავთა მცხეთისა ეკლესიისათა“ ხშირად იხსენიებენ ძველი მოღვაწენი. განსაკუთრებით გამდიდრებულა იქაური ბიბლიოთეკა მელქისედეკ კათალიკოსის დროს (XI ს.). ერთი ცნობით, ანტონ პირველს მცხეთაში 7000-მდე წიგნი ჰქონდა.

როდესაც სვეტიცხოველს მტერი არბევდა, ბუნებრივია, წიგნსაცავსაც ცუდი დღე ადგებოდა. მართალია, მცხეთელი მოღვაწენი ბევრ წიგნს მალავდნენ და ხიზნავდნენ, მაგრამ ყველაფრის დაცვა არ შეეძლოთ. მომხდურებმა რამდენჯერმე „გასტეხეს სვეტიცხოველი, იავარყვეს საყდარი და ტყვე ჰყვეს საყდრისა ამის რაოდენი წიგნები ჰპოვეს“. მიუხედავად ამისა, მცხეთიდან არაერთმა ძვირფასმა ხელნაწერმა მოაღწია.

ბოლნისი. ქვემო ქართლში, ბოლნისის რაიონული ცენტრიდან 9 კილომეტრზე, მდინარე ფოლადაურის მარცხენა ნაპირზე, სოფელ ბოლნისში დგას ბაზილიკური ტიპის დიდებული შენობა—სიონი (V ს.), რომელსაც ჩუქურთმებით, ბარელიეფებით, წარწერებით ღირსეული ადგილი უჭირავს ქართული კულტურის ისტორიაში. ბოლნისში საეპისკოპოსო კათედრალი ჯერ კიდევ ვახტანგ

გორგასალმა (V ს.) დააარსა, შემდგომ ხანაში იქ მწიგნობრული საქმიანობაც გაიშალა.

ბოლნისში მოღვაწეობდა ქართული ჰომილეტიკური მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი იოანე ბოლნელი (X—XI სს.). მის ქადაგებებს, როგორც საორატორო ხელოვნებისა და მხატვრული მკვევრმეტყველების ძეგლებს, დღესაც დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.

ხელნაწერთა დაცვა-გამრავლებაზე ზრუნავდნენ გვიანი ხანის ბიბლიოფილი ბოლნელები: იოსებ რევიშვილი (XVII ს.), მაქსიმე მაჭუტაძე (XVII ს.) და სხვ.

რუისი. გორიდან თხუთმეტიოდე კილომეტრზე (დასავლეთის მიმართულებით) სოფელ რუისის შუაგულში აღმართულია ტაძარი, რომელსაც დაუტავს როგორც ძველი ნაგებობის (VIII—IX სს.) ფრაგმენტები, ისე X—XI საუკუნეებში ჩატარებული აღმშენებლობითი საქმიანობის ნაკვალევიც.

რუისის კათედრალში არაერთი მწიგნობარი მოღვაწეობდა. ჯერ კიდევ IX—X საუკუნეთა მიჯნაზე ჩანს იქ ანტონ მროველი, ხოლო XI საუკუნეში დიდად გამოიჩინა თავი ისტორიკოსმა და ჰაგიოგრაფმა ლეონტი მროველმა, რომელიც ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ მამამთავრადაა მიჩნეული. მას მიეწერება „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, „ნინოს ცხოვრება“ და „წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, რომელი იყო მეფე ქართლისა“ — ე. ი. ის თხზულებები, რომლებითაც იწყება „ქართლის ცხოვრება“. ამ ნიჭიერ მწერალსა და განსწავლულ მწიგნობარსვე მიეწერება აგრეთვე თარგმანი აპოკრიფული ძეგლისა („თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემისი, თარგმანი დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა და ადამისათვის, ვითარ. მისცულეს გუამი მისი და დამარხეს გოლგოთას“).

რუისიდან ცნობილია კიდევ რამდენიმე ბიბლიოფილი მღვდელმთავარი: ხელნაწერთა დამზადების ინიციატორები გიორგი (XII—XIII სს.), დიონისე ლარაძე (XVI ს.) და გერმანე (XVIII ს.), სპარსთა ტყვეობიდან ხელნაწერთა დამხსნელი დომენტი ავალიშვილი (XVII ს.), პოეტი, ლიტურგისტი და კალიგრაფი ნიკოლოზ ორბელიანი (1672—1732), მოგზაური-მემუარისტი იონა გედევანიშვილი (1737—1821) და სხვ. იქაურ ხელნაწერთაგან გამოირჩევა ე. წ. რუისის სახარება (XI ს.).

ურბნისი. ქარელის აღმოსავლეთით, 10 კილომეტრზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სოფელ ურბნისში შემონახულია ბაზილიკა (V—VI სს.), რომელიც ეპარქიის ცენტრი იყო. იქაურ მოღვაწეთაგან ცნობილია ვლასი ურბნელი (XVI ს.), რომელმაც არაერთი ხელნაწერი გადაარჩინა დაღუპვასა და განადგურებას — აღადგინა და გააცხოველა, ხელნაწერთა დამკვეთი ევდემოზ რატიშვილი (1623—1710), ნიკოლოზ ხერხეულიძე (XVIII ს.), რომელსაც დაკავშირებულია „ქართლის ცხოვრების“ ერთი ნუსხა და სხვ. ურბნისიდან მოღწეულ ხელნაწერთაგან აღსანიშნავია იოანე ტატანელის მიერ გადაწერილი სახარება (X ს.), მდიდრულად მოხატული ჟამნ-გულანი, რომელიც 1674 წელს დაამზადეს საბა მღვდელმა და ზაქარია მწერალმა, აგრეთვე გულანი, რომელიც 1707 წელს გადაწერა იესე გარსევანიშვილმა.

ლარგვისი — მდინარე ქსნისა და ქურთისწყლის შესართავთან, ქსნის ხეობის ყველაზე მნიშვნელოვანი სამონასტრო ცენტრი, მონუმენტური სამხედრო-ტექნიკური ნაგებობა. იქ მოღვაწეობდა მწერალი, მხატვარი და კალიგრაფი ავგაროზ ბანდაისძე (XIV ს.), რომელსაც ეკუთვნის საისტორიო ნაწარმოები „ძველი ერისთავთა“. მოღწეულია მისი გადაწერილი თუ მოხატული ხელნაწერები (სახარება, პარაკლიტონი). მამის კვალს ადგა ავგაროზის ვაჟი გრიგოლი (XV ს.), რომელმაც ბევრი ხელნაწერი შესწირა საეანეს.

წილკანი. საქართველოს სამხედრო გზის დასავლეთით, მცხეთიდან თხუთმეტითდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს სოფელი წილკანი, სადაც დაცულია ძველი საეპისკოპოსო კათედრალი. იქაურ მოღვაწეთაგან შეგვიძლია დავასახელოთ ეფრემ წილკნელი, რომელიც იაკობის ჟამისწირვის XI საუკუნის ხელნაწერის მინაწერში იხსენიება, კალიგრაფი ბასილი (XVI ს.), ქართული სტამბის ცნობილი მუშაკი იოსებ სამებელი (XVII—XVIII სს.), ზეპლიოფილი ქრისტეფორე წილკნელი (XVIII ს.), ხელნაწერთა მომგებელი არსენ მანგლელ-წილკნელ-თბილელი (XVIII ს.) და სხვ.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ამბროსი მიქაძე, რომელიც ადრე გარეჯასა და იკორთაში მოღვაწეობდა, ხოლო 1777—1778 წლებიდან მანგლელად გამწესებამდე (1792 წ.) წილკნელად იყო და, მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა, მუხლჩაუხრელად შრომობდა კათედრალის განმტკიცებისა და მშობლიური ლიტერატურის გამდიდრების მიზნით. წილკანში დაწერა მან „წიგნი აღსარებით-  
4. ლ. მენაბდე

სა“ (1789 წ.) და ლექსები ისე წილკნელზე, იქვე გადაწერა „განგებანი წირვისაი“, „განგებანი თუ ვითარ ჯერ არს მომზადებად ლიტურჯიანი“, ღვთისმშობლის საგალობლები და სხვ.

წილკანშივე მოღვაწეობდა მღვდელმთავარი იოანე ქარუმიძე — გარეჯაში განსწავლული კალიგრაფი, ვისი სახელითაც მოღწეულია 1802 წელს ანანურში, — რუსეთიდან დაბრუნებული ნინოს ჯვრის შეხვედრისას, — წარმოთქმული ლოცვის ტექსტი („ლოცუა, თქმული ყოვლად სამღუდელოსა წილკნელ მიტროპოლიტისა იოანეს მიერ მხურვალ ვედრებითი ნინოს შიმართ მოციქულისა და ჟუარისა მისისა, რომელი აღმოსთქუა ანანურს, რაჟამს მიეგება ჟუარსა ნინოსსა“).

**სამთავისი.** მდინარე ლეხურის მარცხენა ნაპირზე, კასპიდან 11 კილომეტრზე (ჩრდილოეთის მიმართულებით) სოფელ სამთავისში დგას „ეკლესია დიდი, გუმბათიანი, დიდშუენიერად შენებული“ (ვახუშტი), რომელიც 1030 წელს ააგო ილარიონ ყანჩაელმა. შესანიშნავად შემონახული გრანდიოზული ნაგებობა შორიდანვე იზიდავს და აჯადოებს მხილველებს. კათედრალი იქ აღრევე არსებობდა, ხოლო მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობა, ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალებით, რამდენადმე გვიან გაჩაღდა. ცნობილია კალიგრაფები ილია (XVI ს.) და ევდემონი (XVII ს.), მთარგმნელი კვიპრიანე სამთავნელი (XVII—XVIII სს.), რომელმაც ბერძნულიდან გადმოიღო კურთხევანი, „განმარტება ეკლესიისა და კურთხევა მისი“, „საქმენი შვიდთა სასიკუდინეთა. ცოდვათანი“, სამართლის წიგნი და სხვ.

XVIII საუკუნეში სამთავისში ერთხანს მოღვაწეობდნენ ანტონ პირველი, ბენედიქტე სამთავნელი, გერვასი მაჭავარიანი და სხვა მწიგნობრები.

**ქვათახევი.** კავთურის ხეობაში, კავთისხევიდან 7 კილომეტრზე, ხშირ ტყეში აღმართულია შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ღირსშესანიშნავი ძეგლი (XII—XIII სს.). მოხდენილი ადგილმდებარეობა, დიდებული ნაგებობა, უზადო ჩუქურთმები — ყველაფერი ხელს უწყობს არქიტექტურული ანსამბლის სიღიადეს.

ქვათახევის მონასტერში ქართველ მოღვაწეთა დიდი კრებული იყო. ცნობილია იქაური წინამძღვარი ფილიპე ბარათაშვილი (XVI ს.), რომელიც დახელოვნებული ყოფილა სიგელ-გუჯრების წერაში, წინამძღვარი იოანე ავალიშვილი (XVI—XVII სს.), რო-



მელსაც 1609 წელს ქეთევან დედოფლისათვის გადაუწერია „იბაკონი ღვთისმშობლისანი“ (საგალობელთა ამ კრებულს წამებული დედოფლის ცრემლების კვალი ეტყობა).

XIX საუკუნის დამდეგს ქვათახევში მოღვაწეობდა იონა ხელაშვილი (იქიდან გაუდგა გზას საკალმასოდ), შემდეგ—წინამძღვარი დოსითეოზ ფიცხელაური, რომელმაც რუსულიდან თარგმნა „სვინაქსარი ოთხშაბათსა განზოგებისასა“, ხოლო რუსულად — იონა გედევანიშვილის ანდერძი.

ქვათახევის სავანის უკანასკნელი გამოჩენილი მოღვაწე იყო ტარასი ალექსიშვილი (1793—1874), რომელმაც რუსულიდან თარგმნა მრავალი წიგნი („წესი თანამდებობათათვის სამრევლოთა მღუდელთასა“, სახარების „ნეტარებათა“ განმარტება, ახალი აღთქმის გეოგრაფიული ლექსიკონი და სხვ.), გამოაქვეყნა „მოკლე აღწერა საქართველოს მონასტერთა“ (1864 წ.), შეთხზა „ქუეყნიერი სამოთხე“, დაბეჭდა „ქართული ანბანი სასწავლებლად ყრმათა“ (1825 წ.) და სხვ.

**ფიტარეთი.** ქვემო ქართლში, თეთრი წყაროდან 26 კილომეტრის დაშორებით, ხრამის ხეობაში, სოფელ ფიტარეთში — „შუენიერს ადგილს“ (ვახუშტი) აგებულია დიდებული ტაძარი (XIII ს.), რომელიც გვიან ხანაში დაუშკვიდრდა ორბელიშვილთა ფეოდალურ სახლს და მის საქვალედაც იქცა.

ფიტარელ მოღვაწეთაგან ვიცნობთ მხოლოდ წინამძღვარ იობს, რომელიც საბუთებში 1696-1730 წლებში ჩანს. იგი ახლოს ყოფილა სულხან-საბა ორბელიანთან და მისი ლექსიკონის მითვისებაც უტღია. მიუხედავად ამისა, სულხან-საბა ორბელიანი, ანტონ პირველი და იოანე ბაგრატიონი იობ ფიტარელს ჩინებულ მწერლად წარმოგვიდგენენ.

ფიტარეთიდან მოღწეულ ხელნაწერებში გამოირჩევა ძლისპირების ნუსხა (XVII ს.), გადაწერილი ფიტარეთის ძველ საგალობელთა კრებულიდან. მასში შემონახულია ნეგმატური ნიშნები, რომელთაც ქართული სანოტო სისტემის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ.

**მძოვრეთი** — ისტორიული ქალაქი, საციციანოს ცენტრი (ახლანდელი სოფლების ორთუბნის, წითელსოფლისა და სუქაანთუბნის ტერიტორიაზე, ქარელის რაიონში), სადაც ადრევე გაჩაღდა საგანმანათლებლო საქმიანობა. ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწეობდა სათავადოს დამაარსებელი ზაზა ფანასკერტელი-ციცი-

შვილი (XV ს.). მას მიეწერება ქართული მედიცინის შედევრი „კარაბადინი“, რომელიც ნათლად ავლენს ავტორის ღრმა განსწავლულობასა და დიდ მეცნიერულ ცოდნას. მშობლიური მედიცინის განვითარებაში ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის წვლილი ერთობ საპატიოა. მის მეცნიერულ-ლიტერატურულ ინტერესს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მას შეუკრებია და ერთ წიგნად გადაუწერინებია იოანე ოქროპირის „სწავლანი“.

საციციანოდანვე იყვნენ „ბარამგურიანის“ ავტორი ნოდარ ციციშვილი (XVII ს.), „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორი ნანუჩა (მანუჩარ) ციციშვილი (XVII ს.), რუსთაველის პოემის ძვირფასი ხელნაწერის დამზადების მოთავე ზაზა ციციშვილი (XVII ს.), პოეტი ვესტათი ციციშვილი (XVIII—XIX სს.) და სხვ.

1 მუხრანი. 1512 წელს ქართლში ჩამოყალიბდა კიდევ ერთი ახალი სათავადო — სამუხრანბატონო, რომელიც კარგა ხანს იყო ბაგრატიონთა ერთი შტოს სამკვიდრო, სადაც იმთავითვე გაჩაღდა შემოქმედებითი საქმიანობა. იქაური პირველი მწერალი სათავადოს დამაარსებელი ბაგრატი მუხრანბატონია, რომელსაც ეკუთვნის „მოთხრობაი სჯულთა უღმრთოთა ისმაილიტთაი“. ლიტერატურით და ინტერესებული იყვნენ თეიმურაზ მუხრანბატონი (XVII ს.), მამუკა მუხრანბატონი (XVII — XVIII სს.), კონსტანტინე მუხრანბატონის მეუღლე პოეტი ბარბაქე (XVIII ს.), პოეტი და მთარგმნელი გრიგოლ ბაგრატიონი-მუხრანელი (XVIII—XIX სს.) და სხვ. აქ არაფერს ვამბობთ მუხრანბატონთა ფეოდალური სახლის იმ წარმომადგენლებზე, რომელთა მოღვაწეობა ქართლისა თუ კახეთის სამეფო კარზე წარიმართა (არჩილი, ლევანი, ვახტანგ ლევანის ძე და სხვ.).

გორის ლიტერატურული კერიდან ცნობილია რამდენიმე მწიგნობარი; იქაურ კულტურულ ტრადიციებზე აღზრდილი ზოგიერთი მწერალი სხვაგან ეწეოდა საგანმანათლებლო საქმიანობას. გორიდანაა მემათიანე ფარსადან გორგიჯანიძე (XVII ს.), პოეტი ფეშანგი ხითარაშვილი (XVII ს.), პირველი ქართველი დისერტანტი დავით ტულუკაშვილი (XVIII ს.), პოეტი სტეფანე ფეშანგიშვილი (1772—1839), კალიგრაფი დიმიტრი ოქროაძე, ოქროაშვილი (XVIII—XIX სს.) და სხვ. არსებითად გორის ლიტერატურულ ტრადიციებზე აღიზარდა მწიგნობარ თუმანიშვილთა მთელი თაობა (დიმიტრი, გიორგი, დავითი, ავთანდილი და სხვ.):

**ტანძია** — სოფელი ქვემო ქართლში, ბოლნისის რაიონული ცენტრიდან თხუთმეტიოდე კილომეტრის დაშორებით. იგი ორბელიშვილთა სამკვიდრო იყო. იქ ცხოვრობდა ქართლის მდივანბეგი ვახტანგ ორბელიშვილი (XVII ს.), რომელმაც შექმნა დიდი კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების ოჯახი, სადაც აღიზარდნენ თვალსაჩინო ქართველი მწიგნობრები — სულხან-საბა ორბელიანი და მისი ძმები — ნიკოლოზი, დიმიტრი, ზაალ-ზოსიმე.

ვახტანგ ორბელიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბიბლიის ქართულად თარგმნილი წიგნების შეკრების, შესწავლის, აღდგენისა და გამოსაცემად მომზადების საშვილიშვილო საქმეში. მოღწეულია მისი თაოსნობით გადაწერილი წიგნები.

**ახალგაბრი.** ქსნის საერისთავოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრში, კერძოდ, ერისთავების რეზიდენციაში (XVI—XVIII სს.) ინტერესი წერილობითი ძეგლებისადმი საკმაოდ შეინიშნებოდა. მრავალადაა მოღწეული ხელნაწერები, რომლებიც ქსნის ერისთავთა სახლის წარმომადგენელთა ინიციატივით დამზადდა. ცნობილია იქაური მწერლებიც: იესე ყულარაღასი (XVIII ს.), რომელმაც დაწერა აკროსტიხული შესხმა ისე წილკნელისა და აკოლოთია შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებისა და ბიძინა ჩოლოყაშვილისა, ელიზბარ ერისთავი (1738—1813), იოანე ერისთავი (XVIII—XIX სს.), ვარლამ ერისთავი (1763—1830) და სხვ.

ისტორიულ ქსნის საერისთავოში, პატარა ლიახვის ხეობაში, სოფელ ბელოთში XVIII საუკუნის 70-იან წლებში მოღვაწეობდნენ თბილისელი მწიგნობრები იესე ბარათაშვილი (1728—1786) და სოლომონ ალექსიშვილი (1742—1808), რამდენადმე გვიან — მემუარისტი იოანე ქართველიშვილი (1772—1816).

**ღუშეთი.** არაგვის ერისთავების რეზიდენციაში აღიზარდნენ კვიპრიანე სამთავნელი, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, პოეტი ოთარ ერისთავი (XVIII ს.), რომანოზ ერისთავი, რომელიც ძირითადად რუსეთსა და გარეჯაში მოღვაწეობდა, კალიგრაფები იოსებ (XVIII ს.) და სოფრონიოს (XIX ს.). ერისთავის შვილები და სხვ.

სხვადასხვა დროს ღუშეთში ყოფილა მრავალი მწერალი: თეიმურაზ პირველი (1626 წ.), იესე ბარათაშვილი (1747 წ.), თეიმურაზ მეორე (1760 წ.), იოანე რუსთველი (1760 წ.), იოანე ქართველიშვილი (1795 წ.) და ა. შ. გვაქვს ექვმიუტანელი ცნობები, რომ ზო-

გიერთი მათგანი დუშეთშიც განაგრძობდა ლიტერატურულ საქმიანობას.

არაგვის საერისთავოში ერთ მოზრდილ ხეობას მრევლი ეწოდებოდა. მასში შედიოდა სოფელი გრემისხევი, სადაც მოღვაწეობდა „როსტომიანის“ ნაწილის გამლექსავი სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილი (XV—XVI სს.).

## ქ ა ხ ე მ ი

**ზედაზენი.** მცხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, არაგვის მარცხენა ნაპირზე, ზედაზენის მთაზე არსებობდა ერთ-ერთი უძველესი ქართული სამონასტრო ცენტრი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ასურელ მოღვაწეთა წინამძღოლმა, ჩვენს მიერ რამდენჯერმე მოხსენიებულმა იოანე ზედაზნელმა (VI ს.). როგორც ამ მოღვაწეთა მიერ დაარსებულ სხვა საფანეებში (გარეჯაში, შიომღვიმეში, იყალთოში და ა. შ.), ზედაზენის მონასტერშიც, უთუოდ, გაჩაღდებოდა კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა, მაგრამ სათანადო მასალა ნაკლებადაა მოღწეული (ალბათ, ჟამთა ჰიავემ იმსხვერპლა იქაური ლიტერატურული მემკვიდრეობა).

ზედაზნელ მწიგნობართაგან ვიცნობთ მხოლოდ მიქაელ წინამძღვარს (XI ს.). არსებითად მისი ინიციატივით, მისი თხოვნით და რამდენადმე მის მიერ მიწოდებული მასალის საფუძველზე დაწერა უცნობმა ავტორმა „ცხოვრებაი წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაზნელისაი, რომელი ბრძანებითა ღმრთისაითა და წინამძღურობითა სულისა წმიდისაითა მოივლინა ქუეყანით შუამდინარით ქუეყანად ქართლისად ათორმეტთა მოწაფეთა მისთა წმიდათა თანა“.

**ნეკრესი.** ყვარლის ახლოს, კავკასიონის ქედის ფერდობზე შემონახულია გრანდიოზული არქიტექტურული ანსამბლი, რომელიც არსებობის მრავალ საუკუნეს ითვლის და დღესაც ალცებს მნახველებს ქართველ ხუროთმოძღვართა და მხატვართა ბრწყინვალე ნამუშევრებით. იქ იყო ნეკრესელის რეზიდენცია.

ნეკრესის ეპარქია ძლიერი ფეოდალური ერთეული იყო და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კახეთის სამხედრო-პოლიტიკურსა და სასულიერო-საეკლესიო ცხოვრებაში. იქაური მოწესენი ლიტერატურულ ასპარეზზეც მოღვაწეობდნენ. უცნობი ნეკრესელის დაწერილი უნდა იყოს „აბიზოს ნეკრესელის წამების“ მეტაფრასული რედაქცია (XII ს.); მღვდელმთავარი იოანე ჯორჯაძე

(XVIII ს.) ხელნაწერთა გამრავლებაზე ზრუნავდა, ხოლო დოსითეოზ ჩერქეზიშვილი (XVIII ს.) აქტიურად მონაწილეობდა ფილოსოფიურ თხზულებათა თარგმნასა და ხელნაწერთა გამრავლებაში (მან ნეკრესში პირველდაწყებითი სკოლაც კი დააარსა); ასეთივე ნაყოფიერი შემოქმედი იყო ნეკრესის უკანასკნელი მღვდელმთავარი ამბროსი მიქაძეც, რომელიც ზემოთ რამდენჯერმე დავასახელებთ. მან შეთხზა ლექსები, შეადგინა კრებულები, დაწერა ქადაგებანი, რომლებშიც გამოაქველავნა ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების საფუძვლიანი ცოდნა, თანამემამულეთა ყურადღება გაამახვილა საქართველოს შიშიმე მდგომარეობაზე, გაუღვივა მათ ეროვნული გრძნობა და განუშტკიცა მომავლის რწმენა.

**ალავერდი.** თელავის ჩრდილოეთით, ოციოდე კილომეტრის დაშორებით, ალაზნის ველზე (მდინარის მარჯვენა ნაპირზე) აღმართულია ქართული არქიტექტურის ღირსშესანიშნავი ძეგლი — ალავერდის ტაძარი (XI ს.), რომლის ცადატყორცნილი გუმბათი და თეთრად შეღებილი კორპუსი შორიდანვე იპყრობს ყურადღებას, ხოლო შიგნითგან კიდევ უფრო ხიბლავს მხილველებს.

ალავერდის ტაძარი ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესია ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს შორის. მის არქიტექტორს, ჩანს, სურდა მოეცა გრანდიოზული, კომპოზიციურად შეკრული შენობა. ძველი ქართული სააღმშენებლო ხელოვნების მიღწევებისა და მონაპოვრის ჭეროვანი გამოყენებით და საკუთარი შემოქმედებითი ნიჭის სრული გაშლით მან შესანიშნავად გაართვა თავი რთულ ამოცანას.

ალავერდში მონასტერი დააარსა იოანე ზედაზნელის მოწაფემ იოსებმა (VI ს.), რომელსაც მოღვაწეობის ადგილის მიხედვით იოსებ ალავერდელი ეწოდა. შემდგომ ხანაში იქ ჩამოყალიბდა მძლავრი კათედრალი, სადაც ლიტერატურული მუშაობაც გაჩაღდა. იქაურ მოღვაწეთაგან დავასახელებთ ფილოპე ალავერდელს, ზებედე მთავარეპისკოპოსს, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს, მარიამ-მაკრინე ბაგრატიონს, კირილე ამირანიძეს, იოანე ლარაძეს.

ფილიპე ალავერდელი (XVI—XVII სს.) ლიტერატურის ტრფიალი იყო. მისი (და ზაქარია ბოდბელის) მოწოდებით კახთა მეფემ დავით პირველმა (1601—1602) „ქილილა და დამანას“ თარგმნა წამოიწყო; ზებედე მთავარეპისკოპოსმა (XVII ს.) შეიძინა ოთხთავის დიდებული ხელნაწერი (XI ს.) და ალავერდს შესწირა (ეს ხელნაწერი საქეცნიერო ლიტერატურაში ალავერდის ოთხთავის სახელითაა ცნობილი); ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (XVIII ს.) გულ-

მოდგინედ ზრუნავდა ხელნაწერთა დაცვა-გამრავლებაზე. მოღწეულია მისი თაოსნობით დამზადებული თუ „მარბეველთაგან“ გატაცებული და მის მიერ დახსნილი ხელნაწერები.

ალავერდის ლიტერატურული კერის თვალსაჩინო წარმომადგენელია მარიამ-შაქრინე ბაგრატიონი-ჩოლოყაშვილი (XVII ს.). დაქვრივების შემდეგ იგი მონაზვნად შედგა და მრავალი წელი გაატარა ალავერდის მონასტერში „დიდისა მოღვაწებითა ვეთილითა და შრომით საქებელითა“ (თ. ბაგრატიონი). იქ დაწერა მან „ცხოვრებაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოსებ ამბა ალავერდელისაი, რომელი იყო ათორმეტთა მამათაგანი“, მისივე საგალობლები და ღვთისმშობლის შესახმა, იქვე დაამზადა ხელნაწერები, დაწერა საბუთები და ა. შ. მწერალმა ქალმა არაერთი ხელნაწერი წიგნი შესწირა როგორც ალავერდის ტაძარს, ისე სხვა სავანეებს.

XVIII საუკუნეში ხელნაწერებს ამრავლებდნენ ალავერდის სხვა მოღვაწენიც: არქიმანდრიტი კირილე ამირანიძე, რომელმაც შემდეგ მოსკოვში განაგრძო კალიგრაფობა, და იოანე ლარაძე — „მშვენიერი მწერალი და დიალექტიკოსი“ (ი. ბაგრატიონი), რომელიც ორიგინალურ-შემოქმედებით მუშაობასაც ეწეოდა.

ალავერდის მონასტრის წიგნსაცავის ბევრი ხელნაწერი ამჟამად ნაქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება.

მარტყოფი. თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მეტალურგთა ქალაქის — რუსთავის ადგილას ძველადვე არსებობდა ქალაქი (და საეპისკოპოსო კათედრალიც). მისი განადგურების შემდეგ რუსთველი ეპისკოპოსის სადგომად მიჩნეულ იქნა სოფელ მარტყოფის შემოგარენი, სადაც იყო „ეკლესია ღუთაებისა, გუმბათიანი, დიდშენი, გარ ზღუდე-გოდლოსანი, მსგავსი ციხისა, კეთილს შუენიერს ადგილს“ (ვახუშტი). იქ მცხოვრები მღვდელმთავარი კვლავ რუსთველად იწოდებოდა.

რუსთველის ახალ რეზიდენციაში გაჩაღდა ლიტერატურული მუშაობა. იქაურ მოღვაწეთაგან აღსანიშნავია პოეტი, ლიტურგისტი და მქადაგებელი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (XVII-XVIII სს.), ბიბლიოფილი არქიეპისკოპოსები იოანე ქობულაშვილი (XVIII ს.) და სტეფანე ჯორჯაძე (XVIII ს.).

ნინოწმინდა. საგარეჯოს რაიონული ცენტრის ახლოს, სოფელ ნინოწმინდაში დგას ტაძარი (VI ს.), რომელიც ნანგრევების სახი-

თაა მოღწეული, მაგრამ დღესაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. იქაურ მწიგნობრებს ნაკლებად ვიცნობთ. შეგვიძლია დავასახელოთ მხოლოდ რამდენიმე მოღვაწე: არსენ ნინოწმინდელი (X—XI სს.) — ათონის ქართული ლიტერატურული სკოლის მესვეურის ექვთიმე ათონელის ახლობელი თანამშრომელი; ხელნაწერთა გამრავლების ინიციატორები მიტროფანე და იოანე ნინოწმინდელები (XVIII ს.); მწერალი და ხელნაწერთა მომგებელი საბა ტუსიშვილი (XVIII ს.) — მისი „ანდერძისებრი ლუწანი“ საყურადღებოა ქართული ეკლესიის, სამართლის, ეკონომიკის, მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. საკმაოდაა მოღწეული საბა ტუსიშვილის თაოსნობით დამზადებული ხელნაწერები.

ბოდბე — სოფელი ქიზიყში, სიღნაღიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით. იქაურ კათედრალს (რომელიც, გადმოცემით, აგებულია ნინო კაპადოკიელის დაკრძალვის ადგილზე) ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც შეწირულებით იზრდებოდა; იქ არსებობდა სასწავლებელი, სადაც ცოდნას იძენდნენ მოშავალა მოღვაწენი (სხვათა შორის, იქაურ სასწავლებელში აღიზარდა ონა ხელაშვილი).

ბოდბეში მოღვაწეობდნენ „ქილილა და დამანას“ ქართულად თარგმნის ერთ-ერთი ინიციატორი ზაქარია ბოდბელი (XVI—XVII სს.), პოეტი და ბიბლიოფილი ონოფრე ბოდბელი (XVIII ს.), ხელნაწერთა მომგებელი იოანე და დავით ბოდბელები (XVIII ს.), ენერგიული მღვდელმთავარი იოანე მაყაშვილი (1743—1837) — ბოდბის ტაძრის რესტავრატორი, ხელნაწერთა გამრავლების მოთავე.

გრემი. თელავ-ყვარლის გზაზე, ყვარლიდან 16 კილომეტრზე მნახველებს ხიბლავს შედარებით კარგად შენახული ეკლესია და აოცებს ნაგებობათა სიმრავლე, რომელთაგან მხოლოდ ნანგრევებია მოღწეული. ადრეულ ხანაში იქ მძლავრი ქალაქი არსებობდა. XV საუკუნის მეორე ნახევრიდან XVII საუკუნის დამდეგამდე — შაჰ-აბასის შემოსევამდე — იყო კახეთის სატახტო ქალაქი, კახელ ბაგრატიონთა რეზიდენცია, სადაც კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაც იყო გაშლილი.

ლიტერატურული ინტერესი კახთა დედაქალაქის მკვიდრთ ადრეც ჰქონდათ. შეგვიძლია დავიმოწმოთ ანა დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“ (XV ს.), თინათინ დედოფლის თაოსნობით გადაწერილი სვინაქსარი (1535 წ.) და ა. შ., მაგრამ მწიგნობრულ-

შემოქმედებითი საქმიანობა გრემში შესამჩნევად გაჩაღდა XVI საუკუნის მიწურულიდან, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ დავით პირველი და ქეთევან დედოფალი, რამდენადმე გვიან — თეიმურაზ პირველი.

დავით კახთა მეფემ წვლილი შეიტანა „ქილილა და დამანას“ ქართული რედაქციის ჩამოყალიბებაში, კერძოდ, წამოიწყო მისი სპარსულიდან თარგმნა; ქეთევან დედოფალი პოეტი ყოფილა, მოღწეულია. მისი ანბანთქება, ცნობილია მისთვის დამზადებული საგალობელთა კრებული; თეიმურაზ პირველმა იქ გადაადგა პირველი ნაბიჯები ლიტერატურულ ასპარეზზე; იქ დაიწყო ლექსების წერა („გრემის სასახლეზე“). გრემთან უნდა იყოს დაკავშირებული ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, რომელმაც დაწერა „ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა გაგრძელება „ომიანიანი“ (1603—1613).

ჩვენს საზოგადოებრიობაში კარგა ხანია ტრიალებს აზრი გრემში სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის — აკადემიის არსებობის შესახებ (ამ აზრს ვხვდებით როგორც გასული საუკუნის ავტორების, ისე სულ უკანასკნელი წლების შრომებშიც). არავეითარი საბუთი, არავეითარი დოკუმენტური მოწმობა ან მატერიალური კულტურის ნაშთი არ მოგვეპოვება ამ მოსაზრების დასადასტურებლად. შეუძლებელია XI—XII საუკუნეების გრემში აკადემიის არსებობაზე მსჯელობა, რადგან იმ პერიოდში გრემის ისტორიაზე — მის არსებობაზეც კი არ გვაქვს ნათელი წარმოდგენა. არავინ უწყის ზუსტად, თუ რა ვითარება იყო გრემში იმ დროს, რაც შეეხება XV საუკუნის შემდგომი ხანის გრემს, მასზე არცთუ ისე მცირე მასალა მოგვეპოვება, მაგრამ აკადემიაზე არავეითარი ცნობა, უბრალო მინიშნებაც კი არაა, მისი არსებობა არსად არაა დამოწმებული.

თელავი ადრევე გამოცხადდა კახეთის სატახტო ქალაქად (IX ს.) და ერთხანს კიდევ ინარჩუნებდა ამ პატივს, მაგრამ დავით აღმაშენებლის მიერ კახეთის შემოერთების შემდეგ მისი მნიშვნელობა დაეცა. გვიან ხანაში, როგორც აღვნიშნეთ, კახთა მეფეების რეზიდენცია გრემში იყო.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში კახეთის ცენტრმა კვლავ თელავში გადაინაცვლა. არჩილ ბაგრატიონმა, რომელიც 1664—1675 წლებში მეფობდა კახეთში, განაახლა ძველი ქალაქი, ააგო სასახლე და კახეთის ტახტი იქ გადაიტანა. იმ დროიდან თელავში ლიტერატურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაც გაიშალა. მართალია, ჩვენთვის ზუსტად არაა ცნობილი არჩილის მიერ თელავში დაწერილი თხზულებანი, მაგრამ, საფიქრებელია, ქართლის



მწიგნობართა წრეში აღზრდილი და ძველ ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებს ნაზიარები პოეტი არც კახეთში აიღებდა ხელს შემოქმედებით მუშაობაზე.

თელავში მოღვაწეობდნენ დავით მეორე, მისი ძმა თეიმურაზი (შემდგომ ქართლის მეფე თეიმურაზ მეორე), საიათნოვა და სხვა მწერლები.

დავით მეორეს (1703—1722) ეკუთვნის ე. წ. ლეთაების გუჯარი (1722 წ.), რომელიც ამჟღავნებს ავტორის განსწავლულობას რელიგიასა და ფილოსოფიაში, ისტორიასა და ბუნებისმეტყველებაში. მასვე დაუწერია ლექსები; მისი ძმა თეიმურაზი 1731—1744 წლებში განაგებდა კახეთს და, შეძლებისდაგვარად, მონაწილეობდა იქაურ ლიტერატურულ ცხოვრებაში — იქ დაწერა „დღისა და ღამის გაბაასება“ (1736 წ.), შაირი ბიეინას სიკვდილზე და სხვა ლექსები; ერთხანს კახეთის სამეფო კარზე მოღვაწეობდა საიათნოვა, რომელიც გამოირჩეოდა ადგილობრივ მგოსანთა და მომღერალთა წრეში. თელავში შეთხზა მან ცნობილი ლექსი „ზღვას ვით გააშრობს ვარსკვლავის სხივი“ (1751 წ.). თელავის სასახლეში საიათნოვას გვერდით უთუოდ იქნებოდნენ სხვა აშულებიც, რომელთაც ხელს უწყობდა მეცენატობით განაქმული პატარა კახი.

რამდენიმე სიტყვა თელავის სემინარიასა და იქაურ მოღვაწეებზე.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთი კულტურული აღმავლობის გზას დაადგა, განათლების საქმესაც გაუმჯობესება დაეტყო. ამის ერთ-ერთი გამოვლინება იყო დაარსება (1758 წ.) თელავის საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური სკოლისა (შემდეგ სემინარიისა), რომელიც თეორიული და პრაქტიკულ-გამოყენებითი ცოდნის გავრცელებას ემსახურებოდა.

ახალდაარსებულ სკოლაში ერეკლე მეორემ თავი მოუყარა მოსწავლეებს, შეარჩია მასწავლებელთა კადრები. მისივე თაოსნობით იქ გაჩაღდა შემოქმედებითი მუშაობა, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც სკოლის პირველი რექტორი ფილიპე ყაითმაზაშვილი, ისე მსმენელებიც (დოსითეოზ ჩერქეზიშვილი, ანტონ ცაგერელ-ჰყონდიდელი და სხვ.).

1782 წელს სკოლის ბაზაზე დაარსდა სემინარია, რომელსაც პირველ წელს უძღვებოდა გაიოზ ბარათაშვილი (თაყაშვილი) (1746—1821), ხოლო შემდეგ — 1790 წლიდან სემინარიის დახურვამდე (1801 წ.) — დავით ალექსიშვილი, რომელიც ჩვენი კულტურის ისტორიაში უპირატესად დავით რექტორის სახელითაა ცნობილი.

თელავის სემინარიის რექტორები თუ მათი მსმენელები (სემინარისტები ან სტუდენტები, როგორც მათ მაშინ უწოდებდნენ) წარმატებით იღვწოდნენ როგორც პედაგოგიურ, ისე საზოგადოებრივ-კულტურულ ასპარეზზე. სახელდობრ, გაიოზ რექტორმა თელავში თარგმნა თ. პროკოპოვიჩის მიერ შედგენილი და პეტრე პირველის მიერ დამტკიცებული, საგანმანათლებლო იდეებით გაუღნითილი „წესდება“ ანუ „საზოგადო რელამენტი, ესე იგი არს კანონი ანუ რიგი“, შ. როლენის „ძველი ისტორია“ და სხვ. აღსანიშნავია სიტყვა, რომელიც მას წარმოუთქვამს სემინარიის წლისთავზე (28.V.1783) გამართულ საჯარო დისპუტზე; დავით რექტორი თხზავდა ლექსებს, ამრავლებდა ხელნაწერებს, ადგენდა კრებულებს, ხელმძღვანელობდა ლიტერატურულ-შემოქმედებით წრეს, მართავდა დისპუტებს და ა. შ.; სემინარიაში აღიზარდა მემუარისტი და კალიგრაფი ნიკოლოზ ონიკაშვილი, რომელიც თელავში ლექსებსაც თხზავდა და ხელნაწერებსაც ამრავლებდა.

სამხრეთი საქართველო. VIII-IX საუკუნეებიდან სამხრეთი საქართველო, განსაკუთრებით ტაო-კლარჯეთი, ქართული მწიგნობრობის მძლავრ კერად იქცა. ამ მხარის პოლიტიკურ გაძლიერებასა და კულტურულ დაწინაურებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ აღმოსავლეთი საქართველო არაბთა გავლენის სფეროში იმყოფებოდა და ქართული სახელმწიფოებრიობის ცენტრმა ტაო-კლარჯეთში გადაინაცვლა.

ადრეული ხანიდან მოყოლებული გვიან ხანამდე (XVI ს.) სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართული კულტურის მრავალი კერა არსებობდა. მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა გაჩაღებული იყო ქალაქებში, ციხეებსა და ციხე-ქალაქებში (კალმახში, აწყურში, ახალციხეში, თმოგვში, ვარძიაში), მონასტრებში (ოპიზაში, ხანძთაში, შატბერდში, პარეხში, ბერთაში, მიძნაძორში, წყაროსთავში, ოშკში, ხახულში, პარხალში, საფარაში, ზარზმაში, ვანის ქვაბებში), კათედრალურებში (ანჩში, იშხანში, ბანაში, ტბეთში, აწყურში, კუმურდოში).

დასახელებულ კერებში ინტენსიურად განვითარდა ქართული ლიტერატურა, კერძოდ, სასულიერო-საეკლესიო მწერლობა, უპირატესად ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია; ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდნენ მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატები (გრიგოლ ხანძთელი, არსენ საფარელი, სტეფანე მტბევაარი, ბასილ ზარზმელი, გიორგი მერჩულე, მიქაელ მორდრეკილი, იოანე მტბევაარი, აბუსერიძე ტბელი და სხვ.), ნიჭიერი მთარგმნელები (გრი-

გოლ ოშკელი, დავით ტბელი და სხვ.), დახელოვნებული კალიგრაფები (გრიგოლ ოპიზელი, გაბრიელ შატბერდელი, იოანე ბერა, იოანე ჩირა, სტეფანე ოშკელი და სხვ.); დაიწერა და ითარგმნა ბევრი პირველხარისხოვანი თხზულება, დამზადდა ფასდაუდებელი ხელნაწერები (შატბერდის კრებული, ოშკის ბიბლია, მიქაელ მოლრეკილის კრებული, პარხლის მრავალთავი და ა. შ.).

სამხრეთ საქართველოს მოღვაწენი ინტერესს იჩენდნენ სასულიერო-საეკლესიო მწერლობის თითქმის ყველა დარგისადმი. კერძოდ, ბიბლიური წიგნებისადმი ინტერესს ადასტურებს მთელი წყება სახარების ძვირფასი ხელნაწერებისა. აქ შეგვიძლია დავიმოწმოთ ოთხთავები შატბერდისა (897 წ., 936 წ.), ოპიზისა (913 წ.), პარხლისა (973 წ.), ტბეთისა (995 წ.), ბერთისა (X ს.), მესტიისა (1033 წ.), წყაროსთავისა (1195 წ.) და სხვ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოშკის ბიბლია 978 წლისა.

სამხრეთ საქართველოდან მოღწეულ ხელნაწერებში მრავლად გვხვდება აპოკრიფები, ეგზეგეტიკური და დოგმატიკური ძეგლები. საყურადღებოა იპოლიტე რომაელისა და ეპიფანე კვიპრელის თხზულებათა თარგმანები. შატბერდში ორიგინალური ეგზეგეტიკური ძეგლებიც კი იწერებოდა.

გარკვეული ყურადღება ეთმობოდა პოლემიკას (არსენ საფარელი, გრიგოლ ოშკელი, ექვთიმე გრძელი), ასკეტიკას (ილარიონ იშხნელი) და სხვ.

დიდი წარმატებით ვითარდებოდა ჰაგიოგრაფია როგორც თარგმნილი (დავით ტბელი), ისე განსაკუთრებით ორიგინალური. დაიწერა ჰაგიოგრაფიული ძეგლები: „წამებაი წმიდისა მოწამისა გობრონისი; რომელი განიყვანეს ყველის ციხით“ (სტეფანე მტბევარი), „ცხოვრებაი და მოქალაქობაი ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი“ (ბასილ ზარზმელი), „შრომაი და მოღუაწებაი ღირსადცხოვრებისაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაი, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაი და მის თანა ხსენებაი მრავალთა მამათა ნეტართაი“ (გიორგი მერჩულე) და სხვ. შატბერდში ჩამოყალიბდა „მოქცევაი ქართლისაი“, დაიწყო შედგენა ჰაგიოგრაფიული კრებულისა (პატერიკი, მატერიკი).

არნახულ წარმატებას მიაღწია ქართულმა ჰიმნოგრაფიამ (გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მერჩულე, იოანე მტბევარი, მიქაელ მოლრეკილი, იოანე ანჩელი და სხვ.), შეიქმნა უდიდესი მნიშვნელობის ჰიმნოგრაფიული კრებულები.

განვითარდა ისტორიოგრაფია (სუმბატ დავითის ძე, აბუსერისძე

ტბელი, მესხური დავითნის ქრონიკა), ასტრონომია (აბუსერისძე ტბელი) და სხვა.

ერთობ ძნელია მსჯელობა სამხრეთ საქართველოში საერო ლიტერატურის განვითარებაზე, რადგან სათანადო მასალა თითქმის არ მოგვეპოვება. შეგვიძლია დავასახელოთ მხოლოდ ორიოდ კერა, სადაც ელემენტების სახით თავს იჩენს საერო ლიტერატურა: თმოგვი, სადაც სარგის პირველი და სარგის მეორე მოღვაწეობდნენ (თუ ის ძეგლები, რომელთაც მათი სახელით ვიცნობთ, ნამდვილად თმოგვიშია დაწერილი და არა თბილისში, ან კიდევ სხვაგან) და ვანის ქვაბთა მონასტერი, სადაც, მძეღლებისდაგვარად, გამოვლინდა მონაზონ ქალთა პოეტური ნიჭი.

ზოგადად გავიცნოთ სამხრეთ საქართველოს რამდენიმე კერა.

## კლარჯეთი

ოპიზა — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს შორის უძველესი მონასტერი; ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კოლონიზაციის უტყუარი მემკვიდრის გიორგი მერჩულის (X ს.) სიტყვით, იგი კლარჯეთის „ყოველთა უდაბნოთა უწინარეს აღშენებულ არს“. ძველი ბაზილიკა IX საუკუნეში გუმბათიან ტაძრად გადაუკეთებიათ. იგი მდებარეობს მაღალ მთაზე, „შავშეთისწყლისა და ანაკერტს შორის, ჭოროხის აღმოსავლით, აჭარის მთის კალთასა“ (ვახუშტი).

ოპიზა ადრეულ ძეგლებში ასე იხსენიება: „წმიდაი და დიდი უდაბნოი“, „განთქმული უდაბნო“, „დიდი უდაბნო კლარჯეთისაი“, „დიდებული ლავრა“, „უპირველესი ათორმეტთა უდაბნოთა“ და ა. შ.

ოპიზაში ცხოვრობდნენ და შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდნენ ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი: გრიგოლ ხანძთელი (759—861), მიქაელ პარეხელი (IX ს.), სერაპიონ ზარზმელი (IX ს.), გიორგი მაწყვერელი (IX—X სს.), გრიგოლ ოპიზელი (IX—X სს.), ათანასე ოპიზელი (XI ს.), ანტონ ოპიზელი (XII ს.), ილარიონ ოპიზელი (XIII ს.) და სხვ. იქ დამზადებულ ხელნაწერთა შორის გამოირჩევა 913 წლის სახარება, რომელიც ამჟამად ათონის ქართველთა სავანეშია დაცული.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობილ ოქრომქანდაკებულთა ბეშქენ და ბეჭა ოპიზართა მოღვაწეობა. მათი ნამუშავევი (ბერთის სახარების ყდის მოჭედებლობა, წყაროსთავის ოთხთა-

ვის ყდა და სხვ.) სრულად წარმოაჩინს როგორც XII—XIII ხუ-  
უკუნეების ქართული კულტურის მაღალ დონეს, ისე ოპიზის, —  
შემოქმედებითი მუშაობის მძლავრი ცენტრის, — სილიაღეს.

**ხანძთა** — სამხრეთ საქართველოს უმნიშვნელოვანესი სავანე და  
უმთავრესი კულტურულ-ინტელექტუალური კერა, რომელიც  
VIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში დააარსა ზემოხსენებულმა  
გრიგოლ ხანძთელმა.

დღეს ყველას, ვისაც კი ქართული სკოლა დაუმთავრებია, მეტ-  
ნაკლები წარმოდგენა აქვს ამ მოღვაწეზე (ეს ბუნებრივია, რადგან  
საშუალო სკოლაში საგანგებოდ ისწავლება „გრიგოლ ხანძთელის  
ცხოვრება“). ადრე, წინა საუკუნეებში, ყოველ შემთხვევაში,  
XVIII—XIX საუკუნეებში მაინც, განსხვავებული ვითარება იყო:  
„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ არ ჩანდა, გრიგოლის ენათობა  
ბურუსით იყო მოცული. ამ ძეგლს, როგორც ჩანს, არ იცნობდა  
ქართული ჰაგიოგრაფიული კრებულის შემდგენელი დომენტი მე-  
სამე; გრიგოლ ხანძთელზე ძალზე ზოგადად მსჯელობდა ანტონ პირ-  
ველი.

1845 წელს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართულ ხელნა-  
წერებში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ იპოვა პეტერბურგელ-  
მა ქართველმა მოღვაწემ, არქეოლოგმა და ლექსიკოგრაფმა ნ. ჩუ-  
ბინაშვილმა, მაგრამ ამას მოსალოდნელი შედეგი არ მოჰყოლია.  
მისი აღწერილობა ჯვრის მონასტრის სიძველეთა, კერძოდ, იქაუ-  
რი ხელნაწერებისა, საკმაოდ გვიან (1889 წ.) დაიბეჭდა და მკითხ-  
ველ საზოგადოებას ბევრი ვერაფერი მისცა (საგულისხმოა, რომ  
მის ჩანაწერებში მოხსენიებული ხანძთა და შატბერდის ძებნა  
მეცნიერებმა ეფფრატის ხეობაში დაიწყეს).

1902 წელს იერუსალიმში გახლდათ ნ. მარი. მან გაიცნო ქარ-  
თულ ხელნაწერთა კოლექცია, დაძებნა „გრიგოლ ხანძთელის  
ცხოვრება“, წაიკითხა და მაშინვე გაიგო, თუ რა ძეგლთან ჰქონდა  
საქმე; გადმოიღო მისი პირი და პეტერბურგში დაბრუნებულმა გა-  
ხაგრძო ტექსტზე მუშაობა. თხზულების უკეთ გაგებისა და გრიგო-  
ლის სამოღვაწეო ადგილების დაზუსტებისა და შესწავლის მიზ-  
ნით ნ. მარმა 1904 წელს იმოგზაურა სამხრეთ-დასავლეთ საქარ-  
თელოში, მოიარა კლარჯეთი და შავშეთი, გაიცნო იქაური სიძვე-  
ლენი, დაადგინა ბევრი სავანის ადგილმდებარეობა (ამაში დიდად  
დაეხმარნენ ადგილობრივი ქართველები).

ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, 1911 წელს, ნ. მარმა გაფოსცა  
„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ კრიტიკულად დადგენილი

ქართული ტექსტი და ბრწყინვალე რუსული თარგმანი, მოგზაურობის ამსახველი ვრცელი დღიური და ბევრი ძეგლის სურათი.

ასე დაუბრუნა ნ. მარმა ქართველ საზოგადოებრიობას სახელოვანი წინაპარი და მისი „ცხოვრება“.

გრიგოლ ხანძთელი იყო არა მხოლოდ ხანძთის საეპისკოპოსოს დაჰარსებელი, არამედ საერთოდ ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კოლონიზაციის ინიციატორი და სულისჩამდგმელი; ადგილობრივი უმაღლესი ხელისუფლის, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა მამამთავრის აშოტ კურაპალატის (გარდ. 826 წ.) დახმარებითა და ხელისშეწყობით, აგრეთვე მოწაფეთა და თანამოღვაწეთა დიდი ჯგუფის თანადგომით მან VIII საუკუნის 80-იან წლებში საფუძველი ჩაუყარა იქაურ სამონასტრო ცხოვრებას. მეტიც, გრიგოლმა, აშოტთან ერთად, სათავე დაუდო მთელ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და კულტურულ-აღმშენებლობით საქმიანობას სამხრეთ საქართველოში.

გრიგოლმა თავდაპირველად გააშენა ხანძთა — კლარჯეთის სავანეთა შორის ქრონოლოგიურად ოპიზის მომდევნო და მთელი მხარის სამონასტრო კოლონიზაციის საყრდენი ბაზა (ნ. მარის აზრით, ნუკა-საყდარი, სოფელ ფორთის ზემოთ, მდინარე კარჩხალის ხეობაში, ციცაბო კლდეზე, ძალზე მაღლა). მანვე დააარსა რამდენიმე მონასტერი კლარჯეთსა (შატბერდი, გუნათლე, მერე) და დასავლეთ საქართველოში (უბე). გრიგოლის ბაძვით მისმა ზოგიერთმა მოწაფემ და ახლობელმაც დაიწყო სავანეთა მშენებლობა. კერძოდ, საბამ აღადგინა იშხნის ტაძარი, დავითმა დააარსა მონასტერი შიძნაძორში, ზაქარიამ — ბარეთელთაში, ილარიონმა — წყაროსთავში, თეოდორემ — ნეძვში, ქრისტეფორემ — კვირიკეწმინდაში და ა. შ.

გრიგოლ ხანძთელის სახელთანაა დაკავშირებული ტაო-კლარჯეთში კულტურულ-ლიტერატურული გუშაობის გაშლა და გაფართოება. ნიშანდობლივია, რომ ახალდაარსებულ მონასტრებში იგი წიგნსაცავებს უყრიდა საფუძველს. ჩანს, იმთავითვე გათვალისწინებული ჰქონდა, რომ თითოეული სავანე მწიგნობრობის კერად უნდა ქცეულიყო. მართლაც, ასე მოხდა — ბევრი ზემოდასახელებული მონასტერი განათლების კერად ჩამოყალიბდა. ამაში მთავარი დამსახურება გრიგოლს მიუძღვის; არსებობდა მისი თაოსნობით გაჩაღდა ტაო-კლარჯეთში მწიგნობრულ-სავანეანათლებლო საქმიანობა, საფუძველი ჩაეყარა იქაურ ლიტერატურულ სკოლას. გრიგოლი თვითონაც აქტიურად იღვეწოდა შემოქმედებით არენაზე. მისი ბიოგრაფის ცნობით, გრიგოლს საბაწმინდის მონას-

ტრის წესის საფუძველზე თავისი ძმობისათვის ქტიტორული ტიპიკონი შეუდგენია; ხანძაში კარგა ხანს ინახებოდა „საწელიწდო იაღვარი“ — ლიტურგიკული კრებული, რომლის დამზადებაში გრიგოლის როლი ერთობ დიდი ყოფილა.

გრიგოლ-ხანძელის მიერ დანერგილი ტრადიციები დიდხანს გრძელდებოდა როგორც ტაო-კლარჯეთში საერთოდ, ისე ხანძაში კერძოდ. ხანძელ მწერალთაგან, პირველ ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ ქართული პროზის დიდი ხელოვანი გიორგი მერჩულე, რომელმაც ხანძაში დაწერა ჩვენი ეროვნული კულტურის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობის ძეგლი „გრიგოლ ხანძელის ცხოვრება“ ან სრულად: „შრომაი და მოღუაწებაი ღირსად ცხოვრებისაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაი, ხანძისა და შატბერდისა აღმაშენებელისაი და მის თანა ხსენებაი მრავალთა მამათა ნეტართაი“ (951 წ.).

გიორგი მერჩულემ გრიგოლ ხანძელის ახლობელთა ნაამბობითა და სხვადასხვა ისტორიულ-ლიტერატურული წყაროს საფუძველზე შეთხზა მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლი, რომლითაც გაგვაცნო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პირველი ეტაპის გამოჩენილი მოღვაწეები და იმ დროის კულტურული ვითარება. დიდად ფასეულია მისი ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ.

„გრიგოლ ხანძელის ცხოვრება“ დიდმნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა; ძეგლი საქართველოს ისტორიის მრავალი საცილობელი საკითხის გადასაჭრელად მის ჩვენებას გადაამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარი ისაა, რომ „გრიგოლ ხანძელის ცხოვრება“ დიდი მხატვრული ტილოა, ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის შედევრია. მის ავტორს აქვს დახვეწილი მხატვრული გემოვნება, ეპარჩეება ბუნების სურათების ხატვა და მოქმედ პირთა ფსიქოლოგიური განცდების გადმოცემა.

გიორგი მერჩულე ქართული პროზის აღიარებული დიდოსტატაა. მისი ნაწარმოები გამოირჩევა თემატიკური მრავალფეროვნებითა და იდეურ-აზრობრივი სიღრმით, ინტიმურ-ფსიქოლოგიური განცდებისა და ყოფითი რეალიების სრულყოფილი ასახვით. მისთვის დამახასიათებელია ხატოვანი და ძარღვიანი, ზოგჯერ სადა და მარტივი ენა, ბრწყინვალე გამომსახველობითი ხერხები, განცდის სიწრფელე და უშუალობა.

ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზროვნების

ისტორიის თვალსაზრისით გიორგი მერჩულის მსოფლმხედველობა ცხოველ ინტერესს იწვევს. მწერალი ოფიციალური ქრისტიანული იდეოლოგიის მტკიცედ დამცველია, ქადაგებს პატრიოტიზმისა და კაცთმოყვარეობის იდეებს. საყურადღებოა თხზულებაში გადმოცემული ქართველთა ეროვნული მთლიანობის იდეა. გიორგი მერჩულის აზრით, „ქართლი“ მხოლოდ ეთნოგრაფიულ-გეოგრაფიული ერთეული როდია, საქართველოა ყველგან, ხადაც ღვთისმსახურება ქართულ ენაზე სრულდება.

გიორგი მერჩულეს წვლილი შეუტანა ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის განვითარებაშიც.

ხანძთის კულტურულ-ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილმა ზოგიერთმა მოღვაწემ სხვაგანაც გამოიჩინა თავი — სხვა სავანეებში განაგრძო მუშაობა და შესამჩნევად გაამდიდრა ჩვენი საგანძური. მაგალითად, არსენ საფარელმა ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის თხზულებანი დაწერა მცხეთაში, მაკარი ლეთეოელი საბაწმინდაში მონაწილეობდა პირველი (უძველესი) ქართული თარიღიანი ხელნაწერის — 864 წლის მრავალთავის გადაწერაში და სხვ.

მწიგნობრულ-შემოქმედებითი საქმიანობა ხანძთაში შეინიშნება XI—XIII საუკუნეებშიც. დავიმოწმებთ რამდენიმე ფაქტს: მოსე ხანძთელმა გადაწერა „საწელიწდო საწინასწარმეტყველო“ (1085 წ.), გიორგი ხანძთელმა (XI ს.) დაიხსნა ტყვედნავარდნილო სახარება და შესწირა „უდაბნოსა ხანძთისასა“, სტეფანე ხანძთელმა (XII—XIII სს.) გადაწერა დეკემბრის თვენი და ა. შ.

**შატბერდი.** კლარჯეთის სავანეთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შატბერდი (ნ. მარის ვარაუდით, სოფელ ფორთის ეკლესია. პ. ინგოროყვა ამ ნაგებობას ხანძთად მიიჩნევდა). მისი მიწა-წყალი ჯერ კიდევ აშოტ კურაპალატმა შესწირა ხანძთის მონასტერს, ხოლო შემდეგ, 826 წლის ახლოს, ბაგრატ კურაპალატის (826—876) ზეობაში, გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით იქ აშენდა „სიქადულ ყოვლადე მახლობელთა მონასტერთა“ — „დიდებული მონასტერი“ (გიორგი მერჩულე), „დიდი ლავრა“ (გრიგოლ ვაჩეძორელი), „დიდებული ლავრა“ (გიორგი მცირე).

გრიგოლ ხანძთელი — „ხანძთისა და შატბერდის აღმაშენებელი“ — ხშირად იმყოფებოდა შატბერდში, უშურველად ეხმარებოდა და ენერგიულად ხელმძღვანელობდა იქაურ ძმობას, მოუწოდებდა ეროვნულ-სარწმუნოებრივი მთლიანობისაკენ, უღვივებდა ლიტერატურულ ინტერესს.



IX—X საუკუნეებიდან ცნობილია რამდენიმე შატბერდელი მოღვაწე.

პირველად უნდა დავასახელოთ სოფრონ შატბერდელი (IX—X სს.) — „შატბერდისა ეკლესიისა განახლებით აღმშენებელი და უკუნისამდე გვირგვინი მისი“ (გიორგი მერჩულე), ღვაწლმოსილი შემოქმედი, რომელსაც, — გიორგი მერჩულის სიტყვით, — გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერაც კი ხელეწიფებოდა და შეეფერებოდა. მისი თაოსნობითაა დამზადებული სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ხელნაწერი — 897 წლის სახარება — ქართულ თარღიან ოთხთავთა შორის უძველესი და უძვირესი ნუსხა (გადაწერის ადგილის მიხედვით ხელნაწერს შატბერდის ოთხთავი ეწოდა, მაგრამ, რადგან დიდხანს სვანეთში ინახებოდა, სოფელ ადიშში, ამიტომ ადიშის ოთხთავის სახელიც დაუშვებოდა. ამჟამად დაცულია მესტიის მუზეუმში). ამ ხელნაწერს მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ სახარების ქართული ტექსტი თუ მისი თარგმანი ფოტოტიპურად თუ სტამბურად რამდენჯერმე გამოქვეყნდა.

დიდ ინტერესს იწვევს სახარების მეორე შატბერდელი ხელნაწერიც, რომელიც 936 წელს დაამზადა გაბრიელ შატბერდელმა, ხოლო 940 წელს მოხატა „კამარათ მწერალმა“ თევდორემ.

შატბერდელ მოღვაწეთა შორის გამოირჩევა გაწაფული კალიგრაფი იოანე ბერა. რომელმაც 973 წელს გადაწერა და პარხალს შესწირა ოთხთავი (ამიტომაც ეს ხელნაწერი პარხლის ოთხთავის სახელითაცაა ცნობილი. იგი ერთხანს თურქ-ოსმალთა ტყვეობაში იყო და ვახუშტი აბაშიძემ დაიხსნა (XVIII ს.), 1922 წელს კი ბენიერი შემთხვევით გადაურჩა უცხოეთში გატანას).

იოანე ბერას მიერ გადაწერილი ოთხთავი ფრიად მნიშვნელოვანია წინათონური რედაქციის სახარებათა შორის.

იოანე ბერამ — „მწერალმან შატბერდელმან“ 973—976 წლებში შეადგინა მოზრდილი კრებული, რომელიც შატბერდის კრებულის სახელითაა ცნობილი. მასში შესულია არაერთი ორიგინალური თუ თარგმნილი თხზულება. კერძოდ, გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათვის“, ეპიფანე კვიპრელის „თუალთაი“, ბასილ კესარიელის „მხეცთათვის სახისა სიტყუაი“, იპოლიტე რომაელის თხზულებანი („დავითისთვის და გოლიადისთვის განმარტებაი“, „თარგმანებაი ქებაი ქებათაი“ და სხვ.), „თარგმანებაი დავითის ფსალმუნებისაი“ და ა. შ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „მოქცევაი ქართლისაი“ — პირველხარისხოვანი ძეგლი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისა და სარწმუნოებრივი მდგომარეობის

(ადრეული ხანიდან IX საუკუნემდე, ჩათვლით) შესასწავლად. არაა გამორიცხული, რომ ამ დიდებული თბზულების ავტორი უცნობა შატბერდელი მოღვაწე იყოს.

იოანე შატბერდელის მიერ შედგენილი კრებული ნათლად წარმოაჩენს შატბერდელთა მაღალ სულიერ კულტურას, დიდ მეცნიერულ ცოდნას.

შატბერდში XI საუკუნეშიც ბევრი მწიგნობარი მოღვაწეობდა (გიორგი ათონელი, დავით ჭიბისძე, გრიგოლ ვაჩხიძორელი, სტეფანე შატბერდელი და სხვ.).

როდესაც ბაგრატ მეოთხემ (1027—1072) ქართული ეკლესია საქმეთა მოსაგვარებლად გიორგი ათონელი მოიწვია (XI საუკუნის შუა წლებში), მას საცხოვრებლად ჭერ ნეძვი მიუჩინა (ქართლში), შემდეგ შატბერდი — „დიდებული ლავრაი კლარჯეთს შინა“. მართალია, არაა ცნობილი, რა სახის საქმიანობას ეწეოდა საპატიო სტუმარი შატბერდში, მაგრამ, საფიქრებელია, სასიქადულო შემოქმედი არც იქ იქნებოდა გულხელდაკრეფილი. რასაკვირველია, არც ისაა ინტერესს მოკლებული, რომ ათონელ მოღვაწეს საცხოვრებლად შეურჩიეს შატბერდი, რომელიც ჭერ კიდევ „დიდებულ ლავრად“ იწოდებოდა.

XI საუკუნეშივე გრიგოლ ვაჩხიძორელმა „დადსა ლავრასა შატბერდს“ გადაწერა ბასილ დიდისა და გრიგოლ ნოსელის თბზულებათა თარგმანების შემკველი ნუსხა.

ორიოდე ზიტყვა სტეფანე შატბერდელზე. ათონის ქართველთა მონასტრის მოღვაწეებმა გიორგი ათონელის მიერ თარგმნილი სახარების ავტოგრაფი დიდ წიგნსაცავში შეინახეს და მას აღარც კი ეკარებოდნენ. მის ნაცვლად ეკლესიაში ჰქონდათ მისი პირი — „საეკლესიო სახარებაი“, რომელსაც იყენებდნენ დედნად ახალი ნუსხებისათვის. ვინმე ზეპარია ბერმა მოახერხა გიორგისეული ტექსტის წიგნსაცავში შენახული ავტოგრაფიდან გადმოწერა. მისი ხელნაწერიდან კი პირი დაამზადა სტეფანე შატბერდელმა. სწორედ სტეფანეს ხელნაწერიდან მომდინარეობს ვანის სახარება, როგორც ამას მისი გადამწერი იოანე რომანაელი გვაუწყებს.

შატბერდიდან, — გარდა დასახელებულისა, — უნდა იყოს ზოგაერთი სხვა ხელნაწერიც. სახელდობრ, ქსნის ოთხთავი, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნებითა და ტექსტობრივ-ენობრივი კვლევის მიხედვით IX—X საუკუნეთა მიჯნას უნდა ეკუთვნოდეს, ვრცელი ჰომილეტიკური კრებული — უდაბნოს მრავალთავი (X ს.), მოსე ხანძთელის მიერ „დიდებულისა ლავრისა შატბერდისათვის“ 1095 წელს გადაწერილი „საწელიწდო საწინასწარმეტყველო“,

XII—XIII საუკუნეებში გიორგი მროველის ბრძანებით „ლაგრასა დიდსა შატბერდსა“ გადაწერილი კრებული და ა. შ. საგულისხმოა, რომ 826 წლის ახლოს დაარსებული ქართული სავანე — ეროვნული სულიერი კულტურის მძლავრი კერა — XII—XIII საუკუნეებშიც „დიდ ლავრად“ იხსენიებოდა!

**პარეხი** — გამოქვაბულთა კომპლექსი მდინარე კარჩხალის ხეობაში. სავანე დააარსა მიქაელ პარეხელმა (IX ს.), რომელსაც გარს ეხვია თანამოღვაწეთა დასი. ადრე ძველ ქართველ მოწესეთა საიმედო საფარი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში დაინგრა, გაუკაცრიელდა და დავიწყებას მიეცა. ნ. მარმა დიდი ძიების შედეგად დაადგინა მისი ადგილმდებარეობა, გამოავლინა ეკლესიებისა და სატრაპეზოს — სემინარია-სასწავლებლის ნანგრევები, აგრეთვე საცხოვრებელი გამოქვაბულები.

პარეხში აღჩევევ გაჩაღებულა ლიტერატურული საქმიანობა. იქაურ მოღვაწეებს აღუწერიათ სავანის დამაარსებლის თავგადასავალი. „მიქაელ პარეხელის ცხოვრება“, რომელსაც, სამწუხაროდ, არ მოუღწევია, IX საუკუნის ძეგლი იქნებოდა. იგი უთუოდ შეიცავდა ცნობებს სამცხისა და კლარჯეთის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და საეკლესიო-სარწმუნოებრივი ცხოვრების შესახებ.

პარეხში მოღვაწეობდა თავის დროზე საკმად აღიარებულ მწერალი ილარიონი (IX—X სს.), რომელიც, გიორგი მერჩულის სიტყვით, ისეთი სახელით სარგებლობდა, რომ მისგან გრიგოლ ხანძთელის თავგადასავლის აღწერასაც კი მოელოდნენ.

თავისთავად საგულისხმო ფაქტია: პარეხიდან ვიცნობთ მწერალს, რომლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას არ მოუღწევია; გვაქვს ცნობა იქ შეთხზულ ძეგლზე, რომელიც არ შემონახულა. რომ არა შემთხვევით გადარჩენილი ორიოდვე ცნობა, არავითარ წარმოდგენა არ გვაქნებოდა კლარჯეთის ამ ძველ სამწერლობო კერაზე.

**ბერთა** — მონასტერი მდინარე კარჩხალის ხეობაში, მალაღმთაზე. იქ ბერმონაზვნური ცხოვრების გაჩაღება IX საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. მომდევნო ხანაში იგი გაძლიერდა და ქართული მწერლობის კერად იქცა.

განთქმულია ბერთის ოთხთავები: 1. მეათე საუკუნის მეორე ნახევარში გადაწერილი, რომელიც 1830 წელს წაიღეს ამერიკელმა მისიონერებმა და დღესაც ოკეანის გაღმავ; 2. ბეშქენ ოპიზ-

რის მიერ დამზადებულ ოქროქედურ ყდაში ჩასმული (XII ს.).

ცნობილია იქაური მოღვაწე, „ბერთას აღზრდილი“ ზეკეპე (X ს.), რომელიც ოლიმპზე ამრავლებდა ხელნაწერებს.

ბერთაში ლიტერატურული კერის არსებობას ადასტურებს მონუმენტური ნაგებობის — სემინარია-სასწავლებლის შენობის ნაშთიც.

თურქ-ოსმალთა მიერ კლარჯეთის ხელში ჩაგდების შემდეგ ბერთის მონასტერი ერთხანს შესამჩნევ როლს ასრულებდა ისლამის გამავრცელებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად ადგილობრივ ქრისტიანთა დარაზმვაში. შემდგომ ხანაში იგი გაძარცვეს და მეჩეთად გადააკეთეს, თუმცა, მისი გავლენა იქაურ ქართველებზე მაინც კარგა ხანს შეინიშნებოდა. ფრანგი მეცნიერების ნიკოლ და ეან-მიშელ ტიერების ცნობით, ბერთის ტაძარი ამჟამად აღარ არსებობს.

მიძნაძორი — მონასტერი მდინარე კარჩხალის ხეობაში. დაარსდა IX საუკუნის პირველ ნახევარში. ადრე საკმაოდ დიდი ყოფილა; ეკლესიასთან იყო მრავალი ნაგებობა, რომელთა ნანგრევებს ჩვენი საუკუნის დამდეგს, როდესაც იქ გახლდათ ნ. მარი, დიდი ფართობი ეჭირათ. ძველ ქართველთა სამოღვაწეო ადგილი, — გაძარცვული და გაპარტახებული, — სიბრალულის გრძნობას იწვევდა.

მიძნაძორში მოღვაწეობდნენ მიქაელ პარეხელი (IX ს.), კვირიკე მიძნაძორელი (X ს.), ზოსიძე მიძნაძორელი (XVI ს.) და სხვა ქართველი მწიგნობრები.

წყაროსთავი. ძველ საქართველოში ცნობილი იყო წყაროსთავის ორი დიდი ტაძარი; ერთი ჯავახეთში, კარწახის ტბასთან (იქაური საკათედრო ტაძარი მწიგნობრობის თვალსაზრისით ინტერესს არ იწვევს. ყოველ შემთხვევაში, იქაურ მასალას არ ვიცნობთ), მეორე კლარჯეთში, მდინარე კარჩხალის მარცხენა მხარეს. ნ. მარი იყო პირველი მეცნიერი, ვინც ნახა იქაური ნანგრევები, იგი მიიჩნია საგანმანათლებლო კერად, იქაც შენიშნა სემინარია-სასწავლებლის დარბაზი.

წყაროსთავის მონასტერი IX საუკუნის პირველ ნახევარში დაარსდა: იქაურ მოღვაწეთაგან ვიცნობთ ექვთიმე გრძელს, გიორგი-პროხორე შავშელს, ეგნატი ხუცესმონაზონს, საბა მწერალსა და სხვ.

ექვთიმე გრძელი განსწავლული პოლემისტი იყო, მონაწილე-

ობდა ქართველ-სომეხთა საეკლესიო-სარწმუნოებრივ პაექრობაში (ღრტილა, 1046 წ.); გიორგი-პროხოზე შავშელი იქ აღიზარდა, იქ გაიცნო და შეიყვარა სამონასტრო ცხოვრება, ხოლო შემდეგ საფუძველი ჩაუყარა ჯვრის სავანეს იერუსალიმის ახლოს; ეგნატი ხუცესმონაზონი (XI ს.) ძველი ხელნაწერების გამრავლებაზე ზრუნავდა, საბა მწერალი (XIII ს.) ხელნაწერებსაც ამრავლებდა და იამბიკოებსაც თხზავდა და ა. შ.

წყაროსთავიდან მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერი. მაგალითად, სახარება, რომელიც იოანე ფუკარალისძესა და გიორგი სეთაისძეს გადაუნუსხავთ 1195 წელს (მოუქედავს იგი ბექა ოპიზარს).

წყაროსთავიდანვეა მეორე სახარებაც, რომელიც სოფრონ მწიგნობარს მოუგია 1193—1207 წლებში. მისი ყდაც ბექა ოპიზარს მოუქედავს. სამწუხაროდ, ეს ყდა კარგა ხანია დაკარგულია.

**ანჩი** — კლარჯეთის უძველესი საეპისკოპოსო კათედრალი და მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა (იქ კათედრალის დაარსებას VI—VII საუკუნეებით ათარიღებენ).

კლარჯეთის ისტორიული მოვლენების მსვლელობაში ანჩი აქტიურ როლს ასრულებდა. მისი ძლიერება და ავტორიტეტი ხელს უწყობდა კლარჯეთის ქრისტიანული სავანეების განმტკიცებასა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღმდგენ მამულიშვილთა საქმიანობას, ხალხს ამხნევებდა და რაზმავდა მოძალბებული მამპადიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ანჩელ მოღვაწეებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ კლარჯეთის სხვა სავანეების მწიგნობრებთან. ამან კი მათაც გაუღვივა ლიტერატურული ინტერესი, ზოგმა მოკრძალებული წვლილიც შეიტანა ქართული მწერლობის საგანძურში. ასეთ მოღვაწეთაგან შეგვიძლია დავასახელოთ ეზრა ანჩელი (X ს.), რომელსაც დაუწერია ექვთიმე პალესტინელის საგალობელი, და განსაკუთრებით იოანე ანჩელი (XII—XIII სს.), რომელსაც ეკუთვნის პატრიოტული გრძნობით გამთბარი „გალობანი ანჩის ხატისანი“. აქვე დავტყნთ, იოანემ, თამარ მეფის ბრძანებით, ანჩის ხატი ბექა ოპიზარს მოაქედვინა.

ბექას მიერ მოქედილი ხატი — ქართული ოქრომქანდაკებლობის შედეგრი. — კლარჯეთში მამპადიან დამპყრობთა დაშვედრების შემდეგ, 1664 წელს, თბილისში ჩამოიტანეს და ერთ-ერთ ეკლესიაში — „სამატრიარქოს საკათედრო ეკლესიაჲა ღვთისმშობლისასა“ — დაასვენეს. ამის შემდეგ ამ ტაძარს, — VI საუკუნის

ქართული ხუროთმოძღვრების დიდებულ ძეგლს, რომელიც დაჩუქარმელის მეფობაში უნდა იყოს აგებული, — ანჩისხატის ტაძარი, ანჩისხატი ეწოდა.

იოანე ანჩელის მიერ ხოტბაშესხმული და ბექა ოპიზარის მიერ მოკედლილი ხატი ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

## ბაჩ

იშხანო. ოლთისისწყლის მარჯვენა ნაპირზე, მაღალ ტაფობზე აღმართულია იშხნის „ეკლესია გუმბათიანი, დიდშუენიერად ნაგები“ (ვახუშტი). საუბისკომოსო კათედრალი იქ ადრევე არსებობდა (VII ს.), ტაძარი „მეორედ აღაშენა“ 826 წლის ახლოს გრიგოლ ხანძთელის დეიდაშვილმა და თანამოღვაწემ საბა იშხნელმა. შემდეგ იგი რამდენჯერმე გადააკეთეს. ადგილობრივ მკვიდრთა შორის უკანასკნელ ხანამდე გავრცელებული იყო ასეთი გამონათქვამი: „განთქმულია სილამაზე ოშკისა, ადგილმდებარეობა ხახულისა და მხატვრობა იშხნისაო“. ძველი მხატვრობა ახლა თითქმის მთლიანად წარხოცილია, აქა-იქ შემორჩენილია ორიოდ ფრესკა.

იქაურ მოღვაწეთაგან ცნობილია საბა იშხნელი (VIII—IX სს.), ვისაც კათედრალის აღდგენასთან ერთად მიეწერება იპოლიტე რომაელის თხზულებათა თარგმნა, ილარიონ იშხნელი (X—XI სს.), ვისი თაოსნობითაც დამზადდა ასკეტიკური ძეგლების კრებული, მესტიის სახარება (1033 წ.) და სხვა წიგნები, ამბერკი იშხნელი (XVI ს.), რომელმაც განაახლებინა და გააცხოველებინა 1233 წლის ძვირფასი კრებული და ა. შ.

იშხანში ლიტერატურული საქმიანობის გაშლას და ხელნაწერთა სიპრავლეს ადასტურებს ზოგიერთი ნუსხის მინაწერიც. მაგალითად, შატბერდის კრებულის მინაწერი („ესე კაცისა შესაქმეი დაიწერა დედითა იშხნისაითა“), პარხლის მრავალთავის გადამწერის ცნობა („ესე მამათა ცხორებაი, რომელი პარხალს არა ეწერა, იშხნით მოვიღე და მით გავასრულე“) და სხვ. მ. ბროსეს უნახავს 1034 წელს იშხანში გადაწერილი ეტრატის სახარების ნაწყვეტები. ი. ჯავახიშვილი „დავითისა და ტირიქანის წამებას“ იშხანს უკავშირებდა.

ოშკო. თორთუპის ციხის ახლოს, თორთუპის ტბაში ჩამდინარე თორთუპისწყლის შესართავთან, მაღალ მთაზე, სოფელ ოშკში

შემონახულია დიდი ტაძარი (X ს.), რომელიც გაოცებას იწვევს გრანდიოზულობით, სილამაზით, სამკაულებით, ჰარმონიული სტილით. მოცულობით მას ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი და ალავერდის კათედრალი თუ შეედრებიან.

ოშკი თავის დროზე მწიგნობრობის აღიარებული კერა იყო. მონასტრის ტერიტორიაზე შემორჩენილია ნანგრევები დიდი ნაგებობისა, რომელიც სემინარია-სასწავლებლის შენობა უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, იქ ეწეოდნენ ნაყოფიერ ორიგინალურ-შემოქმედებით მუშაობას ოშკელი მწიგნობრები, იქ იწერებოდა და ითარგმნებოდა თხზულებანი, იქ მზადდებოდა ხელნაწერები.

უკვე X საუკუნეში მოღვაწეობდა იქ გრიგოლ ოშკელი, რომელიც ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. კერძოდ, მან თარგმნა გრიგოლ ღვთისმეტყველის „საკითხავი სამხილებელი არიანოსთა და ევრომიანოსთა ბოროტად უწყაოებისაი“ და, საფიქრებელია, მისივე „ქებაი და შესხმაი ნეტარისა კესარიოს ძმისა თვისისაი“.

იმავე საუკუნეში ოშკში მოღვაწეობდნენ სხვა მწიგნობრებიც. სახელდობრ, სტეფანოზ ოშკელი, რომელმაც „დიდებულსა ლავრას ოშკს“ გადაწერა „სამოთხე“ — იოანე ოქროპირის, ეფრემ ასურისა და სხვათა სწავლათა თარგმანების შემცველი კრებული (ეს ხელნაწერი მან 977 წელს დაამზადა ცნობილი ათონელი მოღვაწეების იოანე-თორნიკესა და იოანე-ვარაზეაჩეს დავალებით); იოანე ჩირა, რომელმაც იმავე ათონელი მოღვაწეების დაკვეთით X საუკუნის 70-იან წლებში გადაწერა „იოანე ოქროპირის ცხოვრება“ და კოზმან-ვესტიტორის „აღმოყვანებისათვის ნაწილთა წმიდისა იოანე ოქროპირისათა კომანით ქალაქად სამეუფოდ კოსტანტინეპოლედ“.

ოშკის ლავრაში გადაწერილ წიგნთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ბიბლიის ხელნაწერი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ოშკის ან ათონის ბიბლიის სახელითაა ცნობილი (ეს უკანასკნელი სახელი მას ეწოდა ახლანდელი ადგილსამყოფელის მიხედვით). იგი „ლავრასა შინა დიდსა ოშკს“ დაუმზადებიათ 978 წელს მიქაელ ვარაზეაჩეს ძეს, სტეფანე მწერალსა და გიორგი გელასის ძეს იოანე-თორნიკეს, — გამოჩენილი სარდლისა და მოღვაწის, — დავალებით.

ოშკის ბიბლია უძველესი თარიღიანი ნუსხაა ბიბლიის ქართული თარგმანის შემცველ ხელნაწერთა შორის და ძველი აღთქმის წიგნების თარგმნისა და რედაქციის საკითხების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ზემოხსენებული მიქაელ ვარაზ-ვაჩეს ძე არის ცნობილი ჰიმნოგრაფი მიქაელ მოღრეკილი, რომელ-მაც 978—988 წლებში შეადგინა ვეებერთელა ჰიმნოგრაფიული კრებული და მასში შეიტანა როგორც თავისი ორიგინალური ჰიმ-ნები, ისე ბევრი ქართველი ჰიმნოგრაფის (იოანე მტბევიარის, იოანე მინჩხის, ეზრასა და სხვ.) პოეტური ქმნილებანი (ზოგ მკვლევარს მიქაელ მოღრეკილი შატბერდელ მოღვაწედ მიაჩნია). ძველი ქართული სასულიერო პოეზიიდან მხოლოდ ამ კრებულს რომ მოეღწია, ჩვენ მაინც გარკვეული წარმოდგენა გვექნებოდა ქარ-თული ჰიმნოგრაფიის სიღრმესა და მრავალფეროვნებაზე.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ოშკში გრძელდებოდა XI საუკუნეშიც (ეფრემ დიდი ოშკელი, შემდგომ შავი მთის მო-ღვაწე; გაბრიელ ოშკელი, რომელმაც 1033 წელს გადაწერა მეს-ტიის სახარება და სხვ.).

ხახული. თორთუმისწყლის მარცხენა შენაკადის, ხახულისწყ-ლის პირას, სოფელ ხახულში, „შუენიერს, კარგს ადგილს“ დგას „დიდი, გუმბათიანი, დიდშუენიერად გებული“ (ვახუშტი) ტაძა-რი, „დიდი ლავრა“, როგორც მას ძველად უწოდებდნენ. მისი აგე-ბა მიეწერება დავით კურაპალატს (გარდ. 1001 წ.).

თურქ-ოსმალთა ბატონობის ხანაში მონასტერი დასუსტდა და დაეცა. დიდი ეკლესია — ცენტრალურ-გუმბათიანი ტაძრისა და სამნავიანი ბაზილიკის სინთეზი — მეჩეთად გადააკეთეს. გაშაპა-დიანებული ქართველების ზრუნვის შედეგად ძველმა ნაგებობამ, შედარებით, უკეთ მოაღწია უკანასკნელ ხანამდე.

ხახულის სავანეში X—XI საუკუნეებში საკმაოდ ჩქეფდა ლი-ტერატურული ცხოვრება. იქაურ მოღვაწეთაგან ცნობილია იოანე ხახულელი, ბასილ ბაგრატიის ძე, დავით თბილელი და სხვ. იქაურ ტრადიციებზე აღიზარდა გიორგი ათონელი.

იოანე ხახულელის (X—XI სს.) თაოსნობით გადაიწერა რამ-დენიმე წიგნი; ბასილ ბაგრატიის ძე (XI ს.) განსწავლული იყო ფილოსოფიაში, მონაწილეობდა ეროვნული ჰიმნოგრაფიის განვი-თარებაში (მან სხვადასხვა სალექსო ფორმის გამოყენებით შეთხზა ექვთიმე ათონელის საგალობლები); დავით თბილელმა (XI ს.) გა-დაწერა იოანე ოქროპირის თარგმანება იოანეს თავისა (მასთან ერთად იღვწოდნენ გიორგი კახი, სტეფანე გრძელი, საბა დაყუ-დებული და სხვ.); იქაური მწიგნობარია გრიგოლ ხახულელი, რომ-ლის სახელი ათონური თვენის ხელნაწერმა (X—XI სს.) შემოგვი-წახა; გიორგი ათონელი ხახულს მიიყვანეს 1019 წელს, როდესაც



იქ რამდენიმე მწერალი მოღვაწეობდა. პატარა გიორგი აღსაზრდელად შიამბარეს ილარიონ თუალელს, რომელიც „ვითარცა მთავები ბრწყინვიდა კრებულსა შორის მამათასა“. იქ ცხოვრობდა იგი 1019—1022 და 1034—1036 წლებში. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მომავალი დიდი მწერლის სულიერ ფორმირებაში, მშობლიური კულტურისადმი ინტერესის აღძვრასა და სიყვარულია გაღვივებაში ხახულის მწიგნობართა წრემ გარკვეული როლი შეასრულა.

ხახულის მონასტრის ბიბლიოთეკიდან მოღწეულ წიგნებს უკანასკნელ წლებში მიემატა კიდევ ერთი ხელნაწერი — გ. პატარიას მიერ დიარბეჩიიდან (თურქეთი) ჩამოტანილი სვინაქსარი, რომელიც 1210 წელსაა გადაწერილი ზაქარია ფანასკერტელის შეკვეთით.

**პარბალი** — მონასტერი მდინარე პარხლის ხეობაში, ლაზისტანის ანუ პონტოს მთაგრებილის აღმოსავლეთ კალთაზე. დაუარსებია დავით კურაპალატს X საუკუნეში. მამადიანთა მომძლავრების შემდეგ ბაზილიკური ნაგებობა მეჩეთად გადაუკეთებიათ.

პარხლის მოღვაწეთა შორის განსაკუთრებით ნაყოფიერი მწიგნობარი ყოფილა გაბრიელ პატარა (X—XI სს.), რომელსაც გადაუნუსხავს რამდენიმე წიგნი. სახელდობრ, პარხლის ოთხთავი — ნუსხურ ოთხთავთა შორის ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერი, მამათა სიტყვები და საკითხავები და პარხლის მრავალთავი, რომელიც შეიცავს იოანე ოქროპირის, გრიგოლ ნოსელისა და სხვათა საკითხავებს, იოანე ბოლნელის ქადაგებებს, შუშანიკისა და აბოთბილელის „წამებათა“ ტექსტებსა და სხვა ძეგლებს. ამ ვეებერთელა კრებულის დამზადებისას გაბრიელი თავდაპირველად მხოლოდ დედათა ცხოვრების ამსახველი ძეგლების გადაწერას აპირებდა, შემდეგ გეგმა განავრცო და სამუშაო გაზარდა: „მამათა ცხორება, რომელი პარხალს არა ეწერა, იშხნით მოიღო და მით გაასრულა“.

პარხლის მრავალთავი გაფართოებული შინაარსისა და დიდი მოცულობის გამო მრავალთავის თავისებური ტიპია, რომლის შექმნა-ჩამოყალიბება ტაო-კლარჯეთის ლიტერატურულ სკოლას უკავშირდება. მრავალთავის ასეთი რედაქციის შემუშავებაში გაბრიელ პარხლელის წვლილი ერთობ საპატიოა.

**ბანა** — „ეკლესია გუმბათიანი, დიდი, შუენიერად ნაგები, კეთილშუენიერს ადგილს“ (ვახუშტი), ოლთისისწყლის მარჯვენა

მხარეს (გ. ჩუბინაშვილის აზრით, აშენებულია VII საუკუნეში, რესტავრირებულია IX—X საუკუნეთა მიჯნაზე); მალე იქცა არა მხოლოდ საეკლესიო-სარწმუნოებრივ, არამედ სახელმწიფოებრივ ცენტრად, ზოგჯერ ქართველ მეფეთა სამყოფადაც. ძველი შენობა ბევრჯერ გადაკეთდა, სამხედრო ნაგებობადაც იქცა, დაინგრა კიდეც, მაგრამ მნახველზე მაინც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. აკი ამიტომაც წერდა ერთი უცხოელი, ბანის კათედრალი, — კონსტანტინოპოლის გამოკლებით, — მთელ აღმოსავლეთში უღამაზესი და უმშვენიერესი ტაძარიაო.

ბანაში გაჩაღებული ლიტერატურული საქმიანობის შესახებ ცნობები ნაკლებადაა მოღწეული. ჩანს, უამთა სიანემ ტაოს მწიგნობრული კერების მემკვიდრეობა სხვაზე აღრე შემუსრა და გაანადგურა. მოუხედავად ამისა, ჩვენს ხელთ არსებული ორიოდ ცნობითაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბანაში დამკვიდრებულ ქართველები მეზობელი კერების ბინადრებს არ ჩამორჩებოდნენ. ნათქვამის საილუსტრაციოდ საქმარისია: მოვიგონოთ ზაქარია ბანელის (XI ს.) თაოსნობით დამზადებული ხელნაწერები (იხ. კონსტანტინოპოლი).

## შ ა კ მ ე თ ი

ტბეთი — შავშეთის უმთავრესი სამწერლობო კერა. შძლავრი კათედრალი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე დიდ როლს ასრულებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ტბეთის დიდებული ტაძარი, ქართული ხუროთმოძღვრების ეს შესანიშნავი ძეგლი, ერისთავთელისთავმა აშოტ კუხმა ააგო X საუკუნის დასაწყისში.

ტბეთის ლიტერატურული კერის პირველი წარმომადგენელია კათედრალის პირველივე მღვდელმთავარი სტეფანე მტბევარი, IX—X საუკუნეთა მიჯნის მწერალი, რომელიც თავის დროზე დიდი სახელითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. 914—919 წლებში მან დაწერა ჰაგიოგრაფიული თხზულება „წამებაი წმიდისა მოწამისა გობრონისი, რომელი განიყვანეს ყველის ციხით“; რომელშიც აღწერა ქართველ მამულიშვილთა ვაჟკაცური თავგანწირვა სამშობლოსათვის, ქართველი მეომრის გობრონის მოწამებრივი თავგადასავალი.

X საუკუნეში ტბეთში მოღვაწეობდა ჰიმნოგრაფი იოანე მტბევარი. მისი ჰიმნები გვხვდება მიქაელ მოდრეკილის კრებულში,

რაც საფიქრებელს ხდის, რომ 978—988 წლებში, როდესაც შიქაველი ქართული სასულიერო პოეზიის ძვირფას ქმნილებებს კრებდა, იოანე მტბევარი უკვე აღიარებული ჰქონდა იყო.

იოანე მტბევარი ზრუნავდა ქართულ ხელნაწერთა გამრავლებაზეც. მის სახელთანაა დაკავშირებული ტბეთის სახარების (995 წ.) დამზადება, სვანური მრავალთავის შედგენა და ა. შ.

X საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა დავით ტბელი ან მტბევარი, რომელმაც ბერძნულიდან თარგმნა „მართას ცხოვრება“, „ბარლაამის ცხოვრება“, „გრიგოლ ეპისკოპოსის ცხოვრება“ და სხვა წიგნები.

მომდევნო ხანიდან შეგვიძლია დავასახელოთ აკვილა მტბევარი, რომელმაც 1002 წელს გადაწერა „წმინდანთა ცხოვრება“, პავლე მტბევარი (XII ს.), რომელმაც იოანე ფუქარალისძეს გადააწერინა ოთხთავი, იოანე მტბევარ-საფარელი (XII ს.), რომელმაც დაამზადებინა წყაროსთავის ოთხთავი და სხვ. ზოგიერთი მკვლევარი ტბეთს უკავშირებს ცნობილი მწერლისა და მეცნიერის აბუსერისძე ტბელის (დაახლ. 1190—1240) საქმიანობას.

დასასრულ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მოღწეულია „ტბეთის სულთა მათიანის“ ტექსტი (XII—XVI სს.), რომელშიც უხვადაა ენობები აჭარა-შავშეთის ისტორია-გეოგრაფიაზე.

ჩვენ დავამთავრეთ ტაო-კლარჯეთის (კონკრეტულად, ტაოს, კლარჯეთის, შავშეთის) სავანეებზე საუბარი. აქ დამოწმებული მცირე ცნობებიდანაც ჩანს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კერებს შორის გარკვეული კავშირურობა არსებობდა. სხვადასხვა სავანის მოღვაწენი ხშირად ეხმარებოდნენ ერთმანეთს. თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან და ა. შ. მაგალითად, როგორც აღვნიშნეთ, იოანე ბერამ 973 წელს შატბერდში გადაწერა და პარხალს შესწირა ოთხთავი; მოსე ხანძთელმა 1085 წელს ეგნატი წყაროსთაველის დავალებით შატბერდისათვის გადაწერა „საწე-ლიწლო საწინასწარმეტყველო“; შატბერდის კრებულის ერთი ნაწილი „დაიწერა დედითა იშხნისაითა“; პარხლის მრავალთავის გადამწერი სარგებლობდა პარხლური დედნით, მაგრამ, რადგან ის ნაკლები იყო, „იშხნით მოიღო და მით გაასრულა“ (მსგავსი მაგალითების მოხმობა მრავლად შეიძლება). საგულისხმოა, რომ იქაურ მოღვაწეებს შორეულ კერებთანაც კი ჰქონდათ კონტაქტი. მაგალითად, სახელგანთქმული ოშკის ბიბლია (978 წ.) ოშკელმა წიგნობ-რებმა (მიქაელ ვარახუაჩეს ძემ, სტეფანე მწერალმა, გიორგი გელასის ძემ) ათონელი მოღვაწის იოანე-თორნიკეს დაკვეთით და-

ამზადეს. ამ უკანასკნელისა და იოანე-ვარაზეაჩეს დაკვეთით სტეფანე ოშკელმა 977 წელს გადაწერა „სამოთხე“. მათივე დაკვეთით ნუსხებს ამზადებდა იოანე ჩირაჯ.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურულ-ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილი ბევრი მწიგნობარი შემდეგ სხვაგანაც ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. მაგალითად, მაკარი ლეთეთელი (IX ს.) მოღვაწეობდა საბას ლავრაში, იოანე ხახულელი (X—XI სს.) — ათონზე, ზეკეპე ბერთელი (X ს.) — ოლიმპზე, კვირიკე მიძნადორელი (X ს.) — სინის მთაზე, ეფრემ დიდი ოშკელი (XI ს.) და ანტონ ტბელი (XI ს.) — შავ მთაზე, გიორგი-პროხოროე წყაროსთაველი (XI ს.) — იფრუსალიმში, ზაქარია ბანელი (XI ს.) — კონსტანტინოპოლში და სხვ.

მას შემდეგ, რაც ტაო-კლარჯეთის კერების მნიშვნელობა დაეცა (თურქ-სელჩუკთა მოძალებისა და იმ მხარის საომარ ასპარეზად ქცევის შედეგად) ბევრი იქაური მოღვაწე უცხოეთში გაიხიზნა. იქაურ ხელნაწერთაგან ბევრი დაიკარგა, ზოგი კი სხვა კუთხეში გადაიტანეს. სხვათა შორის, ამ ხელნაწერთა ნაწილი ახლაც გაფანტულია. მაგალითად, ბერთის ოთხთავი (X ს.) ამეროკაშია, ტბეთის ოთხთავი (995 წ.) — სანქტ-პეტერბურგში, ოპიზის სახარება (1913 წ.) — ათონზე და ა. შ.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, ტაო-კლარჯეთის კერებისა და იქ გაჩაღებული კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის შესახებ XIII საუკუნიდან ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით. მართალია, აქა-იქ, ამა თუ იმ კერაში შემდეგაც გრძელდებოდა მუშაობა, მაგრამ, რასაკვირველია, არა ადრინდელი ძალითა და მასშტაბით, თურქ-ოსმალთა მომძლავრებამ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოდან ჩამოშორებამ (XVI ს.) ჩაკლა იმ ლიტერატურული ცხოვრება და შეწყვიტა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა.

მიუხედავად გვიან ხანაში დაცემა-განადგურებისა, „ტაო-კლარჯეთის მონასტრებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენი მწერლობის ისტორიაში; იქ დღვლდა ლიტერატურული შემოქმედება. ასე რომ, უდიდესი ნაწილი იმ საგანძურისა, რაც ჩვენ მოგვეპოვება მეცხრე-მეათე საუკუნეებიდან, შექმნილია იმ მონასტრებში. იქ ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის საგანგებო სალიტერატურო სკოლა, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, რომელმაც შეიმუშავა თავისი საკუთარი გრამატიკა, ენა, ხელი და მიმართულება. ქართველთა შემოქმედებითი ენერგია იმდენად გაიზარდა იმ მონასტრებში, რომ ტაო-კლარჯეთის საზღვრებში ის ვეღარ დაეტიო,

ამიტომ მან გადალახა ეს საზღვრები, გამოვიდა თავისი კალაპოტი-დან და ფართო ნაკადით გადავიდა მცირე აზიის სხვადასხვა პუნქტში და მერე ათონის ნანგევარკუნძულზე, სადაც მან შექმნა ჩვენა მწერლობის ახალი ცენტრი ივერიის მონასტრის სახით. ათონის სამონასტრო და სალატერატურო წრე თავდაპირველად წარმოადგენდა ვეებერთელა ტაო-კლარჯეთის საეკლესიო ხის ერთ შტოს. ივერიის მონასტერი პირველ ხანებში იკვებებოდა ტაო-კლარჯეთი-დან მომდინარე ტრადიციებით“ (ყ. კეკელიძე).

## ს ა მ მ ხ ე

აწყური. სამცხის კულტურულ-ლიტერატურულ კერებს შორის უძველესია აწყური (ბორჯომ-ახალციხის გზაზე, ახალციხიდან 22 კილომეტრის დაშორებით). იქ შემონახულია ნანგრევები ძველი ქართული ციხისა და კათედრალისა (საუკუნეთა მანძილზე ორივე დიდ როლს ასრულებდა არა მხოლოდ სამცხის, არამედ საერთოდ საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურსა თუ საეკლესიო-სარწმუნოებრივ ცხოვრებაში).

აწყური მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი იყო. იქ გადიოდა გზა, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აკავშირებდა ქართლთან. აწყურის ციხე სამშენებლო თვალსაზრისით რთული ნაგებობა იყო. ახლა იგი ნანგრევების სახითაა მოღწეული, მაგრამ მნახველზე მაინც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ნანგრევების სახითაა მოღწეული საეპისკოპოსო ტაძარიც, რომელიც ფართობით ერთ-ერთი უდიდესი იყო საქართველოში. ეკლესია, რომელიც VII საუკუნისა უნდა იყოს, XIII საუკუნეში მიწისძვრამ დააზიანა. თურქ-ოსმალთა ბატონობის ხანაში იგი სულ დაინგრა. რამდენიმე წელია იქ ენერგიულად მუშაობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები, რომელთაც მოაწესრიგეს ნანგრევები, გაწმინდეს ზეღმეტი ქვა-დორღისაგან და მოაშაადეს საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოს ჩასატარებლად.

აწყურში ქართული კულტურის არაერთი მუშაკი მოღვაწეობდა — მეცენატი, კალიგრაფი, ბიბლიოფილი და ა. შ. მაგალითად, ეფრემ მაწყვერელი — გრიგოლ ხანძთელის მოწაფე და თანამოღვაწე, რომელიც წყაროებში ეფრემ დიდის სახელითაც იხსენიება. იგი 40 წლის მანძილზე (დაახლოებით 855—895 წლებში) მღვდელმთავრობდა აწყურში. მისი წყალობით მოიპოვეს ქართ-

ველებმა მირონის ქართლში კურთხევის უფლება, რასაც ქართული ეკლესიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (ამ ფაქტმა ხელი შეუწყო ეროვნული თვითშეგნების გრძნობის გაღვივება-განმტკიცებასაც); გიორგი მაწყვერელი — IX საუკუნის გასულისა და X საუკუნის დამდგის გამოჩენილი მოღვაწე, ენერგიული საეკლესიო მუშაკი და განსწავლული მწიგნობარი, რომელიც დიდი პატივით იხსენიება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. გვიანი ხანიდან შეგვიძლია დავასახელოთ კალიგრაფი გაბრიელი, რომელმაც ლიპარიტ ერისთავთერისთავის დავალებით „დიდებულსა საყდარსა აწყურისასა“ გადაწერა იოანე ოქროპირის თარგმანები იოანეს თავისა (1053 წ.), გრიგოლი, რომელმაც იქვე დაამზადა მარხვანი (1538 წ.), იოაკიმე მაწყვერელი (XVI ს.), რომელმაც სვიმეონ კარგარეთელს გადააწერინა პოლემიკურ-დოგმატიკურ და სამეცნიერო თხზულებათა კრებული, ხელნაწერთა დამზადების ინიციატორი იერემია მაწყვერელი (XVI ს.) და ა. შ.

საფარა. სამხრეთ საქართველოს მნიშვნელოვანი სავანე, საგანმანათლებლო კერა საფარის მონასტერი მდებარეობს ახალციხის რაიონში (რაიონული ცენტრიდან 10—12 კილომეტრის დაშორებით), ურავლის ხეობაში; გაშენებულია მთის ფერდობზე, მისი ეკლესიები თუ სხვა ნაგებობანი განლაგებულია სხვადასხვა სიმაღლეზე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ამ შესანიშნავ ძეგლს მწვანით შემოსილი მიდამო და ლამაზი მთები კიდევ უფრო შიმშიდველს ხდიან. არქიტექტურული ანსამბლის მრავალფეროვნება, დიდებული მხატვრობა, ცნობილ მოღვაწეთა პორტრეტები, ისტორიული წარწერები, სახელოვანი წარსულის მოწმე ნაგებობათა სიპრაველე კიდევ უფრო ზრდიან ინტერესს საფარის სავანისადმი.

წყაროებში საფარა IX საუკუნიდან იხსენიება. შემორჩენილ ნაგებობათა შორის უძველესია მიძინების ეკლესია (X ს.), რომელიც მდიდრული ჩუქურთმებითაა შემკული. მონასტრის მთავარი შენობა, — საბას გუმბათიანი ტაძარი, — XIII საუკუნეში აუგია დახელოვნებულ ხუროთმოძღვარს ფარეზასძეს.

საფარა მძლავრი ციხესიმაგრე იყო, მაგრამ თურქ-ოსმალთა ნოქალების შედეგად XVI საუკუნიდან დაეცა და გაუკაცრიელდა. ამჟამად დაცულია როგორც ისტორიისა და კულტურის ძეგლი. ჟუკანასკნელ წლებში იქ ამოქმედდა სახალხო უნივერსიტეტი, რომელსაც ცნობილი ხელოვნებათმცოდნე ვ. ბერიძე ხელმძღვანელობს. ძველი ქართული სავანე ასე ჩადგა თანამედროვეობის სამსახურში და აქტიურად ჩაება მეცნიერული ცოდნის პროპაგანდაში.

საფარის სამწერლობო კერიდან ცნობილია ჩვენს მიერ რამდენჯერმე მოხსენიებული არსენ საფარელი (IX ს.) — დიდად განათლებული მწერალი, საყურადღებო ორიგინალურ თხზულებათა ავტორი. მისი მემკვიდრეობიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ანტიმონოფიზიტიური ტრაქტატი „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“.

რამდენიმე სიტყვა სხვა მწიგნობრებზეც.

იოანე საფარელმა შორეულ პალესტინაში, პალაქრაში დაამზადა „იოანე ოქროპირის ცხოვრების“. ძვირფასი ნუსხა (968 წ.), რომელიც ერთ-ერთი უძველესია ნუსხურით შესრულებულ ხელნაწერთა შორის; იოანე და გაბრიელ ივანწმინდელ-საფარელნი (XI ს.) შავ მთაზე მოღვაწეობდნენ, კალიპოსის სავანეში. მოღწეულია მათ მიერ დამზადებული და ჭვრის მონასტრისათვის შეწირული წიგნი — გრიგოლ ნაზიანზელისა და გრიგოლ ნოსელიან თხზულებათა თარგმანების შემცველი კრებული, რომელიც ახლარუხეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანქტ-პეტერბურგის განყოფილებაში ინახება; XII საუკუნიდან ცნობილია იოანე მტბევარ-საფარელი, რომელმაც 1195 წელს წყაროსთავის სახარება გადააწერინა, ხოლო შემდეგ ბეჭა ოპიზარს მოაქცედვინა; XVI საუკუნეში საფარაში მოღვაწეობდა კალიგრაფი სვიმეონ კარგარეთელი. შემონახულია მის მიერ გადაწერილი თუ გაცხოველებული არაერთი ხელნაწერი; ხელნაწერთა გამრავლება საფარაში გრძელდებოდა XIX საუკუნეშიც.

ზარზმა. ადიგენის რაიონში, ცენტრიდან რვა კილომეტრის დაშორებით, ქვაბლიანის თვალწარმტაც ხეობაში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ ზარზმაში დაცულია დიდი ეკლესია, თლილი ქვით ნაშენი გუშბათიანი ნაგებობა, რომელიც გარკვევით ჩანს შორ მანძილზე. იგი ძველ ქართულ სამშენებლო ტრადიციათა შემცველია და შესრულების თვალსაზრისით მაღალ დონეზე დგას. სპეციალისტთა დასკვნით, ზარზმა ხუროთმოძღვრულად უფრო მთლიანი ნაწარმოებია, ვიდრე საფარა, ამასთანავე, ის რამდენადმე გვიანაა აგებული (XIII—XIV საუკუნეთა მიჯნაზე).

ზარზმის მონასტერი, — კერძოდ, ანსამბლის სახის შემქმნელა მთავარი ტაძარი და სამრეკლო, — ქვაბლიანის ხეობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობაა. ის ნათლად შეტყვევებს ქართული ხუროთმოძღვრების მაღალ დონეზე, მშენებელთა მხატვრულ გემოვნებასა და ლალ ფანტაზიაზე.

ზარზმაში პირველი ეკლესიის მშენებლობასა (IX ს.) და სამონასტ-

როს ორგანიზაციის პირველ ეტაპს კარგად გვაცნობს იქაური მწიგნობარი, მონასტრის დამაარსებლის სერაპიონ ზარზმელის ძმისწული ბასილ ზარზმელი. თხზულებაში „ცხოვრებაი და მოქალაქობაი ღმერთმემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი“ (X ს.) იგი გვაუწყებს ფაქტებს სამცხის ისტორიიდან, აღწერს ფეოდალურ ცხოვრებას, გლეხთა მდგომარეობას. ბასილ ზარზმელი, როგორც გლეხთა წრიდან გამოსული მწერალი, ყურადღებას ამახვილებს გლეხთა ცხოვრებაზე, არ ჩქმალავს კლასობრივ წინააღმდეგობებს, გვიჩვენებს გლეხთა ბრძოლას სამონასტრო მიწათმფლობელობასთან. განსაკუთრებული გულსყურით აღწერს იგი ზარზმის მონასტრის აღმოცენების ვითარებასა და ისტორიას, ძველ ქართველ მოღვაწეთა საქმიანობას.

ზარზმიდან, გარდა ბასილისა, ცნობილი არიან სხვა მწიგნობრებიც, კერძოდ, გერმანე (გერმანოზ) ზარზმელი; ბენედიქტე ზარზმელი და ა. შ.

ზარზმის მონასტერი XVI საუკუნეში აწყურის ეპარქიას დაექვემდებარა, ხოლო იმავე საუკუნის დასასრულისათვის სულ დატარებულა. ზარზმელებმა, რომელთაც სამცხეში აღარ ედგომებოდათ, გურიას მიაშურეს, თავიანთი ნივთები შემოქმედში გადაიტანეს და საგანგებოდ აშენებულ ეკლესიაში დააწვენეს.

ამჟამად სოფელ ზარზმაში ღებელი რაჭველები სახლობენ და ქართული ხუროთმოძღვრების მშვენიერებას გულსყურით უვლიან. იქ კარგა ხანია ნაყოფიერად მუშაობს სახალხო უნივერსიტეტი ჩვენი მსცოვანი მეცნიერის ს. ჯიქიას ხელმძღვანელობით.

**ახალციხე.** XIII საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს სამეფოს გამოეყო სამხრეთი ნაწილი — სამცხე. 1334 წლიდან იგი ერთხანს შეუერთდა საქართველოს, მაგრამ XV საუკუნეში სამცხის ხელისუფალმა ყვარყვარე მეორემ კვლავ დამოუკიდებელ, საშთაეროდ ჩამოაყალიბა ჯაყელთა სამფლობელო — სამცხე-საათაბაგო. მისი ტერიტორია ბორჯომის ხეობიდან კოროხის ხეობასა და არზრუმის მხარემდე აღწევდა. ჯაყელთა რეზიდენცია ახალციხეში იყო.

სამცხე-საათაბაგოში ქართული მწერლობა მხოლოდ ეკლესიამონასტრებში არ ვითარდებოდა; მის გამდიდრებაზე ზრუნავდნენ არა მხოლოდ სასულიერო მოღვაწენი, არამედ ათაბაგები და მათი ოჯახის წევრებიც. ცნობილია მათი თაოსნობით დამზადებული ხელნაწერები. მაგალითად, ათაბაგ მუშეჟაბუკ ჯაყელის დავალებით მწიგნობარმა ამბროსიმ გადაწერა დავითნი (1494 წ.), ყვარყვარე



მეორის შვალისწილის ქეთონ-ქრისტიანეს დაკვეთით ზებედე ნა-  
უას ძემ (ზოსივე კუმურდოელმა) გადაწერა სასულიერო შინაარსის  
კრებულზე, ყვარყვარე ათაბაგის შეილებმა ბაადურმა და ქაიხოსრომ  
მოახატვინეს შავ მთაზე გადაწერილი სახარება. ცალკე უნდა მო-  
ვიხსენიოთ XV—XVI საუკუნეთა დავითნი, რომელსაც ერთვის  
„სულთა მატთანე“ — ათაბაგთა მოსახსენებელი 1474—1515 წლე-  
ბისა. კარგადაა ცნობილი მესხური დავითნის ქრონიკა, რომლის  
ავტორად, ერთი ნაწილის მაინც, ქაიხოსრო ყვარყვარეს ძეს მიიჩ-  
ნევენ. საფიქრებელია, დასახვლებულმა ხელნაწერებმა ათაბაგთა  
რეზიდენციიდან მოაღწიეს ჩვენამდე.

## ჯ ა მ ხ ი თ ი

ვარძია. ასპინძიდან ოცდაათიოდე კილომეტრის დაშორებით,  
მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მაღალ კლდეში, თითქმის ხუთასი მე-  
ტრის სიგრძეზე გამოკვეთილია ქართული სამშენებლო ხელოვნე-  
ვის უკვდავი ძეგლი — ვარძია, რომლის 800 წლისთავი 1986 წლის  
შემოდგომაზე დიდი ზეიპით აღინიშნა. ძველი ციხე-ქალაქის 600-  
მდე გამოქვაბული თითქმის ცამეტ სართულზეა განლაგებულ,  
შორიდანვე კარგად შეინიშნება, ხოლო მიახლოებისას პარდაპირ  
აჯადოებს მნახველებს.

ვარძია ქართული მატერიალური კულტურის პირველხარისხო-  
ვანი ძეგლია. მაღალ, პირქუშ კლდეში ადამიანის ხელით შექმნილი  
გრანდიოზული ნაგებობა XII საუკუნით თარიღდება. საქართვე-  
ლოს გაძლიერებამ და წინა აზიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფეო-  
დალურ სახელმწიფოდ ქცევამ აუცილებელი გახდა მტკვრის ხე-  
ობის განსაკუთრებული დაცვა და შემომტკიცება. ამ მიზნით გი-  
ორგი მესამე შეუდგა ვარძიის კლდეში გამოკვეთას. საქართველოს  
ძლიერების განმტკიცებაში ვარძიას ხელშემწყობის მისია უნდა  
დაკისრებოდა, აგრეთვე კულტურის კერადაც უნდა ქცეულიყო.  
ამიტომაც აქცევდნენ მას საგანგებო ყურადღებას. გიორგი მესამე-  
მესამე დასცალდა წამოწყებული მშენებლობის დასრულება, მი-  
სი საქმე თამარმა განაგრძო. მან დაამთავრა ვარძიის გამოქვაბულთა  
გამოკვეთა და ტაძრის მშენებლობა (ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე  
შემონახულია გიორგი მესამისა და თამარის პორტრეტები).

ვარძია იმთავითვე მწიგნობრულ-საგანმანათლებლო კერა იყო.  
ერთხანს იქ ზოღვაწეობდა იოანე შავთელი, თამარ მეფის სახელო-  
ვანი თანამედროვე.

იოანე შავთელი ჩვენი კულტურის ისტორიაში უპირატესად ცნობილია როგორც კარის პოეტი, მუსოტბე, მაგრამ, როგორც ჩანს, მას ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარებაშიც შეუტანია წვლილი. კერძოდ, ვარძიაში 'ყოფნისას დაუწერია „გალობანი ვარძიის ღმრთისმშობლისანი“ — სამადლობელი საგალობელი, მიძღვნილი ბასიანის ომში (1203 წ.) ქართველთა გამარჯვებად-ღი.

საყურადღებოა ვარძიის ბიბლიოთეკიდან მოღწეული ოთხთავი (XII—XIII სს.), შესრულებული ორიგინალური თავსამკაულებითა და მინიატურებით. „ოდეს ყუენჴან ჴავახეთი აღაოხრა და ვარძიის საყდარი დაღუწა“, ეს ოთხთავი „დატყუევდა“, მაგრამ ქართველებმა დაახსნეს და კვლავ ვარძიას შესწირეს.

საფიქრებელია, ვარძიის ბინადართა მემკვიდრეობა, იქაური ბიბლიოთეკა მომხდური მტრის შემოსევამ გაანადგურა. ამის შედეგია, რომ ჩვენ მცირე რამ ვიცით ვარძიის, როგორც მწიგნობრობის კერის, შესახებ.

**თმოგვი.** ასპინძის სამხრეთით, 22—23 კილომეტრზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მაღალ კლდოვან მთაზე შემონახულია ძველი ციხე-ქალაქის თმოგვის ნაშთი.

თმოგვი ფეოდალური ხანის საქართველოს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. X საუკუნის დასაწყისში ძლიერ სიმაგრედ ჩანს. კარგა ხანს ეჭირათ მხარგრძელებს — თმოგვი მათ სამემკვიდრეო სამფლობელოდ იქცა. თურქ-ოსმალთა მოძალებამ, აგრეთვე რამდენიმეჯზის მიწისძვრამ, დაანგრია და გააპარტახა.

თმოგვში გაჩაღებულ ლიტერატურულ საქმიანობაზე საუბრისას უნდა გამოვიყოთ ორი მწიგნობარი — სარგის პირველი და სარგის მეორე.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში საკმაოდ ცნობილია XII საუკუნის შოღვაწე სარგის თმოგველი, რომელსაც მიეწერება რუსთაველის ეპოქის შესანიშნავი მხატვრული ქმნილების „ვისრამიანის“ ქართული რედაქციის შექმნა.

სარგის თმოგველის ნაღვაწი არაა ბრმა მიბადვა, სიტყვასიტყვით გადმოღებული ტექსტი, ის საკმაოდ თავისუფალი მხატვრული თარგმანია. როგორც აღვნიშნეთ, სარგისმა თარგმანში შეიტანა რედაქციული ცვლილებები; მან ტექსტს შეუტყალა სახე — შეამოკლა. თუ განავრცო ცალკეული ადგილები, ჩამატა ქართული სინამდვილის დამახასიათებელი მხატვრული სახეები, ყოფა-ცხოვრების ამსახველი ელემენტები, გაამძაფრა პატრიოტული მოტივი. „ვის-

ჩამიანის“ ქართული თარგმანი შესრულებულია დიდი ხელოვნებითა და ბრწყინვალე ოსტატობით.

როდესაც თბილისის ლიტერატურული ცხოვრება მიმოვიხილვით, ღვაწლსა ხელთ სარგის თმოგველი და მის მიერ თარგმნილი „ვისრამიანი“. იქვე აღვნიშნეთ, რომ ძნელია სარგისის გამოთიშვა თბილისის კულტურულ-ლიტერატურული გარემოდან. ამჯერად საკუთრად ჩავთვალეთ სარგისის განმეორებით მოხსენიება, რადგან იგი, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად თბილისში ცხოვრობდა, დროდადრო თმოგვემაც იქნებოდა და ამდენად თმოგვეში მისი მოუხსენებლობა შეუძლებლად მივიჩნეთ. კონკრეტულად თუ სად ეწეოდა იგი შემოქმედებით მუშაობას, თბილისსა თუ თმოგვეში, არ ჩანს. დაახლოებით ასევე გვესახება ჩვენ მეორე სარგისის საკუთრივ.

მეორე სარგის თმოგველი XIII საუკუნის ცნობილი დადებულია — რუსუდან ჰეფნა და დავით ლაშას ძის თანამედროვე, ზემათიანის დახაზიანებით „რიტორი, სწავლული, ფილოსოფოსი და მეცნიერი“. მას წვლილი შეუტანია „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა შექმნაში. რუსთაველის პოემის ერთ-ერთი გაგრძელების, ე. წ. ხვარაზმელთა ამბის პოეტურ ტექსტში, რომელიც შეთხზული უნდა იყოს არა უადრეს XVI საუკუნის პირველი ნახევრისა, მითითებულია, რომ ამ ამბის პროზაული ვერსიის ავტორი სარგის თმოგველია. როგორც ჩანს, მის მიერ პროზაულად შეთხზული ხვარაზმელთა ამბავი საფუძვლად დაედო ამ ამბის პოეტურ რედაქციას.

ვანის ქვაბები. ვარძია-თმოგვის ახლოს, ვარძიიდან სულ 2—3 კილომეტრის დაშორებით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე შემორჩენილია ნანგრევები ვანის ქვაბთა მონასტრისა. ქვაბთა ოდენობა და ნანგრევთა სიწრაველ საფიქრებელს ხდის, რომ იქ ადრე დიდი სავანე არსებობდა.

ვანის ან ვაჰანის, — როგორც მას XIV საუკუნის მეორე ნახევრამდე უწოდებდნენ, — ქვაბთა მონასტრის აღმოცენებაზე ცნობები არ გავაჩნია. არ ვიცი, როდის გაჩაღდა იქ სამონასტრო მშენებლობა, როდის დაედო მას საფუძველი. ხალხური გადმოცემით, მონასტერი იქ ადრევე არსებობდა, მაგრამ XIII საუკუნეში მიწისძვრამ დაანგრია. შემდგომ ხანაში იგი განაგრობდა არსებობას, მაგრამ რამდენჯერმე, აიღო და დაარბია მტერმა. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან მას დაეპატრონენ თურქ-ოსმალნი, რომელთაც იავარყვეს იქაურობა.

მონასტრის გამოქვაბულთა ზედა ნაწილში ჯერის ტიპის პატარა გუმბათიანი ნაგებობაა. მის კედლებზე XV—XVI საუკუნეთა მხედრული წარწერებია, რომელთა მიხედვით ცხადი ხდება, რომ ვანის ქვაბთა მონასტერი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო. ეს წარწერები კარგა ხანია ცნობილია, მაგრამ მათი ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაიწყო (მ. ოხრახი).

ამჟამად წაკითხული და გაშიფრულია 10 ლექსი: 8 მწიგნობრული და 2 ფოლკლორული. ყველა მათგანი შესრულებულია მოწაზონი ქალების მიერ (წარწერებიდან ჩანს, რომ XV—XVI საუკუნეებში იქ დედათა მონასტერი ან დედათა განყოფილება ყოფილა).

ვანის ქვაბთა მონასტრის პატარა ეკლესიის კედლებზე იკითხება „ვეფხისტყაოსნისა“ და „როსტომიანისა“ სტროფები, ქართველი პოეტი ქალების (ანა რჩეულაშვილის, თემიან გოგიშვილისა და სხვათა) ლექსები, ხალხური სიტყვიერების ნიმუშები. წარწერებით ვეცნობით არა მხოლოდ მონასტრის ბინადარი ქალების განწყობილებასა და ლიტერატურულ გემოვნებას, არამედ იმდროინდელი ქართველი საზოგადოებრიობის კულტურულ დონესაც.

ვანის ქვაბთა მონასტერში შემორჩენილი წარწერები მრავალმხრივ საყურადღებოა, მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული მეცნიერებისათვის. მათი შემდგომი შესწავლა უკეთ გაგვაცნობს ქართველ ქალთა ლიტერატურულ მოღვაწეობას, მეტად წარმოაჩენს ვანის ქვაბთა მონასტრის, — როგორც მწიგნობრულ-შემოქმედებითი კერის. — მნიშვნელობას.

**კუმურდო.** ახალქალაქის რაიონში, ცენტრიდან 14 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლი კუმურდოს ტაძარი. ვახუშტის თქმით, „გუმბათიანი, ფრიად დიდშენი, შუენიერად ნაშენი“.

იქ ეკლესია ადრევე ყოფილა, იქაური მღვდელთმთავარი 506 წლის კრებინ ოქმებშიც იხსენიება, მაგრამ კუმურდოს კათედრალის დაწინაურება X საუკუნიდან შეინიშნება. ადრე ჯავახეთის ადმინისტრაციულსა და საეკლესიო ცენტრად ძველი ციხე-ქალაქი წუნდა ითვლებოდა, ხოლო 964 წლიდან ჯავახეთის საეპისკოპოსოს ცენტრად კუმურდო ჩანს. ამ დროისაა დღემდე შემონახული თლილი ქვით ნაშენი ცენტრალურ-გუმბათიანი ტაძარი, რომელიც თვალს იტაცებს ტექნიკური სრულყოფილებით, ჩუქურთმების ნაირგვარობით, წარწერების სიუხვით.

ქამთა სიავემ კუმურდოს ძლიერება დასცა და დაასუსტა, ძველი შენობა დაღუპვის პირას მიიყვანა. მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში ჩატარებულმა სარესტავრაციო სამუშაომ შეუენარჩუნა და გაუხანგრძლივა სიკოცხლე ამ მშვენიერ ნაგებობას.

კუმურდოდან ცნობილია არაერთი მწიგნობარი — იოანე კუმურდოელი (X ს.), ზოსიმე კუმურდოელი (XVI ს.) და სხვ.

სამცხე-ჯავახეთის, — ისე როგორც ტაო-კლარჯეთის, — ქერების მწიგნობრულ საქმიანობაზე გვიანი ხანიდან ჩვენ ბევრი არაფერი ვიცით. როგორც აღვნიშნეთ, თურქ-ოსმალთა მომძლავრებამ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედამამშობლოდან ჩამოშორებამ (XVI ს.) ჩაკლა იქ ლიტერატურული ცხოვრება. სამცხე-ჯავახეთში ასე გაგრძელდა 1828 წლამდე, ეიდრე, რუს-ქართველთა გაერთიანებულმა მხედრობამ ეს მხარე საქართველოს არ შემოუერთა.

დასავლეთი საქართველო. ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურულ მემკვიდრეობა საფიქრებელს ხდის, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა დასავლეთ საქართველოში. IX—X საუკუნეებში უკვე გაჩაღებული ყოფილა. ასეთი ვარაუდის საფუძვლს იძლევა, ერთი მხრივ, IX საუკუნის უცნობი ავტორის ჰაგიოგრაფიული თხზულება „ცხოვრებაი და წამებაი წმიდისა მოწამისა კოსტანტისი ქართველისაი, რომელი იწაჰა ბაბილოვნელთა მეფესა ჯაფარის მიერ“, ხოლო, მეორე მხრივ, ის მწიგნობრულ-შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც გაშლილი იყო ბაგრატ მე-სამის (975—1014) კარზე. მართალია, IX—X საუკუნეები, რამდენადმე, გვიანი ხანაა (ეს გარემოება უფრო მეკეთრად იჩენს თავს, თუ მოვიგონებთ, როდის გაიშალა ლიტერატურული საქმიანობა აღმოსავლეთსა და სამხრეთ საქართველოში), მაგრამ, როგორც ცნობილია, დასავლეთი საქართველო სოციალურ-სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურსა და კულტურულ მშენებლობაში, გარკვეული მიზეზების გამო, იმ დრომდე აქტიურად ვერ მონაწილეობდა.

მას შემდეგ, რაც ქუთაისი იქცა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და ეკონომიკური ცხოვრების ცენტრად, იქ ფართოდ გაიშალა საგანმანათლებლო მუშაობა, გამოცრცხლდა და აყვავდა ლიტერატურული ცხოვრება, მუშაობა გაიშალა მეფე-მთავართა სასახლეებში (ქუთაისში, ზუგდიდში, ოზურგეთში), მონასტრებში (გელათში, ჭრუჭში, მარტვილში, წალენჯიხაში, ხოპში...), საკათედრო ტაძრებში (გელათში, მოქეში, ცაიში, ბედიში, შემოქმედში, ცაგერში...), მდიდარი წიგნსაცავები შეიქ-

მნა, აგრეთვე, კაცხის, ვანის, უდაბნოს, ლაბუქინის, ნიკორწმინდის, საირმის, ნამარნევისა და სხვა ეკლესია-მონასტრებში.

დასავლეთ საქართველოს სამწერლობო-კერებში მოღვაწეობდნენ ადგილობრივი კადრები (სტეფანე, სანანოისძე, მამუკა თავაქალაშვილი, იაკობ ღუმბაძე, პეტრე ჩხატარაისძე, ანტონ ცაგერელ-ჰყონდიდელი, გიორგი ბაგრატიონი, დადიანები და სხვანი), აგრეთვე, აღმოსავლეთ საქართველოდან გადასული მწერლები (თეიმურაზ პირველი, ფეშანგი, არჩილი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, ანტონ პირველი, ზაქარია გაბაშვილი, ბესიკი, ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ამილახვარი, იოანე ქართველიშვილი, სოლომონ ლიონიძე და სხვანი) და უცხოეთიდან დაბრუნებული ქართველი მეცნიერები (არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი). აღმოსავლეთ საქართველოს მწიგნობართა გადასვლა დასავლეთში გავლენას ახდენდა ადგილობრივი ლიტერატურული ძალების საქმიანობაზე.

დასავლეთ საქართველოში განვითარდა როგორც სასულიერო-საეკლესიო მწერლობა, ისე საერო ლიტერატურა, შეიქმნა ორიგინალური მხატვრული ძეგლები, ითარგმნა ფილოსოფიურ-თეოლოგიური თუ სხვა ხასიათის თხზულებანი.

დასავლეთ საქართველოს მწერლები ინტერესს იჩენდნენ სასულიერო-საეკლესიო მწერლობის ყველა სფეროსადმი, ყველა დარგოსადმი. მნიშვნელოვანი ძეგლები დაიწერა თუ ითარგმნა ჰაგიოგრაფიასა (სტეფანე სანანოისძე ჰყონდიდელი, იოანე ქსიფილინოსის შრომების მთარგმნელი, არსენ ბულმაისიმისძე) და ასკეტიკაში (პეტრე გელათელი), ლიტურგიკასა (ზაქარია გაბაშვილი) და ჰომილეტიკაში (ანტონ ცაგერელ-ჰყონდიდელი), ჰიმნოგრაფიასა (სტეფანე სანანოისძე, ჰყონდიდელი, არსენ ბულმაისიმისძე) და ფილოსოფიაში (არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი), განვითარდა კანონიკური მწერლობა („ხელმწიფოს კარის გარიგება“, „სამართალი კათალიკოსთა“) და ისტორიოგრაფია („აფხაზთა ისტორია“, „გელათური ქორონიკონი“...), შეითხზა პოლიტიკური ტრაქტატი („ბრძენი აღმოსავლეთისა“) და ა. შ.

მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია საერო ლიტერატურამ — დაიწერა თეიმურაზ პირველისა („შედარება გაზაფხულოსა და შემოდგომისა“, „ვარდბულბულიანი“, „შამიფარჯანიანი“, „მაჯამა“) და ბესიკის („ცრემლთა იახარნი“, „ასპინძისათვის“, „დედოფალს ანაჰედ“...) საუკეთესო პოეტური ქმნილებანი, საგმირო („ზაქიანი“, „საამიანი“, „ალექსანდრიანი“), რომანტიკული („ხუმბარდინი“) და საზღაპრო („რუსუდანიანი“) ეპოსის ძეგლები, გიორგი ბაგრატიონისა და სხვათა ლექსები. შესამჩნევად განვითარდა საქარო-

სახოტბო პოეზია (მაშუკა თავაქალაშვილი, პეტრე ჩხატარაისძე, ბესიკი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი...).

დასავლეთ საქართველოში დამზადდა მრავალი ხელნაწერი. იქაუბრი ლიტერატურულ-საგანმანათლებლო კერებიდანაა მოღწეული ისეთი ძვირფასი ხელნაწერები, როგორცაა გელათის ბიბლია, გელათ-გარეჯის, კაცხის, ცაიშის, ბედის, შემოქმედისა და გურიანთის გულანები, თეთროსნის დავითნი, მოქვისა და გელათის ოთხთავები, „მოქცევაი ქართლისაი“, „ვეფხისტყაოსანი“ და მრავალი სხვა (ცალკე უნდა მოვიხსენიოთ გელათის, ჯრუჭისა და მარტვილის ხელნაწერთა მდიდარი კოლექციები). სხვათა შორის, დასავლეთ საქართველოდანვე მოაღწია ჩვენამდე უცხოეთში შექმნილმა არაერთმა ნუსხამ (გოლგოთის ღვინაქაარმა, პალავრის კრებულმა და ა. შ.), აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხეებში შექმნილმა რამდენიმე ხელნაწერმა (შატბერდის სახარებამ, ადიშის ოთხთავმა, უდაბნოს მრავალთავმა...).

დასავლეთ საქართველოში კულტურულ-საზოგადოებრივსა და ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობაში ერთმეორის მიყოლებით ჩაება თითქმის ყოველი კუთხე — იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, გურია და ა. შ. ჩვენც აწ რიგით მიმოვიხილავთ იქაურ საქწერლობო კერებს.

**იმერეთი.** მართალია, ქართველი მწიგნობრები იმერეთის მრავალ სავანეში მოღვაწეობდნენ, ბევრგან დაარსდა მდიდარი წიგნსაცავი (სახელდობრ, კაცხში, ჯრუჭში, ვანში, მღვიმეში და ა. შ.), მაგრამ კულტურულ-აღმშენებლობითი და მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობით განსაკუთრებით ორი გამოირჩეოდა — ქუთაისი და გელათი. ჩვენც მათ მივაპყრობთ მკითხველის ყურადღებას.

**ქუთაისი** საქართველოს მეორე ქალაქია სიდიდითა და მნიშვნელობით. ამასთანავე, ის მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია, რომელმაც განვითარების რთული და ძნელი გზა განვლო. ქუთაისის აღმოცენების ისტორია საუკუნეთა წყვილადში იშალება, მაგრამ მისი დაწინაურება, როგორც სატახტო ქალაქისა, გვიან ხანს მოვლენაა. მის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში რამდენიმე ძირითადი ეტაპი გაშიიყოფა: ადრე ის იყო კოლხეთის სამეფოს ძლიერი ქალაქი, შემდეგ — „აფხაზთა სამეფოს“ სატახტო ქალაქი, თითქმის საუკუნე-ნახევარს (978—1122) გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქის ფუნქციას ასრულებდა, ხოლო გვიან ხანაში

იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ ცენტრად იქცა. საფიქრებელია, იქ ადრევე გაჩაღდებოდა ლიტერატურული საქმიანობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ძველ მასალას ნაკლებად ვიცნობთ. გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ქუთაისში კერა ძველი ქართული მწერლობისა, კერა შემოქმედებითი მუშაობისა უკვე ადრეული ხანიდან, ყოველ შემთხვევაში, ბაგრატ მესამის (975—1014) დროიდან მაინც უნდა არსებებოდა. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ბაგრატის მიერ 1007—1014 წლებში შედგენილი „აფხაზთა ისტორია“, მისივე ინიციატივითა და დაკვეთით თარგმნილი ზოგიერთი ჰაგიოგრაფიულ-აპოკრიფული თხზულება (მაგალითად, „ცხოვრება წმიდისა ბაგრატისი, ტავროზენიელთ ქალაქისა მღვდელთმომძღვრისაი“), მის კარზე მომრავლება მწიგნობრებისა (რომელთა „ზედა მთავრად“ ერთხანს გიორგი ააონელის: ბიძა გიორგი მწერალი იყო) და სხვ. მაგრამ ეს ორიოდვე ცნობა, რასაკვირველია, ძალზე ცოტაა გარკვეული დასკვნების გამოსატანად. ასე რომ, ქუთაისის კულტურული ცხოვრების ადრეულ ხანაზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი. შედარებით უკეთაა ცნობილი ეს პერიოდი, როდესაც ქუთაისი იმერთა სატახტო ქალაქი იყო.

იმერეთის სამეფო კარზე მწიგნობრულ-საგანმანათლებლო ინტერესები ადრეული ხანიდან შეინიშნება: ცნობილია გიორგი მეორის (1565—1585) შეკვეთით დამზადებული ხელნაწერი, სოლომონ პირველის (1752—1784) მიერ შემკული სახარება და მისი კუთვნილი „ვეფხისტყაოსანი“, მწეხათუნ ბატონიშვილისეული (გარდ. 1830 წ.) „ვეფხისტყაოსანი“ და სხვ. ბევრი წიგნი გადაიწერა იმერთა მეფის დავით მეორის (1784—1789) მეუღლის ანა დედოფლის (1765/70—1832) ინიციატივით (მისი დაკვეთით ხელნაწერებს ამრავლებდნენ იოანე მუსხელიშვილი, გიორგი ჭათიშვილი, ოსე ვაბაშვილი, მაია ჩიქოვანი და სხვ.).

ნაყოფიერი პოეტი იყო სოლომონ პირველის შვილიშვილი გიორგი ბაგრატიონი (1778—1807) — რომანტიკული თხზულების „ხუმბარდიანის“, „თავგადასავლისა“ და მრავალი ლექსის ავტორი. იგი ქუთაისში აღიზარდა, იქაურ ლიტერატურულ გარემოში გაიწაფა, იქ ეზიარა ბესიკის პოეზიას, შემოქმედებითად აითვისა მისი ტრადიციები (მათ ლექსებში იგრძნობა სიტყვიერ-ლექსიკური თანხვედნილობა, მუსიკალური მსგავსება, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ერთიანობა. მაღლიერებისა და პატივისცემის გრძნობითაა განმსჭვალული ის პოეტური სტრიქონები, რომლებიც მან ბესიკს უძღვნა). გ. ბაგრატიონმა მხურვალე გრძნობით



აღსავსე ლექსებით უმღერა სიყვარულს, ადამიანის გამაკეთილშობილებელ სპეტაკ მიჯნურობას.

ქუთაისის ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწე ადგილობრივ კადრებს, ხშირად ემატებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოდან ამა თუ იმ მიზნით გადასული მწიგნობრებიც; ქუთაისის შემოქმედთა წრეს არაერთი აღმოსავლელი მწერალი აშშვენებდა — თეიმურაზ პირველი, არჩილი, ბესიკი და სხვ.

თეიმურაზ პირველი ადრეც რამდენჯერმე გადავიდა დასავლეთ საქართველოში (1614, 1616 წწ.), ხოლო 1648 წლიდან საკმაოდ დიდი ხნით, 7 წლით, დამკვიდრდა იმერეთში. სიძემ, იმერთა მეფემ ალექსანდრე მესამემ (1639—1660) იგი პატივით მიიღო, ქუთაისში დააბინავა, ხოლო შემდეგ საცხოვრებლად რაჭა მიუჩინა. იმ დროს, დასავლეთ საქართველოში ყოფნისას, თეიმურაზმა თარგმნა-გადმოაკეთა რამდენიმე თხზულება, დაწერა ლექსებიც. საფიქრებელია, ზოგი რამ მან უშუალოდ ქუთაისში დაწერა, როდესაც იქ სახლობდა და აქტიურად მონაწილეობდა როგორც იქაურ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისე შემოქმედებით საქმიანობაში. უცილობელია, თავისი პოეტური ნიჭით, მგრძნობიარე ლექსებითა და შთაბაგონებელი პოემებით თეიმურაზი გავლენას მოახდენდა ქუთაისის ლიტერატურულ საზოგადოებრიობაზე.

იმერეთში განიზნულ თეიმურაზს უთუოდ სხვა მწიგნობრებიც გაჰყვებოდნენ. თუ თეიმურაზთან ერთად არა, ყოველ შემთხვევაში, თეიმურაზისა და როსტომ მეფის ბრძოლის ეპოს გადასულა იმერეთში პოეტი ფეშანგი ხითარაშვილი. იგი ჯერ ჩხარში ცხოვრობდა, შემდეგ დაუახლოვდა სამეფო კარს და „იმერეთ მეფის მდივან-მწიგნობრობასაც“ კი მიაღწია. ფეშანგი წერდა საბუთებს, მონაწილეობდა რუს-ქართველთა მოლაპარაკებაში. მასვე შეუდგენია იმერეთის სამეფოს გეოგრაფიული, ეკონომიკური და სტატისტიკური აღწერილობა და იმერთა მეფის ალექსანდრე მესამის ფიცის წიგნი რუსთა მფარველობის მიღებაზე (გ. ლეონიძე).

ერთხანს ქუთაისში ცხოვრობდა არჩილ ბაგრატიონიც, რომელიც ხუთჯერ ავიდა იმერეთის სამეფო ტახტზე (1661—1663, 1678—1679, 1690, 1695, 1698 წწ.). მართალია, იგი სულ ბრძოლაში იყო ჩაბმული, ხან თურქ-ოსმალებს ეომებოდა, ხან ურჩი ფეოდალების დათრგუნვით იყო დაკავებული, მაგრამ, დროდადრო, ალბათ, ლექსებსაც თხზავდა.

კიდევ უფრო მრავლად ჩანან აღმოსავლელი მწერლები დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ქუთაისში, XVIII საუკუნეში.

1724 წელს ქუთაისს ჩავიდა და ერთხანს იმერეთის სამეფო კარზე იმყოფებოდა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (რუსთველი). ქართლიდან იგი ვახტანგ მეექვსეს გაჰყვა, მაგრამ რუსეთში აღარ წავიდა, იმერეთში დარჩა, ალექსანდრე მეხუთის (1720—1751) კარზე, სადაც განაგრძო შემოქმედებითი საქმიანობა, კერძოდ, დაწერა მიძღვნა ალექსანდრე მეფისადმი (ლექსი), გრივოლ კათალიკოსის შეწირულების წიგნი ბიჰვინთისადმი (1733 წ.) და სხვ.

იმერეთში ჩავიდა „ძველთა ფილოსოფიისა სწავლათა შინა გამოცდილი და ლეთისმეტყველებასაცა მიწეწილი, მშვენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე“ ზაქარია გაბაშვილიც (1707—1782). იგი ჯერ კიდევ 1762—1763 წლებში ეწვია იმერეთს, ხოლო 1771 წლიდან სამუდამოდ დამკვიდრდა იქ; დაუახლოვდა ადგილობრივ ხელისუფლებას, დაწინაურდა სამეფო კარზე. ზ. გაბაშვილის იმ პერიოდის ნაწერებიდან აღსანიშნავია შესხმა-მილოცვა, რომლითაც მწერალმა სოლომონ პირველს ამაღლებული ტონით, მაღალფარდოვანი სტილითა და საზეიმო განწყობილებით მიულოცა თურქ-ოსმალებზე გამარჯვება ჩხერის ომში (1774 წ.). უსაზღვროდ ვახარებულმა და გულწრფელად აღფრთოვანებულმა ზ. გაბაშვილმა სიამაყის გრძნობით აღწერა მტრის დამარცხება, შეაქო და განადიდა სარდალი, რომელმაც ძლევამოსილად დაასრულა რთულა სამხედრო ოპერაცია. მამ შემოქმედებითი აღმაფრენითა და მხურვალე მამულიშვილური გრძნობით გაპოხატა საერთო-სახალხო სიხარული ჩხერის ომის ქართველთა სასახლო გამარჯვებით დამთავრების გამო.

ზ. გაბაშვილის შესხმა-მილოცვა ქართული ორატორული ხელოვნების, სადღესასწაულო მკვერძმეტყველების საყურადღებო ნიმუშია.

ქუთაისში მოიყარეს თავი ზ. გაბაშვილის შვილებმაც — იოსებმა, ნიკოლოზმა, ბესიკმა...

ბესიკი 1777 წლის იანვრის შემდეგ ქართლში აღარ ჩანს. საფიქრებელია, ამ წელს გადავიდა იმერეთში, სადაც დაწინაურდა სოლომონ პირველის კარზე, ხოლო შემდეგ, — დავით მეორის ზეობაში, — მისი გავლენა უსაზღვროდ გაიზარდა — იგი მდივანთუხუცესი, მეფის პირველი მრჩეველი და თანამზრახველი გახდა. მალე თავადობაც ებოძა, ხოლო 1787—1791 წლებში დიპლომატიური მისიის მეთაურობაც დაეგალა.

ქუთაისის სამეფო კარზე ბესიკი წერდა საბუთებს, მაგრამ, რასაკვირველია, მხოლოდ ამით არ იფარგლებოდა. ქუთაისში ყოფნის დროს დაწერა მან არაერთი საინტერესო ნაწარმოები. სახელ-

დობრ, „ცრემლთა ისხარნი“, რომელიც აღმოსავლეთ საქართველო-დან გაძევების შთაბეჭდილებითაა შეთხზული და ნათლად გვაც-ნობს ექსორირებული პოეტის სულიერ განწყობილებას, „რუხის ბრძოლა“, რომელშიც გაცოცხლებულა საკარო-სახოტბო პოეზიის ტრადიციები და რიტორული ენაწყლიანობითაა შექმნილი სო-ლომონ პირველისა და მისი თანამებრძოლების გულადობა და ვაჟ-კაცობა. ქუთაისშივე უნდა იყოს დაწერილი სამგლოვიარო ოდა „საძძაძარი“, რომელშიც მგოსანმა ცხარე ცრემლით, გულმხურვა-ლედ დაიტირა თავისი ყრმობის მეგობარი ლევან ბატონიშვილი (1756—1781), ოდა „ასპინძისათვის“, რომელშიც ავტორმა შეამკო ქართველ მკვლელშილთა გმირობა, სოლომონ პირველის ეპიტა-ფია, საყოველთაოდ ცნობილი „დედოფალს ანაზედ“ და სხვა ლექ-სები.

იმერეთის სამეფო კარზე დაწინაურდნენ ბესიკის ძმებიც, რომ-ლებიც წერდნენ საბუთებს, ეწეოდნენ საგანმანათლებლო საქმიან-ობას.

დაახლოებით იმავე ხანაში ცხოვრობდა ქუთაისში სოლომონ პირველის სძე, პოეტი ელიზბარ ერისთავი (1738—1813). მის პო-ეზიაზე ბესიკის ლირიკის გავლენა, რაც თვალნათლივ შეინიშნება, იმერეთში მათი ერთობლივი მოღვაწეობისა და ახლო ურთიერ-ობის შედეგია.

1779 წელს იმერეთში ჩავიდა ერეკლე მეორის მოწინააღმდე-გე დასის კიდევ ერთი წარმომადგენელი ალექსანდრე ამილახვარი (1750—1802). მან ქუთაისში დაწერა და მიაართვა იმერთა შეფეს პოლიტიკური ტრაქტატი „ბრძენი აღმოსავლეთისა ანუ განზრახვაი მისი სახელმწიფოისათვის მმართველობისა. შეძლენობილი სამმად-ლობელად აწ მპყრობელად მეფისად იმერთა სოლომონისა თავა-დისა მიერ ალექსანდრე ამილახვარის შვილისა“.

ა. ამილახვარი თავადური იდეოლოგიის მკვეთრი გამომხატვე-ლია, მისი ტრაქტატი ქართული პოლიტიკური აზროვნების მაღალი დონის მაჩვენებელია.

ქართლიდან წასული მწიგნობრები იმერეთში ჩადიან XIX სა-უკუნის პირველ წლებშიც. მაგალითად, 1801 წელს ქუთაისში ჩა-ვიდა, ვითარცა იულონ ბატონიშვილის მხლებელი, იოანე ქართვე-ლიშვილი. იგი ემსახურებოდა სოლომონ მეორეს (1789—1810), წერდა აზრებს, იქვე, „ქუთაისს, ეზოსა სამეფოსა“, შეუდგა მემუა-რების წერას. 1802 წელს იმერეთში ჩავიდა და სამეფო კარზე მა-ლე დაწინაურდა ერეკლე მეორის ყოფილი მსაჯული სოლომონ ლიონიძე (1741/54—1818). როგორც ჩანს, მან ქუთაისშიც განაგ-არძო წერა, კერძოდ, იქ შეთხზა სატირა ნიკო დადიანზე.

ქუთაისის ლიტერატურულ ცხოვრებაში მონაწილეობდნენ არა მხოლოდ სამეფო კარის წარმომადგენლები ან აღმოსავლეთ საქართველოდან ჩასული მწიგნობრები, არამედ ქუთათელი მღვდელმთავრები და რიგითი საეკლესიო მოღვაწენიც, რომლებიც ზრუნავდნენ ქართული წერილობითი კულტურის დაცვასა და ძველი ხელნაწერების გამრავლებაზე. მაგალითად, ანტონ ქუთათელმა (XII ს.) გადააწერინა ოთხთავი, სვიმეონ ჩხეტიძემ, ქუთათელმა (XVI ს.) სვიმეონ კარგარეთელს გადააწერინა გულანი, თეოფილე ქუთათელმა ოქროპირ ქაჯვარაძეს შეაკაზმინა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა თარგმანების შემცველი ძველი ხელნაწერი, მაქსიმე ქუთათელმა დაამზადებინა სასულიერო-საეკლესიო შინაარსის კრებული (1761 წ.), დოსითეოს ქუთათელმა ონუ გაბაშვილს გადააწერინა კაცხის მონასტრის გუჯრება (1797 წ.) და სხვ.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ტიმოთე გაბაშვილი და ანტონ ბაგრატიონი. პირველი XVIII საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს გადავიდა იმერეთს, სადაც ქუთათელ მთავარეპისკოპოსად აკურთხეს. იქ იგი ისე დაუახლოვდა იმერთა მეფეს ალექსანდრე მნებეთეს, რომ მისი დავალებით რუსეთშიც კი გაემგზავრა დიპლომატიური მისიით (1737 წ.). განსწავლულმა მღვდელმთავარმა რუსეთს წაიღო იმერეთის რუკა, რომლის შედგენა, უკანასკნელი გამოკვლევებით, მას მიეწერება; ანტონ ბაგრატიონი (შემდგომ კათალიკოსი ანტონ პირველი) 1740—1742 წლებში ქუთათელ მიტროპოლიტად იყო. ვფიქრობთ, ტ. გაბაშვილი და ა. ბაგრატიონი არც ქუთაისში შეწყვეტდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას.

იმერეთის სტაბტო ქალაქის კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების ორგანული დაგვირგვინება იყო „სამეფოთა ქალაქსა ქუთათისს, პალატსა სამეფოსასა“ ქართული სტამბის დაარსება და საგამომცემლო საქმიანობის გაჩაღება XIX საუკუნის დამდეგს. ქუთაისის სტამბიდან გამოსული წიგნები — დავითნი (1801 წ.), კურთხევანი (1803 წ.), ეამნი (1808 წ.) და სხვ. — მთელ დასავლეთ საქართველოს ეფინებოდა. სტამბის მუშაეები (გიორგი პაიჭაძე, რომანონ ზუბაშვილი, არქიმანდრიტი ზაქარია და სხვ.) ცოდნასა და ენერგიას არ ზოგავდნენ ბეჭდური გამოცემების სრულყოფისათვის.

გელათი. ქუთაისიდან 10—11 კილომეტრის დაშორებით, მდინარე წყალწითელას მარცხენა ნაპირზე, ფოთლოვანი ტყით შემოსილი მთის დავაკებულ ადგილზე გაშენებულია ქართული კულტუ-

რის დიდებული კერა — გელათის მონასტერი, ვახუშტის სიტყვით, „დიდშენიერი, დიდნაგები და ქმნული შიგნით სოფლის კენჭითა, გუმბათიანი, კეთილს-შენიერს ადგილსა“.

ლამაზი და მომხიბლავი ბუნება, შესანიშნავი ადგილმდებარეობა, მრავალრიცხოვან შენობათა ანსამბლი, შეუდარებელი ისტატობით შექმნილი ბუნებრივად ნაგებობა, სახლოვანო ისტორიული წარსული, ბრწყინვალე მხატვრობა და მომაჯადოებელი მოზაიკა დიდების შარავანდელით მოსავენ ამ უებრო ძეგლს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის აშენების შესახებ შემდეგს ვვაუწყებ: „მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა რომელიცა გამორჩია მადლმან საღმრთომან ადგილსა ყოვლად შენაიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა, რომელსა შინა ვითარცა ზეორე ცაი გარდაართხა ტაძარი ყოვლად წმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთისა, რომელი ზეშთა ჰმატს შტენიერებასა ყოველთასა, სიერცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა, და მოქმნულობისა შეუსწორებლობითა, რომელსა აწ თანამოწნობით ხელევენ თუალნი ყოველთახნი“.

მართალია, აქ გელათი არ იხსენიება, მაგრამ საკამათო არაა, რომ საუბარია გელათის მონასტერზე (სხვათა შორის, „ქართლის ცხოვრების“ ერთი ნუსხა, ჭალაშვილისეული ხელნაწერი, კიდევ ასახელებს გელათს). თავდაპირველად იგი „ახალ მონასტრად“ იხსენიებოდა, შემდეგ გელათი (გენათი, გაენათი) ეწოდა.

შემატანე მოწონებით ახასიათებს გელათის ტაძარს და იქვე დასძენს, რომ დავითმა ახალ მონასტერს დიდი საბოძარი მასცა.

დავით აღმაშენებლის მიერ აგებული ღვთისმშობლის ეკლესია კარგადაა დაცული. თავდაპირველი სახე მას თითქმის უცვლელად აქვს შემონახული, მხოლოდ მოგებოვება გვიანდელი ხანის მინაშენები. მოხატულობა და წარწერები XVI—XVII საუკუნეებისაა, აქა-იქ შეინიშნება XIV საუკუნის მხატვრობაც. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევა საკურთხეველის კონქში შემონახული მოზაიკა.

გელათის მონასტერი XII საუკუნის დამდეგით თარიღდება. მისი მშენებლობა 1106 წელს დაწყებულა, კარგა ხანს გაგრძელებულა და დავით აღმაშენებლის ვაჟის — დემეტრე პირველის ზეობაში, 1125 წლის ახლოს, დასრულებულა.

გელათის მონასტერი დღითი დღე მდიდრდება იმ უხვი საბოძარისაგან, რომელსაც ქართველი საზოგადოებრიობისაგან იღებდა. მრავალმხრივი შეწირულების შედეგად იგი იქცა მსხვილ

სამეურნეო-ფეოდალურ ორგანიზაციად, რომელიც ფლობდა მრავალ სოფელს, განთავისუფლებული იყო საუბრესკოპოსო გადასახადებისაგან, საეკლესიო იერარქიული ხაზით უშუალოდ კათალიკოსს ექვემდებარებოდა. ყოველგვარი ადმინისტრაციული, სამეურნეო და კულტურული საქმეების უმაღლესი მესაჯე მოძღვართ-მოძღვარი იყო.

გელათი მიწნეული იყო მეფეთა საძვალედაც. მემატრიანეთა ცნობებით, იქ დაკრძალეს დავით აღმაშენებელი, დემეტრე პირველი, გიორგი მესამე, თამარი, გიორგი ლაშა და სხვანი.

აღნიშნულ გარემოებათა გამო გელათი საყოველთაოდ აღიარებული იყო დიდ მონასტრად და მას ჩვეულებრივ ასე იხსენიებდნენ: „დიდი მონასტერი“, „დიდი ლავრა“, „ახალი იერუსალემი“, „მეორე იერუსალემი“ და ა. შ.

XV საუკუნიდან გელათი იმერეთის მეფის საკუთრება გახდა. იმ დროს საქართველოს სამეფო დაშლილი და დანაწევრებული იყო. ქვეყნის საერთო პოლიტიკურ-ეკონომიკური დაუძლეულობა და კულტურულ-ინტელექტუალური დონის დაქვეითება შესაბამისად გელათის მონასტერიც დასუსტდა. იმერთა მეფეებმა გელათი დაუძლეულებული მიიღეს და მათი დახმარებაც მონასტრისადმი ექვემდებარებოდა იყო.

იმ დროისათვის საკმაოდ მოძძლავრდა თურქ-ოსმალთა სახელმწიფო, რომელმაც საქართველოს ბიზანტიასთან კავშირის შესაძლებლობა წაართვა და იგი ევროპას მოწყვიტა. ოსმალეთი არ დაკმაყოფილდა ამით და XVI საუკუნის დამდეგიდან საქართველოს ტერიტორიას დაპყრობასაც შეუდგა. თურქ-ოსმალთა ლაშქარმა არაერთგზის დაარბია ქართველთა სამეფო-სამთავროები. განსაკუთრებით დაზარალდა დასავლეთი საქართველო. მტრის ჯარს ვერც გელათი გადაურჩა (1510 წ.).

თურქ-ოსმალთაგან გელათის დარბევისა და აოხრების შედეგებმა ლიკვადაციისა და მონასტრის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ძველ ქართულ სავანეში აღმშენებლობითი სამუშაო ჩაატარა იმერეთის მეფემ ბაგრატ ზესამემ (1510—1565), რომელსაც ამის გამო „მეორედ აღმაშენებელს“ უწოდებდნენ. მან განაახლა ტაძრები, მონასტერს შესწირა დიდძალი მამულები, დაუმტკიცა ძველად კუთვნილი მიწა-წყალი.

ბაგრატისავე მეფობაში — 1519 წელს — გელათში დაარსდა საეპისკოპოსო კათედრალი. ამას ჰქონდა ერთობ დიდი მნიშვნელობა, რაც მხოლოდ სასულიერო-საეკლესიო სფეროთი არ შემოიფარგლებოდა; მას პოლიტიკური მნიშვნელობაც ენიჭებოდა. ბაგრატ

მესამეს სურდა ეკლესია გაეძლიერებინა, მისი მორალური ავტორიტეტი აემალლებინა და მისი სახით ერთგული მოკავშირე შეეძინა იმერეთის სახელმწიფოებრივი მთლიანობისათვის ბრძოლაში. გელათის საეპისკოპოსო კათედრალის დაარსება ბაგრატ მესამის ფართო გეგმის ერთი ნაწილი იყო და საბოლოო ანგარიშში იმერეთის სამეფო ხელისუფლების შემდგომი გაძლიერებისათვის იყო გამიზნული.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში გელათი გადაიქცა დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენციად. კათალიკოსის რეზიდენციის ბიჭვინთიდან გელათში გადმონაცვლება იყო შედეგი აფხაზეთში თურქ-ოსმალთა ხშირი შემოსევისა და ადგილობრივი მოსახლეობის თანდათანობით გამაჰმადიანებისა. ბიჭვინთის საკათალიკოსო ტაძრის მოძრავი ქონება გადმოტანილ იქნა გელათში, სადაც იმერეთის სამეფო კარმა საკათალიკოსო ეკლესიად წმინდა გიორგის ტაძარი განაჩინა (გელათელ. ეპისკოპოსს დარჩა მთავარი ტაძარი). ამიერიდან გელათის მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა, გელათი იქცა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო-სარწმუნოებრივი ცხოვრების ცენტრად.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში გელათი დაეცა და დაქვეითდა. იმერეთის სამეფოს დასუსტებისა და გაპარტახების ხანაში გელათის დამცველი აღარაღიან იყო, მისი ძველთაგან კუთვნილი ყმა-მამული თავაშვებულმა ფეოდალებმა მიიტაცეს და დაისაკუთრეს.

XVIII საუკუნეში შეინიშნება გელათის ნაწილობრივი აღმავლობა; იწყება ყმა-მამულის დაბრუნება, ახალ შეწირულებათა მიღება, აღდგენითი სამუშაოების ჩატარება. თუმცა ამ საუკუნეში, კერძოდ 1759 წელს, გელათი ერთხელ კიდევ გახდა მტრის მსხვერპლი — ლეკთა მოთარეშე რაზმებმა იმერეთი დალაშქრეს და გელათის ტაძრსაც ცეცხლი წაუკიდეს. საერთოდ კი გელათი მედარებით გადაურჩა მტრის მახვილს (ჩვენთვის მხოლოდ ორი ჩემოდანმოწმებული ფაქტია ცნობილი). საფიქრებელია, რამდენადმე გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა მისი გადარჩენა ხშირი თავდასხმისაგან. ქართველებმა გელათი სწორედ ამ შედარებით უკეთ დაცულობის გამო მიიჩნიეს საიმედოდ და იქ დაასვენეს ხახულის, აწყურისა და ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატები და სხვა ეროვნული სიწმინდენი.

XIX საუკუნის დასაწყისს გელათი ჯერ კიდევ ძლიერი ფეოდალურ-საეკლესიო სენიორია იყო — ფლობდა 42 სოფელს, 395

კომლს და იღებდა ორი ათას მანეთზე მეტ ფულად შემოსავალს.

იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ გელათი გადაკეცილა საეკლესიო შტატის დაწესებულებად, ხოლო 1822 წელს იქაური საეპისკოპოსო იმერეთის საეპისკოპოსოს შეუერთდა. მომდევნო ხანაში მან, როგორც ფეოდალურმა ერთეულმა, მნიშვნელობა დაკარგა, იგი მხოლოდ საკულტო ძეგლად დარჩა. ამჟამად დატულია სახელმწიფოს მიერ და იმყოფება სპეციალური მეთვალყურეობის ქვეშ. რამდენიმე წლის წინ იქ დაარსდა სახალხო აკადემია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გელათის სიძველეთა დეპარტამოსილი მკვლევარი ს. ყაუხჩიშვილი. კარგად დაწყებულ საქმეს ამჟამად ენერგიულად უძღვება ცნობილი ენათმეცნიერი შ. ძიციურა.

გელათი დავით აღმაშენებლის ხანაშივე მიჩნეულ იქნა მნიშვნელოვან სასწავლო-სამეცნიერო კერად. საგანის დაშარბებულმა დროულად დაიჭირა თადარიგი და განსწავლული პირები მიიწვია იქ, საქართველოსათუ უცხოეთში მოღვაწე ქართველ მწიგნობრებს თავი მოუყარა და ხელსაყრელი პირობები შეუქმნა. მემატიალის ცნობით, დავით აღმაშენებელმა „მუხვე შემოკრიბნა კაცნი პატრიარქანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თვისთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთათ სადათცა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსაესეობა, იძინა და კეთილად გაჰიძინა, მოიყვანნა და დაამკვიდრნა მას შინა“.

ისტორიკოსის თხრობიდან ჩანს, რომ საქართველოს სახელოვან მეფეს გელათის მონასტრის დაარსებისას ფართო მიზანი ჰქონდა დასახული. ის საფუძველს უყრიდა და ქმნიდა არა მხოლოდ საკულტო დაწესებულებას, არამედ ლიტერატურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო კერას. მართლაც, მემატიალის სიტყვებით რომ ვთქვათ, გელათი იქცა „მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უადრეს მიჰსა“.

დამოწმებული სიტყვებიდან ჩანს, რომ გელათი იმთავითვე მიჩნეული იყო თვალსაჩინო კერად როგორც საერო-ფილოსოფიური მეცნიერებისა (ათენად), ისე სასულიერო-საეკლესიო განათლებისა (იერუსალიმად). არც ისაა ინტერესს მოკლებული, რომ მემატიაზე გელათს ათენზე მაღლა აყენებდა.

მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობა გელათში ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის სიცოცხლეში გაჩაღდა მრავალმხრივ მეცნიერულ-შემოქმედებითი მუშაობა გაიშალა გელათის სავანე-



ში დაარსებულ აკადემიაში, სადაც შეიქმნა ფილოსოფიურ-ლიტერატურული თხზულებანი, სადაც მოღვაწეობდნენ ის ქართველი მწერლები და მოახროვნეები, რომელთაც არნახულ სიმაღლეზე აიყვანეს ეროვნული კულტურა.

გელათის აკადემია XII საუკუნის საქართველოს პირმშოა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ იმ დროს საქართველომ დიდ წარმატებას ძიადწია. სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწიფულობის ხანაში ამდღეს ქართული კულტურის დონე, განვითარდა ხეროთმოდღერება და ქედური ხელოვნება, მუსიკა და ფერწერა, ინტორიოგრაფია და ფილოსოფია, აყვავდა სიტყვაკახმული მწერლობა. განათლებისა და მეცნიერების საერთო წინსვლამ და აღმავლობამ განაპირობა აკადემიების აღმოცენება გელათსა და იყალთოში (იხ. ზემოთ).

გელათში აკადემიის აღსებობის აკოთხი გაბედულად დასვა ე. თაყაიშვილმა. მკვლევარმა ყურადღება გაანახილა მის მიერ აღმოჩენილი „ხელმწიფის კარის გარაგების“ ერთ ჩვენებაზე, ხელდობრ, მოძღვართმოდღერია ინსტიტუტზე და დამაჯერებლად დაასკვნა, რომ მოძღვართმოდღვარი მასწავლებელია მასწავლებელია, გელათის აკადემიის ხელმძღვანელია. „მოძღვართმოდღვარი, — წერდა მკვნიერი, — ეპიკოპოსია, ის გელათში ზის, ის მასწავლებელთა მასწავლებელია, ის მეცნიერთა მეცნიერია, მას მოწაფეები ჰყავს. რას ნუნნავს ეს, თუ არა იმას, რომ გელათში უმადლესი სასწავლებელია, იქ აკადემიაა და ამ აკადემიის. ხელმძღვანელი, უფროსი, ანუ ახლანდელი ტერმინოლოგიით რექტორი გელათის აკადემიის ეპიკოპოსია, რომელსაც მოძღვართმოდღვარს სარისხი აქვს“.

ე. თაყაიშვილის აზრი გაიზიარა და აკადემიის შენობად გელათის ანსამბლის ერთი მოზრდილი ნაგებობის ნანგრევები მიიჩნია გ. ჩუბინაშვილმა. მისი ვარაუდი დაადასტურა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტისა და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიციამ.

გელათის აკადემიის შენობა მდებარეობს მონასტრის ტერიტორიაზე, ნიკოლოზის ეკლესიის დასავლეთით, აქვს ვრცელი დარბაზის სახე. არქიტექტურულად საერო-სამოქალაქო სტილისაა, კედლების გასწვრივ შემონახულია ქვის დეკორაციები, დარბაზის შუა ადგილას (დასავლეთის კედელთან) ცალკეა ქვის მაგიდა, რომელიც კათედრის მოვალეობას ასრულებდა. კედლებში შემორჩენილია თახჩები, რომლებსაც ნივთების შესანახად იყენებდნენ.

გელათის აკადემიაში ისწავლებოდა ფილოსოფია, მათემატიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ასტრონომია. აკადემიის მთელ სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას ხელმძღვანელობდა მოძღვართმოდვარი.

გელათის აკადემიაში ბევრი ქართველი ახალგაზრდა გაიწაფა, ზოგი მათგანი ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე გახდა.

გელათის აკადემიის ერთ-ერთი პირველი მოღვაწეა არსენ იყალთოელი, რომელიც 1114 წელს დაბრუნდა უცხოეთიდან სამშობლოში და ახალდაარსებულ კერაში დამკვიდრდა. იქ მან გააჩალა კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა, კერძოდ, თარგმნა „დიდი სჯულისკანონი“.

დავით აღმაშენებლის ხანაშივე მოღვაწეობდა გელათში მეორე გამოჩენილი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი. ბულგარეთში, პეტრიწონის მონასტერში მოღვაწეობის შემდეგ იოანე სამშობლოში დაბრუნდა და დავით აღმაშენებლს დახმარებითა და ხელშეწყობით გელათში განაგრძო შემოქმედებითი საქმიანობა. ნუმესიოს ჟმესელის წიგნის იოანესეული თარგმანის ერთ ნუსხას შემონახული სქეს ასეთი მინაწერი: „ეღლაღდელთ ხმათაგან გარდამოიკა ესე ქართულად საკვირველისა ფილოსოფოსისა ჩუენისა პეტრიწისა მიერ, იოანენდ სახელდებულისა კელლინსა შინა გაენათისასა“.

იოანე პეტრიწის მოღვაწეობა გელათში საკმაოდ მრავალმხრავი და ნაყოფიერი იყო. თავისთავად ის ფაქტი, რომ იმ პერიოდისა და მომდევნო ხანის გელათელი მწიგნობრები პეტრიწონის სკოლის მიმდევრებად გვევლინებიან და მათ ენასა და სტილს პეტრიწონის სკოლის იერი დაჰკრავს, უთუოდ იმას მოწმობს, რომ იოანე პეტრიწმა გელათში საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა, თანამოღვაწენი და თანამოაზრენი შეიძინა, თანამშრომლები შემოიკრიბა. ამიერიდან გელათი იქცა ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნების უმთავრეს კერად და ამ დარგის კადრების საშემდგომად.

გელათში ჭეროვანი ყურადღება ეთმობოდა მწერლობის სხვა დარგების განვითარებასაც, მაღალ დონეზე მიმდინარეობდა ორიგინალურ-შემოქმედებითი მუშაობა თუ მთარგმნელობითი. საქმიანობა. რამდენიმე სიტყვას ვიტყვი ზოგიერთ მწერალსა და ორიგინალურსა თუ თარგმნელ თხზულებაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილია ერთი ჰაგიოგრაფიული კრებული, რომელშიც წარმოდგენილია გაგრძელება სვიმეონ მეტაფრასტის (X ს.) შრომისა — გადამეტაფრასებული სჯოთხავეები რამდენიმე თვისა. ანდერძით, იგი გადამეტაფრასებუ-

ლია „პალატისა მწიგნობართა უაღრესისა, ყოვლად ბრძნისა ფი-  
ლოსოფოსისა“ იოანე ქსიფილინოსის მიერ. ქართული მასალებით  
გაირკვა, რომ სვიმეონის შრომა განუგრძია იოანე ქსიფილინოსს,  
რომელიც თავის საქმეს 1081 წელს შესდგომა. „ეს ცნობა სრუ-  
ლიად მოულოდნელი, ანაზღვეული აღმოჩნდა ბიზანტიის მწერ-  
ლობის ისტორიაში, ამიტომ მან ერთგვარი სენსაცია გამოიწვია  
დაინტერესებულ სამეცნიერო წრეებში როგორც რუსეთში, ისე  
საზღვარგარეთ. ყველაზე საყურადღებო შეიქმნა ის, რომ იოანე  
ქსიფილინოსის უზარმაზარი შრომა, რომელიც ბერძნულ ენაზე არ  
შენახულა, ქართულად თითქმის მთლიანადაა დაცული. ასე რომ,  
შესაძლებელი ხდება საშუალო საუკუნეთა ბიზანტიური მწერლო-  
ბის ერთ-ერთი მსხვილი ხარვეზის ამოვებვა“ (ე. კეკელიძე).

იოანე ქსიფილინოსის თხზულებათა ქართული თარგმანი, რომ-  
ლის ხელნაწერები გელათის წიგნსაცავმა შემოგვინახა, შესრულე-  
ბული უნდა იყოს გელათის აკადემიაში XII საუკუნის მეორე მე-  
ოთხედში. მთარგმნელის სახელი უცნობია. მისი ხელიდან გამოუ-  
ული თხზულებების გაცნობა საფიქრებელს ხდის, რომ იგი პეტრი-  
წონის ლიტერატურული სკოლის ტრადიციების მატარებელია.

XIII საუკუნის მეორე მეოთხედში გელათში ცხოვრობდა და  
მოდვეწიობდა არსენ ბულმაისიმისძე — ნაყოფიერი ჰიმნოგრაფი და  
ჰაგიოგრაფი, რომლის სახელით არაერთი თხზულებაა მოღწეული,  
სახელდობრ, ნინოსა და შიო მღვიმელის საგალობლები, შიო მღვი-  
მელის სვინაქსარული „ცხოვრება“, „იამბიკური სვინაქსარი თოხ-  
თა თთუგთანნი“, ხელთუქმნელი ხატის ძლისპირნი და სხვანი, რომ-  
ლებიც წამოაჩენენ არსენ ბულმაისიმისძის განსწავლულობასა და  
მწვერმეტყველების უნარს. სხვათა შორის, არსენს ეკუთვნის ის  
ცნობილი გამონათქვამი, რომელსაც ხშირად იმოწმებენ სამეცნი-  
ერო ლიტერატურაში: „დიდ არს ძალი სიყუარულისა, რომელი  
მორჩილ ჰყოფს გონებასა შეკადრებად შეუკადრებელთაცა... ყო-  
ველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერე-  
ლისაი საუკუნოდ, რომლისამე საქებელ ყოფად, ხოლო სხვისა  
განქიქებად უმეცრებისა“.

XIV საუკუნის გელათელი მოღვაწის, გიორგი ბრწყინვალის  
(1314—1346) თანამედროვის დაწერილი უნდა იყოს „ხელმწიფის  
კარის გარიგება“, რომელშიც საინტერესო მასალაა საქართველოს  
სამოქალაქო და სასულიერო-საეკლესიო ხელისუფლების შესახებ;  
განუსაზღვრელია მისი მნიშვნელობა საქართველოს სახელმწიფო-  
ებრივი წყობის, ყოფა-ცხოვრების, შინაგანი ორგანიზაციის შესას-  
წავლად.

გელათშივე დაიწერა საისტორიო თხზულება, რომელიც „გელათური ქორონიკონის“ სახელითაა ცნობილი (XVI ს.). მისი ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ქუთაისისა და გელათისადმი, ვრცლად ჩერდება საეკლესიო საკითხებზე.

XVI საუკუნიდან გელათში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა და ლიტერატურულ-შემოქმედებითი ცხოვრება შენედა, მოძღვართმოდვრის ინსტიტუტი თანდათან გაქრა, აკადემიის შენობამ თავდაპირველი მნიშვნელობა დაკარგა — ის ბერთა სატრაპეზოდ გადაიქცა.

მიუხედავად იმისა, რომ გელათის სავანეში უმაღლესი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება — აკადემია აღარ იყო, იგი მწიგნობრულ-ლიტერატურული ცხოვრების კერად ერთხანს კიდევ დარჩა და იქაური მოღვაწენი დაუღლელად შრომობდნენ მშობლიური კულტურის საგანძურის დაცვისა თუ გამდიდრების მიზნით.

გვიანი ხანის მოღვაწეთაგან უნდა დავსახელოთ ევდემონ ჩხეტიძე, ექვთიმე საყვარელიძე, ზაქარია ქვარიანი და გედეონ ლორდქიფანიძე, რომელთა წვლილი ქართული წერტილობითი ძეგლების გამრავლებაში მნიშვნელოვანია.

კათალიკოსმა ევდემონ ჩხეტიძემ (1557—1578) — ენერგიულმა და მუყაითმა მღვდელმთავარმა — ზებედეძსა და იოანე ქობინაშვილს გადააწერინა თვენი და პარაკლიტონი, მანოელ ინანიკის-შვილს — მეტაფრასი და სხვ. მისივე დაკვეთითაა გადაწერილი ის მეტაფრასიც, რომელშიც სხვა ძეგლებთან ერთად დაცულია ეფრემ მცირის „მოსახსენებელი მცირე სვიმეონისთვის ლოლოთეტი-სა და თხრობაი მიზეზთა ამათ საკითხავთა თარგმანისათა“. ე. ჩხეტიძეს მონაწილეობა მიუღია იმერეთის საეკლესიო კრების მუშაობაში, რომელსაც შეუდგენია „სამართალი კათალიკოსთა“.

არანაკლებ მნიშვნელოვანი მოღვაწეა კათალიკოსი ექვთიმე საყვარელიძე (1578—1616). მისი თაოსნობითაა დამზადებული მთელი წყება ხელნაწერებისა (მეტაფრასი, გულანი, ჟამნ-გულანი, იოსებ ფლავიოსის „წიგნი ჰურიისაი“ და სხვ.).

ძველ წყაროებში ხშირად იხსენიება ზაქარია ქვარიანი — 1637 წლიდან გელათელი ეპისკოპოსი, 1656 წლიდან მიტროპოლიტი, ხოლო 1657—1660 წლებში დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი. მისი მწიგნობრული ინტერესების საილუსტრაციოდ საკმარისია დავიმოწმოთ მისი ინიციატივით დამზადებული გელათ-გარეჯის გულანი, რომელიც გადაწერეს იესე ბაღდათაშვილმა, დემეტრე მწერალმა, იოსებ კარგარეთელმა და სხვ.

გელათელი მღვდელმთავარი გელეონ ლორთქიფანიძე (გარდ. 1682 წ.) ზრუნავდა როგორც ხელნაწერების გამრავლებაზე, ისე მწერლობის მომავალ კადრებზეც. მან გელათში აღზარდა დისწული, პოეტი დათუნა (ბესარიონ) ქეარიათი, რომელსაც ეკუთვნის პოემა „წამება და სასწაულთმოქმედება წმინდისა გიორგისა“.

მრავლად იყვნენ მწიგნობრები გელათში XVIII საუკუნეშიც. 1738—1740 წლებში იქ ცხოვრობდა ანტონ ბაგრატიონი (შემდგომ კათალიკოსი ანტონ პირველი); იქვე მოღვაწეობდა გოდერძყოფილი გოჩა დადიანი, რომელმაც დაწერა „გოჩასა და სოფლის ბაასი“; ამ საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა იოსებ გელათელი, რომელმაც დაამზადებინა სჯულისკანონი, კლემაქსი და სხვა ხელნაწერები, „დაკარგული ამოიღო“ და გელათს შესწირა იოანე ქსიფილინოსის შრომების კრებული.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გელათში ცხოვრობდა და შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა ზაქარია გაბაშვილი. მის დროს გელათში კულტურულ-მწიგნობრული ტრადიციები საკმაოდ ძლიერი იყო, — ზაქარიაც აქტიურად ჩაება ლიტერატურულ საქმიანობაში. იგი წერდა წიგნებს, ამზადებდა ახალ ნუსხებს, ქართულ თარგმანებს უდარებდა ბერძნულსა და რუსულს, ასწორებდა და აზუსტებდა მათ და ა. შ.

საფიქრებელია, გელათში დაწერა ზ. გაბაშვილმა ლოცვა სინანულისა — „თხოვნა ღვთის მიმართ“ („გოდება ღვთისა მიმართ ანუ განზრახვანი“).

ზ. გაბაშვილი გელათში გარდაიცვალა (6.II.1782). მისმა ძმისწულმა იქვე დაწერა „მიცვალება ხუცისა და მოძღვრისა ზაქარია იობონ გაბაიონისა წმიდასა გაენათს მონასტერსა შინა“.

გელათში მოღვაწეობდნენ ზაქარიას ვაჟებიც (იოსები, იოანე, ოსე).

იქვე უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი გელათელი მოღვაწე — არქიმანდრიტი ზაქარია, რომელიც ამზადებდა ხელნაწერებს, ქართულად მართავდა რუსულიდან თარგმნილ ძეგლებს და ა. შ. ცნობილია კიდევ სხვა არქიმანდრიტი ზაქარია, კუტისშივილი, რომელიც აგრეთვე ხელნაწერებს ამრავლებდა.

გელათის სავანეში ლიტერატურულ-საგანმანათლებლო მუშაობა გრძელდებოდა XIX საუკუნეშიც. მოღწეულმა მასალებმა შემოგვინახეს ამ პერიოდის არაერთი გელათელი მოღვაწის სახელი (ნიკოლოზ მორჩაძე, ისაც მღვდელმონაზონი და სხვ.).

გელათში ძველთაგანვე დიდი წიგნსაცავი არსებობდა. სხვათა შორის, რუსმა ელჩებმა — ნიკიტორე ტოლოჩანოვმა და ალექსი

იველევა, რომლებმაც 1651 წელს ინახულეს გელათი; საგანგებოდ აღნიშნეს წიგნების სიმრავლე. მათი ცნობით, გელათის ღვთისმშობლის ტაძრის საკურთხეველშიც კი იდგა წიგნებით საჯვ კიდობანი.

გელათის ხელნაწერთა კოლექციიდან, რომელიც ამჟამად ძირითადად ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული, განსაკუთრებით საყურადღებოა იოანე ქსიფილინოსის შრომების ქართული თარგმანების შემცველი კრებულები, დიდი ოსტატობითა და გემოვნებით შესრულებული ოთხთავი, გრიგოლ ჩახრეხაისძისეული „დიდი სჯულისკანონი“, გელათის ბიბლია და სხვა წიგნები.

## ს ა მ ე რ ა ე ლ ი

**მარტვილი** — დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო კერა. უძველესი ხუროთმოძღვრული ძეგლი — ჯვრის ტიპის ნაგებობა VII საუკუნისაა. X საუკუნეში იგი საკრძნობლად გადააკეთეს და კათედრალად აქციეს (ამ ადგილს ძველად ჭყონდიდს უწოდებდნენ. როდესაც იქ მოწამეთა, მარტვილთა სახელზე ეკლესია ააგეს, მას მარტვილი უწოდეს. საეპისკოპოსო კათედრალს ჭყონდიდის სახელი შერჩა).

იქაური მღვდელმთავარი, ჭყონდიდელი, ძველ საქართველოში დიდი პატივით სარგებლობდა, ერთხანს მწიგნობართუხუცესობასაც კი ითავსებდა; საქართველოს მეფის პირველი მინისტრი „ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესად და ვაზირთა ყოველთა უპირველესად“ იწოდებოდა.

მოღწეული მასალების საფუძველზე ნაწილობრივ მაინც ხერხდება გათვალისწინება იმ კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობისა, რომელიც ჭყონდიდელებსა თუ მარტვილის სხვა მოღვაწეებს ჩაუტარებიათ. ცნობილი არიან იქაური მწიგნობრები: სტეფანე სანანოსძე, იოანე მესვეტე, იოანე ჭყონდიდელი, ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი, რომანოზ მესვეტე და სხვ. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ის პირნიც, რომლებიც, მართალია, საქართველოს დედაქალაქში მოღვაწეობდნენ, მაგრამ ჭყონდიდის კათედრას ხელმძღვანელობდნენ და ჭყონდიდელებად იწოდებოდნენ (გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ანტონ გლონისთავისძე).

სტეფანე სანანოსძემ (X ს.) შეთხზა ორიგინალური ჰიმნები —

ნათლისღების, აბო თბილელისა და სტეფანე პირველმოწამის დას-  
დებლები, თარგმნა „საკითხავი დაუჯდომელთაი“, „ცხოვრებაი და  
მოქალაქობაი თეოქტისტის ლეზველისაი“ და გრიგოლ ნოსელის  
„შესხმაი წმიდისა სტეფანე პირველმოწამისაი“; იოანე მესვეტემ  
„სვეტსა ზედა ჭყონდიდისასა“ გადაწერა ჰაგიოგრაფიული კრე-  
ბული და სხვა წიგნები (1031 წ.); იოანე ჭყონდიდელი (XI—XII  
სს.) გიორგი ათონელის ცხოვრების აღწერის ერთ-ერთი ინიცია-  
ტორია.

1777—1788 წლებში ჭყონდიდის ეპარქიას მართავდა მთარგმ-  
ნელი და მქადაგებელი ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი, რომელმაც  
თავი გამოიჩინა მკვერმეტყველებითა და ღრმაიღუერი ქადაგებე-  
ბით.

შეგვიძლია კიდევ დავასახელოთ მარტვილის მწიგნობრები,  
რომლებიც თვით წერდნენ ან სხვებს აწერინებდნენ ძველ თხზუ-  
ლებებს. მაგალითად, გაბრიელ ჭყონდიდელმა (XVIII ს.) გადაა-  
წერინა ვახტანგის სამართალი, სჯულისკანონი, დოგმატიკურ-  
ასკეტიკური კრებული და ა. შ., ბესარიონ ჭყონდიდელმა (1765—  
1828) — მეტაფრასი, დავით ჭყონდიდელმა (XIX საუკუნის 30-  
იან წლებში) — რამდენიმე ხელნაწერი, გიორგი ჭყონდიდელმა —  
სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი (1838 წ.), „გიორგი ათო-  
ნელის ცხოვრება“ (1839 წ.) და სხვ. XIX საუკუნის 20—30-იან  
წლებში მრავალი ხელნაწერი დაამზადა რომანოზ მესვეტემ.

დიდად საინტერესოა მარტვილის მონასტრის ხელნაწერთა კო-  
ლექცია, რომელიც დღეს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერე-  
ბათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუ-  
ტის მშვენება გახლავთ.

ზუგდიდი. სამეგრელო ადრე ეგრისის საერისთავოს სახელით  
იყო ცნობილი, შემდეგ XII საუკუნიდან, ოდიშის საერისთავოდ  
იწოდებოდა. იქაური ერისთავი საქართველოს მეფეს ექვემდებარე-  
ბოდა და ემორჩილებოდა. გვიან ხანაში ოდიშის მთავრები იმე-  
რეთის მეფეთა ქვეშევრდომები იყვნენ, მაგრამ დღენიდაც დამო-  
უკიდებლობის მოპოვებას ცდილობდნენ. XVI საუკუნეში, 1557  
წელს, ლევან I დადიანის (1533—1572) ზეობაში ოდიშის სამთავ-  
რომ სავსებით დააღწია თავი იმერთა მეფის მორჩილებას.

სამეგრელოს ცენტრში, ზუგდიდში, სადაც იყო „სასახლე და-  
დიანთა, დიდშენი და პალატებიანი, ზღუდე-გოდლიანი“ (ვახუშ-  
ტი), ლიტერატურული ინტერესები ადრეულ ხანაში, ჯერ კიდევ  
XVI საუკუნეში, ლევან პირველისა და გიორგი მესამის კარზე

შეინიშნება — ლევან პირველმა და მისმა მეუღლემ ელენე დედოფალმა რამდენიმე წოგნი დაამზადებინეს; მათმა მეგვიდრემ, გიორგი მესამემ (1572—1582) და მისმა მეუღლემ თამარმა გადააწერინეს მოქვის გულანი და ა.შ., მაგრამ იქაური სამწერლობო კერის ისტორიაში შესამჩნევად გამოიყოფა ლევან II დადიანის (1611—1657) მთავრობის პერიოდი. საკმარისია ვთქვათ, რომ იმხანად მთავრის კარზე მოღვაწეობდნენ მამუკა თავაქალაშვილი და ბარძიმ ვაჩნაძე.

მამუკა თავაქალაშვილი (თავაქალაშვილი) — პოეტი, კალიგრაფი, მხატვარი — იმერთა მეფის მდივანი იყო, XVII საუკუნის 30-იან წლებში ტყვედ მოხვდა სამეგრელოში და იქ მოღვაწეობდა ლევან მეორის კარზე, სადაც ნაყოფიერი მუშაობა გააჩაღა. კერძოდ, სპარსულიდან შესრულებული თარგმანების საფუძველზე გალექსა „ზააქიანი“ (მასში ცალკეა მოთხრობილი ზააქის თავგადასავალი, რომელიც „შაჰ-ნამეში“ ჯიზოდის სახით გვხვდება).

მამუკა თავაქალაშვილს 1646 წელს გადაუწერია „ვეფხისტყაოსნის“ საყურადღებო ხელნაწერი — რუსთაველის პოემის უძველესა თარიღიანი ნუსხა. იგი მდიდრულადაა მოხატული, ახლავს ორმოცამდე ილუსტრაცია (შესრულებული ფერადი საღებავებითა და ოქრომელნით), აგრეთვე, პორტრეტები შოთა რუსთაველის, მამუკასი და ლევან მეორისა. ფიქრობენ, რომ ხელნაწერი მოხატულია მ. თავაქალაშვილის მიერ.

დაახლოებით იმავე პერიოდში მოღვაწეობდა სამთავროს კარზე პოეტი ბარძიმ ვაჩნაძე, რომელმაც გალექსა „საამიანი“.

ძველ საქართველოში ფრიად პოპულარული იყო საზღაპრო თხზულება „რუსუდანიანი“ (XVII ს.), რომელიც, როგორც ჩანს, სამეგრელოში ჩამოყალიბდა.

1714—1728 წლებში ოდიშის მთავრად იყო ბექან დადიანი. მის კარზე მოღვაწეობდა „მდივან-მგალობელ-მწიგნობარი“ პეტრე ჩხატარაისძე, რომელსაც წვლილი შეუტანია „ალექსანდრიანის“ ქართული ვერსიების ჩამოყალიბებაში.

„ალექსანდრიანი“ სერბულიდან მომდინარე რუსული რედაქციიდან თარგმნა აჩილ ბაგრატიონმა. პროზაული ტექსტი, — ბექან დადიანისა და მისი დისწულის გიორგი ჩიჩუას ბრძანებით, — გალექსა პეტრე ჩხატარაისძემ 1713—1728 წლებში (შემდეგ მან კვლავ პროზაულად გადაამუშავა ტექსტი).

ლიტერატურული ტრადიცია სამეგრელოში გვიან ხანამდე ფრქველდებოდა. ხელნაწერთა დამზადების ინიციატორებად ხშირად გამოდიოდნენ დადიანები. მაგალითად, ოტია დადიანმა (1728—1758)



და მისმა მეუღლემ გულქან დედოფალმა გადააწერინეს ტიპიკონი (1738 წ.), გულქანისავე ბრძანებითაა დამზადებული სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონისა და თვენის ნუსხები; „სრულიად ოდიშთა და ლეჩხუმთა“ მპყრობელმა გრიგოლ დადიანმა (1788—1804) „პალატსა სამეფოსა“ გადააწერინა პარაკლიტონი და ტიმოთე გაბაშვილის „მიმოწყლვა“; ლევან V დადიანის (1804—1846) მეუღლემ მართა დედოფალმა გადააწერინა კლემაქსი და მეტაფრასი, მანუჩარ დადიანმა — მეტაფრასი (1839 წ.), ელიზბარ დადიანმა — სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი (1841 წ.) და ა. შ. რასაკვირველია, საგანმანათლებლო საქმიანობა მხოლოდ ხელნაწერთა გამრავლებით არ ამოწურებოდა. დადიანთა ზოგიერთი წარმომადგენელი ორიგინალურ-შემოქმედებით მუშაობასაც ეწეოდა. საკმარისია მოვიგონოთ ნიკო დადიანის (1780—1834), აგრეთვე გრიგოლ (1814—1902) და დავით (1846—1853) დადიანების შემეცნებლობა.

სამეგრელოს ცენტრის, ზუგდიდისა და მისი შემოგარენის ლიტერატურულ ცხოვრებასა და იქაურ მოღვაწეთა გონებრივ კორიზონტზე მეტყველებს ხელნაწერთა ის მდიდარი კოლექცია, რომელმაც დადიანთა წიგნსაცავიდან მოაღწია.

სამეგრელოს სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო კერებიდან დავასახელებთ კიდევ სამს — წალენჯიხას, ცაიშსა და ხობს.

წალენჯიხაში (ზუგდიდიდან 25 კილომეტრზე) შემონახულია ქვით ნაგები ლამაზი ეკლესია (X—XI სს.), რომელიც დადიანთა მეთვალყურეობის ქვეშ იყო, მათი შეწირულება-დახმარებით ძლიერდებოდა, მათი საკრძალავიც იყო. იქაურ მწიგნობართაგან ცნობილია ზებედე წინამძღვარი (XVII ს.), რომელიც შემდეგ ალავერდელი მთავარეპისკოპოსი გახდა (იხ. ალავერდი), ილარიონ მოძღვართმოდვარი, ვინაც „ქუეყანას ოდიშსა და მონასტერსა წალენჯიხისასა“ გაბრიელ ბოკუჩიავას გადააწერინა კურთხევეანი (1667 წ.), და სხვ.

ცაიში მდებარეობს ზუგდიდიდან 9—10 კილომეტრზე. ძველი ეკლესიის ნანგრევებზე XIII—XIV საუკუნეებში იქ აუგიათ გუმბათიანი ტაძარი, რომელიც შემდეგ რამდენჯერმე აღუდგენიათ და გადაუკეთებიათ. იქაური მოღვაწენი ყურადღებას არ აკლებდნენ ძველ ხელნაწერთა დაცვა-გამრავლებას. მაგალითად, მაქსიმე ცაიშელმა დაამზადებინა სახარება (XVII ს.), გრიგოლ ცაიშელმა განახლებინა და შეაკვრევინა გულანი XVI საუკუნისა და სხვ.

ხოზი სენაკიდან 15 კილომეტრზეა, ამჟამად რაიონის ცენტრია. იქ, ხოზისწყლის მარცხენა მხარეს, მალღობზე დაცულია უგუშბათო, ბაზილიკის ტიპის ეკლესია, რომელსაც სტილით, ჩუქურთმებითა და გეგმით ე. თაყაიშვილი X—XI საუკუნეებით ათარიღებდა. იქაური მონასტრის ბინადართა მწიგნობრულ ტრადიციებს მოწმობს ხელნაწერთა კოლექცია, რომელიც კარგა ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას.

## აშხაზეთი

მოქვი — სოფელი ოჩამჩირის რაიონში, ცენტრიდან 17 კილომეტრზე. იქ ტაძარი ააგო და კათედრალი დააარსა მეფე ლეონ მესამემ (957—967). მოქვეში საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა ხელნაწერთა გამრავლება, ძველი ნუსხების გაცხოველება და ა. შ. მოღწეულია იქაური ბიბლიოთეკის ხელნაწერები, რომლებიც გვაცნობენ მოქველ მოღვაწეთა სახელებს. უპირველესად უნდა მოვიხსენიოთ დანიელ მოქველს თაოსნობით გადაწერილი ოთხთავი (1300 წ.). იგი მოხატულია მდიდრულად, შემკულია ხელოვნებით შესრულებული ორნამენტებით. გადაწერილი და გამფორმებულია ზერი ეფრემი (უკვე ეს ერთი ხელნაწერი მოწმობს, თუ რა მაღალ დონეზე იყო მწიგნობრობა მოქვეში); საინტერესოა მოქველი მღვდელმთავრის ექვთიმე საყვარელიძის ბრძანებით ნაკრატოზ ციმცაძის მიერ გადაწერილი მეტაფრასი (XVI ს.); მოქვისთვისაა გადაწერილი, — ზებედე დიაკვნისა და გიორგი მწერლის მიერ, — გულანი (XVI ს.) და სხვ.

ბეღია. ოჩამჩირის რაიონში, ცენტრიდან 25 კილომეტრზე, აღმართულია ბედიის საკათედრო ტაძარი, ქართული ხუროთმოძღვრების კიდეც ერთი შესანიშნავი ძეგლი. ააგო და კათედრალი დააარსა ბაგრატ მესამემ X—XI საუკუნეთა მიჯნაზე (ახლანდელი ნაგებობა XII—XIV საუკუნეებისა).

გ. ჩუბინაშვილის ვარაუდით, ზომებით, კომპოზიციით, დეკორატიული მორთულობით ბეღია ვერ მივიდოდა ბაგრატის ტაძართან, მაგრამ შინაგანი მოკაზმულობით, კედლის მხატვრობით, ხელოვნების ძვირფასი ნიმუშებით არ ჩამოუვარდებოდა მას; „ვის იცის, იგი იქნება სჯობდა კიდეც ოდესღაც ქუთაისის ტაძარს“.

ბედიელ მღვდელმთავრებს კარგი წიგნსაცავი შეუქმნათ და თვითაც მიუღიათ მონაწილეობა ხელნაწერთა დამზადებაში. ბედი-

ელი მიტროპოლიტის გერმანე ჩხეტიძის (XVI ს.) ინიციატივითაა გადაწერილი გულანი. მან შავშეთიდან ჩამოიყვანა გაბრიელ ლომსაძე და მას გადააწერინა გულანის ნაწილი (თვენი, მარხვანი). დანარჩენი ნაწილები გადაუწერიათ ამბროსი კარგარეთელს, საბა ნათოტაძეს და სხვ. ბიბლიოთეკილი ყოფილა ბედიელი მთავარეპისკოპოსი ანტონ ქვანიძეც (XVI ს.).

## მ უ რ ი ე

**ოზურგეთი.** გურია ისტორიული საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. ცენტრალური ხელაუფლება მას ერისთავის ან ერისთავთერისთავის მეშვეობით მართავდა. გურიელის, ვითარცა ერისთავთერისთავის, ხელისუფლება XIII საუკუნის 40-იან წლებში აღმოცენდა, ხოლო XV საუკუნის მეორე ნახევრიდან იგი გურიის სამთავროს მმართველად და გამგებლად იქცა. გურიელის რეზიდენცია ძველთაგან იყო ოზურგეთში, სადაც მას ჰქონდა „სასახლე დადშენი, კეთილ-პალატოვანი“ (ვახუშტი). აი იქ, გურიელის სასახლეში, გაჩაღდა ლიტერატურული საქმიანობა, რასაც არაერთი ხელნაწერი ადასტურებს. დაეიმოწმებოთ რამდენიმეს: ვახტანგ I გურიელის (1583—1587) მეუღლის თამარისა და მისი ვაჟის ქაიხოსრო I გურიელის ბრძანებითაა დამზადებული თეთროსნის დავითნი, რომელიც სასწავლო წიგნად გამოიყენებოდა; გიორგი III გურიელმა (1664—1684) გადააწერინა თვენი, ტიპიკონი და სხვა წიგნები; მამია III გურიელმა (1689—1714) — სახარების საკითხავები, მამია IV გურიელმა (1726—1756, 1753—1765, 1771—1776) — შემოკმედის გულანი და ა. შ.

კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრება ოზურგეთში გრძელდებოდა XIX საუკუნის პირველ მეწამედშიც, უკანასკნელმა მთავარმა მამია V გურიელმა (1804—1826) სასახლეში ერთგვარი სალონიც კი მოაწყო.

**შემოკმედი.** ოზურგეთის რაიონში, ცენტრიდან 7—8 კილომეტრის დაშორებით, მდებარეობს სოფელი შემოკმედი. იქ, მდინარე ბეუჯის მარცხენა ნაპირზე, საშუალო სიმაღლის გორაკზე აშენებულია განვითარებული შუა საუკუნეების ლამაზი და კონტა ეკლესია, ღვთაების ტაძარი (იქვეა გუმბათიანი ეკლესია — ზარზმა, რომელიც ვახტანგ I გურიელმა ააშენა სამცხის ზარზმიდან მოტანილი ნივთების დასასვენებლად).

შემოქმედელ მოღვაწეთაგან ყველაზე მეტად ცნობილია იაკობ ღუმბაძე, რომელიც ერთხანს თბილისშიც მოღვაწეობდა და გიორგი შეთერთმეტის წრეში ტრიალებდა (იხ. თბილისი). მას, როგორც მწერალს, დიდად აფასებდნენ არჩილ ბაგრატიონი, ანტონ პირველი, იოანე ბაგრატიონი და სხვ.

შემოქმედის ბიბლიოთეკა მდიდარი ყოფილა. იქაურ ხელნაწერთაგან მოღწეულია გულანი, რომელიც ორ ფუთაჰდე იწონის, ზატკი და სხვ.

რაჭა. ლიტერატურულ-საგანმანათლებლო მუშაობა რაჭაში ადრევე გაჩაღებულა. ამ საქმიანობაში ჩაბმულან როგორც ადგილობრივი მოსახლენი, ისე დროებით ჩასული მწერლებიც.

პირველ რიგში დავასახელებთ თეიმურაზ პირველს. უკვე ადგინიშნეთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოდან დევნილი პოეტი იმერეთის მეფეს შეეფარა და ქუთაისში ცხოვრობდა. როგორც ჩანს, იმ წლებში (1649—1656) ის ხშირად რაჭაში იმყოფებოდა და შემოქმედებით მუშაობასაც ეწეოდა. კერძოდ, რაჭაში დაწერა მან „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, „შამიფარვანიანი“ და სხვ.

რაჭაში რამდენჯერმე იყო არჩილ ბაგრატიონიც (1679, 1690—1691, 1698 წწ.), მაგრამ მის იქაურ ნაწერებზე ვერაფერს ვიტყვი. რაჭაში გზად გაუვლიათ სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ მეექვსესა და მისი ამალის წევრებს (1724 წ.); ბესიკს (1778 წ.) და სხვა მწერლებს, მაგრამ, რასაკვირველია, მათ ლიტერატურულ საქმიანობაზე საუბარი შეუძლებელია; ისინი ჩრდილოეთისაკენ მიიწვედნენ და რაჭაში შესაჩერებლად არც კი ეცალათ.

XVIII საუკუნეში მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობა გიშალა რაჭის ერისთავთა სასახლეში (წესში); შოშიტა მესამემ (1697 — 1729) გადააწერინა გულანი, როსტომ ერისთავმა (1750 — 1769) — სამართლის წიგნები, „ქილილა და დამანა“, კარაბადინი და სხვა წიგნები. 1809 — 1811 წლებში წესში სტამბაც კი მუშაობდა.

მდიდარი წიგნსაცავები არსებობდა ჭელიშში (საიდანაც მოაღწია „მოქცევაი ქართლისაის“ XIV საუკუნის ხელნაწერს), სევაში, ლაბეკინში, ნიკორწმინდაში.

ლეჩხუმი. ერთგვარი კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციები შეინიშნება ლეჩხუმის სავანეებშიც, კერძოდ, ცაგერში (გრიგოლ ცაგერელი, XVIII ს.; ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი, XVIII ს.; იოანე ცაგერელი, 1777 — 1823 წწ. და ა. შ.), საირმეში, ნამარნევი და ა. შ.

## ქველი ქართული კულტურის ქერები საზღვარგარეთ

ქართული კულტურის, კერძოდ, ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს საზღვარგარეთ არსებულმა ქერებმა, სადაც საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა ლიტერატურული აზროვნება და ფართოვდებოდა ქართველთა გონებრივი ჰორიზონტი.

ძველი ქართული კულტურის საზღვარგარეთელი ქერების მნიშვნელობა საკმაოდ ცნობილი და აღიარებულია. „ქართველთა ხარჯით და ფულით აშენებული არა ერთი და ორი [სავენე] დღესაც ჰლალადებს ათონის მთაზედ, სინაზედ, სირიანში, იერუსალიმის ახლომახლო, რომ ქართველთა თავგამომეტებით და დიდის მხნეობით უღვაწიათ თავისი ქვეყნის გარეთაც“ (ი. ჰაფსავაძე).

ი. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საზღვარგარეთ მყოფი ქართველთა სავანეების კულტურული მნიშვნელობა ფრიად დიდი იყო. იმ დიდი კულტურული მემკვიდრეობის გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განმავლობაში დაუწყებელი ჰქონდა, უცხოეთში მყოფი მონასტრების წყალობით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების ყოველი წარმატებისათვისაც თვალყური ედევნებინა. ყველაფერი, რაც-კი იქ ახალი და მნიშვნელოვანი იწერებოდა, ანდა კეთდებოდა, უცხოეთში დაარსებულს ქართველთა სავანეებში მომუშავე ქართველი მოღვაწეების, მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვანთა წყალობით საქართველოსაც საშუალება ჰქონდა სცოდნოდა: საეკლესიო თხზულებანი ან ითარგმნებოდა, ანდა გადმოქართულებული იყო ხოლმე“.

ამ სიტყვებში ისე ამომწურავადაა დახასიათებული და წარმოჩენილი ქართული საზღვარგარეთელი ქერების მნიშვნელობა და როლი ქართული ეროვნული კულტურის განვითარებაში, რომ ძნელია რამე დავუმატოთ. მართლაც, ამ ქერების მეშვეობით ქართველობა თვალს ადევნებდა იმდროინდელ მწიგნობრული წრეების საქმიანობას, ეცნობოდა მათ წარმატებას, ითვისებდა და ითარგმნიდა ყოველივე კარგსა და საყურადღებოს, ქმნიდა წინაპირობას ეროვნული ლიტერატურის შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის. საზღვარგარეთ არსებულ ქართულ სავანეებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენი მწერლობისათვის. ადგილობრივი ლიტერატურული ძალების ორიგინალურ-შემოქმედებითი მუშაობისათვის.

ძველი ქართული საზღვარგარეთელი ქერების ისტორიაში შემამჩნევად გამოიყოფა: ს.მ. რევიონი: ახლო აღმოსავლეთი (სირია-

პალესტინა), დასავლეთი (ბიზანტია), ჩრდილოეთი (რუსეთი). მასალას ამჟღავნებს დავალაგებთ და მიმოვიხილავთ ტერიტორიულ-გეოგრაფიული პრინციპით — სათანადო ქრონოლოგიური რიგის დაცვით.

ახლო აღმოსავლეთი. ქართველებს ადრეული ხანიდანვე ინტენსიურა ურთიერთობა ჰქონდათ ახლო აღმოსავლეთთან. ეგვიპტის, პალესტინისა და სირიის ბევრი უდაბნო ქართველ მოღვაწეთა საიმედო თავშესაფრად იქცა. ჩვენმა წინაპრებმა IV—V საუკუნეებში მიაშურეს ამ ქვეყნების სავანეებს.

ეგვიპტეში უკვე IV საუკუნეში მოღვაწეობდა ქართველი მოაზროვნე ევაგრე პონტოელი, ხოლო V საუკუნეში იქაურ უდაბნოში ქართული ბაზილიკაც აშენდა. ამ ეკლესიის ნანგრევები რამდენიმე წლის წინ გამოვლინდა (თებეს ნეკროპოლში) და ძველი წერილობითი წყაროების ჩვენება მატერიალური კულტურის ძეგლთა დადასტურდა.

კიდევ უფრო მრავლად ჩანან ქართველები პალესტინაში, განსაკუთრებით იერუსალიმსა და მის ახლოს არსებულ სავანეებში, აგრეთვე სინის მთაზე, შავ მთაზე (სირიაში). ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ქართულ ეკლესიას ახლო ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთის, კერძოდ, იერუსალიმის ეკლესიასთან. მეტიც, ქართული ეკლესია იერუსალიმური წარმოშობისაა. ამას ამოწმებს და ადასტურებს ქართულ წერილობით ძეგლებში შემონახული ზოგიერთი ტრადიციული გადმოცემა (ქართველთა განმანათლებლის იერუსალიმიდან მოსვლა, ქართველ მეფეთა ზრუნვა იერუსალიმის დაცვაზე, ქართველ მოღვაწეთა ხშირი მოგზაურობა პალესტინაში იქაურ სიძველეთა მოსახილველად და ა. შ.), ქართლის კათალიკოსის კირიონის (VI ს.) ცნობა ჩვენს ქვეყანაში იერუსალიმური წარმომავლობის ქრისტიანობის გავრცელების შესახებ, უძველესი ქართული ტაძრების შინაგანი მოწყობილობა, ქართველთა საღვთისმსახურო პრაქტიკაში იერუსალიმური ლიტურგიული ძეგლების გამოყენება და ამის გამო მცხეთასა და მის მიდამოებში იერუსალიმის ტიპოგრაფიული პირის შექმნა და სხვ.

ქართველთა ლტოლვა ახლო აღმოსავლეთისაკენ განაპირობა უპირველესად ქართული ეკლესიის აღმოსავლურმა (იერუსალიმურმა), წარმომავლობამ, ამასთანავე, ქართველთა ინტერესმა ქრისტიანობის კერისადმი, ბიბლიური ადგილებისადმი, ქართველ მოღვაწეთა მისტიკურ-ასკეტიკურმა მიდრეკილებამ და სწრაფვამ ბერმონაზვნური ცხოვრებისაკენ, განსაკუთრებით კი — ქართველთა დაინტერესებამ ქრისტიანული მწერლობით.

საუკუნეთა მანძილზე ახლო აღმოსავლეთი ქრისტიანული მწერლობის უმთავრესი ცენტრი და გამოჩენილ მწიგნობართა სა-  
მოღვაწეო ასპარეზი იყო. იერუსალიმი, საბაწმინდა, პალაერა, სინა,  
ანტიოქია, შავი მთა — ამ მწერლობის სახელგანთქმული კერებია.  
ქართველი მოღვაწენი, — იჩენდნენ რა დიდ ინტერესს ქრისტიანუ-  
ლი ლიტერატურისადმი, — განსაკუთრებით ეტანებოდნენ მის ცენტ-  
რებს; მათ ჯერ სხვათა სადგომებს მიაშურეს, ხოლო შემდეგ ქარ-  
თული კოლონიები დააარსეს, საკუთარი სავანეები შექმნეს და მწიგ-  
ნობრულ-შემოქმედებითი მუშაობაც გააჩაღეს.

ახლო აღმოსავლეთში არსებულ სავანეებზე, იქაურ ქართველთა  
ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობაზე მრავალი ცნობაა და-  
ცული ძველ ქართულ წყაროებში — საისტორიო ნაწარმოებებში,  
ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, ზოგზაურთა ჩანაწერებში, ხელნა-  
წერთა ანდერძ-მინაწერებში, ალაპებსა და სულთა მატარანებში,  
ეპიგრაფიკულ ძეგლებში, სიგელ-გუჯრებში და ა. შ.

ქართველთა მოღვაწეობა ახლო აღმოსავლეთში დიდხანს გრძელ-  
დებოდა. მათი აღმშენებლობითი საქმიანობა, შემოქმედებით  
და სხვა კულტურულ წრებთან ურთიერთობა შესამჩნევი  
იყო და უცხოელთა ყურადღებასაც იპყრობდა. ამის შედეგად ცნო-  
ბები ახლო აღმოსავლეთში ქართველთა მოღვაწეობაზე შემოგვინა-  
ხეს არაქარხველმა ავტორებმაც (საეკლესიო და დიპლომატიურმა  
მოღვაწეებმა, მემატრიანებმა, ზოგზაურებმა და სხვ.).

ქართული თუ არაქართული მასალა შესაძლებლობას გვაძლევს  
ზოგადად გავითვალისწინოთ ახლო აღმოსავლეთში ქართველთა მო-  
ღვაწეობის ისტორია.

თავდაპირველად ქართველებმა პალესტინის სამონასტრო კოლო-  
ნიზაცია დაიწყეს, ყოველ შემთხვევაში, V საუკუნიდან მაინც.  
უპირველესად უნდა მოვიხსენიოთ მწერალსა და ზოაზროვნის პეტ-  
რე ქართველის (411 — 491) საქმიანობა. V საუკუნის პირველ ნა-  
ხევარში მან ააგო ქართული სავანეები როგორც იერუსალიმში, ისე  
მის ახლოს. ეს უკანასკნელი რამდენიმე წლის წინათ აღმოჩნდა  
(ბეთლემის მახლობლად, უდაბნოში, ბირ ელ-ყუთის მიდამოებში,  
ხირბეთ სიიარ ელ-ღანამის ჩრდილო-დასავლეთით, ფართო ტაფობის  
ფერდობზე) არქეოლოგიური გათხრების შედეგად (გათხრებს ხელ-  
მძღვანელობდა იტალიელი მეცნიერი ვ. კორბო). ახალგამოვლენ-  
ილიმა ხუროთმოძღვრულმა ძეგლმა შემოგვინახა ქართული დამწერ-  
ლობის უძველესი ნიმუშები, წარმოაჩინა ქართლის სამეფოს ეკო-  
ნომიკური ძლიერება, ნათლად გამოავლინა პეტრე ქართველის წვლი-  
ლი პალესტინის სამონასტრო კოლონიზაციაში, გააფართოვა ჩვე-  
მ. ლ. მენაბდე

ნი წარმოდგენა ქართველთა მოღვაწეობაზე ახლო აღმოსავლეთში. ქართულწარწერიანმა ნაგებობამ ნათელყო პეტრე ქართველის კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობის ეროვნული მიზანდასახულობა. დადასტურდა, რომ პეტრე ქართველი შორეულ პალესტინაშიც ენერგიულად ზრუნავდა თავის თანამემამულეებზე და ქართულ დაწვერლობას პროპაგანდას უწევდა.

პეტრე არის ერთ-ერთი პირველი ქართველი პილიგრიმი პალესტინაში, მის მიერ აგებულნი შენობები — ქართველთა პირველი ეროვნული თავშესაფარი იყო ახლო აღმოსავლეთში. პეტრეს მიერ დაარსებული ქართული სავანე გახდა საფუძველი იერუსალიმის ქართული კოლონიისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იზრდებოდა და მტკიცდებოდა საქართველოდან მისული მოღვაწეებით.

პეტრეს შემდგომ ხანაში ქართველები მრავლად ჩანან პალესტინისა და სირიის სამონასტრო ცენტრებში, სადაც მათ ეროვნული კოლონიები და მნიშვნელოვანი ლიტერატურული კერები დააარსეს. ამის შედეგად გვიანი ხანის ქართველ მოღვაწეებს ახლო აღმოსავლეთისაკენ იზიდავდა არა მხოლოდ მსოფლიო ქრისტიანული მწერლობა, არამედ წინამორბედ თანამემამულეთა მიერ შექმნილი ლიტერატურული მემკვიდრეობაც.

ახლო აღმოსავლეთის ქართული კულტურის კერებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია საბაწმინდა, სინა, ჭვარი და შავი მთა.

**საბაწმინდა.** იერუსალიმის ახლოს IV—V საუკუნეებში აღმოცენდა რამდენიმე ლავრა (ხარაბონისა, თეოდოსისა, საბასი და ა. შ.). სადაც თავი მოიყარეს ქრისტიანმა მოღვაწეებმა (ბერძნებმა, სირიელებმა და სხვ.). ამ სავანეებს ქართველებმაც მიაშურეს და ზოგიერთი მათგანი ქართულ მწიგნობრულ-სავანმანათლებლო კერადაც კი აქცევს.

ჩვენი კულტურისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბას ლავრას — საბაწმინდას, რომელიც მდებარეობს იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 13—15 კილომეტრზე. იგი V საუკუნის 80-იან წლებში დააარსა გამოჩენილმა საეკლესიო მოღვაწემ საბა განწმენდილმა (439—532) და მაშინვე მიიზიდა მოწესენი სხვადასხვა ქვეყნიდან: მართალია, ცხოვრება იქ საკმაოდ ჭირდა; პირქუში სალი კლდეები, თვალჩაუწყვედელი უფსკრულები და საშიში ნაპრალები, ხრიოკი და უწყლო უდაბნო ადამიანის ცხოვრებას თითქმის შეუძლებლად ხდიდა, მაგრამ ბერმონაზვნობასწორედ ასეთ ადგილებს ეტანებოდა და საბას სავანეშიც მომრავლდნენ მოწესენი, რომლებიც მეტწილად გამოქვაბულებში სახლობდნენ



და ერთმანეთის მიყოლებით აგებდნენ ეკლესიებს. ქართველები იქ ადრევე დასახლდნენ, ხოლო 532 წლისათვის ისე მომრავლდნენ, რომ ჰქონდათ თავიანთი ეკლესიაც, სადაც ზოგიერთ წიგნს დედანაზე კითხულობდნენ (რასაკვირველია, საბას ლავრა ქართული სავანე არ ყოფილა; ის იყო დიდი მონასტერი, რომელშიც მოღვაწეობდნენ სხვადასხვა ეროვნების მოწესენი, მათ შორის ქართველებიც).

მომდევნო ხანაში მდგომარეობა ვართულდა, განსაკუთრებით მას შემდეგ. რაც პალესტინა ირან-ბაზანტიის პოლიტიკურ ინტერესთა შეჯახების შედეგად საბრძოლო ასპარეზად იქცა. თუ ადრე პალესტინა ქრისტიანული ბაზანტიის სფეროში შედიოდა, 614 წელს ირანელებმა დაიპყრეს, ხოლო 637 წლიდან არაბთა ხელთ აღმოჩნდა. 969 წლიდან იერუსალიმსა და მის შემოგარენს ეგვიპტელები, ხოლო 1071 წლიდან თურქ-სელჩუკები დაეუფლნენ. მაჰმადიანთა მპყრობელობამ და თვითნებობამ სათანადო გავლენა მოახდინა საბაწმინდის მკვდრთა ცხოვრებასა და კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაზე. ამ პერიოდში საბაწმინდა რამდენჯერმე დაარბიეს (614 წ., 769 წ. და ა. შ.), მაგრამ, მიუხედავად ძნელბედობისა, ბერმონაზვნური ცხოვრება კვლავ გრძელდებოდა და ქართველებიც არ წყვეტდნენ კავშირს ამ სავანესთან. ბევრი ქართველი იქ ხანგრძლივად ცხოვრობდა და ლიტერატურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდა, ზოგიერთი მოღვაწე კი არ ერიდებოდა მოგზაურობას სიძნელეს, დროებით შიდიოდა საბას მიერ დაარსებულ ლავრაში და ერთხანს იქაურ მოწესეთა წრეში ატარებდა, მაგალითად, ილარიონ ქართველი (IX ს.), გიორგი-პროხორო (XI ს.), ფილიპე შაქარაშვილი (1567 წ.), იონა გედევანიშვილი (XVIII საუკუნის 80-იან წლებში), გიორგი ავალიშვილი (1820 წ.), პეტრე კონჭოშვილი (1899 წ.) და სხვ. სამწუხაროდ, ქართველთა ნაკვალევზე ამ პარებს არავითარი ცნობა არ შემოუნახავთ. შედარებით შედეგიანი იყო რუსი სწავლულის პ. უსპენსკის მისვლა საბაწმინდაში. მან გააუღი საუკუნის შუა წლებში მოახსულა ეს სავანე და წამოიღო იქიდან ძვირფასი ქართული ხელნაწერი — ჰილ-ეტრატის იადგარი (IX ს.). მეტი შედეგი გამოიღო ა. ცაგარლის მოგზაურობამ (1883 წ.). მკვლევარმა, მართალია, საბაწმინდაში მხოლოდ ერთი ქართული ხელნაწერი ნახა და ისიც გვიანი ხანისა (XV ს.), მაგრამ სხვაგან დაცული საბაწმინდური ხელნაწერების შესწავლის საფუძველზე ეს სავანე სავსებით მართებულად მიიჩნია ქართული მწერლობის უძველეს საზღვარგარეთულ კერად.

საბაწმინდაში აღრეული ხანიდან მოღვაწეობდა მწიგნობართა მრავალრიცხოვანი ჯგუფი, იქ იქმნებოდა ქრისტიანული მწერლობის შედეგები. საკმარისია მოვიგონოთ იოანე დამასკელა (გარდ. 749 წ.), რომელმაც იქ გაატარა ცხოვრების ბოლო წლები, იქ შექმნა ბევრი ძეგლი და სავანის ბინადრებსაც გაუღვივა ინტერესი მწიგნობრობისადმი (სხვათა შორის, საბაწმინდაში იოანე დამასკელის ლიტერატურულ საქმიანობაზე საგანგებოდაა ყურადღება გამახვილებული „იოანეს ცხოვრების“ ქართულ ვერსიაში, რომელიც ეფრემ მცირეს ეკუთვნის). იქ მოღვაწეობდნენ სხვა გამოჩენილი პოეტი-მელოდიანებიც, რომელთა თაოსნობით მოხდა გარდატეხა ბიზანტიის ჰიმნოგრაფიასა და მუსიკაში; ბიზანტიის ჰიმნოგრაფიის ისტორიაში დაიწყო ახალი ხანა, რომელსაც საბაწმინდურს უწოდებენ.

საბაწმინდაში ძირითადად ბერძნულ ენაზე იწერებოდა ახალი თხზულებანი, მაგრამ თანდათან გაიშალა მუშაობა სირიულ ენაზე, VIII—IX საუკუნეებში განვითარდა არაბულ-ქრისტიანული მწიგნობრობაც. ბუნებრივია, ყოველივე ეს გავლენას ახდენდა იმ ქართველებზე, რომლებმაც არაბთა მოძღვარების გამო სამშობლოში შეწყვიტეს მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობა, მიაშურეს პალესტინას, დამკვიდრდნენ საბაწმინდაში და შექმნეს იქ (VIII საუკუნიდან მაინც) უზნიშვნელოვანესი კერა ქართული მწიგნობრობისა. საბაწმინდელ ქართველ მოღვაწეებს შემოქმედებით ცეცხლს მატებდა, ერთი მხრე, სურვილი და მოთხოვნილება მშობლიურ ენაზე წერისა, მეორე მხრივ, კულტურულ-ლიტერატურული გარემოსცვა.

ჩვენთვის ცნობილი მასალებით, ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ძეგლებით საბაწმინდა არის ქართული კულტურის უძველესი ცენტრი უცხოეთში. რასაკვირველია, ეს არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ საბაწმინდა ქართული მწერლობის აკენად მივიჩნიოთ. ქართული მწერლობა საბას ლავრის დაარსების უამრავ უკვე მაღალ საფეხურზე იდგა (მოვიგონოთ იაკობ ცურტაველი). აღრინდელი ქართული წერილობითი ძეგლება საქართველოში შეიქმნა — ადგილობრივ ლიტერატურულ კერებში. მაშინ, ჩვენში ჯერ კიდევ არ იქნებოდა შემოქმედებით მუშაკთა ისეთი მოზღვაება, რომ შესაძლებელი გამხდარიყო უცხოეთში მათი მრავლად გაგზავნა იქ სამოღვაწეოდ.

რამდენიმე სიტყვა საბაწმინდელ ქართველთა საქმიანობაზე.

საბაწმინდის ქართულ სამწერლობო კერაში მოღვაწეობდა მრავალი ქართველი მწიგნობარი — მარტვირი საბაწმინდელი, სეითი,

მაკარი-ლეთთელი, პიმენ კახი, ამონა, ბასილ საბაწმინდელი, გიორგი თბილელი, არსენი, იოანე-ზოსიმე, სვიმეონ მგალობელი, მიქაელ ჩიხუარელი და სხვანი. სწორედ მათი თავდადებული და მრავალწიბრია მუშაობის შედეგად დაიმკვდრა საბაწმინდამ საპატრიო ადგილი ქართული კულტურის ისტორიაში.

საბაწმინდაში გატარდა ქართული სალიტურატურო ენის რეფორმა (VIII—IX სს.), რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი მშობლიური ენის ისტორიაში; იქ შემუშავდა ბიბლიური წიგნების საბაწმინდური რედაქცია (IX ს.); ფართოდ გაიშალა მთარგმნელობითი მუშაობა, ითარგმნა და შედგა პაგიოგრაფიული, მისტიკურ-ასკეტიკური და სხვა ხასიათის კრებულები (მთარგმნელთა საქმიანობაშიც გამოსჭევვის ეროვნული მიმართულება).

აქ უნდა მოვიხსენიოთ მისტიკურ-ასკეტიკური შინაარსის თხზულება „თქმულება წმიდისა მარტვირი მონაზონისაი სინანულისათვის და სიმდაბლისა“, რომელიც მარტვირი ქართველის (VII ს.) თარგმნილ-გადმოკეთებული უნდა იყოს; უცნობია ქართველმა მოღვაწემ (VIII ს.) თარგმნა „საბა განწმენდილის ცხოვრების“ კიმენური რედაქცია („ცხოვრებაი ნეტარისა ჩუენისა საბაისი“). მან, ერთი მხრივ, ქართველ მკითხველებს გააცნო ლავრის დამაარსებლის თავდადასავალი, მეორე მხრივ, ერთგვარი გავლენა მოახდინა შემდეგდროინდელ ქართულ მწერლობაზე; ყურადღებას იპყრობს VIII საუკუნის მეორე ნახევრისა და IX საუკუნის პირველი ნახევრის საბაწმინდელი მოღვაწის სეითის ნაყოფიერი მთარგმნელობითი საქმიანობა. მან არა მხოლოდ ძეგლები თარგმნა (ძირითადად ბერძნული ენიდან, ზოგიერთი კი შეიძლება არაბულიდან), არამედ საფუძველი ჩაუყარა იმ პაგიოგრაფიულ კრებულს, რომელიც მოღვაწეთა „წამება-ცხოვრების“ კიმენური რედაქციის ტექსტებს შეიცავს.

VIII—IX საუკუნეებში საბაწმინდაში განვითარდა ქართული ეროვნული ჰიმნოგრაფია, შეიქმნა უღბდესი მწიგნულობის ჰიმნოგრაფიული კრებულები. იქაურ ქართველ ჰიმნოგრაფთა ერთ-ერთი ადრინდელი წარმომადგენელია ბასილი, რომელიც, საფიქრებელია, VIII—IX საუკუნეებში ცხოვრობდა. მას დაუწერია საბას საგალობელი „ძუელნი ქართულნი“ (კიდურწერალობაში იკითხება „ბასილი“). ბასილ საბაწმინდელის მიერ საბას საგალობლების შეთხზვა ცხადყოფს, რომ საბაწმინდელი ქართველი მოღვაწენი დიდ ინტერესს იჩენდნენ სავანის დამაარსებლის მიმართ, არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ სხვაენოვანი ტექსტების თარგმნით და თავით წერდნენ საბას სადიდებელს.

X საუკუნეში, კერძოდ, 949—965 წლებში, ინტენსიური მუშაობა გააჩაღა ცნობილმა მწიგნობარმა იოანე-ზოსიმემ, რომელმაც შეადგინა ორიგინალური თე ნახევრად ორიგინალური კალენდარულ-ჰიმნოგრაფიული კრებულება, რომლებშიც ნათლად შეინიშნება ეროვნული ტენდენციები, დაამზადა ნუსხები და ა. შ.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს იოანე-ზოსიმეს „კრებაი თთუეთაი წელიწდისათაჲ“ — მოზრდილი კალენდარი, რომელიც შეიცავს მრავალ ცნობას პალესტინის ბერმონაზვნური ცხოვრებისა და საეკლესიო ორგანიზაციის შესახებ. თავისი შინაარსითა და შედგენილობით ამ შრომამ არა მხოლოდ ქართული სიძველეების შემსწავლელნი, არამედ ზოგადქრისტიანული კულტურის მკვლევარნიც დააინტერესა.

ფრიად მნიშვნელოვანია „სავალობელნი იადგარნი“, რომელზეც იოანე-ზოსიმეს გულმოდგინედ უმუშაუა და მასში ბევრი რედაქციული ცვლილება შეუტანია, ამასთანავე, ქართული ელემენტიც წარმოუჩენია. ყურადსაღებია მისი ცდა ძველი ტექსტების გადარჩენა-შენახვისა: ახალი რედაქციის სავალობლებთან ერთად მან მოგვცა ძველი რედაქციის ნიმუშებიც (საერთოდ საბაწმინდელი მოღვაწენი ლიტურგიულ-ჰიმნოგრაფიული კრებულების შედგენისას ყოველთვის ითვალისწინებდნენ ქართული ლიტურგიული პრაქტიკის მოთხოვნილებას).

იოანე-ზოსიმეს მიეწერება „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაჲ“, რომელიც ცხადყოფს ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებასა და გაღრმავებას.

საბაწმინდაში გახშირდა ხელნაწერთა დამზადება, მომრავლდნენ კალიგრაფები, დამკვდარდა საბაწმინდური ხელი. იქ დამზადებულ ხელნაწერთა შორის განსაკუთრებით ძვირფასია 864 წლის მრავალთავი, რომელიც უძველესი (პირველი) ქართული თარიღიანი ხელნაწერია. მის დამზადებაში მონაწილეობა მიუღიათ მაკარი ლეთეთელს, ბამენ კახს, ამონასა და სხვებს. კრებულის გადაწერის ინიციატორი და ერთ-ერთი მთავარი გადამწერი მაკარია. იგი ქართლიდან იყო, სოფელ ლეთეთიდან. გიორგი მერჩულის ცნობით, იგი, — „კაცი შუენიერი, კეთილი მონაზონი, სრული სიბრძნითა“, — გრიგოლ ხანძთელის მოწაფე იყო და შორეულ პალესტინაში მოღვაწეობის უამსაც არ წყვეტდა კავშირს თავის განსწავლულ მოძღვართან. გრიგოლ ხანძთელისა და მაკარი ლეთეთელის ურთიერთობა ცხადყოფს, რომ საბაწმინდელ ქართველებს მკიდრო კავშირ-ურთიერთობა ჰქონდათ სამშობლოსთან.

მაკარი ლეთეთელისა და მისი თანამოღვაწეების მიერ შედგენილ

კრებულში, — რომელიც ნაკლული სახითაა მოღწეული, — შემონახულა 18 ავტორის 50 თხზულება: მასში შესულია გრიგოლ ნოსტარის, ეპიფანე კვიპრელის, ეფრემ ასურის, კირილე იერუსალიმელის, მელეტი ანტიოქელის, იოანე ოქროპირისა და სხვათა ნაწარმოებები, რომლებიც იმ დროს (846 წ.) უკვე ყოფილა ქართულ ენაზე. საფიქრებელია, ეს თხზულებანი პალესტინის ქართულ საეპარქიებში და უპირატესად საბას ლავრაში ითარგმნა VII — VIII საუკუნეებში. ბევრი ძველი ძველი ქართული მატერული პროზის ნამდვილი შედეგია, პოპილარული თხზულებათა ცალკეული ადგილები გაღწეულია. ძველ ხელნაწერთაგან ეს მრავალადი არის უჩველესი თარგმანა კრებული, რომელიც გვაწვდის მასალებს ადრინდელი ქართული ლექსის შესახებ.

კრებული საყურადღებოა ენობრივი თვალსაზრისითაც (მდიდარი ლექსაჲ, გრამატიკული წყობა, თავისებური ორთოგრაფია). ის უნათლად გვიჩვენებს იმ გზას, რომელიც ქართულ სალიტერატურო ენას გაუვლია სამი-ოთხი საუკუნის განმავლობაში — ხანმეტობის ხანიდან (V — VI სს.) მეცხრე საუკუნის სამოციან წლებამდე“ (ა. შანიძე).

მრავალთავის ზოგიერთი ნაკვეთი აღრეც გამოქვეყნდა (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ილ. აბულაძე, ი. ინაიშვილი...), მაგრამ ეს საკმარისი არ იყო და როგორც კი ჩვენამდე მოაღწია მთლიანმა მასალამ (შეკროფილმისა თუ ფოტოპირის სახით), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრამ ა. შანიძის ხელმძღვანელობით იგი სრული სახით დაბეჭდა.

864 წლის მრავალთავი გადაწერისთანავე სინის მთაზე მოხვდა (მაკარი ლეთეთელმა შესწირა იქაურ ქართულ სათვისტომოს) და ახლაც იქაა დაცული. ამიტომ დაუმკვიდრდა მას სინური მრავალთავის სახელწოდება, თორემ, როგორც აღვნიშნეთ, ის საბაწმინდაში გადაიწერა და ამდენად უფრო სწორი იქნებოდა მისთვის საბაწმინდური მრავალთავი გვეწოდებინა.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ზემოდასახელებული კილ-ეტრატის იადგარი, რომელიც საბაწმინდიდან წამოიღო პ. უსპენსკიმ და ახლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. ეს კრებული საბაწმინდაში დაწერილი უნდა იყოს. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ, საბაწმინდელთა წვლილი ეროვნული პიროვნების განვითარებაში ერთობ დიდი ყოფილა.

საბაწმინდის საეანეს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან, იქიდან ტიპიკონ-ც კი გადმოიწერა.

ადრეულ, წინათონურ პერიოდში, ქართული ღვთისმსახურება აღმოსავლურ ტრადიციებს შეიცავდა და პალესტინის ლიტურგიკულ წრესთან იყო დაკავშირებული. ქართული ეკლესია პალესტინისაგან სწავლობდა და იღებდა საღვთისმსახურო წესებს. ამიტომაც ადრე ჩვენში იხმარებოდა იერუსალიმის რედაქციის ტიპიკონი, რომელიც ქართულად ითარგმნა არა უგვიანეს VIII საუკუნისა. გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით IX საუკუნის პირველ ნახევარში (826 წლის ახლოს) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გადმოიწერა საბაწმინდის ტიპიკონი — „საბაწმინდის განგებანი“, ხოლო რამდენაღმე გვიან, დავით აღმაშენებლის დროს, იგი ახალი რედაქციით მთელ საქართველოში დამკვიდრდა.

რასაკვირველია, საბაწმინდელ ქართველ მწიგნობართა საქმიანობა მხოლოდ შემოაღწეულით არ განისაზღვრება. საფიქრებელია, იქ ითარგმნა არაერთი თხზულება (კერძოდ, „სწავლაი წმიდისა სტეფანე მძოვრისაი საბაწმიდელისაი, რომელი ზღუასა ზედა ვიდოდა“, სტეფანე მანსურის „თხრობაი წამებისაი წმიდათა მამათაი, რომელნი მოისრნეს ბარბაროსთაგან, — რომელ არიან საკრინოზნი, — ლავრასა შინა წმიდისა მამისა ჩუენისასა საბაისასა“, ანტიოქე სტრატეგის „წარტყუენვაი იერუსალიმისაი“, „ცხოვრებაი და განგებანი წმიდათა მამათაი სტეფანეისი და ნიკონისი“, ამონიოსის „ცხოვრებაი წმიდათა და ნეტართა მამათაი, რომელნი მოისრნეს მთჳსა სინასა და რაითჳ ბარბაროსთაგან“ და სხვ.).

წიგნები ძირითადად ბერძნული ენიდან ითარგმნებოდა, ზოგჯერ არაბულიდანაც. მაგალითად, სტეფანე მანსურისა და ანტიოქე სტრატეგის თხზულებანი არაბულიდან ითარგმნა. არაბულიდანვე უნდა იყოს ნათარგმნი (IX—X სს.) ბასილ საბაწმინდელის „წამებაი მიქაელ საბაწმიდელისაი“, რომელიც საბაწმინდის ქებასაც შეიცავს და ძველი ქართული ლექსის ერთ-ერთი საყურადღებო ნიმუშია.

საბაწმინდელ ქართველთა ლიტერატურული მემკვიდრეობა ქართველ მწიგნობართა და პილიგრიმთა საშუალებით გავრცელდა როგორც პალესტინაში, ისე საკუთრივ საქართველოში და საგრძნობი გავლენა მოახდინა ჩვენი ლიტერატურის განვითარებაზე.

ქართველთა მოღვაწეობა საბაწმინდაში შეინიშნებოდა XI საუკუნეშიც (მიქაელ ჩიხუარელი, მიქაელ დვალი, იოანე ყია...), მაგრამ იგი დიდხანს არ გავრძელებულა. არაბთა მოძალებისა და მონასტრის ხშირი დარბევის გამო იქ დარჩენა თანდათან გაძნელდა,

ხოლო შემდეგ შეუძლებელი გახდა. ქართველმა მოღვაწეებმა სხვა საგანეებს მიაშურეს, ხელნაწერი წიგნებიც გადაიტანეს და იქ განაგრძეს იძულებით შეწყვეტილი მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობა.

სინა. სინის მთა ქართველთა უშორესი სამოღვაწეო პუნქტია ახლო აღმოსავლეთში. იგი აღმართულია არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთით — სინის ნახევარკუნძულის სამხრეთ სექტორში (ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში). იქვეა სხვა მთებრიც: ებისტომიასი, ზერბალისა, ეკატერინესი და სხვ. აი ამ მთიანეთში, სინისა და ებისტომიის მთებს შუა პლატოზე, უფრო ზუსტად — სინის მთის კალთაზე, 1528 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ეკატერინეს მონასტერი, რომელმაც მრავალი მოღვაწე მიიზიდა. მოუხედავად იმისა, რომ სინის მთის ბუნება ერთობ მკაცრია, — ზამთარი იქ პირდაპირ აუტანელია, — ბევრი ქრისტიანი მოწესე იქაურობას აფარებდა თავს და არ უფრთხოდა არც ბუნებრივ-კლიმატური პირობების სისასტიკეს და არც არაბი ბედუენების ძალადობას. ამის ახსნა ადვილია: ბიბლიური გადმოცემით, სინის მთა წმინდა ადგილი იყო, იქ თითქოს ღმერთი გამოეცხადა ებრაელთა წინამძღოლს მოსე წინასწარმეტყველს. ბუნებრივია, მოსეს მიერ ღვთაოს ხილვა მორწმუნე საზოგადოებრიობამ სასწაულად მიიჩნია, ხოლო სინის მთა — წმინდა ადგილად.

პირველი ქრისტიანები სინის მთაზე უკვე მესამე საუკუნეში მივიდნენ. მალე მათ ალექსანდრიიდან მიიტანეს წმინდა ეკატერინეს ნაწილები და დაასვენეს იმ მთაზე, რომელსაც დღემდე ეკატერინეს მთა ეწოდება. შემდეგ იქ მოწესენი მომრავლდნენ და, გადმოცემით, კონსტანტინე დიდის (306 — 337) დედამ ელენემ ეგვიპტის პრეფექტს ააგებინა ბატარა ტაძარი. იმის მოუხედავად, რომ თავდამსხმელებმა რამდენჯერმე დაარბიეს სინა და ამოწყვიტეს ბერ-მონაზონნი, იქაური კრებული მაინც იზრდებოდა. ამიტომაც VI საუკუნეში იქ მოზრდილი ტაძარიც აშენდა.

ყველა მოგზაური თუ მეცნიერი, რომელიც კი სწვევია სინას, ერთხმად აღნიშნავს მთავარი ტაძრის ახლომახლო ეკლესია-სამწირველოებას სიმრავლეს. ეს კი საფიქრებელს ხდის, რომ სინაზე ბერ-მონაზონთა დიდი კრებული მოღვაწეობდა. მართლაც, იქაურ საგანეში მრავლად მოღვაწეობდნენ ბერძნები, სირიელები, ქრისტიანი არაბები... მალე იქ ქართველებიც გაჩნდნენ.

თითო-ორილა ქართველი სინის მთაზე უკვე VI საუკუნიდან ჩანს, მაგრამ, ცხადია, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ VI ან, თუ გნებავთ, VII — VIII საუკუნეებში ქართველებს სინის მთაზე თავიანთი კოლონია ჰქონდათ. მსჯელობა ქართველ მოღვაწეთა ჯგუფების სინის მთაზე დამკვიდრებასა და იქ ქართული სათვისტომოს დაარსებაზე შეგვიძლია დავიწყოთ მხოლოდ IX საუკუნიდან, როდესაც არაბთა თავდასხმებით შეწუხებულმა ჩვენმა წინაპრებმა ნაწილობრივ დატოვეს პალესტინის სავანეები (საბაწმინდა, პალავრა და სხვ.) და შორეულ მხარეს, შედარებით საიმედო თავშესაფარს მოაშურეს — სინის მთაზე დამკვიდრდნენ (სინის მთა, — ვითარცა შორეული პუნქტი, — არაბთა ძალმომრეობას ამდენად არ განიცდიდა, მტრის თავდასხმისაგან შედარებით დაცული იყო).

სინის მთაზე ქართველთა მრავალწლოვანი კრებული ყოფილა (ამას რამდენიმე ქართული ეკლესიის არსებობაც ადასტურებს). იქვე ქართველებს უმუშრველად ეხმარებოდნენ საქართველოს მეფე-დიდებულები თუ სასულიერო მოღვაწენი. დავით აღმაშენებელმა იქ ეკლესიაც კი ააშენა. როგორც ი. ჯავახიშვილი შენიშნავს, დავითს კარგად ესმოდა, რომ სინის მთაზე ტაძრების მშენებლობას არა „მარტო წმინდა სარწმუნოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, არამედ ამავე დროს ეს მთელ მახლობელ აღმოსავლეთში და დასავლეთის ქრისტიან ხალხთა შორის საქართველოს პოლიტიკურ სახელგანთქმულობასაც უწყობდა ხელს“ და საერთაშორისო სფეროში საქართველოს დიდი ზეედრიაა წონის გამოხატულება იყო.

ქართველთა დახმარება სინისადმი რომ ძალზე დიდი და მრავალფეროვანი იყო, ამას თვალნათლივ ადასტურებს „მოსახსენებელი და მატთანე პატიოსნისა წმიდისა მონასტრისა, ღმრთისა დამყარებულისა სინისაი“ — სინის მთის ქართველთა მონასტრის სულთა მატთანე, როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებენ. მის შესავალში ვედრებაა მონასტრის კრებულსადმი, რათა არ მოიშალოს ქვემოჩამოთვლილ პირთა მოხსენიება, შემდეგ დასახელებული არიან ის პირები (ხშირ შემთხვევაში ქრონოლოგიური, ნათესაური და წოდებრივი პრინციპით), რომელთაც თავიანთი დახმარება-შეწირულებით ან საერთოდ მრავალმხრივი საქმიანობით მოხსენიება დაიმსახურეს. იქ იხსენიებიან მეფეები, დედოფლები, დიდებულები, მღვდელმთავრები, საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე საეკლესიო პირები და ა. შ. შეუძლებელია სულთა მატთანეში მოხსენიებულთაგან ყველა მივიჩნიოთ სინის მონასტრის დამხმარედ, მაგრამ, ამასთანავე, საფიქრებელია, ბევრი მათგანი ქართულ სათ-



ვისტომოს მართლაც დაეხმარა და მატეანეში სახელის შეტანა ამით დაიმსახურა.

სინელი ქართველები დიდად აფასებდნენ თანამემამულეთა ზრუნვას და ყოველთვის მადლდებდნენ გრძნობით იხსენიებდნენ თანამომქმეთ, შორეულ მზარეშიც არ ივიწყებდნენ მშობლიურ მიწაწყალს და მშობელ ხალხს, დღენიდაც იღვწოდნენ ეროვნული კულტურის გასამდიდრებლად და, ამასთანავე, გულმზურვალედ ლოცულობდნენ „ქართლისა მშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისა, შეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემოქცევისა, ტყუეთა მოქცევისა, ყამთა დაწყნარებისა და ქრისტიანობისა დამტკიცებისათვის“.

ქართველი მოღვაწენი XV საუკუნიდან აღარ ჩანან სინის მთაზე. მაჰმადიანთა მომძლავრებისა და საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური დაუძლურების შედეგად სამშობლოდან დახმარებამ იკლო, ქართული კოლონია დასუსტდა; ახალი მწიგნობრული კერების დაწინაურების შედეგად მისი მნიშვნელობა დაეცა. ამან გამოიწვია ქართული სათვისტომოს გადაშენება. მიუხედავად ამისა, თითო-ორი ქართველ მოღვაწეს სინაზე შემდეგ ხანაშიც ეხედებოთ. მაგალითად, XVI საუკუნის დამდეგს „მრავალთა საქონლითა“ მივიდა იქ ათაბაგთა სახლის წარგზავნილი ამბროსი, 1747 წელს — მროველი მღვდელმთავარი ქრისტეფორე თუმანიშვილი, იმავე საუკუნის 80-იან წლებში — იონა გედევანიშვილი და სხვ.

სინის მთის ქართულ სიძველეთა შესწავლა ჯერ კიდევ გასულ საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო. აქ, პირველ ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ პ. უსპენსკი, რომელმაც გაიცნო სინის სავანის ქართული ხელნაწერები და სხვა სიძველენი, ყურადღება მიაპყრო ფსალმუნს (პაპირუსზე), რომლის ორი ფურცელი წამოიღო კიდევ (ამჟამად ეს ფურცლები სანქტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება).

1883 წელს სინას ეწვია ა. ცაგარელი. ის იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა სინის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია და წარმოაჩინა სინა როგორც ძველი ქართული კულტურის კერა. ა. ცაგარელი ზამთრის სუსხიან დღეებში ათვალეირებდა და სწავლობდა სინის ქართულ ხელნაწერებს, ეძებდა მათ სენაკებსა და სარდაფებში, ძველი ეკლესიების ნანგრევებში. მან ნახა და აღწერა 92 ხელნაწერი. ამასთანავე, მან არა მხოლოდ აღწერა სინური ხელნაწერები და კატალოგი გამოაქვეყნა, — თუმცა ამითაც უდიდესი სამსახური გაუწია ქართულ მეცნიერებას, — არა-

მედ შენიშნა და გამოყო სინის მთის ქართველთა შემოქმედებითი მუშაობის განსაკუთრებით ნაყოფიერი პერიოდი — X საუკუნე.

ახალი ეტაპი სინის მთის ქართული კოლონიის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის ისტორიაში დაიწყო მას შემდეგ, რაც სინას ეწვივნენ ნ. მარი და ი. ჯავახიშვილი (1902 წ.). მათ სრულად და ზუსტად აღწერეს იქაური ხელნაწერები, დაბეჭდეს ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ანდერძ-მინაწერი, გამოაქვეყნეს არაერთი თხზულება.

ნ. მარისა და ი. ჯავახიშვილის წვლილი სინაზე დაცული ქართული რარიგინალური თუ თარგმნილი ძეგლების პუბლიკაციაში ერთობ დიდი და განსაკუთრებულია. სახელდობრ, ნ. მარმა გამოაქვეყნა „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, იოანე მინჩხის საგალობელი, ფილიპეს ლექსი, „წამებაი წმიდისა მოწამისა ბოკოპისი“ და სხვ., ი. ჯავახიშვილმა — იოანე მინჩხის ჰიმნები, „წამებაი წმიდის რგნატი ანტიოქელ პატრიარქისაი“, „კრებაი თთუეთაი წელიწდისათაი“, ეფრემ ასურის „სწავლანი“, აპოკრიფები და სხვ. (უფრო ზუსტად: ნ. მარმა და ი. ჯავახიშვილმა სინის მთაზე ყოფნის შემდეგ გამზადდეს წიგნები, — სინურ ხელნაწერთა აღწერილობანი და იქაური თხზულებათა ტექსტები, — რომლებიც მათი გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა).

1950 წელს სინაზე იყო ბელგიელი ქართველოლოგი ე. გარატი, რომელმაც გამოაქვეყნა 38 ხელნაწერის აღწერილობა, აგრეთვე, რანდენიშე ძველი ქართული ძეგლი.

1956 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკისაგან შეიძინა სინის მთის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმები. ქართველმა მეცნიერებმა ინტენსიურად დაიწყეს ამ მასალის შესწავლა, უკვე გამოქვეყნდა არაერთი ძეგლი და სინურ ხელნაწერთა აღწერილობის რამდენიმე ტომი; მუშაობა გრძელდება.

სინის მთის ქართულ სიძველეთა შემსწავლელებმა გაიცნეს და აღწერეს ქართული სავანის უაღრესად მდიდარი წიგნსაცავი, რომელიც გაოცებას იწვევს თავისი მრავალფეროვნებით. მათვე გამოავლინეს სინის ქართველ მოღვაწეთა მაღალ წიგნიერ კულტურაზე მეტყველი ფაქტიც — ნათელყვეს, რომ X საუკუნეში სინელ ქართველებს არა მხოლოდ მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდათ, არამედ სპეციალური სამკითხველო დარბაზი, გულდასმით შედგენილი ხელნაწერი წიგნების ნუსხა და ერთგვარი კატალოგიც კი. რასაკვირველია, სინის ქართული წიგნსაცავი მხოლოდ ადგილზე დამზადებული ხელნაწერებით არ მდიდრდებოდა, მას ემატებოდა წიგნები პა-

ლესტინის ქართული კერებიდან. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ სინის ქართული ხელნაწერების კოლექციაში დაცულია როგორც საკუთრივ სინაზე დამზადებული ხელნაწერები, ისე სხვა ქართული საგანებიდან შესული წიგნებიც. ცნობილია სინის მთის ქართული კოლექციის ხელნაწერები, რომლებიც იქაურ წიგნად ფონდს შეემატა იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან, გეთსიმანიიდან, კაპპათოდან, გოლგოთიდან, კალიპოსიდან, პალაეროდან და ა. შ. განსაკუთრებით ბევრი წიგნი შეემატა სინას საბას ლავრიდან. საქმარისა დავაახელოთ 864 წლის მრავალთავი და იოანე-ზოსიმეს ხელნაწერები. ცხადია, სხვა საგანეთა მოღვაწეებს სინის მთისთვის ყველა წიგნი მხოლოდ იქაური ბიბლიოთეკის გამდიდრების მიზნით არ შეუწირავთ. როგორც აღვნიშნეთ, არაბთა მძლავრობისა და ქრისტიანთა შევიწროების შედეგად პალესტინის საგანეთა ბევრმა ქართველმა ბინადარმა შორეულ სინაზე უკეთესი თავშესაფარი პოვა და თავისი ხელნაწერებიც იქ მიიტანა. ხელნაწერი მეგვიდრეობის შესწავლა ცხადყოფს, რომ მწიგნობართა ახალმისულმა ჯგუფმა უნებლიეთ შეწყვეტილი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა ზიზის საგანეში განაგრძო.

სინის ქართული ხელნაწერებიდან ბევრი ამჟამადაც ადგილზეა (იქვეა), ზოგი კი — თბილისში, სანქტ-პეტერბურგში, პრაღაში, გრაცში, ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებსა და სხვაგან.

სწორედ სინას მთის ქართული ხელნაწერების შესწავლამ წარმოაჩინა სინელ ქართველთა ლიტერატურული ინტერესები და მათა გონებრივი ჰორიზონტის სიფართოვე; ცხადყო, რომ სინის საგანე, სადაც ჩქეფდა ლიტერატურულ-შემოქმედებითი ცხოვრება, ქართული კულტურის ქეშმარიტად დღეებელი კერა იყო.

როგორც აღვნიშნეთ, თითო-ორიოლა ქართველი სინაზე უკვე VI საუკუნიდან ჩანს, მაგრამ ქართული სათვისტომო იქ მხოლოდ IX საუკუნეში დაარსდა. ამიტომ საუბარი სინელ მოღვაწეებსა და სინის ქართულ წიგნსაცავზე შეგვიძლია დავიწყოთ მხოლოდ IX საუკუნის მეორე ნახევრიდან. აქ ერთხელ კიდევ უნდა მოვიგონოთ ზემოთ დასახლებული ძვირფასა კრებული — 864 წლის მრავალთავი, რომელიც მაკარი ლეთეთელმა შესწირა სინის წიგნსაცავს. იგი პირველი წიგნია, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ სინის ქართული სავანის ბიბლიოთეკიდან. რადგან უადრესი არაფერია ცნობილი, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაახლოებით იმ ხანაში იწყება ქართველთა მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა სინაზე და მაკარი ლეთეთელსაც შესანიშნავი ძღვენი მიუერთმევია ახალგებადგმული კერისათვის.

მაკარი ლეთთელი ერთადერთი შემწირველი არ ყოფილა. ახალ საენეს სხვებმაც შესწირეს წიგნები. მაგალითად, მიქაელ ფანასკერტელმა იოანე საფარელს დაამზადებინა და სინას შესწირა პალავრული კრებული (968 წ.), იოანე კუმურდოვლმა (X ს.) თეოდორე წყუდელელს „წმიდისა მთისა სინისათვის“ გადააწერინა „სვიმეონ სალოსის ცხოვრება“ და სხვ.

ქართული კულტურის მძლავრ კერად სინა ძირითადად X საუკუნეში იქცა. ამ პერიოდში გაიშალა იქ მრავალმხრივი ლიტერატურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც არსებითად პალესტინის (მეტწილად საბაწმინდის) ქართული მწიგნობრული ტრადიციების გაგრძელება იყო.

განსაკუთრებული ძალით გაჩაღდა ორიგინალურ-შემოქმედებითი საქმიანობა. ვარაუდობენ, რომ ამ პერიოდში თხზავდა დიდებულ ჰიმნებს გამოჩენილი ქართველი მწერალი იოანე მინჩხა. სრული სხივით გამოვლინდა იოანე-ზოსიმეს შემოქმედებითი ნიჭი. უკვე აღვნიშნეთ, რომ იოანე-ზოსიმე ადრე საბას ლავრაში მოღვაწეობდა. როგორც ჩანს, შემდეგ ის სინაზე გადავიდა და იქ განაგრძო კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა, კერძოდ, შეადგინა კრებულები, დაამზადა ხელნაწერები, აღადგინა და განაახლა ძველი ნუსხები. სახელდობრ, გადაწერა „სახარებანი საცისკრონი წმიდათა კვირიაკეთანი“ (977 წ.), სახარება (978 წ.), „მამათა სწავლანი“ (979 წ.), კრებული, რომელშიც შეტულია სახარების ორი თავი, „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, „კალანდაი, თქმული ეზრა წინაისწარმეტყუელისაი“ და სხვა ძეგლები (979 წ.), „განგებანი და განწესებანი მოძღუართა მიერ მართლმორწმუნეთა, რომელსა ჰყოფენ იერუსალემს“ (982 წ.), კრებული, რომელშიც სვიმეონ მესვეტის, საბა ასურისა და სხვათა „წამება-ცხოვრებასთან“ ერთადაა ქართული ენის სადიდებელაც (982 — 983 წწ.), იაკობის ჟამისწირვა (985 წ.), „მცირე იადგარი“ (987 წ.) და სხვ. ცნობილია არაერთი ხელნაწერი, რომელიც იოანე-ზოსიმემ სინაზე შემოსა. სახელდობრ, ასკეტიკური კრებული (973 წ.), სახარების საკითხავები (977 წ.), „სვიმეონ მესვეტის ცხოვრება“ (980 წ.), „სვიმეონ სალოსის ცხოვრება“ (981 წ.), 864 წლის მრავალთავი (981 წ.), „განგებანი და განწესებანი მოძღუართა მიერ მართლმორწმუნეთა, რომელსა ჰყოფენ იერუსალემს“ (982 წ.), „მამათა ცხოვრება“ (983 წ.), ხანმეტი ლექციონარი (983 წ.), „საკითხავი პოვნისათვის... ჯუარისა“ (986 წ.) და სხვ. იოანე-ზოსიმე სინის მთის ქართული სამწერლობო კერის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია.

X საუკუნეშივე მოღვაწეობდა სინაზე ქართველ მწიგნობართა მრავალრიცხოვანი ჯგუფი. იქ იყვნენ მწერლები, კალიგრაფები, ხელნაწერთა დამზადების ინიციატორები, წიგნების მმართველები. მაგალითად, მიქაელ კათამონელი, მიქაელ ფანასკერტელი, იოანე კუმურდოელი, თეოდორე წყუდელელი, კვირიკე მიძნაძორელი, ეზრა ქობულეანისძე და სხვანი (მიქაელ კათამონელმა ააქინძვინა და შეამოსვინა ხანშეტი ლექციონარი, მიქაელ დეკანოზმა ხელნაწერები დაამზადებინა იოანე-ზოსიმეს, კვირიკე მიძნაძორელმა — იოანე-ზოსიმესა და ეზრა ქობულეანისძეს, კვირიკე სოხასტრელმა გადაწერა სამოციქულო, „მამათა ცხოვრება“, იოანე ოქროპირის „სწავლანი“, ბასილ ხუცესმონაზონმა — საგალობელთა კრებული. იმავე პერიოდში მოღვაწეობდნენ სინაზე სხვა ქართველი მწიგნობრებიც — გიორგი, მიქაელი, გაბრიელი, კვირიკე და ა. შ.). მათი თავდადებული შრომით შეიქმნა ის მდიდარი წიგნსაცავი, რომელიც უკვე მოვიხსენიეთ. ამჟამად მხოლოდ იმას დაუშვამატებთ. რომ სწორედ ამ კოლექციამ შემოგვინახა მრავალი ქართული ორიგინალური ძეგლი (ფილიპეს, იოანე მინჩხის, იოანე-ზოსიმეს, იოანე ბოლნელისა და სხვათა თხზულებანი), მანვე შემოგვინახა სასულიერო-საეკლესიო ხასიათის (პაგიოგრაფიული, ასტრონომიული, ასკეტიკური...) კრებულები. ამ მასალას გათვალისწინებით ერთობ სრულად წარმოჩნდება სინის ქართული სავანის როლი ეროვნული კულტურის განვითარების ისტორიაში, ნათლად ელინდება, რომ სინას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი მწერლობისათვის.

სინის მთის ქართველ მოღვაწეებს კავშირ-ურთიერთობა ჰქონდათ არაბულ-ქრისტიანულ სამყაროსთან. ქართულ-არაბულ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობას ადასტურებს რამდენიმე ფაქტი. სახელდობრ, სინას ქართულ ხელნაწერთა კოლექციას შემოუნახავს კვალი არაბული დამწერლობისა. ჩანს, არაბულ სამყაროში მოხვედრილმა ქართველებმა შეისწავლეს როგორც არაბული ენა, ისე დამწერლობაც: სინის მთის ქართულ ხელნაწერებში ხშირად გვხვდება არაბული მინაწერები, რომელთა ავტორები ზოგჯერ აღნიშნავენ ხელნაწერის სინის მონასტრისადმი კუთვნილებას, ხშირად კი წყველა-კრულვას უთვლიდნენ მის მიმტაცებელთ; ცნობილია ქართული ხელნაწერები რვეულების არაბული ნუმერაციით (სიტყვებით); მოღწეულია არაბული ანბანი ქართველთათვის — თითოეული არაბული ასო განმარტებულია, ახსნალია ქართული შესატყვისით; გვხვდება არაბული ხელნაწერები რვეულებისა და ფურცლების ქართული ნუმერაციით, რაც საფიქრებელს ხდის ქართულთა მონაწილეობას არაბულ-ქრისტიანულ მწიგნობრობაში.

ქართველ მოღვაწეებს კიდევ უფრო მკიდრო კონტაქტი და ურთიერთობა ჰქონდათ საკუთრივ ქრისტიანი ხალხების წარმომადგენლებთან, სახელოვან ქრისტიანულ ლიტერატურასთან, რასაც მოწმობს თარგმანების სიმრავლე. არაა ინტერესს მოკლებული ის ფაქტიც, რომ ქართულ ხელნაწერებს აქვთ ბერძნული პაგინაცია, ხოლო ბერძნულს ქართული, ქართული ტექსტების სათაურები და და ცალკეული სიტყვები დაწერილია ბერძნული ასოებით (ან პირუკუ) და ა. შ.

სინის მთის ქართული კოლონია მწიგნობრულ საქმიანობას განაგრძობდა XI საუკუნეშიც. ჩვენთვის ცნობილია ამ ხანის არაერთი მოღვაწე (იოანე სინელი, რომელმაც გადაწერა ასაკ ასურის „სწავლანი“ და სხვა ძეგლები, მიქაელ „უცბად მხრეკალი“, რომელმაც გადაწერა სახარება, გიორგი მანაველი, რომელმაც წიგნსაცავს შესწირა „ექვთიმე დიდის ცხოვრება“ და ა. შ.), მოღწეულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელნაწერი. მართალია, თავისი ძალითა და მასშტაბით ეს ხანა წინა საუკუნეს ვერ შეედრება, მაგრამ გარკვეულ ინტერესს მაინც იწვევს.

გვიანი ხანის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწეა ელიაყოფილი ელისე ჩიდანისძე, რომელიც მონაწილეობდა ხელნაწერთა დამზადებაში. ცალკე უნდა დავასახელოთ „მოსახსენებელი და მათიანე პათიოსნისა წმიდისა მონასტრისა, ღმრთისა დამყარებულისა სინისაი“, რომელიც ზემოთაც დავიმოწმეთ. ამ დიდად საყურადღებო ძეგლის ძირითადი ფენა ელისე ჩიდანისძეს გადაუწერია.

1981 წელს ა. შანიძემ გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნა წერილი ასეთი სათაურით: „ქართული მანუსკრიპტები (ძველი ხელნაწერების აღმოჩენა სინას მთაზე)“. მსცოვანმა მეცნიერმა გვაუწყა, რომ გერმანელი ქართველოლოგის რ. ასფალგის ცნობით, სინის ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარს ფილოთეას მესამე სირიულ სიმპოზიუმზე (დასავლეთ გერმანიაში) განუცხადებია სინაზე უცნობი ქართული ხელნაწერების აღმოჩენის შესახებ. ქართველმა მოღვაწეებმა ნახულეს სინის მთის წმინდა გიორგის ეკლესიის სამალავში აღმოჩენილი ხელნაწერები, რომელთაგან ზოგიერთი ქართულია. ვიმედოვნებთ, ახალაღმოჩენილი ხელნაწერების გაცნობითა და შესწავლით კიდევ უფრო სრული და ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება სინის ქართულ საგანზე, კიდევ უფრო ზუსტად გარკვევა მისი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიაში.

ჯვარი. IX საუკუნის შუა წლებში პალესტინაში მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვალა, შეიქმნა ერთგვარი პირობები სამონასტრო

ცხოვრებისათვის. იმ დროისათვის ქართველი მოღვაწენი მრავლად იყვნენ იერუსალიმისა და მისი მიდამოების ეკლესია-მონასტრებში, მაგრამ არ არსებობდა მძლავრ-ცენტრა, რომელიც უხელმძღვანელებდა პალესტინის სავანეებში გაფანტულ ქართველობას, სათავეში ჩაუდგებოდა და ორგანიზებულად წარმართავდა მის საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობას. ასეთი ცენტრის არსებობა კი აუცილებელი იყო წინაპართა ღვაწლის წარმოსაჩენად და ქართველთა უფლებების დასაცავად ე. წ. წმ-ნდა ადგილებზე. ამასთანავე, საქართველოს პოლიტიკურმა აღმავლობამ განაპირობა ქართველი საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ყურადღება პალესტინისადმი და მოამწიფა საკითხი ახალი სავანის დაარსებისა. მართლაც, იერუსალიმის ახლოს აშენდა ჯვრის მონასტერი, სადაც თავი მოიყარა ქართველთა დიდმა ჯგუფმა. იგი იქცა პალესტინელი ქართველების მთავარ შესაყრებ პუნქტად და პალიგრიმთა საიმედო თავშესაფრად, იერუსალიმისა და მის შემოგარენში მოსახლე ქართველთა რელიგიური და კულტურული მოღვაწეობის ცენტრად, მწიგნობრულ-შემოქმედებითი მუშაობის მნიშვნელოვან კერად.

ჯვრის მონასტერი აღრე იერუსალიმიდან ოდნავ მოშორებით (სამხრეთ-დასავლეთით) იდგა, ახლა კი, ქალაქის გაზრდის შედეგად, მის ტერიტორიაზეა, ახალ კვარტალთა მუშაგულში, ზეთისხილის ბაღნარში. ადგილი, სადაც ჯვრის მონასტერი აშენდა, მიჩნეული იყო წმინდა ადგილად, რადგან, ცნობილი ვადმოცემით, რომელიც ქრისტიანულ სამყაროში სხვადასხვა ვარიანტითაა გავრცელებული, იქაური ხისაგან გააკეთეს ჯვარი, რომელზეც აცვეს ქრისტე. ამ ვადმოცემამ დიდად შეუწყო ხელი მონასტრის პოპულარობას; იგი პალესტინის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სიწმინდედ ითვლებოდა და მრავლად იზიდავდა პილიგრიმებს, რომელთა ჩანაწერებში უხვად ვხვდებით ცნობებს პალესტინელ ქართველთა ცხოვრებამოღვაწეობაზე.

ჯვრის მონასტერი XI საუკუნის 30 — 50-იან წლებში დააარსა შავშელმა მოღვაწემ გიორგი-პროხორემ.

ზოგიერთი ცნობით, ჯვრის მონასტერი თითქოს უფრო აღრეული ხანისაა, კერძოდ, V საუკუნისა. ვადმოცემით, ქართველთა პირველმა ქრისტიანმა მეფემ მირიანმა იშოვა ადგილი, მიწის ნაკვეთი, სადაც შემდეგ ვახტანგ გორგასალმა (ან მისი დახმარებით პეტრე ქართველმა) ააშენა ტაძარი. მონასტრისათვის ადგილის მოპოვებასა და იქ ქართული სავანის აშენებაზე არსებული ვადმოცემის ანარეკლი შეინიშნებოდა ჯვრის ტაძრის ფრესკებსა (ქართველ მე-9, ლ. მენაბდე

ფეთა გამოსახულებებში) და წარწერებში. მართალია, ამჟამად, აღარც ფრესკები ჩანს და აღარც მათი წარწერები, მაგრამ თვით-მხილველთა ჩანაწერებით ნაწილობრივ მაინც ხერხდება აღრიხნდელი ცითარების გათვალისწინება.

ჩვენამდე მოღწეული მთელი ლიტერატურული, იკონოგრაფიული თუ სხვა მასალის გაანალიზება სრულ საფუძველს გვაძლევს დაბეჭითებით განვაცხადოთ, რომ დამოწმებული გადმოცემა მცდარია. ყველა ცნობილი წყარო — „პროხოზეს ცხოვრება“, „გიორგი ათონელის ცხოვრება“, ჯვრის მონასტრის ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები, სინის მთის სულთა მატთანე და სხვა — მონასტრის მშენებლად გიორგი-პროხოზეს მიიჩნევს, ხოლო ტაძარს XI საუკუნის შუა წლებით ათარიღებს (როგორც ჩანს, გიორგი-პროხოზემ ჯვრის მონასტრის მშენებლობა დაიწყო XI საუკუნის 30-იან წლებში, დაამთავრა — 50-იანი წლების მიწურულსა თუ 60-იანი წლების დამდეგს). წყაროების ჩვენების საფუძველზე ისიც შეგვიძლია დავსძინოთ, რომ გიორგი-პროხოზეს დახმარებია გიორგი ათონელი.

ახალდაარსებულ სავანეში თავი მოიყარა ქართველ მოწესეთა მრავალიცხოვანმა ჯგუფმა, შეიქმნა მოზრდილი ქართული კოლონია, რომელიც, — მიუხედავად იერუსალიმში მაჰმადიანთა ბატონობისა და ქართველთა შევიწროებისა, საქართველოს სამეფოს დაუძლურების გამო ეკონომიკური დახმარების შემცირებისა (XIII საუკუნიდან) და ბერძენ სამღვდლო პირთა მიერ ჩვენი კუთვნილი ადგილებისა და სიძველეთა მიტაცებისა, — XIX საუკუნემდე განაგრძობდა არსებობას. ამ კოლონიაში ბევრი მწიგნობარი იყო. ზოგიერთი მათგანი აღრე სხვაგან მოღვაწეობდა, ახლა ჯვარში დასახლდა და იქ განაგრძო ლიტერატურული საქმიანობა.

ჯვრის მონასტერში წამოწყებული მრავალმხრივი შემოქმედებითი მუშაობის მოთავე გიორგი-პროხოზე იყო. ის გახლდათ ნაყოფიერი მწიგნობარი, ხელნაწერთა გამრავლების ინიციატორი, თანამოღვაწეთა შორის სამუშაოს განმანაწილებელი და ა. შ.

გიორგი-პროხოზემ გარს შემოიკრიბა მწიგნობრები (იოანე დვალი, მიქაელ დვალი და სხვ.), საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩაება როგორც ჯვრის ბინადარი, ისე სხვა სავანეთა ქართველი მოღვაწენიც (მაგალითად, 1038 წელს საბას ლავრაში მიქაელ ჩიხუარელს, რომელიც მიქაელ დვალის შემწეობით მუშაობდა, ხელნაწერი დაამზადებინა). ბუნებრივია, კიდევ უფრო ენერგიულად მუშაობდნენ გიორგი-პროხოზეს თანამოღვაწენი, რომლებიც მის დავალებას ჯვრის მონასტერში ასრულებდნენ (გიორგი-პროხოზეს



ინციპტივითა და ხელშეწყობით იქ დამზადდა არაერთი ხელნაწერი. მაგალითად, იოანე და მიქაელ დვალეებმა გადაწერეს გრიგოლ ღვთისმეტყველის, ბასილ დიდისა და სხვათა თხზულებანი, იოანე დვალმა — დეკემბერ-თებერვლის თვენი და ა. შ.).

გიორგი-პროხოზე მონასტრის დაარსებისთანავე ზრუნავდა როგორც ცალკეულ თხზულებათა გადაწერაზე, ასევე ხელნაწერების დამზადებაზე, ისე პალესტინის გამოჩენილ მოღვაწეთა „ცხოვრების“ კრებულის შედგენაზეც. სწორედ მისი თაოსნობით შეიქმნა „პალესტინის პატერიკის“ ქართული ნუსხა, რომელიც მრავალი ძეგლის თარგმანს შეიცავს. კერძოდ, კრებულში შესულია „ცხოვრებაი და განგებაი წმიდათა მამათაი სტეფანეისი და ნიკონისი“, „ცხოვრებაი და განგებაი წმიდისა იოანე ურპაელისაი“, „ცხოვრებაი ნეტარისა ჩუენისა საბაისი“ და სხვ. ხელნაწერი, რომელიც ამჟამად ლონდონშია დაცული, დაუმზადებია შავ იოანეს (1034 — 1042 წწ.).

გიორგი-პროხოზე, როგორც ჩანს, თვითონაც იღებდა უშუალო მონაწილეობას ხელნაწერთა დამზადებაში.

ინგლისში (ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკაში) ინახება კრებული, რომელშიც წარმოდგენილია „წამება-ცხოვრებანი“ („წამებაი წმიდისა კონონისი და ძისა მისისაი“, „წამებაი წმიდისა და დიდებულიისა მოწამისა გიორგისი“, „ცხოვრებაი წმიდისა პელაგიაისი“, „ცხოვრებაი ნეტარისა დედისა ნისიმესი“ და სხვ.). შემორჩენილი ანდერძით გიორგი-პროხოზე მის გადამწერად და შემმოსველადაც კი გვევლინება. გიორგი-პროხოზეს გადაწერილად მიიჩნევენ მრავალთავის იმ ფურცლებს, რომლებიც დაცულია ლაიფციგში. ინგლისსა და გერმანიაში შემონახული მასალა საფუძველს გვაძლევს დავაკვნათ. რომ ჯერის მონასტრის დამაარსებელი არა მარტო ხელნაწერთა მომგებელი და იქაური წიგნსაცავის დამფუძნებელი იყო, არამედ გაწაფული კალიგრაფიც.

ამრიგად, ჯერის მონასტერში აღრევე გაჩაღდა ხელნაწერთა გამრავლება. გარდა დასახელებულისა, კიდევაც ცნობილი გიორგი-პროხოზეს სიცოცხლეში იქ დამზადებული რამდენიმე ხელნაწერი. მაგალითად, გაბრიელ საყვარელის მიერ გადაწერილი პარაკლიტონი (1061 წ.) და სახარება (1062 წ.).

ხელნაწერთა გამრავლება და ზოგჯერ ორიგინალურ-შემოქმედებითი საქმიანობაც შეინიშნება გიორგი-პროხოზეს გარდაცვალების შემდგომ ხანაშიც.

XI საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწე უნდა იყოს ის უცნობი ქართველი მწიგნობარი, რომელსაც დაუწერია ზემოთ დანაწილებ-

ბული „პროხორეს ცხოვრება“. ამ ძეგლის მნიშვნელობა პალესტინის ქართული კოლონიის ისტორიისა და იერუსალიმელ ქართველთა კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობის შესასწავლად ძალზე დიდია. არსებითად იგია უპირველესი და უსრულესი წყარო ჯვრის მონასტრის აღმშენებლის — გიორგი-პროხორეს ბიოგრაფიის შესასწავლად.

XI საუკუნის მეორე ნახევარში, 1066 წლის ახლოს, ჯვრის მონასტერში დამზადდა სვინაქსარი, რომელშიც შეტანილია როგორც ალაპები, ისე ქართველ მოღვაწეთა სვინაქსარული „წამება-ცხოვრების“ ტექსტები.

ახალაღმოცენებულ საეანეში ინტენსიურად გაშლილი საქმიანობის შედეგად გიორგი-პროხორეს მიერ დაარსებული წიგნსაცავი სწრაფად გაიზარდა. იგი შეივსო და გამდიდრდა არა მხოლოდ ადგილზე, — ჯვრის საფანეში, — დაზადებული ხელნაწერებით, არამედ სხვა ქართულ კერებში გადაწერილი წიგნებითაც. ჯვრის მონასტერს ხელნაწერები შესწირეს კალიბოსელებმა, საქართველოში მოღვაწე მწიგნობრებმა და სხვ.

ამრიგად, ჯვრის მონასტერი დაარსებისთანავე იქცა პალესტინის ყველა ქართული საეანის სულიერ-ლიტერატურულ ცენტრად, მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობის მნიშვნელოვან კერად. უკვე გიორგი-პროხორეს წინამძღვრობის პერიოდში გაჩაღდა იქ ნაყოფიერი ლიტერატურული საქმიანობა, რომელიც წარმატებით გრძელდებოდა მრავალი წლის მანძილზე, რასაც თვალნათლივ წარმოაჩინს და ადასტურებს იქაურ ხელნაწერთა უმდიდრესი კოლექცია, მაგრამ, მაინც შესამჩნევია, რომ იერუსალიმელ ქართველთა შემოქმედებითი მუშაობა რამდენადმე შეზღუდული იყო. ჯვრის საეანე ძირითადად კალიგრაფთა კერა იყო, ის ადრინდელ ქართულ საეანეებს, რასაკვირველია, საგრძნობლად ჩამორჩებოდა; საერთოდ პალესტინელ ქართველთა კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა ძველებური (VIII — X სს.) მასშტაბისა და გაქანებისა აღარ იყო.

მართალია, გიორგი-პროხორეს მომდევნო ხანაში იერუსალიმელი ქართველები ეკონომიკურად და უფლებრივად გაძლიერდნენ, საეანეთა რიცხვი გაიზარდა და მწიგნობრები განაგრძობდნენ საქმიანობას, მაგრამ პალესტინის ქართულ კოლონიას მაინც აღარ ძალუძდა ძველი დიდების შენარჩუნება. ამის მიზეზი იყო, ერთი მხრივ, მაკმადიანურ გარემოცვაში მომწყვდეული იერუსალიმის მოწყვეტა ბიზანტიის კულტურული ცენტრებისაგან, მეორე მხრივ, ქართულ-ბიზანტიური სახელმწიფოებრივი ურთიერთობის გაცხო-

ველება, რასაც შედეგად მოჰყვა საკუთრივ ბიზანტიის ტერიტორიაზე თუ მისი გავლენის სფეროში ქართული სავანეების აღმოცენება და იქ ქართველთა შემოქმედებითი ცენტრების გადანაცვლება.

იმის მიუხედავად, რომ პალესტინის, კერძოდ, იერუსალიმის ქართულ კოლონიას აღარ ჰქონდა ძველებური კულტურული მნიშვნელობა, ქართველ მოღვაწეთა სწრაფვა იქაური სავანეებისაკენ მაინც შესამჩნევი იყო; მგზავრობის საშიშროება, პოლიტიკური არეულობა და გაუთავებელი ბრძოლა, რაც გრძელდებოდა მრავალი წლის მანძილზე, ვერ აფრთხობდა ქართველ პილიგრიმებს, ვერ ანელებდა ქართველთა ინტერესს იერუსალიმისადმი.

გიორგი-პროხოვრეს შემდგომ, — თურქ-სელჩუკთა გაძლიერებისა (1071 — 1099) თუ ჯვაროსანთა ბატონობის (1099 — 1187) წლებში, — იერუსალიმის ჯვრის მონასტერი კარგა ხანს იყო პალესტინის ქართული სავანეების ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული ცენტრი. ასლო აღმოსავლეთში ჯვაროსანთა ლაშქრობამ და მაჰმადიანთა შეეწირვებამ, ერთი მხრივ, დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველოს პოლიტიკურმა ძლიერებამ და საერთაშორისო ავტორიტეტმა, მეორე მხრივ, განაპირობა იერუსალიმელ ქართველ მოღვაწეთა მდგომარეობის გაუმჯობესება. თურქ-სელჩუკთა მიერ იერუსალიმის აღებისას დარბეული და ნაწილობრივ დანგრეული ჯვარი აღდგა და განახლდა, მოიხატა. ქართველთა სავანეში ცხოვრება გამოცოცხლდა. ეს ბუნებრივი შედეგი იყო დავით აღმაშენებლის მზრუნველობისა და მშვენიერი დემონსტრაცია საქართველოს ძლიერებისა.

საქართველოდან მიღებული შეწირულებით აღდგენილ-განახლებულ სავანეში მომრავლდნენ ქართველი მოღვაწენი. სამონასტრო ცხოვრების გამოცოცხლების კვალდაკვალ გაიშალა ქართველ მწიგნობართა საქმიანობა, გააქტიურდნენ კალიგრაფები, გაგრძელდა ხელნაწერთა დამზადება.

ტრადიციული გადმოცემით (ტ. გაბაშვილი, თ. ბაგრატიონი), ამ პერიოდში ჯვარში მოღვაწეობდა არა მხოლოდ კალიგრაფთა ჯგუფი, არამედ ისეთი მწერალი, როგორცაა ჩვენ მიერ არაერთგზის მოხსენიებული არსენ იყალთოელი. ძველ წყაროებში ამ გადმოცემის დამადასტურებელი საბუთი არ ჩანს, ამიტომ ჩვენ მხოლოდ კალიგრაფებზე მსჯელობით დავკმაყოფილდებით. კერძოდ, მოვისხენიებთ მიქაელ გვირგენისძეს, რომელმაც 1141—1156 წლებში გადაწერა „სტოდირი“, და გიორგი დოდის, რომელმაც 1155 წელს გადაწერა გიორგი ათონელის დიდი სვინაქსარი. სხვათა შორის, უკანასკნელად დასახელებულმა ხელნაწერმა შემოგვინახა

ალაპები, რომლებშიც იხსენიებიან ჯვაროსნები. ქართველებისა და ჯვაროსნების ერთობლივმა ბრძოლამ მაჰმადიანთა ურდოების წინააღმდეგ ისინი დააახლოვა და დააკავშირა. ჯვაროსნები სათანადოდ აფასებდნენ ქართველთა როლს მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩანს, ისინი ჯვრის სავანის ბინადრებსაც ეხმარებოდნენ, ხოლო ამათ მადლიერების ნიშნად მათი მოსახსენებლები დააწესეს.

ჯვაროსანთა ბატონობა იერუსალიმში დიდხანს არ გაგრძელებულა, იერუსალიმში 1187 წელს ეგვიპტის სულთანმა სალადინმა აიღო.

მაჰმადიანთა გარემოცვაში მოხვედრილ ჯვრის მონასტერს ქართველი მოღვაწენი შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ. ამ დახმარებამ განსაკუთრებული სახე მიიღო იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს სათავეში ედგა თამარ მეფე. მაშინ ქართველობამ აღმოსავლეთში მცხოვრებ ქრისტიანთა მფარველობის უფლებაც მოიპოვა; მაჰმადიანურ ქვეყნებში მოგზაურ ქართველებს პრივილეგიები მიენიჭათ. მართებულად შენიშნავდა ცნობილი ევროპელი სწავლული რ. ჟანენი, რომ „ძველად ყველა იმ ხალხთა შორის, რომელთაც ამ დროს განსაკუთრებული უპირატესობა და გავლენა ჰქონდათ წმინდა ქალაქში, ქართველებს უდავოდ ერთი უპირველესი ადგილი ეჭირათ“. არაა ინტერესს მოკლებული, რომ იერუსალიმში გაშლილი ეროვნული დროშებით შესვლის უფლება მხოლოდ ქართველებს ჰქონდათ.

სწორედ, იმ პერიოდში, თამარის ზეობაში, დაეხმარა იერუსალიმის ჯვრის სავანეს დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე შოთა რუსთაველი.

აზრი იერუსალიმში რუსთაველის წასვლასა და იქ (ჯვრის მონასტერში) ცხოვრებაზე კარგა ხანია გაგრცელებულია როგორც ჩვენა ხალხურ სიტყვიერებაში, ისე სამეცნიერო ლიტერატურაში. იგი შეიჭრა სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც. ამასთანავე, რუსთაველს ზოგჯერ ბერად მიიჩნევდნენ და მის საფლავს იერუსალიმშივე იგულებდნენ. სათანადო საფუძველს თითქოს იძლეოდა ზეპირი გადმოცემა, ჯვრის მონასტრის ფრესკა და სააღაპე წიგნის ცნობა.

მკითხველებს უთუოდ ახსოვთ, რომ ჩვენს დროშიც, 1959 წელს, უკრაინელმა მწერალმა გ. პლოტკინმა კვლავ წამოჭრა ჯვრის მონასტერში რუსთაველის საფლავის არსებობის საკითხი. მართალია, ეს ვარაუდი არ დადასტურდა, მაგრამ გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების ი. აბაშიძის, ა. შანიძისა და გ. წერეთლის ექსპედიციამ (1960 წ.) საყურადღებო მასალები მოიპოვა ჩვენთვის საინტერესო პრობლემაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსთაველის პორ-

ტრეტი წარწერითურთ, მაგრამ პორტრეტის მოპოვებით საკითხი არ ამოწურულა. ჩვენ არ გავგაჩნია რამე ავთენტური წყარო იმის სამტკიცებლად, რომ რუსთაველი იყო იერუსალიმში და იქ გარდაიცვალა. მართალია, ამის ხელაღებით უარყოფა ძნელია, მაგრამ არც დამადასტურებელი მასალა ჩანს. რუსთაველის პორტრეტის დახატვა (და თუ გნებავთ აღაპის დადება), რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ პოეტი ჯვარში იყო; ეს შეიძლება იმით ავსნათ, რომ თამარის მეჭურჭლეთუხუცესი დაეხმარა ტაძარს, ამისთვის კი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში წასვლა სავალდებულო არ იყო. ასე რომ, მართალია, რუსთაველის სახელი მკიდროდ უკავშირდება ჯვრის მონასტერს, რომელიც მან განაახლა და მოახატვინა, მაგრამ ამით არ დასტურდება, რომ დიდი პოეტის საფლავი მაინცდამაინც იერუსალიმშია საძიებელი.

თამარისდროინდელი საქართველო, — ვითარცა წინა აზიის უძლიერესი სახლმწიფო, — ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანთა დამცველის როლში გამოდიოდა. მისი სამხედრო პოტენციალი ისე დიდი იყო და პოლიტიკური წონა ისე შესამჩნევი, რომ ბევრ დასავლელს სავსებით სარწმუნოდ ეჩვენებოდა საქართველოს ძლიერებაზე შეიხზული ლეგენდები. მას შემდეგაც, რაც ეგვიპტელებმა აიღეს იერუსალიმი (1244 წ.) და ქრისტიანი მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ქრისტიანულ სავანეებს არსებობა გაუძნელდათ, ქართველებმა ერთხანს კიდევ შეინარჩუნეს ძველი პატივი და დიდება; მაგრამ თანდათან ვითარება შეიცვალა.

მაჰმადიანურ გარემოცვაში მყოფ ჯვრის მონასტერს მოაკლდა როგორც პოლიტიკური მხარდაჭერა, ისე მატერიალური დახმარება; ჯვრის ბინადართა მთავარი საზრუნავი სავანის შენარჩუნება იყო, მაგრამ ეს საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა. 1273 წელს ჯვარი მაჰმადიანებმა იგდეს ხელთ და მეჩეთად აქციეს. ეს იყო არა მარტო მიტაცება სავანისა, არამედ, ამასთანავე, შეურაცხყოფა ქართველთა ეროვნულ-სარწმუნოებრივი ღირსებისა.

ჯვრის მონასტრის „დატყვევება“ და მიზგითად გადაკეთება, ქართველთა სიწმინდეთა შებღალვა და ეროვნულ გრძნობათა შელახვა როგორც იერუსალიმში, ისე საქართველოში უდიდესი მნიშვნელობის ტრაგიკულ აქტად, ეროვნულ უბედურებად იქნა მიჩნეული.

იერუსალიმის უმთავრესი სავანის—ჯვრის მონასტრის დაკარგვის შემდგომ პალესტინამაც დაკარგა ძველი მნიშვნელობა ჩვენი კულტურისათვის. ქართველთა საზრუნავი ისღა იყო, რომ როგორმე შეენარჩუნებინათ ძველი უფლებები და აღედგინათ პრესტიჟი.

XIV საუკუნის დამდეგს ჯვარი განთავისუფლდა მაჰმადიან

ჩაყრობელთაგან. მისი კრებული გამოცოცხლდა და ამოძრავდა, მწიგნობრებმა განაახლეს ლიტერატურული საქმიანობა, გაჩაღდა შემოქმედებითი მუშაობა, დამზადდა არაერთი კრებული, დაიწერა საყურადღებო ძეგლები. სწორედ იმ ხანებში შეიქმნა მცირე ზომის პაგიოგრაფიული თხზულება, რომელშიც აღწერილია თავგადასავალი „წმიდისა ახლისა მოწამისა ნიკოლოზისი დვალისაი“. იგი გვაცნობს სირია-პალესტინაში ეგვიპტელთა ბატონობას, ქრისტიანთა დევნა-შევიწროებას, იერუსალიმელ ქართველთა ცხოვრებას. მისი უცნობი ავტორი, — იერუსალიმელი ქართველი მოღვაწე, ჯვრის სავანის მწიგნობარი, — XIV საუკუნის პირველი ნახევრის მწერალი უნდა იყოს. დაახლოებით იმავე ხანაში მოღვაწეობდა ჯვრის მონასტერში მეორე უცნობი ქართველი მწერალი, — ავტორი „ლუკა მუხაისძის წამებისა“, — რომელიც გვამცნობს მაჰმადიანთა მიერ ქართული სავანის ხელში ჩაგდებასა და იქაურ მოღვაწეთა შევიწროებას, ჯვრის მონასტრის წინამძღვრის ლუკა მუხაისძის ტრაგიკულ თავგადასავალს. ჩანს, იმ ეპოქაში ჯვრის კრებულმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქრისტიანობისათვის და, კერძოდ, ქართული ქრისტიანული ეკლესიისათვის თავდადებულ მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოწამებრძვი აღსასრულის ამსახველი ძეგლების შექმნას.

XV—XVI საუკუნეებში იერუსალიმში ქართველთა მდგომარეობა კვლავ გაუარესდა. მაჰმადიანთა ურდოებისაგან თავმობეზრებული ქართველობა მაინც ცდილობდა ძველ ნაგებობათა შენარჩუნებას, ქართველთა უფლებების დაცვასა და წარმოჩენას. ჩვენი წინაპრების უნერგიული მოქმედება — პალესტინის ქართულ სიძველეთა დაცვა განპირობებული იყო არა მხოლოდ ქრისტიანულ სიძველეთა სიყვარულით, არაჰედ, — უფრო მეტად, — ეროვნული გრძნობით; იერუსალიმის ქართულ სიძველეთა დაცვა ქართველთათვის ეროვნული სარწმუნოებისა და ეროვნული ღირსების დაცვა იყო.

ამ საუკუნეებში, — მიუხედავად ასეთი ძნელბედობისა, — მეტნაქლები ძალით მაინც გრძელდებოდა საგანმანათლებლო საქმიანობა. შეგვიძლია დავასახელოთ XVI საუკუნის რამდენიმე მოღვაწე, მაგალითად, ბენეა ჩოლოყაშვილი, ზოსიმე კუმურდოელი და სხვ., მაგრამ ეს საქმიანობა უმთავრესად ბარნაბა თბილელისა და ვლასი ურბნელის სახელებთანაა დაკავშირებული. ბარნაბა ძველ ტექსტებს აცხოველებდა და დაკლებულ ადგილებს ავსებდა; ვლასი ძველ ფოლიანტებს კრავდა და კაზმავდა. ხელნაწერი მეგვიდრეობის აღდგენა და დაცვა მათ ძირითად საქმედ მიიჩნიეს და ინ-

ტენსიური მუშაობით არაერთი ძველი წიგნი გადაგვირჩინეს (მარხვანი, მეტაფრასი, თვენი, საღღესასწაულო, სენაქსარი და სხვ.).

XVII საუკუნეში ქართველთა ყურადღება იერუსალიმის ქართული კოლონიისადმი გაიზარდა, დახმარება ჯვრის სავანისადმი შესამჩნევი გახდა. ქართველმა მოღვაწეებმა უპირველეს მიზნად დაისახეს ძველ ნაგებობათა აღდგენა, დაგირავებული ნივთების დახსნა, ძველი უფლებების (თუნდაც ნაწილობრივ) აღდგენა. საქირო იყო ენერგიული ხელმძღვანელი, რომელიც ქართული კოლონიის მეთაურის მძიმე მოვალეობას იკისრებდა, სიძნელებს არ შეუშინდებოდა და თანამოღვაწეებთან ერთად გადაჰქრელ ზომებს შიიღებდა ქართველთა შეწირულების გონივრულად გამოყენებისა და იერუსალიმის ქართული სათვისტომოს დაცემა-დაცინების შეჩერების მიზნით. ასეთ მეთაურად იერუსალიმის ქართველობას მოეწონა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, რომელმაც XVII საუკუნის 40-იან წლებში მრავალმხრივი მუშაობა გააჩაღა ჯვრის მონასტერში, მის რესტავრაციასა და გაძლიერებას შეაღია თავისი ძალა და ენერგია, მაგრამ დაღმავალ გზაზე დამდგარ კოლონიას მაინც არაფერი ეშველა.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში ქართველთა მდგომარეობა იერუსალიმში, — ჯვარსა თუ სხვა ქართულ ეკლესია-მონასტრებში, — კვლავ მძიმე იყო. საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ, ერთი მხრივ, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს დასუსტებამ, მეორე მხრივ, ქართული კოლონიის არსებობა, ქართველ მოღვაწეთა საქმიანობა კიდევ უფრო გააძნელა. ქართველთა და იერუსალიმის საპატრიარქოს ერთობლივმა გაჭირვებამ ისინი დააახლოვა და დააკავშირა. ამ კავშირში იერუსალიმელი პატრიარქები სათანადო გამორჩენას ელოდნენ და მიზანსაც მალე მიაღწიეს — XVII საუკუნის დასასრულს დოსითეოს პატრიარქმა (1639—1709) ხელთ იგდო ქართველთა სავანე. მას შემდეგ ჯვრის მონასტერი ბერძენთა მფლობელობაშია, ბერძნული საპატრიარქოს კუთვნილებია.

XVIII საუკუნეში ქართველთა გავლენამ იერუსალიმში საგრძნობლად იკლო, პილიგრიმთა რიცხვიც შემცირდა.

იერუსალიმის ქართული სათვისტომოს დაცინებამ შეამფოთა ქართველობა. ქართველთა ეროვნულ სავანეთა დაკარგვით აღშფოთებულმა იერუსალიმში მოღვაწე ქართველმა ქალმა დასაველეთ საქართველოს კათალიკოსს გრიგოლს (1696—1742) გულისტკივილით აცნობა ქართული სათვისტომოს მძიმე მდგომარეობა, მტრების მოძალეობა, მათ მიერ ქართულ სიძველეთა ვერაგულად მიტაცება.

მას კარგად ესმოდა იერუსალიმის ქართული კოლონიის კულტურულ-ლიტერატურული მნიშვნელობა, გულს უკლავდა მიმტაცებელთა ძალადობა, აღელვებდა ქართველ მოღვაწეთა უმწეო მდგომარეობა. ამიტომაც მოუწოდა მან თანამემამულეებს გადამჭრელი ზომების მიღებისაკენ, ქართველთა სავანეების ხსნისა და დაცვისაკენ, ძველი უფლებების დაბრუნებისა და საერთაშორისო პრესტიჟის აღდგენისაკენ. მისთვის, — ისე როგორც ბევრი შორსმჭვრეტელი მამულიშვილისათვის, — იერუსალიმის ქართული სავანეების დაკარგვა, იქაურ ქართულ სიძველეებზე ხელის აღება ეროვნული ღირსების შებღალავს ნიშნავდა, მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო რეალური პირობები არ იყო. ქართველობას აღარ ჰქონდა იმის ძალა, რომ სანატრელი ოცნება აესრულებინა — ჯვარი (თუ სხვა ქართული სავანეები) დაებრუნებინა, მაგრამ იგი, რასაკვირველია, არ დავიწყებია. ქართველი სამეცნიერო-ლიტერატურული საზოგადოებრიობა ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა იერუსალიმის, კერძოდ, ჯვრის მონასტრის ქართული სიძველეებისადმი.

1757 — 1758 წლებში იერუსალიმში იყო მწერალი და მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი. მაშინ იქ ქართული ელემენტი ძალზე შესუსტებული, ხოლო ქართული ტაძრები სხვათაგან მიტაცებული იყო. იერუსალიმის ქართული სავანეებისათვის, კერძოდ ჯვრისათვის, ძველი უფლებების დაბრუნებაზე და იქ ქართველთა პრივილეგიების აღდგენაზე ფიქრიც კი ჰქონდა. ამიტომაც ამ მიმართულებით ტიმოთე გაბაშვილს თითქმის არაფერი გაუკეთებია. მან ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით შეისწავლა ჯვრის მონასტერი, აღწერა იქაური სიძველენი, გამოიყენა წერილობითი წყაროები, ისარგებლა ეპიგრაფიკული ძეგლებით, შეკრიბა და ჩაიწერა გადმოცემები, გადმოაღებინა ფრესკები. ტ. გაბაშვილი იერუსალიმის ქართული კოლონიის პირველი ისტორიკოსია, ხოლო მისი „მიმოსლეა“ — ამ კოლონიის ისტორიის შესწავლისათვის დიდად ფასეული პირველწყარო.

მომდევნო ხანაში ჯვრის მონასტერში იყვნენ იონა გედევანიშვილი (XVIII საუკუნის 80-იან წლებში); გიორგი ავალიშვილი (1820 წ.), ნიკო ჩუბინაშვილი (1845 წ.) და სხვ. გ. ავალიშვილმა არა მხოლოდ გაიცნო ჯვრის მონასტრის წიგნსაცავი, არამედ წამოიღო კედელ 12 ხელნაწერი (ქართული ცხრა, სომხური, სირიული და ეთიოპური — თითო). ნ. ჩუბინაშვილმა წაიკითხა და გადმოიღო ჯვრის სავანის წარწერები, გადმოხატა მოღვაწეთა პორტრეტები (პეტრე ქართველის, შოთა რუსთაველისა და სხვ.). მათ



ჩანაწერებში საყურადღებო ცნობებია ჯვარზე, იქაურ სიძველეებზე, იქაურ ქართულ ხელნაწერებზე.

1883 წლის გაზაფხულზე იერუსალიმში ჩავიდა ა. ცაგარელი. მან გაიცნო ჯვრის მონასტრის (და სხვა ქართულ სავანეთა) სიძველენი, გამოავლინა და გადმოიწერა ეპიგრაფიკული ძეგლები, აღწერა და გადმოიღო პირი ზოგიერთი ფრესკისა, შეისწავლა ქართული ხელნაწერები. მანვე დაძებნა ცნობები ჯვარზე ქართულსა და უცხოურ წყაროებში, გამოიყენა მოგზაურთა და მწიგნობართა ჩვენებანი და დაბეჭდა ნაკვეთი, რომელიც პირველი ვრცელი მიმოხილვაა ქართველთა მოღვაწეობისა ჯვრის მონასტერში. მასში განაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჯვრის კრებულის ლიტერატურულ-საგანმანათლებლო-საქმიანობას. საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ ა. ცაგარლის მიერ შედგენილი აღწერილობა ჯვრის მონასტრის ქართული ხელნაწერებისა, კატალოგი, რომელიც დღესაც სპეციალისტთა სამაგადო წიგნია.

1902 წელს იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია გაიცნო ნ. მარმა (იმ დროს როგორც ჯვრის მონასტრის, ისე სხვა სავანეების ქართული ხელნაწერები თავმოყრილი იყო ბერძნულ საპატრიარქო წიგნსაცავში, სადაც ინახება დღემდე). მართალია, დროის სიმციროს გამო, მან მესამედის გაცნობაც კი ვერ მოასწრო, მაგრამ ეს ნაწილი საფუძვლიანად შეისწავლა და აღწერა. მან შეადგინა ვრცელი აღწერილობა 38 ხელნაწერისა. მეცნიერმა ჩაატარა უაღრესად შრომატევადი სამუშაო — ზუსტად განსაზღვრა აღწერილ ხელნაწერთა რაობა, გადმოიწერა მნიშვნელოვანი ანდერძ-მინაწერები და ა. შ. ნ. მარს უდიდესი დამსახურება მიუძღვის იერუსალიმში დატულ ქართულ ხელნაწერებში შემონახული ტექსტებას პუბლიკაციაში. საკმარისია დავიმოწმოთ ნ. მარისათვის დამახასიათებელი აკრიბიით გამოცემული წიგნები — ანტიოქე სტრატაგის „წარტყუენვაი იერუსალიმისაი“ (1909 წ.), „აღაბნი ჯუარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა“ (1914 წ.) და განსაკუთრებით გიორგი მერჩულის „ცხოვრებან გრიგოლ ხანძთელისა“ (1911 წ.). რომ ნათელი გახდეს, თუ რა ფასდაუღებელი სამსახური გაუწვია მკვლევარმა იერუსალიმური კოლექციის შესწავლასა და პოპულარიზაციას.

მადლიერების გრძნობით უნდა მოვიხსენიოთ ამერიკელი ქართველოლოგი რ. ბლეიკი, რომელმაც შეისწავლა იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია და ფრანგულ ენაზე დაბეჭდა მისი აღწერილობა (1924 — 1926 წწ.).

დასასრულ ისიც უნდა ვთქვათ, რომ უკანასკნელ წლებში მივიღეთ იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმები. მათი საშუალებით მოხერხდა არაერთი ძველი ქართული ტექსტის გამოქვეყნება. სანიშნუშოა „ბალავარიანის“ ვრცელი რედაქციის ილ. აბულაძისეული გამოცემა (1957 წ.). ასევე საყურადღებოა ე. მეტრეველის „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის“ (1962 წ.).

ქართველ მეცნიერთა მიერ მოპოვებული და შესწავლილი მასალა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტერი საუკუნეთა მანძილზე იყო ქართველთა ჯულიერ-ლიტერატურული ცხოვრების მძლავრი კერა, სადაც გაშლილი იყო მრავალმხრივი შემოქმედებითი საქმიანობა. აქ დაიწერა ორიგინალური თხზულებანი: „პროხოროს ცხოვრება“ (XI ს.), „ლუკას წამება“ (XIV ს.), „ნიკოლოზ დვალის წამება“ (XIV ს.) და სხვ., შედგა კრებულები, გამრავლდა ხელნაწერები, შეიქმნა მდიდარი წიგნსაცავი, რომლის ძირითადი ნაწილი ახლა იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაშია დაცული, ხოლო ზოგი ხელნაწერი სინის მთაზე, თბილისში, სანქტ-პეტერბურგში, ვენაში, პარიზში, ლონდონში, ვაშინგტონსა და სხვაგან ინახება.

აქვე უნდა ვთქვათ ორიოდ. სიტყვა იერუსალიმისა და მისი სანახების რამდენიმე ისეთ სავანეზე, სადაც ქართველი მწიგნობრები მოღვაწეობდნენ.

პალავრა (იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 10 — 12 კილომეტრის დაშორებით) — X—XI საუკუნეებში მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო კერა, სადაც ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდნენ ქართველი მწიგნობრები: იოანე საფარელი, პავლე პალავრელი, თეოდორე პალავრელი, გრიგოლ ხარიტონწმინდელი, სტეფანე პალავრელი და სხვ. — მოღწეულია იქ შექმნილი არაერთი კრებული.

გოლგოთა-უფლის საფლავი-აღდგომა — არსებითად ერთიანი, სამი ტაძრისგან შეკრულ-შეკავშირებული კომპლექსი—იერუსალიმის ქრისტიანული საზოგადოებრიობის ცხოვრების ცენტრი, რომელსაც ადგილობრივა თუ დროებით ჩასული მოღვაწენი განსაკუთრებული ინტერესით ეცნობოდნენ. იქ ბევრი ქართველი მოღვაწეობდა: იოანე გოლგოთელი, მიქაელი, ნისთერონი, კვირიკე აღდგომელი — XI ს.; იოანე ვარძიელი, მახარებელ აღდგომელი — XIV ს.; იოსებ ხუნტუსძე და სხვ. იქაურ ხელნაწერთაგან ზოგი

იერუსალიმშია, ზოგი კი სინაზე, თბილისში, ლაჰილში (სვანეთში), ვენაში და სხვ.

მოდწეული სელნაწერების ანდერძ-მინაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართველები მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ აგრეთვე ბასილის, თეოდორეს, ნიკოლოზის, სამოელის მონასტრებში, გეთსიმანიაში, დედათა სვანეებში (კაპათაში, დერტავში, დერთუფაში), შეჰანში (არნონის ხეობაში, იორდანი-ში).

მას შემდეგ, რაც მოკლედ ვისაუბრეთ პალესტინის (კერძოდ, საბაწმინდისა და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის) და სინის მთის ქართველ მოღვაწეებზე, უნდა შევჩერდეთ სირიაზე, მოვიხსენიოთ იქაური ქართველი მწიგნობრები.

ბერმონაზნური ცხოვრება სირიაში ქრისტიანობის გავრცელების უკვე აღრეულ ეტაპზე გაიშალა. ასკეტობა, განმარტებით ცხოვრება, ამქვეყნაური ინტერესების უგულვებელყოფა, სოფლისაგან განდგომა ბევრი სირიელის სასიცოცხლო საქმედ იქცა. IV საუკუნეში ასკეტობა სირიაში უაღრესად გავრცელებული იყო.

სირიის მეუღაბნოეთა შორის დიდად გაითქვა სახელი სვიმეონ მესვეტემ (356 — 459). რუსი მეცნიერის თ. უსპენსკის სიტყვით, ეკლესიის ისტორია ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში არ იცნობს სვამეონზე უფრო პოპულარულსა და სახელგანთქმულ მოღვაწეს. თავისი უკიდურესად მკაცრი ასკეტური ცხოვრებით სვიმეონმა, — რომელმაც რამდენიმე წელი სვეტზე გაატარა და საფუძველი ჩაუყარა მესვეტეობას, — საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. ზოგიერთი ცნობით, სვამეონის სვანეს ქართველებიც სწევვიან. ყოველ შემთხვევაში, თეოდორიტე კვირელის (387 — 457) ცნობით, V საუკუნეში სვიმეონის მონასტერში ქართველთა ყოფნა დადასტურებული ფაქტია.

სვიმეონ მესვეტეს მრავალმა მოღვაწემ მოჰბაძა. მათ შორის განსაკუთრებით გაითქვა სახელი სვიმეონ მესვეტე-უმცროსმა (521 — 592). იგი ბავშვობიდანვე გატაცებული იყო ღვთისმსახურებით. ცხოვრების ერთი ნაწილი ჩვეულებრივ მონასტერში გაატარა. ხოლო შემდეგ გარდაცვალებამდე, შავ (ან საკვირველ) მთაზე ცხოვრობდა (ანტიოქიის ახლოს) — საგანგებოდ აღმართულ სვეტზე. მის მონასტერში მრავალი ბერი მოღვაწეობდა (ბერძენი, სირიელი და სხვ.). მის სვანეს მიაშურეს ქართველებმაც. სვამეონის „ცხოვრებას“, აგრეთვე მისი დედის პართას „ცხოვრებას“ ცნობით, ქართველები გარკვეულ როლს ასრულებდნენ სვიმეონის მონასტერში.

სვიმეონ მესვეტე-უმცროსი ქრისტიანული საზოგადოებრობის ყურადღებას იქცევდა როგორც თავისი ასკეტური მოღვაწეობით, ისე ლიტერატურული საქმიანობით. მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქრისტიანთა ცხოვრებაზე ანლო აღმოსავლეთში; მისი გავლენა საგრძნობი იყო ჩვენს ქვეყანაშიც. ტრადიციული აზრით, მისი მოწაფენი და მის მიერ გამოგზავნილი იყვნენ ასურელი მოღვაწენი (იოანე ზედაზნელი, შიო მღვიმელი, დავით გარეჯელი, ისე წილკნელი, იოსებ ალავერდელი და სხვანი), რომელთაც დიდი როლი შეასრულეს ქართველთა ცხოვრებაში (მათ ააგეს ახალი ტაძრები, დააარსეს მონასტრები, გააჩაღეს ბრძოლა სხვა რელიგიის აღმშარებელთა წინააღმდეგ, საფუძველი ჩაუყარეს კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს და სხვ. მათ მიერ დაარსებულ ზოგიერთ სავანეზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ). მართალია, ეს ტრადიციული აზრი მეცნიერულად არ დასტურდება, მაგრამ ინტერესს მოკლებული მაინც არაა. იგი მაჩვენებელია იმისა, თუ რა სახელითა და პატივით სარგებლობდა სვიმეონი ქართველთა შორის; ტრადიციული აზრის შემუშავება სწორედ სვიმეონისადმი პატივისცემის ანარეკლია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სვიმეონ მესვეტეთა მიერ წამოწყებულია განსაკუთრებულმა სახემ ბერმონაზვნური ცხოვრებისა — მესვეტეობამ სათანადო გამოძახილი პოვა ქართველთა შორის. ჩვენშიც იჩინა თავი მესვეტეობამ; ცნობილია მოწესეთა საცხოვრებელი სვეტები ოლთისში, შავშეთში (ტბეთში) იმერეთში (კაცხში), სამეგრელოში (მარტვილში), კახეთში (მარტყოფში) და ა. შ.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია, რომ სირია (ანტიოქია და მისი სანახები) იმ დროს ქრისტიანული მწერლობის მძლავრი ცენტრი იყო (არსებითად VI საუკუნეა სირიული მწერლობის აყვავების ხანა). ბუნებრივია, სვიმეონის მონასტერშიც გაშლილი იყო ლიტერატურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, რომელსაც ალბათ ქართველებიც ადევნებდნენ თვალს, მაგრამ იმ ხანაში მათ მწიგნობრულ მოღვაწეობაზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან ხელშესახებს არაფერს მოუღწევია. თავისთავად, რადგან იმხანად წარმატებას მიაღწია სირიულმა ლიტერატურამ, საფიქრებელია, ქართველებიც გაცნობოდნენ და დაეწაფებოდნენ მას. ის გამოძახილი ქართულ-სირიული ლიტერატურული ურთიერთობისა, რომელიც ზოგიერთ უძველეს ძეგლში შეინიშნება, შეიძლება შავ მთაზე ქაროველ-სირიელთა ერთობლივი მოღვაწეობის შედეგი იყოს.

VII საუკუნიდან სირია არაბებმა იგდეს ხელთ, ქართველთა ურთიერთობა ანტიოქიასთან, შავ მთასა თუ სხვა პუნქტებთან შესუსტდა. განსაკუთრებული ძალით გაჩაღდა და გაცხოველდა ქართველ-სირიელთა ურთიერთობა XI საუკუნეში. ამ პერიოდში მომრავლდნენ ქართველები შავ მთაზე და საგრძნობლად დაწინაურდნენ იქაურ კულტურულ ასპარეზზე. ამას ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, სირიის განთავისუფლებამ მაჰმადიანთა მპყრობელობისაგან და მისი ბიზანტიის მფლობელობაში გადასვლამ (969—1084), მეორე მხრივ, ანტიოქიის, — ვითარცა ქრისტიანული მწერლობის ცენტრის, — დაწინაურებამ.

ანტიოქია (ანტაკია, ამჟამად თურქეთის ერთ-ერთი ვილაიეთის ადმინისტრაციული ცენტრი) მწიგნობრულ-ლიტერატურული ტრადიციებითა და აზლომანლო (განსაკუთრებით შავ მთაზე) გაშენებული მრავალი სავანით ძველთაგანვე იზიდავდა ქრისტიანებს. ქართველ მოღვაწეთა რამდენიმე თაობა ანტიოქიასა და მის შემოგარენში დასაადგურდა; არაერთი ქართველი დასახლდა შავ მთაზე.

შავი მთა. ქართველთა სამონასტრო კოლონიზაცია შავ მთაზე ძირითადად დაიწყო XI საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც იქ დამკვიდრდა ბევრი მოღვაწე სამხრეთ საქართველოდან (შატბერდიდან, ოშკიდან და ა. შ.). მომდევნო წლებში ქართველები მომრავლდნენ შავი მთის სავანეებში (სვიმეონის ლავრაში, რომანწმინდანში, კალიპოსში, კასტანაში, ეზრას მონასტერსა და სხვ.), რომელთაგან ზოგიერთი საკუთრივ ქართულიც კი იყო. იქ მათ განაგრძეს და განავითარეს ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის ტრადიციები; მალე დაუკავშირდნენ ბიზანტიაში არსებულ ქართულ სავანეს — იმდროინდელი ქართული მწერლობის უმთავრეს კერას — ათონის ოვერთა მონასტერს და მკვიდრო ლიტერატურული ურთიერთობა დაამყარეს მასთან, დაეწაფნენ ბერძნულ-სირიულ-არაბულ სამყაროში შექმნილ ზოგადქრისტიანულ მწერლობას, გაშალეს კულტურულ-ინტელექტუალური საქმიანობა, ამასთანავე, ენერგიულად შეებრძოლნენ მოძალებულ ბერძნებს და თავდადებით დაიცვეს სამშობლოს საეკლესიო და კულტურული დამოუკიდებლობა.

სხვათა შორის, მკვლევარნი ზოგჯერ შავ მთაზე ათი-თორმეტი ქართული სავანის (უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი: ქართველთა სამოღვაწეო პუნქტის) არსებობას ვარაუდობენ. ასეთი სხვაობა შეცნეირთა დასკვნებში შემთხვევითი როდია. სამწუხაროდ, შავ მთის ქართულ სიძველეთა ადგილზე შესწავლა დროულად ვერ

შოხერხდა. მართალია, უკანასკნელი წლების არქეოლოგიური გათხრების შედეგად საინტერესო მასალა გამოვლინდა (ეს უპირატესად ე. წ. ჯობაძის დამსახურებაა), უფრო ნათელი გახდა ქართველთა მონაწილეობა ახლო აღმოსავლეთის კულტურულ-აღმშენებლობით საქმიანობაში, მაგრამ ეს, რასაკვირველია, საკმარისი არაა. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ვიცით შავ მთაზე მცხოვრები ქართველების შესახებ; მეტიც, ზშირად მათი საცხოვრებელი ადგილების (საგანეების) ადგილმდებარეობაც კი არ ვიცით ზუსტად — მხოლოდ დასახელება შეგვიძლია და ადგილსამყოფელის დაზუსტებაც არა. დაბოლოს, ხელნაწერი მემკვიდრეობის ნაკლები სახით მოღწევის გამო ჩვენი წარმოდგენა შავმთელი ქართველების მწიგნობრულ-შემოქმედებით მუშაობაზე სულ ნათელი არაა. მიუხედავად ამისა, შევეცდებით მოკლედ გადმოვცეთ ის მცირე ცნობები, რომლებიც ჩვენს ხელთაა ამა თუ იმ საგანეში ქართველთა ცხოვრება-მოღვაწეობაზე.

სვიმეონწმინდა, როგორც აღვნიშნეთ, ადრევე გახდა ქართველ მოღვაწეთა თავშესაფარი. განსაკუთრებით შრავლად იყვნენ ქართველი იქ XI საუკუნეში. ზოგიერთი მათგანი ნაყოფიერად მოღვაწეობდა კულტურულ სარბიელზე. შეგვიძლია დავასახელოთ გიორგი შეყენებული ან შავმთელი, გიორგი ათონელი, გიორგი მცირე და სხვ.

გიორგი შავმთელი ცხოვრობდა სვიმეონწმინდის სანახებში. სადაც მარტოსამყოფელი ჰქონდა. მას დიდი პატივით იხსენიებდნენ როგორც თანამედროვენი, ისე გვიანი ხანის მოღვაწენიც. ეს ბუნებრივია, რადგან იგი XI საუკუნის 30-იანი წლებიდან დაწყებული კარგა ხნის მანძილზე მოღვაწეობდა შავ მთაზე და იქაურ ქართველთა შორის ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურად ითვლებოდა. მან წენიშნა გიორგი ათონელის დიდი ნიჭი და ტალანტი, ლიტერატურული საქმიანობისაკენ მოუწოდა მომავალ მწერალს და ამ მიზნით ათონს წარგზავნა, რადგან, მისი მართებული აზრით, მაშინ ათონზე უკეთესი პირობებია იყო. არსებითად გიორგი ათონელის გამოვლენა და პირველი ნაბიჯები ლიტერატურულ ასპარეზზე მისი „სულიერი მოძღვრის“ სახელთანაა დაკავშირებული. წლების მანძილზე გიორგი შავმთელი წარმართავდა მოწაფის შემოქმედებით საქმიანობას. უშუალოდ მისი თაოსნობით, მისი დავალებით თარგმნა გიორგი ათონელმა რამდენიმე თხზულება (დავითნი, სამოცაქულო და სხვ.). მანვე დაავალა გიორგი მცირეს გიორგი ათონელის ცხოვრების აღწერა.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ გიორგი შავმთელის ზრუნვა ქართულ ხელნაწერთა გამრავლებაზე — ათონის მთაზე დღესაც დაცულია მის მიერ დამზადებული ძვირფასი ხელნაწერი. როგორც ჩანს, შავმთელი ქართველები კარგად იცნობდნენ ათონის ლიტერატურულ სკოლას, აღიარებდნენ მის უპირატესობასა და მნიშვნელობას, ამასთანავე, ზრუნავდნენ ათონის სავანისათვის ხელნაწერების დამზადებასა და კადრების შერჩევაზე. სწორედ შავ მთაზე გაიწაფა ათონის ლიტერატურული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი გიორგი ათონელი, რომელზეც ორიოდ სიტყვა აქაც უნდა ვთქვათ.

გიორგი ათონელი ძირითადად ათონზე მოღვაწეობდა, ამიტომაცაა ცნობილი როგორც ათონელი ან მთაწმინდელი, მაგრამ რამდენიმე წელი დაჰყო შავ მთაზე, სადაც ეწეოდა როგორც ლიტერატურულ, ისე პრაქტიკულ-საეკლესიო საქმიანობას. სხვათა შორის, როდესაც მოწინააღმდეგეებმა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის საკითხი წამოჭრეს და შემოგვიტოვეს, გიორგი ათონელმა გამოავლინა ჩინებული განსწავლულობა და დამაჯერებლად დაასაბუთა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის სამართლიანობა და კანონიერება.

გიორგი ათონელმა შავ მთაზე, კერძოდ, სვიმეონის მონასტერში, — სადაც იგი უპირატესად გიორგი შავმთელის დაკვეთითა და მოწოდებით მუშაობდა, — თარგმნა პარაკლიტონი და სხვა წიგნები. მასთან იყო და მისი ხელმძღვანელობით მუშაობდა გიორგი მცირე — გამოჩენილი ქართველი პროზაიკოსი, გაწაფული ჰაგიოგრაფი.

სვიმეონწმინდაში მოღვაწეობდნენ სხვა ქართველი მწიგნობრებიც. იქ დამზადდა არაერთი საყურადღებო ხელნაწერი, რომელიცააგან ზოგიერთი საქართველოშია.

**რომანწმინდა.** ამ სავანის პირველი ქართველი მწიგნობარია გიორგი ათონელი, რომელიც იქ 1036 — 1039 წლებში მუშაობდა. შემდეგ იქ სხვა ქართველებიც ჩანან; ისინი ეწეოდნენ როგორც კულტურულ-აღმშენებლობით, ისე მწიგნობრულ საქმიანობას. შეგვიძლია მოვიხსენიოთ. როანე და დავით ჯიბისძენი (1035 წელს ისინი შატბერდში ჩანან, შემდეგ შავ მთაზე გადასულან — იქ ეკლესიაც აუშენებიათ და წიგნებიც გაუმრავლებიათ).

**კალიპოსი.** ძველი ხელნაწერების ჩვენებით, კალიპოსი მნიშვნელოვანი კერა ყოფილა. იქ მოღვაწეობდნენ გიორგი ათონელი, იოანე

და გაბრიელ ივანწმინდელ-საფარელნი, ბასილ თორელყოფილი, არსენ კალიპოსელი და სხვანი. ბასილ თორელყოფილმა გადაწერა ოთხთავი (1060 წ.), ბასილ კალიპოსელის (XI ს.) ინიციატივით ითარგმნა ქართულად „წამებთ წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა მინა მეგვიპტელისაი“, დიდად გაითქვა სახელი არსენ კალიპოსელმა (XII — XIII სს.) და სხვ. ცნობილია იქ გადაწერილი წიგნები. მაგალითად, იოანე და გაბრიელ ივანწმინდელ-საფარელთა მიერ 1040 წელს გადაწერილი გრიგოლ ნაზიანზელისა და გრიგოლ ნოსელის თხზულებათა თარგმანების შემცველი კრებული. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი ალავერდის ოთხთავი, რომელიც 1054 წელსაა დამზადებული კალიპოსში. მის ანდერძ-მინაწერებში იხსენიებიან გამამწერნი (იოანე დვალი, მიქაელი, გიორგი) და მომგებელი (სვიმეონ მღვდელი). იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გაფორმებით, მოხატულია დიდი გემოვნებით.

მოდწეულია კალიპოსის სავანეში დამზადებული სხვა ხელნაწერებიც, რომელთაგან ზოგი სინის მთაზეა, ზოგი კი ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება.

კასტანა. ამ სავანიდან მოდწეულია მხოლოდ ერთი ხელნაწერი, მაგრამ ძველი ქართული მწერლობის ისტორიისათვის მას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. ესაა ქალაღის უძველესი ქართული ხელნაწერი — „თარგმანებაი ფსალმუნთაი“, რომელიც დაიწერა კასტანას 1091 წელს, როდესაც იქ წინამძღვრად იყო ეფრემ მცირე (მასზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

ეზრას მონასტერი. ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებიდან ჩანს, რომ „შავსა მთასა, სანახებსა წმიდისა სვიმეონისსა, მონასტერსა მამისა ეზრასსა“ XI საუკუნის 80-იან წლებში მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდნენ ქართველი მოღვაწენი. კერძოდ, ნაყოფიერად იღვწოდა კალიგრაფი იოანე მთავარაისძე.

ღერწმისხევი. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია ცნობილია ე. წ. რუისის ოთხთავი. იგი XI საუკუნის შუა წლებშია გადაწერილი „შავსა მთასა, უღაბნოსა ღერწმისხევისასა, ზღვის პირსა, რომელ არს დასასრულსა შავისა მთისასა, მახლობელად სელევიკისა“ შავ ზაქარიას მიერ.



ფიქრობენ, რომ ლერწმისხვევის სავანე შეიძლება იყოს წმინდა გიორგის ეკლესია (სელევეკიაში), რომლის ნანგრევები არცთუ დი-  
ლა ხნის წინ გამოვლინდა.

**თულათა მონასტერი.** იქაური მოღვაწე იყო „ილარიონ დიდი“, რომელიც ხახულშა ცხოვრებისას გიორგი ათონელს ასწავლიდა. ამ სავანეში არსებობდა მდიდარი ქართული წიგნსაცავი, რომლითაც სხვა მონასტრების ბინადარნიც კი სარგებლობდნენ.

**ბარლაამწმინდა.** ცნობილია ერთი ჰაგიოგრაფიული თხზულება ასეთი სახელწოდებით: „ცხოვრებაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბარლამ მოღუაწისაი, რომელი იყო მთასა კავკასსა“, დღეს გარკვეულია, რომ „მთასა კავკასსა“ ნიშნავს მთას, რომელსაც ადრე ეწოდებოდა კასია, ხოლო შემდეგ — ალ-ჯაბალ ალ-აკრა (მოტიტველებული მთა). იგი მდებარეობს ანტიოქიას ახლოს, შავ მთაზე (მთიანეთში). იქ გაშენებული ყოფილა ბარლაამის (ან ვარლამის) სავანე — ბარლაამწმინდა, სადაც ქართველებაც მოღვაწეობდნენ. გიორგი მცირის ცნობით, ბარლაამწმინდა ანტონ ლიპარიტყოფილისეულია, ვგონებ, ლიპარიტ ორბელის დაარსებულა. როგორც არ უნდა იყოს, ერთი ცხადია: იგი ქართველთა საღვთო იყო; ჩვენ იქაურ ქართველ მწიგნობარს — იოანე ბარლაამწმინდელსაც კი ვეცნობთ.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ შავი მთის ქართულ კოლონიაში ნაყოფიერი გეოგრაფია გაჩაღდა XI საუკუნის შუა წლებში (გიორგი შავმთელი, გიორგი ათონელი და სხვ.), მაგრამ იქაურმა ქართულმა სათვისტომომ განსაკუთრებით გააძლიერა გეოგრაფია XI საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც იქ შეიკრიბა ქართველ მწიგნობართა მრავალრიცხოვანი ჯგუფი (ეფრემ მცირე, საბა თუხარელი, იოანე ფარაკნელი, ეფრემ ოშკელი, იოანე მთავარაისძე, ანტონ ტბელი, სტეფანე ჭულუველი, არსენ იყალთოელი, იოანე-ეკვირიცე, გაბრიელი და სხვა მრავალი მოღვაწე).

შავი მთის ლიტერატურული სკოლის მეთაური და მისი ყველაზე სახელოვანი წარმომადგენელია დიდი ქართველი მწერალი და მეცნიერი, ფილოლოგი და ფილოსოფოსი ეფრემ მცირე, რომელმაც „ქართულ მწერლობაში შექმნა მთელი ეპოქა და დიდებულად დააგვირგვინა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სამწერლო ღვაწლი“ (კ. კეკელიძე).

ეფრემ კარიჭისძემ განათლება მიიღო კონსტანტინოპოლში, სა-

დაც ეზიარა ბიზანტიურ კულტურას. სათანადოდ გაწაფულმა მია-  
წერა, — დაახლოებით XI საუკუნის 60-იან წლებში, — შავ მთას,  
ცხოვრობდა და შრომავდა სხვადასხვა სავანეში (სვიმეონწმინ-  
დაში, კასტანაში და ა. შ.), აქტიურად მონაწილეობდა იქაურ ქარ-  
თველთა კულტურულ-ლიტერატურულ მუშაობაში. იგი დაუახ-  
ლოვდა ანტიოქიისა და მისი შემოგარენის სავანეების სწავ-  
ლულებს, გამოიყენა მონასტრებში დაცული წიგნადი ფონდები,  
მკვიდრო კავშირი დაამყარა შავ მთაზე დასახლებულ ქართველებ-  
თან, გარს შემოიკრიბა თანამემამულე მწიგნობრები და ფართოდ  
გაშალა საზოგადოებრივ-კულტურული და სამეცნიერო-საგანმანათ-  
ლებლო საქმიანობა. არსებითად მან შექმნა და გააძლიერა შავი  
მთის ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური სკოლა.

შავ მთაზე დაწერა ეფრემ მცირემ ორიგინალური ისტორიულ-  
ჰაგიოგრაფიული თუ სხვა ხასიათის შრომები, იქვე თარგმნა ბი-  
ზანტიური ლიტერატურის რამდენიმე ათეული ძეგლი. ჩვენ არ  
ვაპირებთ ეფრემის ორიგინალურ-შემოქმედებითი თუ მთარგმნე-  
ლობითი მუშაობის დახასიათებას, მხოლოდ ორიოდ ძეგლზე გა-  
ვამახვილებთ ყურადღებას.

თავდაპირველად უნდა დავიმოწმოთ „უწყებანი მიზეზსა ქართ-  
ველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების“. იგი, როგორც ი. ჭავჭავიძის ადნიშნავდა, „ნამდვილი სამეცნიერ-  
რო გამოკვლევაა“ და ნათლად გვაცნობს ეფრემის მომზადებასა  
და განსწავლულობას. ჩანს, როდესაც ქართველ-ბერძენთა ურთი-  
ერთობა გამწვავდა და საჭირო გახდა ქართული ეკლესიის ავტოკე-  
ფალიის უფლების დაცვა-დადასტურება, შავმთელმა ქართველებ-  
მა ეფრემს სთხოვეს ამ საქმის მოგვარება. ეფრემ მცირემ ჭეროვ-  
ნად გამოიყენა არსებული ისტორიული წყაროები თუ ლიტერატუ-  
რული ძეგლები და დაწერა თხზულება, რომლითაც დაიცვა და გა-  
ნამტკიცა ქართველთა საეკლესიო-სარწმუნოებრივი დამოუკიდებ-  
ლობა.

დიდად საყურადღებოა ეფრემ მცირის „მოსახსენებელი მცირე  
სვიმეონისთვის ლოლოთეტისა და თბრობაი მიზეზთა ამათ საკითხავ-  
თა თარგმანისათა“ — ძეგლი, რომელიც კარგად წარმოაჩენს ძვე-  
ლი ქართული ლიტერატურის ზოგადმეცნიერულ მნიშვნელობას. იგი  
იღმთაჩინა და გამოსცა გ. კეკელიძემ (მეცნიერმა ამ მასალის მოპო-  
ვებით, შესწავლითა და პუბლიკაციით შეავსო ბიზანტიური ლიტე-  
რატურის დიდი ხარვეზი).

განსაკუთრებით საინტერესოა ფსევდოდონისე არეოპაგელის  
თხზულებათა თარგმნა. მკითხველებს მოეხსენებათ, რომ მსოფლიო

ქრისტიანულ-ფილოსოფიურ ლიტერატურაში საყოველთაოდ ცნობილი კრებული, რომელიც დიდხანს დიონისე არეოპაგელს მიეწერებოდა, შ. ნუცუბიძისა და ბელგიელი მეცნიერის ე. პონიგმანის თეორიით ეკუთვნის V საუკუნის მწერალსა და მოაზროვნეს პეტრე ქართველს (დღეს ამ თვალსაზრისს ბევრი ჩვენი თუ უცხოელი მეცნიერი იწყნარებს და იზიარებს). ასე რომ, როგორც ჩანს, ეფრემ მცირემ ქართველ საზოგადოებრიობას ქართულად უთარგმნა — ესე იგი არსებითად მშობლიურ ენაზე დაუბრუნა დიდი წინაპრის — პეტრე ქართველის ნააზრვევი, რომელსაც ადრე ისინი მხოლოდ სხვა (კერძოდ, ბერძნულ) ენაზე თუ გაეცნობოდნენ.

ეფრემ მცირეზე საუბარი ამით უნდა დავამთავროთ, მხოლოდ უნდა დავსძინოთ, რომ ეფრემს შავ მთაზე მხარს უწმენებდა ე. წ. უმცროსი თანამედროვე, ქართული კულტურის ასეთივე სახელგანთქანი წარმომადგენელი, ფილოლოგი და ფილოსოფოსი არსენ იყალთოელი, რომელმაც შემოქმედებითი მუშაობა გააჩალა შავ მთაზე და კიდევ უფრო გაამდიდრა ქართული მწერლობის საგანძური.

ამრიგად, შავ მთაზე შეიქმნა მძლავრი ლიტერატურული სკოლა, განვითარდა ქართული ფილოსოფიური აზროვნება, შეითხზა და ითარგმნა რამდენიმე ათეული ნაწარმოები სასულიერო-საეკლესიო მწერლობის სხვადასხვა დარგში (ეგზეგეტიკაში, დოგმატიკაში, პოლემიკაში, ჰაგიოგრაფიაში, ჰომილეტიკაში და ა. შ.), დამუშავდა ქართველთა შორის ქრისტიანობის გავრცელების პრობლემატიკა და დადასტურდა ქართველთა უფლება ავტოკეფალიაზე, შემუშავდა საგანგებო თეორია მთარგმნელობისა, დამზადდა მრავალი ხელნაწერი, რომელთაგან ბევრი დაიღუპა, ხოლო ზოგიერთი თბილისში, ქუთაისში, სანქტ-პეტერბურგში, სინის მთაზე, ათონსა თუ იერუსალიმშია დაცული.

**დასავლეთი.** ქართველთა სამკვიდროს სამხრეთ-დასავლეთიდან საუკუნეთა მანძილზე ესაზღვრებოდა მძლავრი ფეოდალური სახელმწიფო — ბიზანტიის იმპერია, რომელთანაც ჩვენს წინაპრებს მრავალმხრივი ურთიერთობა ჰქონდათ — სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, საეკლესიო-სარწმუნოებრივი, კულტურულ-ლიტერატურული.

ბიზანტია, — ვითარცა ძლიერი სახელმწიფო, — ხშირად ცდილობდა ჩვენი მიწების მიტაცებასა და მითვისებას, ქართველთა ძლევასა და დამორჩილებას. ასე რომ, არცთუ იშვიათად იგი გამოდიოდა ჩვენი უშუალო მტრისა და მოწინააღმდეგის როლში; ერთმორწმუნეობა მას სრულიადაც არ უშლიდა ხელს ჩვენი ქვეყნის მიმართ მტა-

ცებლური ზრახვების განხორციელების ცდაში. ასეთ დროს ქართველები ძალასა და ენერჯიას არ იშურებდნენ მოძალებულ ბიზანტიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში და თავგამოდებით იცავდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობას.

ზოგჯერ ისეთი პოლიტიკური სიტუაცია იქმნებოდა, რომ ბიზანტია არა მარტო ანგარიშს ვეიწევდა, არამედ ჩვენთან კავშირის დამყარება-განმტკიცებას ცდილობდა, საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისაკენ მოგვიწოდებდა, მისი ინტერესების დაცვას გვთხოვდა. საგულისხმოა, რომ ბევრი ქართველი აქტიურად მონაწილეობდა ბიზანტიის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, სამხედრო ოპერაციებში (თორნიკე ათონელი, გრიგოლ ბაკურიანისძე, აბაზ ბაკურიანისძე და სხვ.).

ბიზანტიასთან ურთიერთობა ქართველთათვის ერთობ რთული იყო, ამ ურთიერთობის ისტორია დრამატიზმით იყო დამძიმებული, მაგრამ, — მიუხედავად ამისა, — ერთმორწმუნე ქვეყანასთან დაახლოებას მაჰმადიანთაგან შევიწროებული საქართველოსათვის მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამასთანავე, ქართულ-ბიზანტიური სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კავშირის განმტკიცებას შესაბამისად სდევდა ურთიერთობის გაშლვა კულტურულ-ლიტერატურულ სფეროში.

ბევრი რამ ვაკავშირებდა ბიზანტიასთან საეკლესიო-სარწმუნოებრივ სფეროშიც. ამ ერთმორწმუნე ქვეყანასთან ერთად გვიხდებოდა ბრძოლა ქრისტიანობის მოწინააღმდეგე რელიგიებთან, აგრეთვე, საკუთრივ ქრისტიანობის წილში აღმოცენებულ სხვადასხვა მიმდინარეობასთან. მართლმადიდებლური ეკლესიის პრინციპების დაცვა-განმტკიცება ქართულ-ბიზანტიური ეკლესიების ერთობლივი საზრუნავი იყო. მას შემდეგ, რაც მაჰმადიანურ გარემოცვაში მომწყვდეულმა იერუსალიმმა დაკარგა ძველი მნიშვნელობა და კონსტანტინოპოლის ეკლესიამ საპატიო ადგილი დაიმკვიდრა, ქართული ეკლესიის სწრაფვა დასავლეთისაკენ საყოველთაოდ შესამჩნევი გახდა.

VIII — IX საუკუნეებიდან აღმავლობის გზას დაადგა ბიზანტიური კულტურა; განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ბიზანტიურმა ლიტერატურამ. შემოქმედებით არენაზე გამოვიდნენ მწერლები, რომელთაც ეპოქა შექმნეს არა მარტო ბიზანტიური, არამედ საერთოდ ქრისტიანული ლიტერატურის ისტორიაში. მათი მრავალმხრივი მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობის შედეგად ბიზანტიურმა ლიტერატურამ მსოფლიო სახელი და ავტორიტეტი მოიპოვა, ბიზანტია ქრისტიანული მწერლობის ცენტრი გახდა.

XI — XII საუკუნეებში ბიზანტიაში შესამჩნევად ამაღლდა განათლების დონეც, განვითარდა ფილოსოფიური აზროვნება, აუვაედა ფილოლოგიური სკოლა, თანდათანობით მომზადდა ის ნიდაგი, რომელიც ევროპული რენესანსის ერთ-ერთ საფუძვლად იქცა.

ყოველივე ამას ხელაეღნენ, ამჩნევდნენ და აფასებდნენ ქართველები. ბიზანტია, — ვითარცა ქრისტიანობის ბურჯი და მწიგნობრობის ცენტრი, — ანდამატივით იზიდაედა ქართველ მოღვაწეებს. რომლებმაც აუცილებლად მიიჩნიეს ბიზანტიური კულტურის საფუძვლიანი გაცნობა, გულდასმით შესწავლა, შემოქმედებითი ათვისება, ქართულ სინამდვილეში გადმონერგვა; მათ საკიროდ მიიჩნიეს ბიზანტიის კულტურულ-საგანმანათლებლო კერებში თუ მათ ახლოს დასახლება, რათა იქიდან კარგად ედევნებინათ შვალი ბიზანტიელთა შემოქმედებითი მუშაობისათვის და ყოველდღიურად ყოფილიყვნენ საქმის კურსში, რათა შეძლებოდათ ყოველგვარი სიახლის დროულად გაცნობა-ათვისება. ამიტომაც ბიზანტიაში საფუძველი ჩაეყარა ქართული კულტურის კერებს, ზოგან ჩამოყალიბდა ქართული ლიტერატურული სკოლები, რომლებიც თავისებურად მიუდგნენ ბიზანტიური კულტურის ათვისების საკითხს. თავისებური მიდგომა კი აუცილებელი იყო, რადგან ბიზანტიელებს პირველობის პრეტენზია ჰქონდათ, მათი ქედმაღლობა ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა. ქართველებს ესმოდათ, რომ საჭირო იყო ბიზანტიური კულტურის ათვისება, მაგრამ არა მონუნი ქედმოხრა და ბრმა მორჩილება, არამედ გონივრული მიდგონა — თავის შეკავება წამლეკავი გავლენისაგან, მექანიკური გაშეორება-საგან და თავისთავადი სახის შენარჩუნება. ქართველებმა გააჩაღეს მუშაობა ბიზანტიური კულტურის შემოქმედებითი ათვისებისათვის, ეროვნული ლიტერატურის გამდიდრებისათვის. ყოველივე ეს კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ნიშნით კეთდებოდა. ამასთანავე, ამიერიდან ბერძნულ-ქრისტიანული მწერლობის ქართულად გადმოღება არა მარტო კულტურული, არამედ მეტად დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური ღონისძიებაც იყო, რამეთუ იგი ხელს უწყობდა საქართველოს დაწინაურებას ახლო აღმოსავლეთში.

ბიზანტიაში ქართველთა მომრავლებას და ქართული კოლონიების დაარსებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიისათვის. კონსტანტინოპოლის, ათონის, პეტრიწონისა თუ სხვა სავანეთა ქართველობას ახლო კავშირი ჰქონდა ბიზანტიური კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებთან, მას შეეძლო

თვალი მიედევნებინა ბიზანტიური მწერლობის ზრდა-განვითარებისათვის და კვალდაკვალ მიჰყოლოდა მას, ქართული ლიტერატურა გამმდიდრებინა ახალი ორიგინალური შრომებითა თუ ბერძნულიდან თარგმნილი წიგნებით და ეროვნული მწერლობა აემაღლებინა ზოგადქრისტიანული ლიტერატურის დონემდე.

დასავლეთში აღმოცენებულმა ქართულმა კოლონიებმა ღირსეულად გაართვეს თავი რთულ ამოცანას; მათ მიერ შექმნილ ლიტერატურულ მემკვიდრეობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული მწერლობის ზრდა-განვითარებისათვის. ამასთანავე დასავლეთში მოღვაწე ქართველმა მწერლებმა წვლილი შეიტანეს საკუთრივ ბიზანტიური ლიტერატურის განვითარებაშიც.

ქართულ-ბიზანტიური კულტურულ-ინტელექტუალური ურთიერთობა, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია აქვს, ვითარდებოდა როგორც ბიზანტიაში, ისე საქართველოშიც. ამ ურთიერთობის განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს საკუთრივ ბიზანტიის ტერიტორიაზე (თუ მისი პოლიტიკური გავლენის სფეროში) აღმოცენებულმა ქართული კულტურის კერებმა.

თუ ადრე — უკვე IV—V საუკუნეებიდან — ქართველები ახლო აღმოსავლეთისაკენ ისწრაფოდნენ და ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ იქაურ ასკეტურსა თუ სამწერლო ასპარეზზე, IX საუკუნიდან მათ დასავლეთისაკენ აიღეს გეზი და თანდათან დაიწყეს ბიზანტიის სამონასტრო კოლონიზაცია, რაც პირდაპირი შედეგი იყო საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის გაძლიერებისა. დროთა განმავლობაში ქართველ მოღვაწეთა დასახლებამ ბიზანტიაში ფართო ხასიათი მიიღო და ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობის გაცხოველების შედეგად სულ უფრო შესამჩნევი გახდა. მართალია, ადრეც — უკვე IV—V საუკუნეებში — არაერთი ქართველი მონაწილეობდა ბიზანტიის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში (ევაგრე პონტოელი, პეტრე ქართველი და სხვ.), მაგრამ IX საუკუნიდან ბიზანტიაში მოღვაწე ქართველთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა.

დასავლეთისაკენ ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელი ისწრაფოდა, მან 826 წლის ახლოს გაიცნო კონსტანტინოპოლი და მისი სანახები. რასაკვირველია, გრიგოლ ხანძთელის ჩასვლა კონსტანტინოპოლში და ბიზანტიური საეკლესიო პრაქტიკის გაცნობა არ ნიშნავს ქართველთა მიერ ბიზანტიის სამონასტრო კოლონიზაციის დაწყებას, მაგრამ ეს ფაქტი ხათლად წარმოაჩენს ქართველთა სწრაფვას დასავლეთის სარწმუნოებრივ-რელიგიური ატმოსფეროსა და საეკლესიო-

სამონასტრო ცხოვრებისაკენ. მალე დასავლეთს ეწვია მეორე გამოჩენილი მოღვაწე ილარიონ ქართველი (822 — 875), რომელმაც არა მხოლოდ გაიცნო იქაურობა, არამედ დააარსა ქართული სავანე ოლიმპზე.

ოლიმპი (მცირე აზიაში, ბითვინიაში, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე. ძველ ქართულ წყაროებში იგი სხვადასხვაგვარად იხსენიება: ულუმბო, ულონბო, ოლიმბო და ა. შ.) ადრევე იზიდავდა ქართველ მოღვაწეებს. ისინი დასახლდნენ ოლიმპზე და იქ სავანის მშენებლობაც კი დაიწყეს IX საუკუნის შუა წლებში, მაგრამ ამან მაშინ სასურველი შედეგი ვერ გამოაღო. მხოლოდ 864—869 წლებში, როდესაც ოლიმპზე ილარიონ ქართველი ცხოვრობდა, მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა ქართულ კოლონიას.

მართალია, პირდაპირი ცნობა ოლიმპის მთაზე საკუთრივ ქართული მონასტრის არსებობის შესახებ წყაროებში არ გვხვდება, მაგრამ ქართველთა ჯგუფების არსებობა იქ უცილობელია.

ოლიმპელი ქართველები რამდენიმე სავანეში ყოფილან: ღვთისმშობლის ეკლესიაში — „ქუაბსა საყოფელსა ქართულთასა“, ლავრა კრანიაში, „საყოფელსა წმიდათა კოზმან-დამიანეთასა“. იქ მოღვაწეობდნენ მიქაელ-ზეკეპე ბერთელი, გიორგი მოძღვარი, იოანე კახი, გრიგოლ მოძღვარი, საბა კუტრი, იოანე მმოსველი, ისაკი და სხვა ქართველი მწიგნობრები. ერთხანს იქ ყოფილა ივირონის დამაარსებელი იოანე ქართველი (იოანე ათონელი) თავისი ვაჟიშვილით — ექვთიმით ( მათ შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ). ცნობილია იქაური ხელნაწერები: 1. მიქაელ-ზეკეპე ბერთელის მიერ მოგებული სამოციქულო, რომელიც ამჟამად ათონის მთაზე ინახება (იგი 963 — 966 წლებშია დამზადებული); 2. „გამოცხადებაი წმიდისა მახარებელისა და ღმრთისმეტყუელისა იოვანესი, რომელი გამოუცხადა მას ღმერთმან“ და ანდრია კესარიელ-კაპადოკიელის „თარგმანებაი“ — ნუსხურით შესრულებულ თარიღიან ხელნაწერთა შორის ერთ-ერთი უძველესა ნუსხა, რომელიც გრიგოლ მოძღვრისა და იოანეს ინიციატივით გადაწერა საბა კუტმა (978 წ.); 3. ექვთიმე ათონელის თარგმანების შემცველი ხელნაწერი, რომელიც ადასტურებს, რომ ქართველები ოლიმპზე XI საუკუნეშიც ყოფილან.

რომანა. ილარიონ ქართველის გარდაცვალების შემდეგ, ამ დიდი მოღვაწის უკვდავყოფის მიზნით ბიზანტიის იმპერატორმა ბასილმა (861—886) საფუძველი ჩაუყარა ახალ სავანეს — კონსტან-

ტინოპოლის ახლოს დააარსა ქართველთა მონასტერი რომანა (პრომანა) 876 წელს. მალე იქაც გაჩაღდა მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. იქაური ხელნაწერი წიგნებიდან აღსანიშნავია: 1. ექვთიმე ათონელის თარგმანების შემცველი ნუსხა, რომელიც სვიმეონ დვალს დაუმზადებია 1066 წელს; 2. ვანის ოთხთავი — გადაწერილი XII — XIII საუკუნეთა მიჯნაზე თამარ მეფის მლოცველის „იოანე უღირსის“ მიერ. დიდებული მინიატურებითა და დახვეწილი მხატვრული გემოვნებით შესრულებული დეკორატიული შემკულობით იგი კარგადაა ცნობილი და ერთ-ერთ ძვირფას ხელნაწერადაა აღიარებული.

ქართველი მწიგნობრები მოღვაწეობდნენ კონსტანტინოპოლშიც — ქრისტიანული კულტურის უდიდეს ცენტრში, რომელიც განსაკუთრებით დაწინაურდა მას შემდეგ, რაც იერუსალიმი მაჰმადიანთა მფლობელობაში აღმოჩნდა. იგი ადრეც იზიდავდა ქართველებს, ხოლო გვიან ქართული მწერლობის კერადაც იქცა. მას, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ IX საუკუნეში ეწვივნენ გრიგოლ ხანძთელი და ილარიონ ქართველი; იქ აღიზარდა არაერთი ქართველი მოღვაწე (პეტრე ქართველი, გიორგი ათონელი, ეფრემ მცირე და სხვ.); იქ მიიღო განათლება ბევრმა ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ (არსენ იყალთოელმა, იოანე პეტრიწმა და სხვ.); ჰაგიოგრაფთა ცნობებით, კონსტანტინოპოლში შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდნენ ექვთიმე და გიორგი ათონელებიც.

XI საუკუნიდან ქართველები ჩანან კონსტანტინოპოლის რამდენიმე სავანეში (ხორაში, აგიაპანტსა და სხვაგან). პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ მონასტერი ხორა, სადაც ქართველები ლიტერატურულ საქმიანობას უკვე XI საუკუნის პირველ ნახევარში ეწეოდნენ. სახელდობრ, ბასილ ეტრატა მალუშისძემ იქ გადაწერა, — ზაქარია ბანელის დავალებით, — „მცირე სვინაქსარი“, „გრიგოლ დეთისმეტყველის ცხოვრება“ და გრიგოლისავე თხზულებანი, გრიგოლ მთაწმინდელის დავალებით — „მცირე სჯულისკანონი“ (1031 წ.) და სხვ.

კონსტანტინოპოლში იყო კიდევ ერთი სავანე, სადაც ქართველები მოღვაწეობდნენ. ესაა ტრიანდაფლოვი. კარგადაა ცნობილი იქაური ქართველი მწერალი, ნაყოფიერი მთარგმნელი თეოფილე ხუცესმონაზონი (XI — XII სს.).

ქართველობა ბიზანტიაში ეტანებოდა არა მხოლოდ სავანეებს, არამედ სასწავლებლებსაც. ჯერ კიდევ გიორგი ათონელმა წაიყვანა იქ აღსაზრდელად 80 ბავშვი, ხოლო რამდენადმე გვიან დავით აღმაშენებელმა იქაურ სკოლებში განათლების მისაღებად წარგზავ-



ნა 40 ახალგაზრდა. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ კონსტანტინოპოლის უმაღლესი სკოლები, სადაც ლექციებს კითხულობდნენ სახელგანთქმული მეცნიერები (მიქაელ პსელოსი, იოანე იტალოსი და სხვ.), რომელთაც, სხვებთან ერთად, უსმენდნენ ქართველი მოღვაწენიც (არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი და სხვ.). იქ მიიღეს მათ საფუძვლიანი სწავლა-განათლება, იქ მოემზადნენ თეოლოგიასა და ფილოსოფიაში, იქაური ტრადიციები გადმონერგეს ქართულ სავანეებში (შავ მთაზე, პეტრიწონში, გელათში, იყალთოში).

კონსტანტინოპოლის იდეური ცენტრი იყო კონსტანტინე მონომახის (1042—1055) მიერ 1044—1047 წლებში დაარსებული სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება — მანგანის აკადემია, რომელიც რენესანსის მძლავრ კერად იქცა და დიდი როლი შეასრულა ბიზანტიის კულტურის ისტორიაში. საგულოცხმოა, რომ ზოგიერთი ქართველი იქ არა მხოლოდ სწავლობდა, არამედ ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა (არსენ იყალთოელი).

ქართველთა მწიგნობრულ-ლიტერატურული მოღვაწეობა კონსტანტინოპოლში გრძელდებოდა მას შემდეგაც, რაც თურქ-ოსმალებმა ბიზანტიის იმპერია დააშხეს და სატახტო ქალაქი ხელთ იგდეს (მას სახელი შეუცვალეს და ისტანბული უწოდეს). ისტორიული ბედუკუღმართობის გამო ჩვედასხვა დროს ამ ქალაქში იყო რამდენიმე ქართველი მოღვაწე. სახელდობრ, სულხან-საბა ორბელიანი, დომენტი ბაგრატიონი, იესე ტლაშაძე, ტიმოთე გაბაშვილი, იონა გედევანიშვილი და სხვ.

სულხან-საბა ორბელიანი ორჯერ იყო კონსტანტინოპოლში (1713—1716 წწ.), იქ მუშაობდა „სიტყვის კონასა“ და „მოგზაურობაზე“, იქვე ჩაიწერა უბის წიგნაკში „ამბავნი წმიდისა სახლისანი“, „წამება წმიდისა ფლავიოს კლემენტოსისა“ და ცნობები 12 საეკლესიო კრების შესახებ; დომენტი ბაგრატიონმა გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში აღზრდილ მწიგნობარს ელისე საგინაშვილს კონსტანტინოპოლში გადააწერინა საეკლესიო შინაარსის მოზრდილი კრებულები; მისმა მსლებელმა პოეტმა იესე ტლაშაძემ იქვე შეთხზა პოემა „კათალიკოს-ბაქარიანი“, რომელიც დაწვრილებით აღწერა აღმოსავლეთ საქართველოს მძიმე მდგომარეობა და ექსორირებული პატრიარქის ტრაგიკული თავგადასასვლი: 1756—1757 წლებში ტიმოთე გაბაშვილმა იქ დაასრულა „მიმოსლვის“ ერთი ხელნაწერი, აღწერა კონსტანტინოპოლი: 1783 წელს კონსტანტინოპოლში ოთხ თვეს იმყოფებოდა

იონა გედევანიშვილი, რომელმაც მოგვაწოდა ცნობები ამ ძველ ქალაქზე.

ქართული კულტურის კერა არსებობდა კუნძულ კვიპროსზეც — ლალიას (ან ქალიას) სავანე. იქაური სკრიპტორიუმიდან მოღწეული ქართული წიგნი ამჟამად სანქტ-პეტერბურგის ერთ-ერთ სიძველეთსაცავში ინახება.

დასავლეთის ქართულ სავანეებს შორის ყველაზე მეტად გამოირჩეოდა ათონი, აგრეთვე პეტრიწონი. მათზე შედარებით ვრცლად შევჩერდებით.

ათონი (ივირონი). **[**ძველი ქართული კულტურის საზღვარგარეთულ კერათა შორის ეროვნული მწერლობის განვითარებისათვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ათონის სავანეს<sup>1</sup>. „რომელიც გადაიქცა იმ წყაროდ, საიდანაც ჩვენში უხვად მოდიოდა მოწინავე კულტურის ნაქადი. თუ ქართული მწერლობა უაღრესად განვითარდა XI—XII საუკუნეებში, ეს ივერთა მონასტრის მეოხებითაც, სადაც თავმოყრილი იყო ქართველთა საუკეთესო კულტურული ძალები, რომელთაც მიზნად დაისახეს გაეცნოთ თავიანთ თანამემამულეთათვის დასავლეთის ლიტერატურული სიმდიდრე და შემკვიდრებოთ. იქ ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. იქ, ათონზე, შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრაზატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს წარსულში. ერთი სიტყვით, არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერთა მონასტრის. უიშისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას, შეიძლება, სხვა სახე და ხასიათი მიეღო“ (ე. კეკელიძე).

ათონის სავანე მღებარეობს საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულის<sup>2</sup> (ბერძნული ქალკიდიკის) აღმოსავლეთ შვერილზე — აიონ-ოროსის (მთაწმინდის), ათონის, ვიწრო, გრძელი და მთაგორიანი ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში, ათონის მთის ქვედა კალთაზე, ეგეოსის ზღვის პირას. კარგი ბუნებრივ-კლიმატური პირობებითა და შესანიშნავი მცენარეული საფარით (ზეთისხილის ბაღებით, ფოთლოვანი ტყეებით და ა. შ.) იგი ძველთაგანვე იზიდავდა მოწესეებს; ადრე, — ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, — იქ იკრიბებოდნენ მორწმუნენი და თავიანთ

ღმერთებს სცემდნენ თაყვანს თუ სწირავდნენ მსხვერპლს, ხოლო შემდგომ ათონი ქრისტიანთა სამოღვაწეო ადგილად იქცა.

პირველი ქრისტიანი მოწესენი ათონზე VIII—IX საუკუნეებთან ჩანან, ხოლო X საუკუნის ბოლოსათვის იქ ბერძნული მონასტრების ცენტრმაც გადაინაცვლა: 870 წელს იოანე კოლოვეზი დააარსა პირველი სავანე, ხოლო შემდეგნო ხანაში სამონასტრო მშენებლობა ისე შესამჩნევად გაიშალა, ერთმანეთის მიყოლებით იმდენი მნიშვნელოვანი სავანე აღმოცენდა, რომ მალე ათონის მთას მთაწმინდა ეწოდა. რადგან ათონზე ბევრ ხალხს ჰქონდა თავისი სათვისტომო, ბუნებრივი იქნებოდა იქ ქართველებსაც დაედოთ ბინა. მართლაც, მას შემდეგ, რაც საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა გაცხოველდა და ქართველები მომრავლდნენ ბიზანტიაში, მათ ათონზე დასახლებაც დაიწყეს — ჯერ ბერძენთა სადგომს შეაფარეს თავი, ხოლო შემდეგ ქართული სავანეც დააარსეს (მართალია, ქართველნი X საუკუნის შუა წლებში, — 50-იან, განსაკუთრებით 60-იან წლებში, — ჩანან ათონის მთაზე — ათოს სავანეში, კლემენტის მონასტერში, ათანასეს ლავრაში, მაგრამ მათ ეტლვენული მონასტერი ჯერ კიდევ არ ჰქონდათ).

965 წელს ათონის მთას ეწვია ზემოთ არაერთგზის მოხსენიებული ქართველი მოღვაწე იოანე (იოანე-ვარაზიზაძე), რომელსაც ახლდნენ ვაჟიშვილი ექვთიმე და მოწაფენი. მათ ათანასე ათონელის (920 — 1000) ლავრას მიაშურეს, ათანასეს ახლოს დაისადგურეს. მალე მათ შეუერთდა ცნობილი სარდალი თორნიკე (იოანე თორნიკოფილი).

ათონელ ქართველთა საქმიანობა მალე გახმაურდა: „განიტქუა ჰამბავი მათი“ და თანამემამულეებმა მათ საჰყოფს მიაშურეს. მოწესეთა მომრავლების გამო იოანემ და მისმა ახლობლებმა ათანასეს ლავრაში დარჩენა შეუძლებლად მიიჩნიეს და სხვა ადგილას ცხოვრება ირჩიეს. „ლავრისაგან განშორებულად, უდაბნოსა შეენიერსა წმიდისა იოვანე მახარებელისა ეკლესიი აღაშენეს და სენაკები და მუნ იყოფებოდეს“.

იმ პერიოდში ბიზანტიის მცირეწლოვან უფლისწულებს ბასილსა და კონსტანტინეს აუჯანყდა მცირეაზიელი ფეოდალი ბარდა სკლიაროსი. შეამბოხეთა ლაშქარმა თითქმის მთელი მცირე აზია იგდო ხელთ და ბიზანტიის ცენტრალურ ხელისუფლებას საფრთხე შეუქმნა. საიმპერატორო კარმა დახმარებისათვის ერთგულ დიდებულებს მიმართა. მან გადაწყვიტა დავით კურაპალატისათვის მიემართა და დახმარება-შუაგაცობა ათონელ ქართველებს სთხოვა. იოანემ ეს საქმე თორნიკეს მიანდო. ბიზანტიელებმა თორნიკეს

ხელით დავით კურაპალატს. წერილი გამოუგზავნეს და დახმარება სთხოვეს. დავითმა 12000 რჩეული მხედარი გამოყო და სარდლად თორნიკე მიუჩინა. ბიზანტიელთა და ქართველთა ლაშქარმა დაამარცხა მუშაობისა მხედრობა (979 წ.). ცხადაა, მხოლოდ თორნიკეს ლაშქარს არ ჩაუხშვია სკლიაროსის ამბოხება, მაგრამ ქართველებმა რომ მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აჭანყების ჩაქრობაში, ეს სავესებით ნათელია.

თორნიკემ დიდძალი დავლა იგდო ხელთ. იგი გამარჯვებული და ხელდაშვენიებული დაბრუნდა ათონზე. იქაურმა ქართველებმა ახალი ეროვნული სავანის დაარსება განიზრახეს (მათ უკვე ჰქონდათ საამისო მატერიალური შესაძლებლობა). მალე (980 წელს) ქართული მონასტრის მშენებლობა დაიწყო და 983 წელს დაასრულეს კიდეც. ასე დაარსდა ათონის ივერთა (ქართველთა) მონასტერი, ივირონი, რომელსაც ჩვენს წინაპრები ასე იხსენიებდნენ: „ლაგრაი დიდებული და ყოვლითა შეუნიერებითა შემკული“ (გიორგი ათონელი), „დიდი ლაგრაი“ (გიორგი მცირე), „დიდი ლაგრაი ქართველთაი“ (ეზრა ათონელი), „ლაგრაი დიდებული“ (ზოსიმე მონაზონი) და ა. შ.

ათონის ივერთა მონასტერს თავდაპირველად იოანე ხელმძღვანელობდა. მან მაშინვე დაიწყო ზრუნვა ქართული სავანის განმტკიცება-გაძლიერებაზე; შეიძინა მამულები, მონასტერი უზრუნველყო შემოსავლით, თანამემამულეები ჩააბა როგორც საეკლესიო-სამონასტრო, ისე სამეურნეო საქმიანობაში და ა. შ.]

იოანესა და თორნიკეს მცდელობით, ბიზანტიელთა დახმარებითა და ათონელ ქართველთა ენერგიული შოქმედებით ივირონი 988 წლისათვის სავსებით დასრულებულ, ჩამოყალიბებულ ფეოდალურ-საეკლესიო სენიორად იქცა. იოანემ და თორნიკემ როგორც ბიზანტიელთა, ისე თანამოღვაწე ქართველთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. მონასტრის მშენებელთა დავაწლის აღიარებას მოწმობს ათონელთა „ცხოვრების“ შექმნა ქართულ-ბერძნულ ენებზე, ბერძნული ეპიგრაფა, რომელიც იოანე ქართველს მიეძღვნა ადრეულ საუკუნეებში, და სხვ.

როდესაც იოანე და თორნიკე მონასტერს აარსებდნენ, მათ, ბუნებრივია, სურდათ თანამემამულეთათვის ეროვნული სავანე შეექმნათ, მაგრამ მათი აღმშენებლობითი საქმიანობა მხოლოდ ქართველ მოწესეთა ბედზე ზრუნვით არ შეიძლება აიხსნას. მათ კარგად ესმოდათ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისათვის ბიზანტიური კულტურის გაცნობას, მწერლობისა და მეცნიერების ცენტრებთან ახლოს ყოფნას, ბიზანტიელ მწიგნობრებთან კავშირ-

ურთიერთობას. ამიტომაც იოანემ და თორნიკემ თავიდანვე ინტერესი გამოიჩინეს ბიზანტიური ლიტერატურისადმი და დაიწყეს ზრუნვა მშობლიურ მწერლობაზე. მათ სათანადო ყურადღება მიაქციეს ქართული მწიგნობრობის განვითარებას და შესამჩნევი წვლილი შეიტანეს ეროვნული წერილობითი კულტურის გამდიდრებაში.

იოანესა და თორნიკეს ინიციატივით ათონზე საკმაოდ ადრე, ყოველ შემთხვევაში, X საუკუნის 70-იანი წლებიდან მაინც, ფართოდ გაიშალა მუშაობა ხელნაწერთა გამრავლების, ახალი ნუსხების დამზადების მიზნით. მათი დაკვეთით მუშაობდა ქართველ მწიგნობართა მოზრდილი ჯგუფი, მათი თაოსნობით დამზადდა არაერთი ხელნაწერი. იოანე გულმოდგინედ ადევნებდა თვალს ბიზანტიური მწერლობის წინსვლას, ინტერესით ეცნობოდა ბერძნულენოვან ტექსტებს, არჩევდა სათარგმნელ მასალას. იგი გრძნობდა ხარვეზს, რომელიც ზოგიერთი მნიშვნელოვანი ბიზანტიური ძეგლის ქართული თარგმანის არარსებობით იყო გამოწვეული და ენერგიულად იღვწოდა მდგომარეობის გამოსასწორებლად. იოანეს მოწოდებით გამოვიდა შემოქმედებით ასპარეზზე მისი ვაჟი ექვთიმე (955 — 1028), რომელმაც მამის რჩევითა და დახმარებით თარგმნა მრავალი წიგნი („კლემაქსი“, „ანდრიას მიმოსლვა“, მაქსიმეს „სწავლანი“, „დიმიტრის წამება“, გრაგოლ ნოხელის „თქმულნი“ და სხვ.). მასვე ხვდა წილად დიდი პატივი ათონის ლიტერატურული სკოლის დაარსებისა. ქარსებითად მის სახელთანაა დაკავშირებული ამ სკოლის ჩამოყალიბება და მისი საქმიანობის წარმართვა, ბიზანტიურ კულტურასთან ქართული მწერლობის შემდგომი დაახლოება და ეროვნული საგანძურის გამდიდრება, ბიზანტიური ლიტერატურული ტრადიციების გადმონერგვა ჩვენს სინამდვილეში და მშობლიური მწერლობის მსოფლიო სარბიელზე გაყვანა.

იოანეს გარდაცვალების შემდეგ, — 14 წლის განმავლობაში (1005 — 1019), — ქართველთა მონასტერს ექვთიმე (ეფთვიმე) ათონელი ხელმძღვანელობდა. იგი ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში, — იოანეს ავადმყოფობის გამო, — უძღვებოდა ქართული სავანის მთელ საქმიანობას — საეკლესიო-სამონასტროს, სამეურნეო-ადმინისტრაციულსა და სხვ. აქტიურად იყო ჩაბმული ათონელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში და ენერგიულად ხელმძღვანელობდა თანამემამულეთა მრავალრიცხოვან ჯგუფს. სამგვარივე დატვირთვით მუშაობდა ექვთიმე მამის გარდაცვალების შემდეგაც. როდესაც წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა. ამასთანავე, იგი არა მხო-

ლოდ ქართული მონასტრის საქმეებს განაგებდა, არამედ დიდად ირჩებოდა საერთოდ ათონის მთის მონასტრებისათვის.

ექვთიმე ათონელი შრავალმსრივ საქმიანობას ეწეოდა. სახელდობრ, ძველი საბუთების გამოყენებითა და ხელისუფალთა მხარდაჭერით განამტკიცებდა ივირონის ძლიერებას და აუმჯობესებდა მის მატერიალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ყიდულობდა მამულებს და ზრუნავდა მათ შეუწყალობასა და გადასახადებისაგან განთავისუფლებაზე, იღვწოდა მოწესეთა შორის კეთილგანწყობილებისა და კარგი ურთიერთობის დამკვიდრებისათვის, მონაწილეობდა ათონის მთის ბინადართა საადგილმამულო დაეის გადაჭრაში, ყურადღებას აქცევდა თავის თანამოღვაწეთა და მოწაფეთა ცხოვრების პირობებს და მათ კეთილდღეობასაც უზრუნველყოფდა. იგი არა მხოლოდ თვით ეწეოდა აღმშენებლობით საქმიანობას, არამედ არაქართველ მოღვაწეებსაც ეხმარებოდა და არაქართული საეანეების დაარსებაზეც ზრუნავდა.

ექვთიმე ათონელის ღრმადინაარსიან ცხოვრება-მოღვაწეობაში მთავარი და არსებითი ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობა იყო. სწორედ მისი თაოსნობით იქცა ათონის საეანე არა მხოლოდ დასავლეთში მყოფ ქართველთა ძირითად საეკლესიო-სამონასტრო ცენტრად, არამედ ქართული კულტურის მძლავრ კერადაც. მართალია, ექვთიმე ათონელს მუშაობაში შესამჩნევად უშლიდა ხელს სხვა საქმეებით გადატვირთვა და დღენიადგ მოუცლელობა, მაგრამ ამან ხელი ვერ ააღებინა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზე (ვინაიდან ხშირად დღისით ვერ პოულობდა დროს, ღამით მუშაობდა და თავდადებით იღვწოდა მშობლიური ლიტერატურის გამდიდრებისათვის). მისი ბიოგრაფის სიტყვით, ექვთიმე პრაქტიკული საქმიანობის „თანა კეთილსა მას შრომასა თარგმანებისასა არა დააცადებდა, არცა სცემდა განსუენებასა თავსა თვისსა, არამედ ყოვლადვე იჭირვინ და ღამეთა ათევენ, რამეთუ უფროისნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან ფრიადისა უცალოებისაგან და საურავთა“. ერთგან ექვთიმეც გვაძნობს: „უფროისი ღამით მიწერილა“.

როგორც აღვნიშნეთ, მწიგნობრული ინტერესი ქართველთა სავანეში აღრევე შეინიშნებოდა, მაგრამ იქ გაჩაღებული კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ინიციატორი და სულისჩამდგმელი, იქაური ლიტერატურული სკოლის ფუძემდებელი და მამამთავარი იყო ექვთიმე ათონელი. არ დარჩენილა ქართული საეკლესიო-საეანულიერო მწერლობის არც ერთი დარგი, რომ მის განვითარება-გამდიდრებაში ექვთიმეს აქტიური მონაწილეობა არ მი-

ელო. იგი წერდა ორიგინალურ თხზულებებს ქართულად და ბერძნულად, ეწეოდა ორმხრივ მთარგმნელობით მუშაობას. საკმარისია მოვიხსენოთ ცნობილი პაგოგრაფიულ-მორალური და ასკეტიკურ-დოგმატიკური თხზულება, შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული სულთამარგებელი რომანი „სიბრძნე ბალავარისა“, რომელიც მან ქართულიდან თარგმნა ბერძნულ ენაზე (მაღე გაჩნდა ლათინური თარგმანი, ხოლო შემდეგ ითარგმნა მრავალ ევროპულ ენაზე). ამ რომანის ექვთიმესეული ბერძნული რედაქცია, ფრანგი მეცნიერის ა. გრეგუარის დასკვნით, „მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახელგანთქმული წიგნია“ და „უეჭველად იმსახურებს მსოფლიო ლიტერატურისათვის განკუთვნილ ნობელის პირველ პრემიას“.

ექვთიმე ათონელმა თავის მთავარ მიზნად ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის გაძლიერება და ქართული მწერლობის საგანძურის ბერძნული ენიდან თარგმნილი თხზულებებით გამდიდრება დაისახა. იგი ხელმძღვანელობდა საგანგებოდ შემუშავებული მთარგმნელობითი პრინციპებით, გულდასმით არჩევდა სათარგმნ მასალას, ითვალისწინებდა ქართველ მკითხველთა მოზიდვას დონეს და მოწიხონილებას, საქიროებისა და მიხედვით ცვლიდა ტექსტს და იძლეოდა განსხვავებულ რედაქციას.

ექვთიმე ათონელის საქმიანობამ საყოველთაო აღიარება პოვა. მადლიერი თანამემშულები კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ ექვთიმემ „განანათლა და შეამკო ნათესავი და ენაი ჩუენი“ (გიორგი ათონელი), „განავრცელა და განანათლა ქართველთა ენაი“ (სვიმეონ დველი) და სხვ. დავით კურაპალატი მას „ახალი ოქროპირაი“ უწოდა. როგორც ირკვევა, დავითას ბრძანებით მრავლდებოდა ექვთიმეს თარგმანთა ნუსხეზი. გადამწერ იორდანე შაირენსელის ცნობიდან ჩანს, რომ ექვთიმეს თარგმანთა გამრავლება და სამშობლოში ჩამოტანა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობას საქმედ იყო მიჩნეული და მასზე თვით დავით კურაპალატი ზრუნავდა.

ქართველებს განსაკუთრებით ის ეამაყებოდნენ, რომ ექვთიმეს „სახელი და ღირსებაი არა ხოლო საქართველოსა ოდენ განეფინა, არამედ საბერძნეთსაცა“. სწორედ ამის შევნებამ ალავსო ისინი კანონიერი სიამაყის გრძობით და ათქმევინა (ექვთიმეზე) შემდეგი სიტყვები: „ეგვეითარი თარგმანი, ვარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და ვჰგონებ, თუ არცაღა გამოჩინებად არს“. ექვთიმე ათონელის დამსახურების აღიარებას მოწმობს მისი ცხოვრება-მოღვაწეობის ვრცლად აღწერა, მისი „ცხოვრების“ სვინაქსარული რედაქციები, მის სახელზე დაწერილი

საგალობლები (რომელთაგან ზოგიერთი ბერძნულ სადღესასწაულშიც კი შევიდა), ათონელთა მიერ დადებული ალაპები და ა. შ.

საქვეთივე ათონელს გარს ეხვია თანამოღვაწეთა და თანამშრომელთა დიდი ჯგუფი (იოანე გრძელისძე, არსენ ნინოწმინდელი, იოანე სახულელი, ზაქარია მირდატისძე, ოქროპირი, გიორგი, გრიგოლი, თეოფანე ხუცესი, ალაპი და სხვ.), რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული წიგნადი ფონდის გამდიდრებასა და ათონის ლიტერატურული სკოლის განვითარებაში. მათ მიერ დამზადებულ ხელნაწერებში საგანგებო აღნიშვნის ღირსია ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა კრებული, რომელიც გადაუწერია არსენ ნინოწმინდელს (ნაწილობრივ გიორგის) XI საუკუნის პირველ მეოთხედში. მასში შემონახულია საყურადღებო (ზოგჯერ უნიკალური) ტექსტები, რომლებიც გამოაქვეყნეს ნ. მარმა („წამებაი ყრმათა წმიდათაი, რიცხვით ცხრათაი“, „პოვნაი ნაწილთაა წმიდისა სტეფანისთა პირველდაყოლისა და პირველმოწამისაი“...), ა. ხახანაშვილმა („წამებაი წმიდათა მოწამეთა მესუკავეთაი“, „წამებაი წმიდისა რომანოზ ახლისა მოწამისაი“...), კ. კეკელიძემ („წამებაი წმიდისა ბაბილაისი და სამთა ყრმათა, მოწაფეთა მისთაი“, „წამებაი წმიდისა და კეთილად-მძღლისა ბასილი, ჰამელ ეპისკოპოსისაი“...), პ. პეტერსმა („ცხოვრებაი წმიდისა დიონოსისი, ეპისკოპოსისაი, რომელი იყო ძეი სოკრატისი, მთავარი ათენელთაი, რომელსა ეწოდა ქალაქი ბრძენთაი“), ილ. აბულაძემ („წამებაი წმიდისა შუშანიქისი“, „წამებაი წმიდისა დედოფლისა სანდუხტისი“...).

ათონის ქართველთა მონასტერი არა მხოლოდ იოანესა და ექვთიმეს სიცოცხლეში გამოირჩეოდა, არამედ მომდევნო პერიოდშიც კარგა ხანს იყო ქართული კულტურის მძლავრი კერა. იქ გრძელდებოდა მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა, რომელშიც მონაწილეობდა ქართველ მოღვაწეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი (გრიგოლ მთაწმინდელი, სტეფანე ჭარტულარი, მიქაელი და სხვ.). ეს მუშაობა კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდა, როდესაც იქ დამკვიდრდა ჩვენს მიერ უკვე მრავალჯერ მოხსენიებული გიორგი ათონელი (1009—1065), რომელმაც განაგრძო, განავითარა და გააღრმავა ექვთიმეს მიერ წამოწყებული საქმიანობა. იგი 1044—1056 წლებში ივირონის წინამძღვრად იყო, მრავალმხრივ პრაქტიკულ მოღვაწეობას ეწეოდა და ენერგიულად ხელმძღვანელობდა ქართული სავანის ბინადართა ცხოვრებას. საქართველოს სამეფო



ქარის ხელშეწყობითა და დახმარებით მან ათონის ქართველთა მონასტერი გაამდიდრა, განამტკიცა და გააძლიერა, აღმშენებლობითა სამუშაოც ჩაატარა და მამულებიც შემოიმატა-შემომტკიცა.

გიორგი ათონელის ბიოგრაფიაში, მის მოღვაწეობაში მთავარი და ძირითადი ლიტერატურული საქმიანობა იყო. თავისი შემოქმედებითი მუშაობით, ნაყოფიერი მთარგმნელობითი საქმიანობითა და პრაქტიკული მოღვაწეობით მან დიდ წვლილი შეიტანა ქართული სულიერი კულტურას ს: განძურში. იგი თავგამოდებით იბრძოდა ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და სარწმუნოებრივი სიწმინდისათვის, მშობლიური მწიგნობრობის ზრდა-განვითარებისა და კულტურის დონის ამაღლებისათვის.

გიორგი ათონელის მემკვიდრეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „ცხოვრებაი ნეტარისა მამისა ჩუენისა, იოვანესი და ეფთვიმესი და უწყებაი ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაი“ — ძვირფასი ისტორიულ-ლიტერატურული წყარო, რომელიც არა მხოლოდ პირველ ქართველ ათონელთა თავგადასავალს გვაცნობს, არამედ მონასტრის ქართველთადმი კუთვნილებასაც ადასტურებს. ბერძენ ბერთა მოძალებამ, ქართველთა მდგომარეობის გართულებამ, ჩვენი უფლებების დაცვის აუცილებლობამ დააწერინა ავტორს წიგნი, რომელიც ემყარება რა სარწმუნო წერილობით წყაროებსა და ზეპირგადმოცემებს, მოგვითხრობს ქართული საეპისკოპოსოს ადამიანების ისტორიას, ასახავს მონასტრის შინაგან წყობილებას, წარმოაჩინს იქ გაჩაღებულ კულტურულ-შემოქმედებით მუშაობას.

გიორგი ათონელმა, ერთი მხრივ, მაღალმხატვრული და ღრმადი-დეური თხზულების სახით დიდებული ძეგლი აუვგო ივერთა მონასტრის დამაარსებელთ, ხოლო, მეორე მხრივ, თავისი მოღვაწეობით წინ წასწია, ახალ საფეხურზე აყვანა ქართული მთარგმნელობითი ხელოვნება.

გიორგი ათონელის ცხოვრება-მოღვაწეობას პერიოდში ათონის ქართულ საეპისკოპოსოში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა კვლავ ინტენსიურად გრძელდებოდა. გიორგი, — ვითარცა მეცნიერულ-ლიტერატურული საქმიანობის მეთაური და მთელი ინტელექტუალური ცხოვრების ხელმძღვანელი, — თავისი პირადი მაგალითით, თავდადებული შრომითა და შემოქმედებითი წვით სტიმულს აძლევდა თანამოღვაწეთ და მწიგნობრულ ინტერესს უღვივებდა, შთააგონებდა და მუშაობისაკენ მოუწოდებდა. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიხსენიოთ გიორგი ათონელის მოწაფე და თანამოღვაწე გიორგი მცირე, რომელიც ყველგან თან ახლდა

თავის სასახელო მოძღვარს და ყველაზე უკეთ იცნობდა მის ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობასა თუ ლიტერატურულ მოღვაწეობას. სწორედ ამიტომ აღწერა მან ასე დაწვრილებით გიორგი ათონელის თავგადასავალი („ცხოვრებაი და მოქალაქობაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაი“) და საკმაოდ სრულად წარმოაჩინა მისი დამსახურება მშობელი ხალხისა და ეროვნული კულტურის წინაშე. აქვე უნდა მოვიხსენიოთ სხვა ქართველი მწიგნობრებიც — არსენ გოგიფა, იაკობი, იოანე ხარტულარი, ეზრა, სტეფანე ათონელი, ზასილი და სხვ.

ლიტერატურულმა აგანაძეთაგანათლებლმა საქმიანობა ათონის ქართველთა მონასტერში გრძელდებოდა გიორგი ათონელის მომღვაწეობის წინამძღვრების — თეოდორესა და გიორგი ოლთისარის დროსაც. სწორედ მაშინ მოღვაწეობდა იქ მოზრდილი ჯგუფი (ევსტრადი დეკანოზი, ზოსიმე მონაზონი, კვირიკე დიაკონი, სვიმეონ თავმჯდომეელი, იაკობ დეკანოზი, მიქაელ დაღალისონელი და ა. შ.), რომელმაც შესამჩნევი წვლილი შეიტანა ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიაში.

ჩვენ არ ჩამოვთვლით ამ ჯგუფის მიერ დამზადებულ ხელნაწერებს, მაგრამ არ შეიძლება ორიოდ სიტყვა არ ვთქვათ გიორგი ოლთისარის წინამძღვრობისას შედგენილ ერთ უაღრესად მნიშვნელოვან კრებულზე, რომელსაც ჩვეულებრივ „ათონის კრებულს“ უწოდებენ. მისი შედგენილობა ასეთია: „ცხოვრებაი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვიმესი და უწყებაი ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაი, აღწერილი გლახაქისა გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა“, „ცხოვრებაი და მოქალაქობაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაი“, „წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთვიმესი ქართველისაი განგებაი“, „ცხოვრებაი და ქადაგებაი წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა და მახარებელისა იოვანე ღმრთისმეტყუელისაი, აღწერილი პროხოტეს მიერ, მოწაფისა მისისა“, „დასდებელნი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონისნი“, „დასდებელნი წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ქართველისაი, რომელმან აღაშენა მთაწმიდას დიდი ლავრაი ქართველთაი“, „წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთვიმი მთაწმიდელისაი დასდებელნი“, „სსუანი გალობანი მისივე წმიდისანი“, აღაპები. ცხადია, ყველა ტექსტი ერთი დროის არაა და არც ერთი პირის მიერაა ჩაწერილი. გარკვეულია, რომ თავდაპირველად შეადგინეს სავანის აღმაშენებელთა სამახსოვრო კრებული (პირველი რედაქცია), შემდეგ იგი აქციეს ბიზანტიაში მოღვაწე ქართველთა სამახსოვრო კრებულად (მეორე რედაქცია), ბოლოს

გამოიყენეს სააღაპე წიგნად. კრებულის პირველი რედაქცია შედგენილ-შემუშავებულ იქნა იაკობ დეკანოზის ქაშს (მისივე თაოსნობით); შეადგინა კრებული მიქაელ დალალისონელმა (1074 წ.), შემდეგ განაგრძო იაკობ დეკანოზმა, ხოლო შეავსო — აქა-იქ „დაფანჯულად“ ჩაწერილი აღაპები გადაწერა იოანე თათლაისძემ.

ქართული სავანის საკეთილდღეოდ თავგამოდებით იღვწოდნენ როგორც დასახელებული, ისე სხვა წინამძღვრებიც (არსენ ფარსმანყოფილი, ევგენი, ვასილი, იოანე ბუქაისძე და ა. შ.), მაგრამ ივირონის მდგომარეობა მაინც გართულდა და იქაურ ქართველთა შემოქმედებითი მუშაობა შესუსტდა; ისინი მეტწილად ხელნაწერების დამზადებით კმაყოფილდებოდნენ და მსოლოდ ახალი ნუსხებით ამდიდრებდნენ იმ წიგნსაცავს, რომელიც დღესაც ათონის ფასდაუღებელი საგანძურია.

ათონის ქართველთა მონასტრში შემოქმედებითი ცეცხლის განვლება და ბოლოს ჩაქრობა შემთხვევითი არ ყოფილა; ეს ბუნებრივი შედეგი იყო იმ დევნა-შევიწროებისა, რომელსაც ჩვენი წინაპრები განიცდიდნენ ათონზე ჟერ კიდევ XI საუკუნიდან.

უკვე ექვთიმე ათონელის მომდევნო წინამძღვრის გიორგის (1019—1029) დროს დაიწყო ივირონში ბერძენთა მომზავლება და ქართველთა შევიწროება-შემცირება. მართალია, გიორგიმ ერთგვარად დაამუხრუჭა ბერძენთა მოძალება და ხელი შეუშალა მათ მტაცებლური განზრახვის შესრულებაში, მაგრამ მალე ბიზანტიელებმა დრო იშოვეს და ქართველთათვის მონასტრის წართმევა ირაწყდინეს. ათონელმა ქართველებმა საჭიროდ და აუცილებლად მიიჩნიეს მტკაცველ შეკავშირება და შემჭიდროება, სათანადო საბუთების დაძებნა და ახალი დოკუმენტების შეღვანა და მათი მეოხებით თავიანთი უფლებების დაცვა-განმტკიცება. მათ საგანგებოდ შეადგინეს „მოსახსენებელი“ ქართველ-ბერძენთა ურთიერთობისა ათონის მთაზე, ბაზგასმით აღწანეს მონასტრის ქართველთაღმი კუთვნილება, აღწერეს მისი აღმოცენებისა და განვითარების ისტორია, წარმოაჩინეს იოანეს, თორნიკესა და ექვთიმეს დეაწლი სავანის წინაშე, დაემეს და გაკაცხეს ქართველთა უფლებების ხელშეყოფელი და ქართული მონასტრის მტაცების მოსურნე ბიზანტიელები.

რასაკვირველია, „მოსახსენებელმა“ ვერ შეაჩერა ბიზანტიელთა შეტევა, მომდევნო ხანაში მათი იერაში კიდევ უფრო საშიში გახდა. აქტიურად იღვწოდნენ ათონელი ქართველები, ენერგიულად მოქმედებდნენ ივირონის მესვეურები, უხვად ეხმარებოდნენ მათ ქართველი მეფე-დიდებულები თუ საეკლესიო მოღვაწე-

ნა (ბაგრატ მეოთხე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე; გრიგოლ და აბაზ ბაქურიანისძენი, იოანე მწიგნობართუხუცესი; ნიკოლოზ გულაბერისძე, პავლე ქუთათელი და ა. შ.), მაგრამ მოძალებულ ბიზანტიელებთან გამკლავება თანდათან უფრო ძნელდებოდა. ამას ერთობა ვარეშე მტრების ხშირი თავდასხმაც (1259, 1304, 1306, 1308 წწ. და შმდ.), რამაც შესამჩნევად დაასუსტა ქართველთა სავანი.

მომხდური ლაშქრის თარეშმა შეარყია ივირონის ძლიერება. მონასტერში მდგომარეობა ვართულდა, ბერძენ-ქართველთა ურთიერთობა გამწვავდა, ბერძენთა მტაცებლური ტენდენცია სულ უფრო შესამჩნევი გახდა. დროთა განმავლობაში ქართველთა რიცხვმა იკლო. მომრავლებული ბერძენები აქტიურად ამოქმედდნენ, რვერთა მონასტრის მთავარი ტაძრისათვის ბრძოლამ კულმინაციას მიაღწია. მოძალადეებმა მიიმხრეს არა მარტო ათონის მონასტრების საბჭოს თავკაცები, არამედ კონსტანტინოპოლის პატრიარქი კალისტე პირველიც (1350—1363), რომელმაც დააკმაყოფილა ბერძენთა პრეტენზიები და საქმე მათ სასარგებლოდ გადაწყვიტა.

კალისტემ ქართველთა კანონიერი უფლებები უგულებელყო; დამსახურება და ღვაწლი დაივიწყა და ივირონის მკვიდრთ ერთგვარი ბრალდებებაც კი წაუყენა. მისი მტკიცებით, ქართველები უსაფუძვლოდ იჩემებდნენ პირველობას, დაუმსახურებლად ავიწილებდნენ ბერძენებს და თვით კი არ შეეძლოთ მონასტრის მართვა, საამისოდ ძალა არ შესწევდათ. მისი დასკვნით, სულიერად ამაღლებულსა და რიცხობრივად გამრავლებულ ბერძენ მოწესეთა რაზმს უფრო შეეფერებოდა სავანის მესვეურობა; ამიტომ მან ქართველებს ჩამოართვა მთავარი საკრებულო ტაძარი, აუკრძალა მონასტერში პასუხსაგებ თანამდებობათა დაკავება და სამოღვაწეოდ პატარა ეკლესია მიუჩინა. ვერ ვიტყვით, რომ ამის შემდეგ ქართველები კვლავ ფაქტობრივი ბატონ-პატრონი იყვნენ სავანისა, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ იყო.

ბერძენთა მიერ ქართული სავანის ხელში ჩაგდება ერთბაშად არ მომხდარა და კალისტეს გადაწყვეტილებით არ დაგვირგვინებულა. ბერძენები თანდათან ეუფლებოდნენ მას და მხოლოდ გვიან, XIX საუკუნეში მიაღწიეს საბოლოო გამარჯვებას. ამჯერად — XIV საუკუნის შუა წლებში — მათ მხოლოდ დროებითი წარმატება მოიპოვეს, მაგრამ, როგორც ჩანს, კალისტეს გადაწყვეტილება ბოლომდე არც მაშინ განხორციელებულა. ეს არცაა გასაკვირი: მონასტერი პატრიარქს არ უბოძებია ქართველთათვის და, ბუნებრივია, არც ჩამორთმევის უფლება ჰქონდა. მართალია, იქ ბერ-

ძნები ქარბობდნენ, მაგრამ ფაქტობრივად იგი მაინც საქართველოს კუთვნილებად ითვლებოდა.

საგულისხმოა, რომ კალისტე, ვინც წინამძღვრობის უფლება ჩამოართვა ქართველებს, 1363 წლიდან პატრიარქად აღარაა, ხოლო ქართველები, წინააღმდეგ კალისტეს გადაწყვეტილებისა, გვიან ხანაშიც (1363, 1399, 1513 წწ. და სხვ.) ჩანან მონასტრის წინამძღვრებად; მონასტრის ქართველთაღმძი კუთვნილებით აიხსნება ისიც, რომ გაქირვების ჟამს იქაური ქართველები თანამემამულეებს მომართავდნენ და ქართველი მეფე-დიდებულებიც (ყვარყვარე და მზეჭაბუკ ათაბაგები, ლევან კახთა მეფე, აშოთან მუხრანბატონი, ერეკლე მეორე და სხვ.) შეძლებისდაგვარად მფარველობდნენ და ეხმარებოდნენ; არც ისაა ინტერესს მოკლებული, რომ გვიანი ხანის ქართველი მოღვაწენი (ამბროსი სამცხელი, ფილიპე ჰაქარაშვილი და სხვ.) ივერთა სავანეს „ჩუენ მონასტრად“ იხსენიებდნენ. ასე რომ, კალისტეს ტენდენციურმა გადაწყვეტილებამ ბერძნებს საბოლოო გამარჯვება ვერ მოუტანა და ქართველებს თავიანთ ძველ სავანეზე იმჯერად ხელი ვერ ააღებინა, მაგრამ მომდევნო საუკუნეებში მათ მაინც მოუხდათ პოზიციების დათმობა.

1453 წელს დაემხო ბიზანტიის იმპერია. თურქებმა ხელთ იგდეს კონსტანტინოპოლი, დაიპყრეს ათონის ნახევარკუნძული და დაარბიეს იქაური სავანეები; მთაწმინდა, სადაც ქალებს ძველთაგან ეკრძალებოდათ ფეხის დადგმა, სულთნის დედის საკუთრებად გამოცხადდა. გასაგებია, რომ ამიერიდან ათონზე მოსახლე ქართველთა ცხოვრება კიდევ უფრო გაძნელდა, ხოლო XV საუკუნის უკანასკნელ წლებში აუტანელი გახდა. მტრის მრავალგზისმა თავდასხმამ, უმოწყალო ძარცვამ და დაუნდობელმა რბევამ სავანე დაასუსტა და დააუძლურა. ცხადი გახდა, რომ სამშობლოდან დახმარების მიუღებლად ათონელი ქართველების ყოფაცხოვრებითი პირობების გაუმჯობესება და გაპარტახებული სავანის აღდგენა შეუძლებელი იყო. რადგან სხვა გზა არ ჩანდა, ქართველმა მოღვაწეებმა თანამემამულეებს მომართეს და დახმარების სათხოვნელად საქართველოში წარმომადგენლები გამოგზავნეს. ათონელთა თხოვნამ მალე გამოიღო სასურველი შედეგი, მათ დამხმარე ხელი გაუწოდეს სამცხელმა ათაბაგებმა.

ქართველთა დახმარებამ და შეწირულებამ XVI საუკუნის დამდგისათვის რამდენადმე შეცვალა ათონელთა მდგომარეობა; გაჩაღდა აღმშენებლობითი საქმიანობა და დანგრეულ ნაგებობათა აღდგენა-განახლება, რასაც ბუნებრივად მოჰყვა მოღვაწეთა რიცხვის ზრდაც.

XVI საუკუნის დასასრულიდან ათონის ისტორიაში შესამჩნევია ერთი გარემოება: რუსეთის საერო თუ სასულიერო ხელისუფლება მეტ ყურადღებას უთმობს ათონის სავანეებს. ამ დროისათვის რუსეთის ხელისუფალთ შეუმუშავდათ აზრი, რომ ისინი იყვნენ ბერძნების მეშვეობით და მათ ევალებოდათ აღმოსავლეთში ქრისტიანობის დაცვა-მფარველობა. სწორედ ამის გამო დაეხმარნენ რუსთა მეფეები ივიროსს 1584—1586 წლებში. მაგრამ ასეთმა ეპიზოდურმა დახმარებამ მდგომარეობა არსებითად ვერ შეცვალა. მას შემდეგ, რაც სულთან სელიმმა ათონის ყველა მონასტერს ჩამოართვა მამულები, ბერმონაზონთა მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მძიმე და აუტანელი გახდა. „დიდსა გაჰკირვებასა და ვიწროებასა შინა“ იყო ქართველთა მონასტერიც, რომელიც „მრავალსა ვალსა შეეყენა აგარიანთაგან“. იგი ამჟერადაც საქართველოდან მისულმა შეწირულებამ იხსნა დიდი ვალისაგან.

XVII საუკუნიდან ათონელებს კვლავ ეხმარებოდნენ თანამემამულენი (თეიმურაზ პირველი, მარიამ დედოფალი, აშოთან მუხრანბატონი, გიორგი მეთერთმეტე და სხვ.), ივერთა მონასტერში გრძელდებოდა აღდგენით-აღმშენებლობითი სამუშაოები, იქ ხშირად მიდიოდნენ ქართველი პილიგრიმები (მაგალითად, 1622 წელს იქ იყო ტიმოთე იკორთელი, 1630 წელს — პავლე დორიაული, 1640 წელს — ელისე საგინაშვილი და სხვ.)

XVIII საუკუნეში ათონს ეწვია არაერთი მოღვაწე, რომელთაგან ზოგიერთმა აღწერა ქართველთა ძველი სავანე. პირველად 1725 წელს, ხოლო მეორედ 1744 წელს ათონზე იყო რუსი მოგზაური ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკი, რომელმაც აღწერა იქაური მონასტრები, სათანადო აჯგვლი დაუთმო ივერთა მონასტერს — სხვადასხვა ხასიათის წყაროების გამოაყენებით მიმოიხილა მისი ისტორია და ქართველთა აღმშენებლობითი საქმიანობა, აღტაცება გამოთქვა მთავარი ტაძრის მშვენიერების გამო, ყურადღებით გაიცნო ბიბლიოთეკა, რომელიც, მისი სიტყვით; უმდიდრესი იყო ათონზე.

XVIII საუკუნის შუა წლებში ათონზე რამდენჯერმე იყო ტიმოთე გაბაშვილი. მან შეისწავლა ათონის სიძველენი, გამოიკითხა ზეპირი ტრადიციული ცნობები, გამოიყენა წერილობითი წყაროები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ქართულ მონასტერს (მატერიალური კულტურის ძეგლებს, ხელნაწერებს და ა. შ.), ვრცლად აღწერა დიდი ტაძარი, ხუროთმოძღვრებისა და ფერწერის ნიმუშები დაათვალიერა და შეაფასა ისტორიკოსის თვალთ და

ა. შ. მან დაგვიტოვა მოგზაურობის აღწერილობა — უალრესად მნიშვნელოვანი თხზულება, რომელშიც ერთობ უხვადაა ავტორის შთაბეჭდილებანი, მეცნიერული დაკვირვებანი, ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობები.

ტ. გაბაშვილმა სწორად გაიგო და გაიაზრა ათონის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა, ათონელთა მიერ ეროვნული მწიგნობრობის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილი. მისი სიტყვით, ათონის ქართველთა მონასტრის შემწეობით „განათლდა საქართველო წიგნთა თარგმანებითა“.

ტ. გაბაშვილმა შემოგვრინახა მრავალი საინტერესო ცნობა ათონის ქართულ სეანესა და იქაურ სიძველეებზე, ქართველთა აღმშენებლობისა და საგანმანათლებლო საქმიანობაზე. მისი „მიმოსლვა“ ადგილზე მოპოვებული კონკრეტულ-ფაქტობრივი მასალით, სისტორიო წყაროებში დაძებნილი ცნობებით და განსწავლული მოგზაურის შთაბეჭდილებათა სიუხვით დღესაც ცხოველ ინტერესს იწვევს.

ათონზე ყოფნისას ტ. გაბაშვილი შემოქმედებით მუშაობასაც ეწეოდა. მოღწეულია „მიმოსლვის“ უძველესი ავტოგრაფი, რომლის უდიდესი ნაწილი ათონზეა დაწერილი. იქვე დაუწერია ტ. გაბაშვილს ორი „სწავლა“, აგრეთვე, „მიმოსლვის“ ტექსტში ჩართულა „იროიკო მთაწმიდისა და იამბიკო მსოფლიო“, რომლის უკანასკნელი სტროფები თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორის ქებას შეიცავს.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში ათონზე იყო იონა გედევან-წმილი, რომელმაც საინტერესო ცნობები შემოგვრინახა ქართულ სიძველეებზე. მისი სიტყვით, „მონასტერი ესე ივერიისა, რომელ არს საქართველოსი, არს მშუენიერი და მდიდარი ყოველთა მთაწმიდისათა უმჯობესი“.

XVIII საუკუნეში — საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გამო — ქართველებმა ათონისადმი დახმარება შესამჩნევად შეამცირეს, მაგრამ, რასაკვირველია, სულ არ დაივიწყეს ძველი სივანე; ძღვენით, ყმა-მამულის შეწირვით, ძველი მამულების დამტკიცებითა და აღრინდელი უფლებების აღდგენით მას დაეხმარნენ თეიმურაზ მეორე (1746 წ.), სოლომონ პირველი (1757 წ.), ერეკლე მეორე (1769, 1791 წწ.) და ა. შ.

XIX საუკუნის დამდეგიდან ქართველთა მდგომარეობა ათონზე კიდევ უფრო გართულდა. მას შემდეგ, რაც ივერთა მონასტერმა დაკარგა მფარველ-შემწენი ქართველ მეფეთა სახით, ხოლო ქარ-

ცულმა ეკლესიამ — დამოუკიდებლობა, ბერძნებმა ათონელი ქარ-  
ცველები კიდევ უფრო შეავიწროვეს, სულ განდევნეს ძველი სა-  
ვანიდან და მთლიანად დაეპატრონენ მას. ამიერიდან რუსეთი უნდა  
დახმარებოდა გაპირვებაში ჩავარდნილ ქართველობას, მაგრამ და-  
სავლეთის ამბებმა, მძაფრმა პოლიტიკურმა სიტუაციამ, სამამულო  
ომმა მისი ყურადღება ჩაპოაშოკა ათონს. ამით ისარგებლეს ბერ-  
ძნებმა და მტკიცედ დამკვიდრდნენ ივერთა მონასტერში.

მაღე ბერძნებსაც ცუდად წაუვიდათ საქმე. 1821—1830 წლებ-  
ში ათონის ნახევარკუნძულს თურქები ფლობდნენ. ბერძნები,  
რომლებიც დასუსტებულ ქართველებს ამდენ ხანს ჯაქურ უტევ-  
დნენ, დაფრთხნენ და დაიფანტნენ, ხოლო ქართველთა შორის აღ-  
მოჩნდნენ ისეთი მოღვაწენი (ბესარიონ ქიტისვილი, ილარიონ ყან-  
ჩისვილი და სხვ.), რომლებიც არ შეუშინდნენ მოძალბებულ მაჰმა-  
დიანებს, დარჩნენ მონასტერში, გაამსხვევეს თანამომქმენო, ერთ-  
გვარი გავლენაც მოახდინეს თურქ-ოსმალთა ჯარის უფროსზე ლა-  
ბუტ-ფაშაზე (რომელიც წარმოშობით ქართველი იყო), იხსნეს  
ივერთა სავანე და ზოგიერთი სხვა მონასტერიც.

თურქეთ-საბერძნეთის ომის დამთავრების შემდეგ ათონს კვლავ  
ბერძნები დაეპატრონენ (1830 წ.). ისინი დაბრუნდნენ ივერთა  
მონასტერში და თანდათან შეავიწროვეს ქართველთა მცირერი-  
ცხოვანი კრებული; ჯერ იდიდი ტაძარი იგდეს ხელთ, ხოლო შემ-  
დეგ ქართველები სულ გამოაძევეს მონასტრიდან და საცხოვრებ-  
ლად ილიას სავანე მიუჩინეს. ბ. ქიტისვილი და მისი მოწაფენი იქ  
გადასახლდნენ, ხოლო ი. ყანჩისვილი სულ განმარტოებით ცხოვ-  
რობდა („სამხოლოეში“) და იქ განაგრძობდა ლიტერატურულ საქ-  
მიანობას. სხვათა შორის, 1836 წელს ი. ყანჩისვილმა შეადგინა კა-  
ტალოგი, — „ქართული წიგნების სახელები ივერიის მონასტერსა  
შინა მდებარეთა მთაწმიდას“, — რომელშიც მოგვაწოდა ცნობები  
იქაურ ბიბლიოთეკაში დაცული რამდენიმე ათეული ქართული  
ხელნაწერის შესახებ. რადგან ათონის ქართულ ხელნაწერთა კო-  
ლექცია მძიმე მდგომარეობაში იყო, ბევრი ძვირფასი ხელნაწერი  
„მოშლილი და ჰიისაგან განრყუნილი და სიძველისაგან“ დაზიანე-  
ბული იყო და წაკითხვა ჰირდა, ი. ყანჩისვილმა მხოლოდ ნაწი-  
ლობრივ გაართვა თავი რთულ საქმეს, მაგრამ მისი კატალოგი  
ზაინც მნიშვნელოვანი დოკუმენტია. ი. ყანჩისვილი არსებითად  
პირველი მწიგნობარია, რომელმაც შედარებით სრული ცნობები  
შემოგვინახა ათონზე დაცულ ქართულ ხელნაწერთა კოლექციაზე.

1845 და მომდევნო წლებში ივირონში რამდენჯერმე იყო პ. უს-  
პენსკი. მან შეკრიბა გადმოცემები, ძველ წყაროებში დაქებნა სა-



ეურადლებო ცნობები, შეისწავლა იქაურ ბიბლიოთეკაში დაცული მასალები, გამოავლინა ქართველთა მოღვაწეობის საინტერესო ფაქტები, მიმოიხილა ქართული სავანის ისტორია.

1849 წელს ათონზე იყო პ. იოსელიანი. მან აღწერა ათონელთა იმდროინდელი მდგომარეობა, შეისწავლა ქართული სიძველენი, იმუშავა წიგნსაცავში. სახელდობრ, გაიცნო ბევრი ქართული ხელნაწერი, გადმოიწერა ზოგიერთი ძეგლი, შეადგინა აღწერილობა რამდენიმე ხელნაწერისა და ა. შ.

ათონის ქართველთა მონასტრის ხელნაწერთა კოლექცია აღრე ზედის ანაბარა იყო მიტოვებული. პ. იოსელიანმა მიმართა სელისუფლებას იორგანოებს და რამდენადმე გააუმჯობესებინა წიგნსაცავის მდგომარეობა.

პ. იოსელიანის მისვლამ ივერთა მონასტერში გამოაცოცხლა იქაური მოღვაწენი. მათ წერილობით მიმართეს სტუმარს და რუსეთის ელჩთან შუამდგომლობა და ისტორიული უფლებების დასაბუთება-დაბრუნება სთხოვეს. მაგრამ ქართველთა მდგომარეობა არც ამჯერად გაოსწორდა. იგი კიდევ უფრო მძიმე გახდა 60-იანი წლებიდან. თუ აღრე ათონელი ქართველები ულუფას ბერძნეშავით იღებდნენ, საქართველოდან მისულთ კრებულში ჩარიცხვა შეეძლოთ და სტუმრად მისულ ქართველ პილიგრიმებს საზრდო და სადგომიც ეძლეოდათ, ქართველ მოღვაწეთა მეთაურის ბ. ქიტისვილის გარდაცვალების (1861 წ.) შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა და საგრძნობლად გაუარესდა. ბერძნეშვა იერიში გააძლიერეს, ქართველ პილიგრიმებს აღარ იღებდნენ და ძმობაში ქართველთა ჩარიცხვაც აკრძალეს. ბ. ქიტისვილის დარჩენილ ოთხ მოწაფეს ნება დართეს გარდაცვალებამდე მონასტრიდან ულუფის მიღებისა, მაგრამ საერთოდ ქართველთა უფლებები ივერთა მონასტერზე საბოლოოდ უარყვეს. იმ დროს მივიდა იქ ვახტანგ ბარკალაია (1834—1911) და ბერად აღკვეციის სურვილი განაცხადა, მაგრამ უარით გამოისტუმრეს. საქართველოში დაბრუნებულმა მიიღო ბერობა (ბენედიქტეს სახელით), შეკრიბა შეწირულება და თორმეტი ბერის თანხლებით მიაშურა ათონს. იქ მან შეიძინა (1870 წ.) დანგრეული სავანე და მის აღდგენა-განახლებას შეუდგა, მაგრამ ბერძნების წინააღმდეგობას წააწყდა. ბერძნეშვა უარი უთხრეს სამშენებლო მასალის მიყიდვაზე, სანახევროდ რესტავრირებული ტაძრის დანგრევაც კი დაუპირეს, მაგრამ ბ. ბარკალაიამ მიზანს ძაინც მიაღწია—ივერთა მონასტრის ახლოს ქართველთა ახალი სავანე — იოანე ღვთისმეტყველის სავანე დააარსა და იქ შეკრიბა ათონის მთაზე მიმოფანტული ქართველობა.

ახალი სავანის წინამძღვარი ბ. ბარკალაია შემდეგაც აქტიურად ღრმობდა — მიმართავდა რუს ხელისუფალთ და გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს და დახმარებას სთხოვდა, ბეკდავდა წერილებს, რომლებშიც წარმოაჩენდა ქართველთა დამსახურებას ივერთა სავანის იდაარსება-განვითარებაში, ამხელდა ბერძენ სამღვდლო პართა მიმტაცებლობასა და ძალმომრეობას, ითხოვდა ქართველთა კანონიერი უფლებების აღდგენას, თანაზემამულებს ზოუწოდებდა ენერგიული მოქმედებისა და ქართული მონასტრის დახსნისაკენ.

მიუხედავად ამისა, ქართველთა მდგომარეობა ათონზე კიდევ უფრო გაუარესდა. ბერძენთა მოძალემა და ქართველთა შევიწროება ყოველგვარ ზღვარს გასცილდა. ქართველი საზოგადოებრიობისა თუ რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების მხარდაჭერამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ბერძენები კიდევ უფრო გააქტიურდნენ და ქართველთა ნაკვალევის მოსპობა-განადგურებას შეუდგნენ. ერთი ათონური ხელნაწერის ცნობით, 1883 წელს „ბერძენებმა მონასტერში დახატული ქართველი მეფეების და დედოფლების სახელი ამოხოცეს და ბერძნის დაწერეს, ეითამცა მათი მეფეები ყოფილიყოს. თორნიკიც ამოხოცეს“.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება ივირონის წიგნსაცავის ვულდასმით გაცნობა, ხელნაწერთა კოლექციის მეცნიერული შესწავლა და ქართული მასალების გამოვლენა. პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ა. ცაგარელი, რომელიც 1883 წელს ეწვია ათონს. იგი განსაკუთრებით დაინტერესდა ათონის ქართული ხელნაწერებით, რომლებიც გაიცინო, შეისწავლა და აღწერა. მის მიერ შედგენილი კატალოგი ივირონის ქართული ხელნაწერებისა ათონის ქართულ ხელნაწერთა პირველი მეცნიერული აღწერილობაა. ა. ცაგარელმა გამოავლინა ორიგინალური და თარგმნილი იხსნულებანი, ავტორები და მთარგმნელები, კალიგრაფები და მკაზმაეები, დაახასიათა და წარმოაჩინა ათონის რელი ქართული კულტურის ისტორიაში.

მომდევნო ხანაში რამდენიმე ქართველმა მეცნიერმა გაიცინო ათონის ქართული ხელნაწერები. სახელდობრ, დ. ბაქრაძემ (1888 წ.), ნ. მარმა (1898 წ.), ა. ხახანაშვილმა (1902 წ.).

დ. ბაქრაძემ გამოავლინა ზოგიერთი უცნობი ხელნაწერი; ნ. მარმა შეადგინა რამდენიმე ხელნაწერის დეტალური აღწერილობა და გამოსცა ათონურ ხელნაწერებში შემონახული თხზულებანი. მაგალითად, „ცხოვრებაი და მოქალაქობაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბარლამ მოღუაწისაი, რომელი იყო მთა-

სა კავკასია“ (1901 წ.); ა. ხახანაშვილმა დაამზადებინა იქაურ ხელნაწერთა პირები, რომელთა საფუძველზე გამოაქვეყნა არაერთი 'ძველი ტექსტი' მაგალითად, „ცხოვრებაი და მოქალაქობაი წმიდისა მამისა ჩუენისა და მოციქულთა სწორისა ბაგრატისა, მღვდელთმოდღურისა ტავროშენელთა ქალაქისა“ (1904 წ.), „წამებაი წმიდისა დედოფლისა სანდუხტისი“ (1910 წ.) და სხვ.

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის პირველ წლებში ათონს კვლავ ნახულობდნენ ქართველი პილიგრიმები, იქ კვლავ ამრავლებდნენ ხელნაწერებს ქართველი მწიგნობრები.

1899 წელს იენის-იელისში ათონზე იყო პეტრე კონჭოშვილი (1838--1909), რომელმაც ვრცლად აღწერა ივირონი, ყურადღება დაუთმო ახალ სავანეს — იოანე ღვთისმეტყველის სახელზე აგებულ ტაძარსა და იქაურ მოღვაწეებს. მან ჩაიწერა გადმოცემები ათონზე, მოკვანოდა ცნობები ათონის ადრინდელ ისტორიაზე, ქართველ ქტიტორთა და მწიგნობართა საქმიანობაზე, იქაურ წიგნსაცავზე, გამოთქვა გულასწყრომა ბერძენთა ძალმომრეობის გამო („ყოველგან მოუსპიათ ნაშთნი და კვალნი ქართველთა მამათა იქ მოღვაწეობისა“, „შაგიერ ჩვენის დიდებულის სპასპეტის თორნიკისა მოსჩანს ახლა ნიკიფორე, ბერძენთა კეისარი“).

ბ. კონჭოშვილის ათონზე ყოფნისა და მომდევნო პერიოდში იოანე ღვთისმეტყველის სავანეში გულმოდგინედ ამრავლებდა ხელნაწერებს ალექსი ბაქრაძე. ოდნავ გვიან იქვე აზადებდნენ ახალ ნუსხებს ილია ფანცულაია, პიმენ ასათიანი და სხვ. პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციის შემდეგ ქართველი მოღვაწენა იოანე ღვთისმეტყველის სავანიდანაც გამოაძევეს.

1931 წელს ათონის სიძველენი გაიცინო, ქართულ ხელნაწერთა კოლექცია საფუძვლიანად შეისწავლა და ვრცლად აღწერა რ. ბლეიკმა, რომელმაც თავისი კატალოგი ფრანგულად დაბეჭდა პარიზში. ამ კატალოგის გამოქვეყნება ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენს კულტურულ-მეცნიერულ ცხოვრებაში — გამოვლინდა არაერთი მთარგმნელი და კალიგრაფი, ცნობილი გახდა ბევრი ძვირფასი ხელნაწერი.

1972 წელს საბერძნეთის მთავრობამ გააუქმა ათონის მთის ათასწლოვანი ავტონომია და იგი თავის ინტერესებს დაუმორჩილა. რამდენიმე წლის შემდეგ — საბერძნეთში სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ვითარების შეცვლის შედეგად — ათონი კვლავ ავტონომიურ სამონასტრო რესპუბლიკად იქცა.

უკანასკნელ წლებში საქართველოსა და საბერძნეთს შორის კეთილშეზობლური ურთიერთობა დამყარდა, რის შედეგად ქარ-

თველ და ბერძენ მოღვაწეთა მეცნიერულ-ლიტერატურული თანამშრომლობის კონტურებიც მოიხაზა, პირველი ნაბიჯები გადაიდგა ათონის ივერთა მონასტრის ქართულ სიძველეთა შესასწავლად.

1977 წელს საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის კინოექსპედიციამ (რეჟისორი გ. პატარაია, ოპერატორი ი. თნოფრაიშვილი) გაიწვია ათონის ქართული სიძველენი და გადაიღო სატელევიზო დოკუმენტური ფილმი, რომლითაც ქართველმა საზოგადოებრიობამ ნათლად გაიგო, თუ რა ეროვნული საგანძური ინახება ათონის მთაზე.

ჩვენი მკითხველებისათვის უთუოდ ცნობილია, რომ რეჟისორმა გ. პატარაიამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ თანამშრომელმა ა. მიქაბერიძემ ათონიდან ჩამოიტანეს და თბილისის უნივერსიტეტს გადასცეს ივირონის ქართული ხელნაწერების მიკროფილმები. მალე ჯამზადდა მათი პირები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკისა და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისათვის. უკვე დაიწყო ამ მასალის გულდასმით შესწავლა — არსებითად დაიწყო ახალი ეტაპი ათონის ლიტერატურული სკოლის შესწავლის ისტორიაში. უკვე გვაქვს პირველი საგულისხმო შედეგები: ი. ლოლაშვილმა გამოავლინა და გამოაქვეყნა უცნობი პოეტური ნიმუშები, თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის მიერ მომზადებულ კრებულში „ივირონი — 1000“ ბ. კილანავამ დაბეჭდა „ილარიონ ქართველის ცხოვრების“ ათონური რედაქცია და ა. შ. ბევრ რამეს გვპირდება თბილისის უნივერსიტეტში დაარსებული ათონურ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია.

უკანასკნელ წლებში ჩვენში დიდი ყურადღება ექცევა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვასა და შესწავლას. რესპუბლიკაში გაშლილი მრავალმხრივი მეშობა და ჩვენი წარსულით საერთო-სახალხო დაინტერესება გვმტკიცებს რწმენას, რომ ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერების, კერძოდ, ათონის ივერთა მონასტრის სიძველეებზე ზრუნვა და მათი შესწავლა საპატიო ადგილს დაიჭერს ქართველი სამეცნიერო-ლიტერატურული საზოგადოებრიობის საქმიანობაში.

პეტრიწონი. ბულგარეთში, ქალაქ პლოვდივიდან 28—30 კილომეტრის დაშორებით, როდოპის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე ასენიცის მარჯვენა მხარეს, თვალწარბტაც ხეობაში მდებ-

ბარეობს პეტრიწონის სავანე, რომელიც სიდიდით მეორეა ბულგარეთში. მომხიბვლელი ტყის მასივები ქმნიან მშვენიერ სანახაობას და განსაკუთრებული სიდიდით წამოაჩენენ ქართველთა მონასტერს და ქართველი და ბულგარელი ხალხების მეგობრობის ისტორიული ფესვების დამადასტურებელ კერას.

პეტრიწონის სავანეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის ისტორიაში, მან უსაზღვრო გავლენა მოახდინა ქართული ლიტერატურისა და ფილოსოფიის განვითარებაზე. ბულგარელ მეცნიერთა ერთობლივი აზრით, პეტრიწონმა დიდი როლი შეასრულა ბულგარეთის ისტორიაშიც.

ჩვენამდე მოღწეული მასალები, რომელთაგან ზოგიერთი უკანასკნელ წლებში გამოვლინდა, რამდენადმე გვაცნობენ როგორც პეტრიწონის სავანის თავგადასავალს, ისე ბულგარეთ-საქართველოს ურთიერთობის ცალკეულ ეპიზოდებს.

ბულგარეთში ქართული სავანის არსებობა ჩვენი საზოგადოებრიობისათვის გვიან გახდა ცნობილი. თუ არ ვცდებით, ჩვენში პირველი ცნობა მასზე 1878 წელს გამოქვეყნდა. იგი ეკუთვნის ბულგარეთის განმათავისუფლებელი ომის მონაწილეს, კაპიტან გიორგი ჯორჯაძეს.

პირველი ქართველი მეცნიერი, რომელიც შეეხო ამ საკითხს, იყო ა. ცაგარელი. მან 1894 წელს გამოაქვეყნა ცნობები როგორც მონასტერზე, ისე მის დამაარსებელზე. შემდგომი კვლევა-ძიებით დაზუსტდა პეტრიწონის სავანის ადგილმდებარეობა, გაირკვა მისი დაარსების ისტორია და ვითარება, დადგინდა, რომ იგი დაუარსებია გრიგოლ ბაკურიანისძეს.

გრიგოლ ბაკურიანისძე ბიზანტიის სახელმწიფოებრივ ასპარეზზე დაწინაურებული ქართველი დიდებულთა — ტაოელი ერისთავთერისთავის ბაკურიანის შვილი, რომელიც, მეცნიერთა ვარაუდით, ბაგრატიონთა გვარადან იყო. მან ენერგიულად გაიკვლია გზა ცხოვრებაში, ყურადღება დაიმსახურა და ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციების ჯარების მთავარსარდლის პოსტი დაიკავა. როდესაც ალექსი კომნინოსმა გვირგვინი დაიდგა (1081 წ.), გრიგოლ ბაკურიანისძემ, — ვითარცა ახალი იმპერატორის უერთგულესმა მოკავშირემ, — იმპერიის დასავლეთი პროვინციების ჯარების მთავარსარდლობა მიიღო. მაშინვე მიიღო ახალი მამულები ფილიპოპოლის თემში, სამხრეთ თრაკიასა და სხვაგან.

ბიზანტიის დაწინაურებულ მოხელესა და გამოჩენილ მხედართუფროსს სამშობლოსთან კავშირი არასდროს გაუწყვეტია. მან

თავის ხალხსა და ქვეყანასთან ურთიერთობა და კეთილგანწყობილება შეინარჩუნა (მეტრე, ხელი შეუწყო ქართველთა სამეფოს ტერიტორიულ ზრდასა და სამხედრო-პოლიტიკურ გაძლიერებას), რითაც „ყოველთა ქართველთა მასპინძლის“ სახელიც კი მოიპოვა. იგი (ისე როგორც მისი ძმა აბაზი) ენერგიულად იღვწოდა თანამემამულეთა საკეთილდღეოდ. აღსანიშნავია მისი ზრუნვა უცხოეთში მცხოვრებ ქართველებზე, კერძოდ, ივირონის ბინადრებზე უსაზღვროა ის ამაგი, რომელიც მან პეტრიწონის სავანეს დასდო. გრიგოლ ბაკურიანისძეს ჯერ კიდევ აღმოსავლეთში ყოფნის დროს ჰქონდა სურვილი მონასტრის დაარსებისა, მაგრამ სამხედრო-სახელმწიფოებრივი საქმეებთ გადატვირთვის გამო განზრახვის შესრულება მხოლოდ გვიან — ხანდაზმულობის უამს მოახერხა; 1083 წელს „თემსა შინა ფილიპოპოლისასა, საზღეართა შინა სოფლისა მის, რომელსა პეტრიწონ ეწოდების“, დააარსა ქართული საღვანე, რომელსაც პეტრიწონის მონასტერი ეწოდა (ზადგან უკანასკნელ ხანს სოფელი პეტრიწონი ღავიწყებას მიეცა და დაწინაურდა სოფელი ბაჩკოეო, საიდანაც მიემართება მთავარი გზა სავანი-საკენ, ახლა მას ბაჩკოეოს მონასტერს უწოდებენ).

გრიგოლ ბაკურიანისძემ პეტრიწონის მონასტერში ააგო დიდი ტაძარი ღვთისმშობლის სახელზე, აგრეთვე ორი მომცრო ეკლესია იოანე ნათლისმცემლისა და წმინდა გიორგისა, სენაკები, სათავსოები და ა. შ. როგორც დიდი ტაძარი, ისე სხვა ნაგებობანი დროთა განმავლობაში დაინგრა. მონასტერმა თანამედროვე სახე მიიღო XVII საუკუნეში, როდესაც ახლად აშენდა მთავარი ტაძარი და სატრაპეზო. მომდევნო ხანისაა სხვა ეკლესიებიც. სამონასტრო ანსამბლის ახლოს, მთავარი ტაძროდან 200-მდე მეტრის დადამორებით გრიგოლ ბაკურიანისძემ ააგო საძვალე — ერთნაეიანი ორსართულიანი შენობა, რომლის ზედა სართულში ეკლესიაა, ქვემოთ ძვლებით სავსე აკლდამები (ესაა ერთადერთი ძველი ნაგებობა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია თავდაპირველი სახით). იგი დიდებულად იყო მოხატული და, — მიუხედავად ხანდაზმულობისა და დაზიანებისა, — ახლაც იპყრობს ყურადღებას თავისი ფრესკებით, რომელთა შორის გრიგოლისა და მისი ძმის აბაზის გამოსახულებებიცაა.

საძვალის მხატვრობა, რომელსაც ადრე მონასტრის დაარსების თანადროულად მიიჩნევდნენ, ხოლო უკანასკნელი გამოკვლევებით X-II საუკუნითაა დათარიღებული, ინტერესს იწვევს სიუჟეტთა სამრავლით, თემატურ-შინაარსობრივი სიმდიდრით, გამომსახველობითი სიძლიერით. მისი შემსრულებელი — იოანე ივერღბული,

რომელსაც ზოგი მკვლევარი ქართველად მიიჩნევს, ფერწერის ჩინებულ ოსტატადაა აღიარებული. საყურადღებოა მხატვრის იდეური ჩანაფიქრი და ეროვნულ-სარწმუნოებრივი ტენდენცია — მოზნანწრაფული შერჩევა მასალისა და მისი გეგმაზომიერი განაწილება კედლებზე, მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის გამოჩენილ წარმომადგენელთა გვერდით ქართველ მოღვაწეთა (ილარიონ ქართველის, ექვთიმე ათონელის...) პორტრეტების მოთავსება და ამით იმის ჩვენება, რომ ისინი პირდაპირი და უშუალო მემკვიდრენი არიან აღმოსავლეთის ბერმონაზვნობის მოთავეებისა.

გრიგოლ ბაკურიანისძემ პეტრიწონის მონასტერს დასრულებისთანავე შეუდგინა ტიპიკონი, რომელიც გვაცნობს სავანის დაარსების ისტორიას, დამაარსებლის ვინაობას, მონასტრის იურიდიულ წესწყობილებას; გვაწვდის მასალებს სოციალურ ურთიერთობაზე, მხარის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ა. შ.; შეიცავს საინტერესო ცნობებს საქართველო-ბულგარეთ-ბიზანტიის ურთიერთობის ისტორიიდან; საყურადღებოა საეკლესიო ორგანიზაციისა და სამონასტრო ცხოვრების შესასწავლად; ამასთანავე, იგი ქართული სალიტერატურო ენის ძვირფასი ძეგლია, რომელშიც შემონახულია ზღიდარი ლექსიკა. დაბოლოს, ისიც უნდა მოვიგონოთ, რომ ტიპიკონი არაერთ ქართულ მონასტერს ჰქონდა, მაგრამ ზოგი დაიკარგა, ზოგი კი ფრაგმენტულად შემოგვრჩა. პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი ერთადერთია, რომელმაც თითქმის უვნებლად მოაღწია ჩვენამდე. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის მის მნიშვნელობას.

ტიპიკონიდან ჩანს, რომ გრიგოლ ბაკურიანისძემ მის მიერ დაარსებულ სავანეს უსაზღვრო დახმარება აღმოუჩინა — შესწირა სოფლები, ციხეები, სახნავ-სათესი ადგილები, საძოვრები, ტყეები, საეკლესიო ნივთები, წიგნები და სხვ.; აუშენა სასნეულო, სასტუმროები და ა. შ. მანვე განსაზღვრა მოღვაწეთა რაოდენობა, ეროვნული შემადგენლობა და ცხოვრების წესები, დაადგინა წინამძღვარი, გამიჯნა მონასტრის თანამდებობის პირთა ფუნქციები, სავანე გაათავისუფლა ყოველგვარი (სამეფო, საპატრიარქო და სხვ.) გადასახადისაგან. ერთი სიტყვით, პეტრიწონის მონასტერს მან შეუქმნა იდეალური პირობები როგორც მატერიალურად, ისე უფლებრივად.

პეტრიწონის სავანის ტიპიკონი საინტერესოა ლიტერატურული თვალსაზრისითაც. მასში აქა-იქ ისეთი მედიტაციურ-ლირიკული წილსვლები გვხვდება, რომ, საფიქრებელია, გრიგოლ ბაკურიანისძემ სხვა ქტიტორებსავეთ განსწავლულ პირს კი არ აწერინებ-

და ტიპიკონს, არამედ თვით მუშაობდა მის ტექსტზე. ასეთი ვარაუდი უსაფუძვლო და მოულოდნელი არაა, რადგან გრიგოლ ბაკურიანისძის ლიტერატურული ინტერესი სხვა წყაროთიცაა ცნობილი. სახელდობრ, ბერძნულ ენაზე შემონახულია ბაგრატ ტავრიმენიელის ჰომილია, რომელიც მას მიეწერება.

ტიპიკონი დაუმზადებიათ ბერძნულად და ქართულად. მისი არსებობა მეცნიერთათვის აღრევე იყო ცნობილი, მაგრამ სრული ტექსტი კარგა ხანს არ ჩანდა. ძიებამ სასურველი შედეგი დიდხანს ვერ გამოიღო; თავდაპირველად აღმოჩნდა არა ძველი ტექსტი, არამედ მისი ახალბერძნული თარგმანი XVIII საუკუნისა. იგი 1888 წელს გამოაქვეყნა გ. მუსეოსმა. ჩვენი საუკუნის დამდეგს ტიპიკონის პირვანდელი ბერძნული ტექსტი ბუქარესტის XVIII საუკუნის ხელნაწერის მიხედვით გამოსცა ლ. პტიმ (1904 წ.).

ქართული ტექსტის შემცველი ხელნაწერი თავდაპირველად აღმოჩნდა სოფიის საჯარო ბიბლიოთეკაში. ერთ დროს მას სომხურად მიიჩნევდნენ, 1936 წელს მისი ქართულობა შენიშნა გ. ფერაძემ. 1949 წელს იგი ნახეს, შეისწავლეს და მისი ღირსება-ნაკლოვანება გამოავლინეს ა. შანიძემ და ნ. ბერძენიშვილმა. ქართული ტექსტი და ლათინური თარგმანი გამოაქვეყნა მ. თარხნიშვილმა (1954 წ.).

უკეთესი ხელნაწერი — ქართულ-ბერძნული ტექსტის ძველი ნუსხა აღმოჩნდა საბერძნეთში, კუნძულ ხიოსზე, კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაში. მართალია, ხიოსის ხელნაწერის ქართული ტექსტი დედანი არ აღმოჩნდა, მაგრამ მისი მნიშვნელობა მაინც განუსაზღვრელია — ის დედნიდანაა გადაწერილი XIII საუკუნეში.

ხიოსის ხელნაწერის ბერძნული ტექსტი და მისი ქართული თარგმანი გამოაქვეყნა ს. ყაუხჩიშვილმა (1963 წ.). ქართული ტექსტი და მისი რუსული თარგმანი გამოკვლევიდა და სრული მეცნიერული აპარატით გამოსცა ა. შანიძემ (1971, 1986 წწ.).

პეტრიწონის სავანეში არსებობდა სასწავლებელი, სემინარია, რომელიც ამზადებდა ქართველ მუშაკებს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. ფრანგი მეცნიერის ლ. პტის სიტყვით, „ჩვენ აქ გვაქვს მეტად იშვიათი, შეიძლება ერთადერთი მაგალითი ბიზანტიაში სემინარიის არსებობისა ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით“.

გავრცელებული აზრით, პეტრიწონის სავანისა და სემინარიის მუშაობას ფიქტის ოცი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა დიდი



ქართველი მოაზროვნე იოანე, რომელსაც მოღვაწეობის ადგილს მიხედვით პეტრიწონელი ან პეტრიწი ეწოდა.

იოანე პეტრიწი ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართულ საზოგადოებრივ-ინტელექტუალურ ცხოვრებაში, უსაზღვრო მეცნიერული ერუდიციითა და ღრმა განათლებით, ინტენსიური შემოქმედებითი საქმიანობით წინ წასწია და მაღალ საფეხურზე აიყვანა ქართული ფილოსოფიური აზროვნება.

იოანეს ბიოგრაფია ბურუსითაა მოცული. ზოგი ცნობით, იგი გურიიდანაა, ზოგი — სამცხიდან. ანტონ პირველის სიტყვით, ერთხანს ოპიზაში მოღვაწეობდა. განათლება მიიღო ბიზანტიაში, საფიქრებელია, კონსტანტინოპოლში, მანგანის აკადემიაში, სადაც უსმენდა გამოჩენილ ფილოსოფოსებს.

იოანე პეტრიწი აქტიური მონაწილე იყო ამ ფილოსოფიური მოძრაობაში, რომელიც გაიშალა ბიზანტიაში მიქაელ პსელოსისა და იოანე იტალოსის ხელმძღვანელობით. მრავალმხრივი მოღვაწეობითა და თავისუფალი ფილოსოფიური აზროვნებით მან ოფიციალურ-კონსერვატიული წრეების მხრივ დევნა-შევიწროება დაიმსახურა.

1083 წელს, როდესაც იოანე იტალოსი გაასამართლეს და გააძევეს, მისი მოწაფეები და თანამზრახველებიც მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ. რეაქციონერებმა მათზე მიიტანეს იერიში და მათ წინააღმდეგ სასამართლო პროცესიც კი წამოიწიეს. გასაგებია, რომ იოანე იტალოსის მიმდევრებს სატახტო ქალაქში აღარ ედგომებოდათ — მათ გაქცევით უშველეს თავს. საფიქრებელია, ჩვენმა თანამემამულე იოანემაც იმ დროს დატოვა კონსტანტინოპოლი და პეტრიწონის ახალდაარსებულ სავანეს მიაშურა, იქაურ ქართველებს შეუერთდა და განაგრძო კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა, სემინარიას გაუძღვა და ქართველი ახალგაზრდობის აღზრდა მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დააფუძნა.

იოანე პეტრიწმა მრავალმხრივი მეცნიერულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ამ მემკვიდრეობის თუნდაც ზოგადი მიმოხილვა ამჯერად შეუძლებელია, ეს არცაა ჩვენი მიზანი. ჩვენ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვსურს, რომ იოანე პეტრიწის მისია ქართული კულტურის ისტორიაში მხოლოდ ამ მემკვიდრეობის შექმნით არ ამოიწურება; მან 'სათავე დაუდო ლიტერატურულ სკოლას, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართული ფილოსოფიის განვითარებას, ქართული ფილოსოფიური ენისა და ტერმინოლოგიის შემუშავებას.

პეტრიწონის ლიტერატურულ-ფილოსოფიურმა სკოლამ კიდევ

უფრო დაუახლოვა ქართული ლიტერატურა ბიზანტიურს, დოგმატიკურ-ფილოსოფიური წიგნების თარგმნითა და კომენტირებით დიდად შეუწყო ხელი ქართული აზროვნების განვითარებას. სამწუხაროდ, პეტრიწონის სკოლის იმ მოღვაწეთაგან, რომლებიც უშუალოდ პეტრიწონში ცხოვრობდნენ და იქ ეწეოდნენ საგანმანათლებლო საქმიანობას, ცოტა ვინმეს ვიცნობთ. დაბეჯითებით შეგვიძლია დავასახელოთ მხოლოდ დავით პეტრიწონელი, რომელიც XI საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე უნდა იყოს.

პეტრიწონის საგანის ბიბლიოთეკიდან ცოტა რამაა ცნობილი. ბევრი ხელნაწერი დაიკარგა, ყოველ შემთხვევაში, მიუხედავად ჩვენი ბულგარელი მეგობრების ძიებისა, ჯერჯერობით მიკვლეული არ არის.

ემვი არაა, პეტრიწონში შექმნილი უცნობი ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოვლენა მეტ ნათელს მოჰფენს პეტრიწონელთა საქმიანობას და კიდევ უფრო სრულად წარმოაჩენს ქართული კულტურის ამ საზღვარგარეთული კერის მნიშვნელობას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ XII საუკუნის დამდეგს იოანეს პეტრიწონის დატოვება მოუხდა. ღრმად განსწავლულმა მწერალმა და მეცნიერმა სამშობლოს მოაშურა და გელათის აკადემიაში გაგანაგრძო შემოქმედებითი საქმიანობა. ამიერიდან გელათი პეტრიწონის ლიტერატურულ-ფილოსოფიური სკოლის ტრადიციების გამგრძელებლად და გამაღრმავებლად იქცა.

პეტრიწონის საგანის მომდევნო ხანის ისტორია ნაკლებადაა ცნობილი. ამიტომ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ფაქტზე გავამახვილებთ ყურადღებას.

გრიგოლ ბაკურიანისძე ენერგიულად ემსახურებოდა რა ალექსი კომნინოსს, თავგამოდებით ებრძოდა მის მოწინააღმდეგეებს: მან თავი გამოიჩინა პაპანიკებთან ბრძოლაში და 1086 წელს შეეწირა კიდეც ურიცხვი მტრის ლაშქარს.

შემდგომ ხანაში პეტრიწონი მარიამ დედოფლის; — საქართველოს მეფის ბაგრატ მეოთხის ასულისა და ბიზანტიის იმპერატორის მეუღლის, — საკუთრება იყო. საგულისხმო ფაქტია: საგანის დაარსებისა და გრიგოლ ბაკურიანისძის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ პეტრიწონი ქართველ მანდილოსანს ეკუთვნოდა და მისი მფარველობით სარგებლობდა.

პეტრიწონის საგანს არც საქართველოს მეფეთა დახმარება აკლდა — მას ეხმარებოდნენ დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე.

1204 წელს პეტრიწონი ჯვაროსნებმა დაარბიეს.

1205 წელს ბულგარეთის მეფემ კოლოიანმა დაამარცხა და

განდევნა ჯვაროსნები. პეტრიწონის მონასტერს ამიერიდან კარგა ხანს ბულგარელები ფლობდნენ.

XIV საუკუნის დასაწყისიდან მონასტერი აღმავლობის გზას დაადგა. ბულგარეთის მეფემ ივანე-ალექსანდრემ იგი გააძლიერა და განამტკიცა. მან აღადგინა ტაძარი, განაახლა და მოახატვინა საძვალე (მაშინდელია როგორც ივანე-ალექსანდრეს, ისე გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძეთა ფრესკები).

იმ პერიოდში ქართველები კვლავ ჩანან პეტრიწონში. მთავარ ტაძარში დაცულია ღვთისმშობლის ხატი, რომელმაც შემოგვინახა მრავალმხრივ საინტერესო ქართული წარწერა 1311 წლისა, ცნობილია აგრეთვე XIV საუკუნისავე ქართული წარწერები მთავარი ტაძრის გუმბათის ჯვრისა და საძვალის ფრესკისა.

საყურადღებოა XIV საუკუნის პეტრიწონელი ხელნაწერი — „ღღესასწაულთა საკითხავნი“, რომელიც ერთხანს სვანეთში ინახებოდა, ამჟამად კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. მასში შესულია იოანე დამასკელის, ეფრემ ასურისა და სხვათა თხზულებანი, ჰაგიოგრაფიული ძეგლები (სხვათა შორის, „პეტრე ქართველის ცხოვრება“). დამკვეთია მახარებელი, გადამწერი ორი გრიგოლი.

დასახელებული ქართული სიძველენი ცნადაყოფენ, რომ XIV საუკუნეში პეტრიწონის მონასტერში მკვიდრობდნენ ქართველები (ათანასი მოძღვარი, ოქროპირ ტაოელი, გრიგოლ კალიგრაფი და სხვ.), რომელთაგან ზოგიერთი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდა.

1363 წელს თურქ-ოსმალებმა აიღეს ფილიპოპოლი (თანამედროვე პლოვდივი) და პეტრიწონიც ხელთ იგდეს. ამის შემდეგ მათ არაერთგზის დაარბიეს და გადაარყვეს სავანე და მხოლოდ XVI საუკუნის ბოლოს დართეს ბულგარელებს მისი მართვის ნება.

XVII საუკუნეში მონასტერში აღმშენებლობითი საქმიანობა გაჩაღდა. როგორც ვთქვით, იმ დროს ააგეს მთავარი ტაძარი და სატრაპეზო, რომლის მოხატულობა ღღესაც აოცებს მნახველებს. მშენებლობა გრძელდებოდა მომდევნო საუკუნეებშიც. გასული საუკუნის მეორე ნახევარში ზოგიერთი ნაგებობა გარედანაც მოხატეს და ერთ-ერთ კედელზე გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძეთა პორტრეტებსაც მიუჩინეს საპატიო ადგილი.

ბულგარეთის განმათავისუფლებელი ომის პერიოდში პეტრიწონის მიდამოებში მწვავე ბრძოლები გაჩაღდა. 1878 წლის იანვარში მონასტერი თურქ-ოსმალთაგან დაარბევას გადაარჩინა რუ-

სეთის არმიის ოფიცერმა ზემოხსენებულმა გ. ჯორჯამემ. მან თავისი რაზმით დროზე მიუსწრო განსაცდელში მყოფ მონასტერს და მტერი უკუაქცია, რითაც დიდი მადლობა დაიმსახურა პეტრიწონელებისა, რომელთაც მას, — ვითარცა ქართველს, — მონასტრის სიძველენი დაათვალეირებინეს, კერძოდ, ქართულწარწერიანი ხატიც აჩვენეს.

მალე მონასტერს ბერძნები დაეპატრონენ და კარგა ხანს ფლობდნენ მას. მოხდა ის, რისიც ეწინოდა მის დამაარსებელს. როგორც ტიპიკონიდან ჩანს, გრიგოლ ბაკურიანისძემ მონასტერი დააარსა მხოლოდ და მხოლოდ ქართველთათვის, იქ მხოლოდ ქართველი პოლვაწენი უნდა ყოფილიყვნენ. ჩანს, მან კარგად იცოდა ქართველებქნ საზღვდელთა ურთიერთობის ისტორია, მათი ქიშპობა და ბრძოლა ათონსა და შავ მთაზე, წინასწარ გაითვალისწინა ბერძენი ბერების მიმტაცებლობა და ამიტომ მკაცრად განსაზღვრა პეტრიწონის მოწესეთა ეროვნული შემადგენლობა — სავანე ქართველთათვის დააარსა, ხოლო ბერძნებს აუკრძალა იქ დასადგურება.

გრიგოლ ბაკურიანისძის ასეთი გადაწყვეტილება ბუნებრივი შედეგი იყო საზღვარგარეთის ქართულ სავანეებში ქართველ-ბერძენთა ურთიერთობის გამწვავებისა.

მიუხედავად გრიგოლ ბაკურიანისძის კატეგორიული მოთხოვნისა, ჟამთა სიავის შედეგად ბერძნები მაინც დაეპატრონენ პეტრიწონის სავანეს. წლების მანძილზე გრძელდებოდა დავა ბერძნებსა და ბულგარელებს შორის. ეს შეხლა-შემოხლა დამთავრდა 1894 წელს, როდესაც სავანე ბულგარელთა ხელში გადავიდა.

ამჟამად ქართული კულტურის ძველი კერა — პეტრიწონის მონასტერი კარგად მოვლილი და სათანადოდ დაცულია. სისტემატურად წარმოებს სარესტავრაციო სამუშაოები — ნაგებობათა აღდგენა, ფრესკების გაცხოველება. იქაური მოღვაწენი, აგრეთვე ექსკურსიის მძღოლები დამთვალეირებულთ გულთბილად ესაუბრებიან სავანის ქართველ დამაარსებელზე, იქაურ ქართულ სემინარიაზე, გამოჩენილ ქართველ ფილოსოფოსზე.

**ჩრდილოეთი.** ქართველებსა და რუსებს აღრევე ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ. მართალია, რუსეთის ძველი სახელმწიფო შორს იყო საქართველოდან, მისი საზღვარი არ ებჯინებოდა კავკასიონს, ქართველები და რუსები უშუალო მეზობლები არ ყოფილან, მაგრამ მათ მაინც აღრე გაუცნიათ ერთმანეთი. ძველი წყაროების — ქართული, რუსული, სომხური, ბერძნული და სხვაენოვანი ძეგლების შესწავლითა და გაანალიზებით გაირკვა, რომ კიევის

რუსეთსა და საქართველოს შორის ადრევე დამყარებულა კონტაქტი; ეპიპიუტანლად დადგინდა, რომ X საუკუნეში ქართველები და რუსები უკვე იცნობდნენ ერთმანეთს (სამეცნიერო ლიტერატურაში დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რომ ქართველებსა და რუსებს ერთმანეთის შესახებ ცნობები შეეძლოთ მიეღოთ ბიზანტიელთა, ოს-ხაზართა; სომეხთა და ალბანელთა მეშვეობით, ხოლო პირისპირ შეხვედრა შეეძლოთ ბიზანტიაში და თვით კავკასიაშიც კი).

ადრეული ნაცნობობა მალე ინტენსიურ ურთიერთობაში გადაიზარდა, ქართველებსა და რუსებს შორის დამაჯავშირებელი ძაფები გაიბა. მართალია, მრავლად არ მოგვეპოვება დოკუმენტური მონაცემები ძველ ხანაში რუს-ქართველთა ურთიერთობის შესახებ, მაგრამ მოღწეული ცნობებითაც საკმაოდ საინტერესო სურათი წარმოგვიდგება. საკმარისია მოვიგონოთ ორიოდე ფაქტი: 1154 წელს კიევის დიდმა მთავარმა იზიასლავ მსტისლავის ძემ (1146—1154) ქართველი მეფის დემეტრე პირველის ასული შეიერთო, ხოლო 1185 წელს ქართველებმა ცნობილი მთავრის ანდრია ბოგოლოუმსკის (დაახლ. 1111—1174) ვაჟი იური (გიორგი) საქართველოში მოიწვიეს და თამარ მეფეზე დააქორწინეს.

რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის განვითარებას ლახვარი ჩასცა მონღოლთა გამოჩენამ. მომხდურმა მტერმა თითქმის ერთდროულად დაიპყრო ორივე ქვეყანა. ე. წ. ოქროს უკრდოს მძლავრობამ კარგა ხანს შეწყვიტა კავშირი ქართველებსა და რუსებს შორის.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ახალი ძალით გაჩაღდა მას შემდეგ, რაც დაწინაურდა მოსკოვის სამთავრო.

XV საუკუნეში მოსკოვი გახდა რუსეთის თვალუწვდენი მიწა-წყლის შემკრები და გამაერთიანებელი ცენტრი, რუსი ხალხის ეროვნული და სახელმწიფოებრივი მთლიანობისათვის, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მისი აღმავალი ძლევამოსილებისათვის ბრძოლის მესვეური; მოსკოვი გახდა რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების, რუსეთის სახელმწიფოს საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობის ცენტრი.

იმ პერიოდში, როდესაც მოსკოვის სახელმწიფო ყალიბდებოდა და ძლიერდებოდა, საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანიზმი ირღვეოდა. XV საუკუნის მეორე ნახევრისათვის ერთიანი ქართული სახელმწიფო აღარ არსებობდა, მისი ადგილი რამდენიმე სამეფომ და სამთავრომ დაიკავა. გაჩაღდა ბრძოლა ცალკეულ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის. შინაბრძოლის გამწვავება ართულებდა ქართველების მდგომარეობას, კიდევ უფ-

რო ასუსტებდა ჩვენს ქვეყანას. საჭირო იყო ქართველთა ერთხმი-  
ეობა, ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანება და შამშლის-  
მოყვარეთა მძლავრი ლაშქრის შეკრება, მაგრამ საქართველოში  
შექმნილი ვითარება ამის შესაძლებლობას გამორიცხავდა. მტრებ-  
თან მრავალი წლის უთანასწორო ბრძოლამ ცხადყო, რომ მაჰმა-  
დიანური გარემოცვისაგან თავის დაღწევა საქართველოს მხოლოდ  
საკუთარ ძალებზე დაყრდნობით აღარ შეეძლო. დამოუკიდებლო-  
ბის შენარჩუნების შესაძლებლობას მოკლებული ქართველობა  
გადაჭრით შეუდგა ორიენტაციის ძიებას. ჩვენმა წინაპრებმა რამ-  
დენჯერმე მიმართეს დასავლეთ ევროპას და მაჰმადიანთა წინააღ-  
მდეგ გაერთიანებული ძალებით გალაშქრებისაკენ მოუწოდეს, მაგ-  
რამ ამას სასურველი შედეგი არ მოჰყვა.

როდესაც გაძლიერდა რუსეთი, ქართველებმა მოსკოვს მიმარ-  
თეს. მათ კარგად ესმოდათ ცენტრალიზებული სახელმწიფოს როლი  
და მნიშვნელობა, ამიტომაც ორიენტაციის შერჩევის დროს რუსეთის  
შინაგან ძლიერებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ და  
სათანადო მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ისინი სწორად აფასებდნენ  
არსებულ ვითარებას, ჯეროვნად ერკვეოდნენ ახლო აღმოსავლე-  
თის მიმართ რუსეთის რეალურ სახელმწიფოებრივ ინტერესებში  
და იმედოვნებდნენ რუსეთისაგან დახმარებას. მართალია, რუსეთ-  
თან დაკავშირების გამო ქართველებს არაერთი უსიამოვნება შეხ-  
ვდათ თავდამსხმელთაგან, ჩვენი ქვეყანა არაერთგზის იქცა თურქ-  
ოსმალთა და ირანელთა რბევის ობიექტად, მაგრამ ქართველ სა-  
ზოგადოებრიობას რუსეთთან ურთიერთობაზე ხელი არ აუღია.

რუსეთ-საქართველოს ადრინდელ ურთიერთობას განსაკუთრე-  
ბული შედეგი არ მოჰყოლია, იმ ეტაპზე რუსეთი არ დახმარებია  
ჩვენს ქვეყანას.

XVIII საუკუნეში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა გადამ-  
წყვეტ ფაზაში შევიდა. ორი ქვეყნის ინტერესთა თანხვედნილობამ  
მოამზადა ხელსაყრელი პირობები ერთობლივი მოქმედებისათვის.  
რუსეთი გაბედულად გამოვიდა წინა აზიის პოლიტიკურ ასპარეზ-  
ზე და ქართველთა ორიენტაციაც სულ უფრო თვალსაჩინო გახდა.  
რწმენა, რომ მხოლოდ რუსეთს შესწევდა ძალა და უნარი ეხსნა  
ქართველობა განადგურებისაგან, თანდათანობით მტკიცდებოდა.  
რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ გაძლიერებასთან ერთად. ქარ-

თველობა გრძნობდა, რომ კულტურულად და ეკონომიკურად ჩამორჩენილი ირანისა და თურქეთის საპირისპიროდ რუსეთი იყო ერთადერთი ძალა, რომლის მფარველობითაც საქართველოს შეეძლო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კულტურული თვითმყოფლობის შენარჩუნება.

XVIII საუკუნის ოთხმოციან წლებში რუსეთის საზღვარი კავკასიონს მოებჯინა, დღის წესრიგში დადგა ამიერკავკასიის საკითხი. 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში ხელი მოაწერეს „მეგობრობით პირობას“ (ტრაქტატს). რუსეთმა ქართლ-კახეთს საუკუნო მფარველობა და დაცვა აღუთქვა, მაგრამ 1783 წლის 3 ნოემბერს თბილისში რუსთა მხედრობა შემოვიდა, ხოლო 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთმა დაიპყრო.

რუსეთ-საქართველოს ხანგრძლივმა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურმა ურთიერთობამ მოამზადა ნიადაგი ამ ქვეყნების თანამშრომლობისათვის საზოგადოებრივ და მეცნიერულ-ლიტერატურულ სფეროში. ჩვენამდე მოღწეული მცირე მასალიდანაც ნათლად ჩანს, რომ რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობა ადრევე დაიწყო. ქართველები და რუსები ბიზანტიაში ადრეულ საუკუნეებში ხვდებოდნენ ერთმანეთს და არაა გამორიცხული, კულტურული ლიტერატურული ურთიერთობაც იქვე დაეწყოთ, კერძოდ ათონზე, სადაც ქართველებს, როგორც აღვნიშნეთ, უდიდესი მწიგნობრულ-საგანმანათლებლო კერა ჰქონდათ.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ რუსების ხსენებას ქართულ მწერლობაში ადრევე ვხვდებით. შეგვიძლია დავიმოწმოთ შემატანიანები (სუმბატ დავითის ძე, „მატიანე ქართლისას“ ავტორი, ჟამთააღმწერელი და სხვ.), წარმომადგენლები სასულიერო-საეკლესიო მწერლობისა (ექვთიმე ათონელი, გიორგი მთაწმინდელი) და საერო ლიტერატურისა (ჩახრუხაძე).

XI—XII საუკუნეებიდან ქართველებისა და საქართველოს შესახებ ცნობები ხშირად გვხვდება რუსულ წყაროებში. რუსეთის მატრიანეში მოხსენიებულია არაერთი ფაქტი საქართველოს ისტორიიდან. მაგალითად, იქ იხსენიება ყივჩაყთა მთავრის ოტროკის (ქართული წყაროებით ათრაქა შარალანის ძის) გამოქცევა საქართველოში, 1224 წელს საქართველოს დალაშქვრა მტრის მიერ, 1346 წლის ახლოს საქართველოში ეპიდემიის გავრცელება, თემურლენგის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობა, მოსკოვის დიდ მთავართან ივანე მესამესთან აღექსანდრე კახთა მეფის ელჩების მისვლა 1492 წ. და სხვ. არაა ინტერესს მოკლებული ის ფაქტიც, რომ სლავთა განმანათლებლის კონსტანტინეს (კირილეს) „ცხოვრებაში“

გვხვდება ცნობები ქართული დამწერლობის შესახებ, ხოლო კიევის მღვიმეთა მონასტრის „მამათა ცხოვრებაში“ იხსენიება ქართველი ფერმწერი ოსტატების მონაწილეობა კიევის მღვიმეთა მონასტრის მთავარი ტაძრის გაფორმებაში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართული ხელოვნების გავლენა დადასტურებულია ჩერნიგოვისა და ვლადიმირის ხუროთმოძღვრებაში, ნოვგოროდის ფერწერაში (ხერედიცა), ზოგიერთი ხელნაწერის ორნამენტში (თავის მხრივ, რუსი მხატვრების მუშაობის კვალი ჩანს მარტყოფში, ნინოწმინდაში, გრემში, ალავერდსა და სხვაგან).

XI საუკუნეში რუსულად გაჩნდა პოპულარული სულთამარგებელი რომანი „სიბრძნე ბალავარისი“ („მოთხრობა ვარლამისა და იოსაფის შესახებ“). რუსულად იგი ითარგმნა ბერძნული ენიდან, ხოლო დღეს თითქმის საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ბერძნული ტექსტის ავტორი, — უფრო ზუსტად, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მისი მთარგმნელი ქართული ენიდან, — არის ჩვენი ეროვნული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელი ექვთიმე ათონელი. არაა გამორიცხული, რომ რუსმა მთარგმნელებმა იცოდნენ თხზულების ლიტერატურული ძტორია და მისი კავშირი ქართულ მწერლობასთან.

XV საუკუნეში რუსეთში ჩამოყალიბდა საყურადღებო ლიტერატურული ძეგლი „მოთხრობა ბაბილონის სამეფოზე“, რომელშიც ერთ-ერთ გმირად გამოყვანილია ობეჯანინი (ობეჯი) — ქართველი.

ქართული თემატიკა (ისტორიული ეპიზოდები, თქმულებები, ლეგენდები და სხვ.) თანდათანობით იჭრება და მკვეთრდება რუსულ მწერლობაში. განსაკუთრებით საინტერესოა „მოთხრობა დინარაზე“ (XVI ს.) — პირველი სრული რუსული თხზულება ქართველებსა და საქართველოზე. იგი მგზნებარე პატრიოტიზმითაა გამსჭვალული და რუს მკითხველ საზოგადოებრიობას კარგად აცნობს ქართველი ხალხის ცხოვრების ერთ საყურადღებო ეპიზოდს — ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლასა და სასახელო გამარჯვებას.

XVII—XVIII საუკუნეებში რუსეთი იქცა მოძალებული მტრის წინააღმდეგ მრავალწლოვან ბრძოლაში დამარცხებული, მაგრამ სულით დაუცემელი და ქედმოუღრეკელი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების თავშესაფრად.

საგულისხმოა, რომ ჩვენი წინაპრები რუსეთისაკენ მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური მიზნებით არ მიიღტვოდნენ. ისინი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თურქ-ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აღიეს (1453 წ.) და საქართველო დასავლურ-ბიზანტიური



კულტურის ცენტრებს მოწყვიტეს, მაჰმადიანთა რეალში მოექცნენ. ქართველები ისწრაფოდნენ კულტურისაკენ, განათლებისაკენ, სწავლისაკენ. მას შემდეგ, რაც გაცხოველდა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობა, ჩვენი წინაპრების სწრაფვამ რუსულ-ევროპული კულტურისაკენ უფრო შესამჩნევია სახე მიიღო.

ქართველთა მოწინავე წრეებს ესმოდათ რუსულ-ევროპული მეცნიერებისა და განათლების მნიშვნელობა; საქართველოს შორსმკვრეტელი და წინდახედული მმართველების თაოსნობით რუსეთში განათლების მისაღებად გაიგზავნა ქართველი ახალგაზრდობა. ბევრი ქართველი (მაგალითად, გაიოზ ბარათაშვილი, იონა ხელაშვილი და სხვ.) სწავლობდა მოსკოვსა და პეტერბურგში, არაერთმა დაამთავრა სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემია. საგულლისხმოა, რომ ქართული ფილისოფიურ-თეოლოგიური სემინარიები თბილისსა (1755 წ.) და თელავში (1758 წ.) რუსული ტრადიციების მიხედვით შეიქმნა. მეტიც, მათთვის წესდებაც კი მოსკოვის აკადემიიდან გადმოიღეს. იგი თარგმნა მოსკოვის აკადემიის კურსდამთავრებულმა გაიოზ ბარათაშვილმა — თელავის სემინარიის პარველმა რექტორმა. ქართული სემინარიების მსმენელთათვის სახელმძღვანელოებიც რუსულიდან ითარგმნა.

ქართველი ინტელიგენციის აღზრდაში დიდი როლი შეასრულა მოსკოვის უნივერსიტეტმა. თავის მხრივ, ქართველმა მოღვაწეებმაც, — გიორგი ბაგრატიონმა, ნიკოლოზ ზანდუკელმა და სხვებმა — ხელი შეუწყეს ამ უნივერსიტეტის საძირკვლის ჩაყრასა და განმტკიცება-განვითარებას.

რუსეთში თავშეფარებული ქართველები თურქ-ოსმალთა და ირანელთა შემოტევისაგან დაზღვეულნი იყვნენ, შექმნილი ჰქონდათ პირობები, რათა სამშობლოში შეწყვეტილი მეცნიერულ-ლიტერატურული საქმიანობა ჯეროვნად გაეგრძელებინათ, დასწაფებოდნენ ცოდნას, კულტურას და რუსულ-ევროპული მეცნიერებისა და მწერლობის გაცნობისა და ათვისების შედეგად ეროვნული კულტურა გაემდიდრებინათ.

მოსკოვი, პეტერბურგი, ასტრახანი, მოზდოკი, მირგოროდი და სხვა პუნქტები ქართველთა კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი კერები იყო. ქართველი ემიგრანტები ახლოს იყვნენ რუსეთის სამეფო კართან, მეგობრობდნენ და თანამშრომლობდნენ რუსეთის გამოჩენილ მოღვაწეებთან, ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ ადგილობრივ საზოგადოებრიობასთან, აქტიურად მონაწილეობდნენ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ეწე-

იღნენ მრავალმხრივ მეცნიერულსა და მწიგნობრულ-საგანმანათ-  
ლებლო საქმიანობას: თხზავდნენ ორიგინალურ ძეგლებს და თარ-  
გმნიდნენ რუსულ წიგნებს, რუსულადანვე თარგმნიდნენ სხვა  
ენებიდან (ბერძნული, სერბული, ფრანგული, გერმანული და ა. შ.).  
ჰომდინარე ნაწარმოებებს. რუსულიდან ქართულად ითარგმნა  
დიდძალი სამეცნიერო, სამხედრო, პოლიტიკური, ტექნიკური და  
ინატურული ლიტერატურა.

რუსეთში მოღვაწე ქართველმა მწერლებმა ქართულად  
თარგმნეს კირილე ტუროვსკის, ი. კოპინსკის, ს. იავორსკის,  
ა. პროკოპოვიჩის, ვ. ტრედიაკოვსკის, მ. ლომონოსოვის, ა. სუმა-  
როკოვის, დ. ფონვიზინის, თ. ემინის, მ. ხერასკოვის, გ. დერჟა-  
ვინის, ნ. კარამზინისა და სხვათა თხზულებანი.

ქართულ მწერლობაში შესამჩნევი ადგილი დაეთმო რუსულ  
ჟენერაციას; საგრძნობლად განვითარდა სამოგზაურო-მეშუარული  
ქანრი, დაიწერა ბევრი თხზულება, რომლებშიც უხვად გვხვდება  
ცნობები რუსეთის ისტორიისა და გეოგრაფიაზე, აღწერილია რუ-  
სეთის ქალაქები (მოსკოვი, პეტერბურგი, ტულა, ვორონეჟი და  
სხვ.), მოცემულია იქაური მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების  
სურათები (მოვიგონოთ, მაგალითად, ვახტანგ ორბელიანის „ამ-  
ბავნი პეტერლოფისა სრა-სახლთა და ბაღა-ბაღთანი“, გაბრიელ  
რატიშვილის „მცირე რაიმე მოთხრობა როსიისა“, რაფიელ დანი-  
ბეგაშვილის „მოგზაურობა ინდოეთში“, იონა ხელაშვილის „რო-  
ნინი“, აგრეთვე იონან ბაგრატიონის, თეიმურაზ ბაგრატიონის, ნი-  
კოლოზ ონიკაშვილისა და სხვათა თხზულებანი).

ქართველმა მწერლებმა გაიცნეს და შეისწავლეს რუსული კულ-  
ტურა, ლიტერატურა და ხალხური სიტყვიერება, მეცნიერება. ამ-  
ით მათ გაიფართოვეს გონებრივი ჰორიზონტი და ხელი შეუწყვეს  
ეროვნული მეცნიერებისა და ლიტერატურის შემდგომ განვითარ-  
ებას.

XVII—XVIII საუკუნეებში რუსებმაც უკეთ გაიცნეს ქართვე-  
ლები და საქართველო. რუს-ქართველთა გაცნობა-დაახლოებაში  
წვლილი შეიტანა იმ მრავალგზისმა ელჩობამ, რომელსაც ადგილი  
ჰქონდა ჩვენში აღნიშნულ ხანაში. მხედველობაში გვაქვს ელჩობა  
ა. ვოლკონსკისა და ა. ხვატოვისა (1637—1640), თ. ელჩინისა და  
პ. ზახარევისა (1639—1640), ე. მიშეცკისა და ი. კლიუჩარევისა  
(1640—1643), ნ. ტოლოჩანოვისა და ა. იევლევისა (1650—1652)  
და სხვ. რუსეთის სამეფო კარის მიერ საქართველოში წარმოგზავ-  
ნილი დიპლომატები ეცნობოდნენ და აღწერდნენ ქართული სა-  
მეფო-სამთავროების გეოგრაფიულ მდებარეობას, პოლიტიკურ-

ეკონომიკურ მდგომარეობას, მისახლეობის საქმიანობასა და განწყობილებას, ადგილობრივ სამხედრო ორგანიზაციას და ა. შ. ყოველივე ამით ისინი შუამავალ როლს ასრულებდნენ რუს-ქართველთა ურთიერთგაცნობაში.

ქართველთა შესახებ მრავალი ცნობა მიაწოდეს რუს მკითხველებს მოგზაურებმა, პილიგრიმებმა, ვაჭრებმა (მაგალითად, ვ. გაგარამ, რომელიც 1634 წელს იყო ქართლში, ა. სუხანოვმა, რომელიც ორჯერ იყო საქართველოში (1637—1640, 1652 წწ.) და სხვ.). საზღვარგარეთ არსებულ ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებზე არაერთი ცნობა შემოინახეს ი. ვიშენსკიმ, ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკიმ და ა. შ.

თავის მხრივ, ქართველებსა და საქართველოზე ბევრი ცნობა მიაწოდეს რუსებს ქართული სამეფო-სამთავროებიდან მოსკოვ-პეტერბურგს წარგზავნილმა დიპლომატებმა: სახელდობრ, ხარიტონ წინამძღვარმა (1618 წ.), თეოდოსი არქიეპისკოპოსმა (1624 წ.), ნიკიფორე მიტროპოლიტმა (1635 წ.), როსებ გიორგის ძემ (1736 წ.), ათანასე ამილახვარმა და სიმონ მაყაშვილმა (1752 წ.), ლევან ბაგრატიონმა და ანტონ პირველმა (1774 წ.) და სხვ. (საუბრადადღეობა, რომ არაერთ ელჩობაში მონაწილეობდნენ მწერლებიც — ტიმოთე გაბაშვილი, ბესიკი და ა. შ.). აქ საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ რუს-ქართველთა გაცნობა-დაახლოების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი — ქართველ მეფე-ბატონიშვილთა ჩასვლა მოსკოვსა და პეტერბურგს (ერეკლე დავითის ძე — 1653 წ., თეიმურაზ პირველი — 1658 წ., არჩილი — 1685, 1699 წწ., ვახტანგ მეექვსე — 1725 წ., თეიმურაზ მეორე — 1761 წ. და ა. შ.). მათი მხლებელი პირების რუსეთში დამკვიდრებამ და ადგილობრივ მოსახლეობასთან დაახლოება-დანათესავებამ კიდევ უფრო გააცხოველა რუს-ქართველთა ურთიერთობა, გაზარდა და გაათართოვა რუსთა ცოდნა ჩვენს ხალხსა და ქვეყანაზე. ამას თვალნათლივ ადასტურებს ის გარემოება, რომ XVIII საუკუნის რუსი მწერლები თავიანთ ნაწერებში იხსენიებენ კავკასიას, საქართველოს, კოლხეთს, ივერიას. სახელდობრ, მ. ლომონოსოვი („იმპ. ელისაბედ პეტრეს ასულის ტახტზე ასვლის დღის აღსანიშნავად“), ვ. მაიკოვი („საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის დღესასწაულის გამო“), ი. ბოგდანოვიჩი („სულიკო“, „ლექსი დიდი დედოფლისადმი“), მ. ხერასკოვი („როსიადა“), ვ. პეტროვი („1790 წლის 11 დეკემბერს იშმაილის აღების გამო“), გ. დერჟავინი („სპარსეთიდან გრაფ ვ. ა. ზუბოვის დაბრუნების გამო“), ა. რადიშჩევი („ბოვა“, „ისტორიული სიმღერა“) და სხვ.

რუსებისათვის საქართველოს გაცნობაში წვლილი შეიტანეს ი. გიულდენშტედტის, ს. ბურნაშოვისა და სხვათა ნაშრომებმა, უპირატესად კი ქართველთა დასახლებამ რუსეთის ქალაქებში და იმ კულტურულ-საგანმანათლებლო, მხატვრულ-შემოქმედებითა და მეცნიერულ-ლიტერატურულმა საქმიანობამ, რომელსაც ისინი ახალ საცხოვრებელ ადგილას ეწეოდნენ. საყურადღებოა ქართველთა ცდა ეროვნული ლიტერატურის რუსულად თარგმნისა, რაც ქართული წერილობითი კულტურის ძეგლებით რუსების დაინტერესებისათვის იყო გაპიზნული. მაგალითად, სიმონ ევანატაშვილმა თარგმნა „ბარამგულანდამიანი“ (1773 წ.) და ალექსანდრე ამილახვრის „გეორგიანული ისტორია“ (1779 წ.), 1804 წელს გამოქვეყნდა დავით ბაგრატიონის „ახალი შიხის“ თარგმანი, 1815 წელს დაიბეჭდა რაფიელ დანიბეგაშვილის „მოგზაურობა ინდოეთში“ და სხვ.

შესამჩნევად გაიზარდა ინტერესი საქართველოს ისტორიისა და კულტურისადმი. 1730 წელს დაიბეჭდა ქართული ანბანი, 1737—1744 წლებში — რუსულ-ქართული ანბანი. 1758 წელს ერთხელ კიდევ გამოქვეყნდა ქართული ანბანი, ხოლო XIX საუკუნის დამდეგს რუსულ ენაზე ქართული ენის გრამატიკაც დაიბეჭდა. საქართველოს შესახებ რუსულად დაბეჭდეს შრომები დავით ბაგრატიონმა (საქართველოს მოკლე ისტორია, 1796 წ.), ვახტანგ ბაგრატიონმა (წერილები, 1812 წ.), ავთანდილ თუმანიშვილმა (ქალაქ გორის აღწერა, 1816 წ.).

ცნობები საქართველოზე თანდათანობით შეიჭრა რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგალითად, ვ. ტატიშჩევმა „რუსეთის ისტორიაში“, რომელსაც 1727—1738 წლებში წერდა, მოიხსენია ქართველი ტომები, საქართველოს გეოგრაფიული პუნქტები და ა. შ.; ნ. ნოვიკოვმა დაბეჭდა მასალები საქართველოში ნ. ტოლოჩანოვისა და ა. ივლევის ელჩობაზე. შანვე გამოაქვეყნა მასალები ო. ეიმურაზ პირველის მოსკოვში ჩასვლაზე, არჩილის რუსთა ქვეშევრდომად მიღების შესახებ და სხვ. ნ. ნოვიკოვის „ისტორიული ლექსიკონის ცდაში“ გვხვდება ცნობები ქართველ მწერალზე. იმ პერიოდის მოსკოვისა და პეტერბურგის პრესაში საინტერესო მასალები დაიბეჭდა ქართველებსა და საქართველოზე, რუსული ჟურნალებსა ფურცლები დაეთმო ქართველთა ნაწერებსაც.

XIX საუკუნის დასაწყისშივე (1802 წ.) გამოქვეყნდა ე. ბოლხოვიტინოვის „საქართველოს ისტორიული სურათი მის პოლიტიკურ, საეკლესიო და სასწავლო მდგომარეობაში“ — პირველი რუ-

სული წიგნი, რომელშიც იხსენიება რუსთაველი და დამოწმებულია „ვეფხისტყაოსნის“ პირველი რუსული თარგმანის ნაწყვეტი.

ე. ბოლხოვიტინოვმა მოკლედ მიმოიხილა საქართველოს ისტორია და კულტურა, საეკლესიო მდგომარეობა და განათლების დონე, თანამემამულეებს გააცნო დაპყრობილი ქვეყანა და მისი მოსახლეობა. ცალკეულ უხეშ შეცდომათა მიუხედავად (რომელთაც წიგნში არცთუ იშვიათად ვხვდებით) ე. ბოლხოვიტინოვის წვლილი რუსი საზოგადოებრიობისათვის ქართული კულტურის გაცნობაში მნიშვნელოვანია. მის წიგნს იცნობდნენ და იყენებდნენ გ. დერჟავინი („მსჯელობა ლირიკული პოეზიის შესახებ“), ნ. კარამზინი („რუსეთის სახელმწიფოს ისტორია“), ა. შიშკოვი („ქეთევანი ანუ საქართველო 1812 წელს“). ფიქრობენ, რომ მას იცნობდა ა. პუშკინიც.

უკანასკნელად უნდა მოვიხსენიოთ ქართველთა კიდევ ერთი ცდა რუსეთის საზოგადოებრიობისათვის ქართული კულტურის, კერძოდ, ძველი ქართული ლიტერატურის გაცნობისა. მხედველობაში გვაქვს ს. დოდაშვილის „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“ — პირველი კრიტიკული წერილი, რომელშიც შეძლებისდაგვარად დახასიათებული და შეფასებულია ძველი ქართული წერილობითი კულტურა. ს. დოდაშვილის წერილი ქართულ და რუსულ ენებზე თბილისის პრესაში დაიბეჭდა (1832 წ.), მალე გადაბეჭდა მოსკოვის გაზეთმა (იმავე წელს), ხოლო 1836 წელს შევიდა ა. ჟარი დე მანსის „ძველი და ახალი ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ისტორიის“ რუსულ თარგმანში.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ რუსეთის ბევრ ქალაქში აღმოცენდა ქართველთა ახალშენი, ქართული კოლონია და არაერთი მათგანი ქართველთა კულტურულ-ინტელექტუალური მოღვაწეობის მძლავრ კერად იქცა. შევჩერდებით მოსკოვისა და პეტერბურგის კერებზე და მოკლედ მიმოვიხილავთ იქაურ ქართველთა მწიგნობრულ-მეცნიერულ-საქმიანობას.

მოსკოვი — რუსეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ცენტრი, — ადრევე იქცა ქართველთა მეცნიერულ-ლიტერატურული ცხოვრების კერად.

როგორც აღვნიშნეთ, ქართველები ადრეული ხანიდან ხშირად ჩადიოდნენ მოსკოვში (საქმარისია მოვიგონოთ ის მრავალგზისი ელჩობა, რომელიც სხვადასხვა დროს იგზავნებოდა რუსეთის სატახტო ქალაქში), მაგრამ მათ ადრე არ შეეძლოთ ქართული ახალ-

შენის დაარსება, ქართული კოლონიისათვის საფუძვლის ჩაყრა, რადგან ისინი დროებით ცხოვრობდნენ იქ და მალე ბრუნდებოდნენ სამშობლოში.

მოსკოვის ქართული კოლონიის აღმოცენება დაკავშირებულია თეიმურაზ პირველის შვილიშვილის — ერეკლე დავითის ძის სახელთან.

XVII საუკუნის შუა წლებში თეიმურაზ პირველის ინიციატივით დაისვა ქართველი ბატონიშვილის რუსეთის სამეფო კარზე წარგზავნის საკითხი. კახთა მეფეს მიზანშეწონილად მიაჩნდა რუსეთში ჰყოლოდა შვილიშვილი; ამით სურდა რუსეთის ერთგულებისათვის ხაზი გაესვა და მოკავშირეობის დემონსტრაცია მოეხდინა. მისი აზრით, რუსეთის სამეფო კარის მიერ ქართველი ბატონიშვილის მიღება იმის საწინდარი იქნებოდა, რომ რუსეთი ეალდებულებას კისრულობდა ქართველთა წინაშე.

ამდენად ქართველი უფლისწულის მოსკოვში წარგზავნა თეიმურაზს მიაჩნდა ახალ ღონისძიებად რუსეთიდან რეალური დახმარების მისაღებად. თეიმურაზის წინადადებას რუსეთის სამეფო კარზე კმაყოფილებით შეხვდნენ და ქართველი ბატონიშვილის მოსკოვს გამგზავრების საკითხი დადებითად გადაწყდა.

1653 წლის 27 დეკემბერს ერეკლე დავითის ძე მოსკოვს ჩავიდა. ერეკლესა და მისი ამაღლის რუსეთის სატახტო ქალაქში ჩასვლითა და დასახლებით საფუძველი ჩაეყარა მოსკოვის ქართულ ახალშენს — ამაღლის ბევრი წევრი სამუდამო საცხოვრებლად დარჩა იქ და დაუნათესავედა იქაურ ოჯახებს.

XVII საუკუნის 80-იან წლებში მოსკოვისაკენ გაეშურა არჩილ მეფე.

საქართველოს საგარეო და შინაური მდგომარეობის მოუწესრიგებლობის გამო არჩილმა რუსეთს მიმართა და სამხედრო-პოლიტიკური და ფინანსური დახმარების იმედით მოსკოვს მიაშურა ოჯახითა და მრავალრიცხოვანი ამაღლით 1685 წელს. არჩილს სურდა რუსეთის სამეფო კართან უშუალო კონტაქტი დაემყარებინა, გარეშე თუ შინაური მტრების თვალში ავტორიტეტი აემალლებინა, ფინანსური და სამხედრო დახმარება მიეღო და დაპყრობილ-დამონებული სამშობლო გაეთავისუფლებინა, მაგრამ იმ ეტაპზე რუსეთმა ვერ შეძლო მისი თხოვნის დაკმაყოფილება და საქართველოს დახსნა მაჰმადიანთა აგრესიისაგან. არჩილი თავისი მხლებლებით მოსკოვში დარჩა და იქაურ ქართულ კოლონიას შეემატა.

რუსეთის ხელისუფლებამ ქართველ ემიგრანტთა ახალ ნაკადს

აღმოუჩინა ფინანსური დახმარება, მიუჩინა საცხოვრებელი სახლები და მამულები, უბოძა ყმები და ა. შ.

მიუხედავად რთული მდგომარეობისა, არჩილი ენერგიულად მუშაობდა კულტურულ-ლიტერატურულ ასპარეზზე, წერდა, თარგმნიდა, ეცნობოდა რუსული სტამბის მუშაობას, ქართული სტამბის გამართვის გეგმებს აწყობდა და ქართული წიგნების ბეჭდვაზე ოცნებობდა.

1699 წლიდან არჩილი სამუდამოდ დასახლდა მოსკოვში და კიდევ უფრო დაუკავშირდა რუსეთს, როგორც თავისი პირადი ცხოვრებით, ისე პოლიტიკურად და ლიტერატურულად.

ქართველმა ლტოლვილებმა დააარსეს მოზრდილი ახალშენი მოსკოვის ახლოს სოფელ ვსესხვიატსკოეში (ვსესხვიატსკოეში), რომელსაც ზოგჯერ სესენწყას ან სვენწყას უწოდებდნენ (იგი ამჟამად მოსკოვის ფარგლებშია, მეტროს სადგურ „სოკოლის“ მიდამოებში).

მოსკოვში დასახლებული არჩილი, მისი ოჯახის წევრები (ალექსანდრე არჩილის ძე, დარეჯან არჩილის ასული) და ახლობლები (დავით თურქისტანიშვილი, ბაგრატ სოლოლაშვილი, დიმიტრი კავკასიძე, გაბრიელ ჩხეიძე, პეტრე ნეჭაძე და სხვანი) ეწეოდნენ ნაყოფიერ ლიტერატურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მშობლიურ მხარეს მოცილებულნი იყვნენ და უკანასკნელ ხანს იმედიც არ ჰქონდათ საკუთარ მამულში დაბრუნებისა, მათი მოღვაწეობა მაინც მრავალმხრივი იყო. რუსეთში გაზიზნული პატრიოტები ენერგიულად იღვწოდნენ ქართული კულტურის გამდიდრებისათვის, ქართული ლიტერატურის ორიგინალური ძეგლებითა და თარგმნილი თხზულებებით შევსებისათვის. არც ერთ მათგანს არ სცილდებოდა ფიქრი მშობელ ხალხსე, მშობლიურ კულტურაზე.

მოსკოვის ქართული ახალშენის ცენტრალური ფიგურა არჩილი იყო. მასთანაა დაკავშირებული ამ ახალშენის განმტკიცება და ახალი ლიტერატურული ძალებით შევსება, რუსული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ქმნილებების — დონის მონასტრის დაცვა და გამშენება, სოფელ ვსესხვიატსკოეში ქართველთა სათავითომოს დაარსება და სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობის გაშლა, ბიბლიური წიგნების შეკრება, სასტამბოდ გამართვა და ბეჭდვის წამოწყება, ახალი მხატვრული ძეგლების თხზვა და რუსული ნაწარმოებების თარგმნა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის დიდი დამსახურება, რომელიც არჩილს მიუძღვის ქართული ასოების ჩამოსხმასა და ქართული სტამ-

ბის გამართვაში. არჩილა მოსკოვში ჩასვლისთანავე გამოიჩინა ინტერესი სასტამბო საქმისადმი, იგი მალე დაუახლოვდა უცხოელებს — მოსკოვში მყოფ შვედ მკვლევარს ი. შპარვენფელდს, პოლანდიელ ნ. ვიტცენს და სხვებს. მათი საშუალებით ურთიერთობა დაამყარა ამსტერდამში მოღვაწე „ასოთმოქანდაკესა და ჩამომსხმელ“ მ. კიშთან და დაამზადებინა ქართული შრიფტი. 1703 წელს არჩილს სათანადო ნიშნებიც ჰქონდა და კარგი ოსტატებიც ჰყავდა. იგი ჯერ კიდევ ადრე შეუდგა მთლიანი ქართული ბიბლიის გამოცემის თადარიგს — შეაგროვა ბიბლიის ხელნაწერები, შეუდარა სლავურს, დაყო თავებად, თარგმნა ისო ზირაქისა და მკაბელთა წიგნები, რომლებიც იმხანად არ იყო ქართულად, და გამართა სასტამბოდ, მაგრამ მთლიანი ქართული ბიბლიის გამზადება და დაბეჭდვა ვერ მოასწრო, მან მხოლოდ „დავითნი“ გამოაქვეყნა (1705 წ.).

არჩილის ორიგინალურ-შემოქმედებითი მოღვაწეობის მოსკოვური პერიოდიდან ცნობილია არაერთი ძეგლი („ლექსნი ასნი ორმუხლნი: პირველი“, „ლექსნი ასეულნი: მეორე“, „ლექსნი ასდათნი: მესამე“, „იამბიკო ლექსები — იცის ბრძენმან“, „ანბანთქება ახალი შემოღებული“, „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“ და სხვანი).

პირველი თხზულებები დიდაქტიკური ხასიათისაა. მათში მრავლად გვხვდება აფორისტული დარიგება, სენტენცია, შეგონება. როგორც ცნობილია, არჩილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალი თაობის მალალსა და წმინდა ზნეობრივ პრინციპებზე აღზრდას (მოვიგონოთ მისი დიდაქტიკურ-პედაგოგიკური ტრაქტატი, ეთიკური კოდექსი — „საქართველოს ზნეობანი“).

არჩილი თავის შემოქმედებაში დიდ ადგილს უთმობდა სწავლავანათლებას, სამხედრო-საბრძოლო, ფიზიკურ-შრომით, ზნეობრივ-ესთეტიკურსა და გონებრივ აღზრდას. მისი იდეალი იყო სამხედრო-პრაქტიკულ დისციპლინებში გაწაფული, ზნეობრივ-მორალურად სრულყოფილი, ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდილი, ღრმად განსწავლული ქართველი ახალგაზრდა, რომელიც ღირსეულად შეძლებდა ქვეყნის სამსახურს და მისი ნათელი მომავლისათვის ბრძოლას.

არჩილის დიდაქტიკურ-პედაგოგიკური დებულებანი უხვადაა გაცნობილი მოსკოვში დაწერილ ზემოხსენებულ თხზულებებშიც. ჩანს, რუსეთს გახიზნულ მამულიშვილს ძველებურად აღევლება ქართველთა საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკული პრობლემე-



ბი, კერძოდ, ქართველთა მორალური წვრთნისა და გაჯანსაღების, მათი სულიერი განსპეტაკების საკითხები.

მოსკოვშივეა შეთხზული „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“, რომელშიც ბიბლიურ და ქართველ მეფეთა გვერდით დასახელებულია პეტრე პირველიც.

არჩილი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ ორიგინალური ძეგლების თხზვით; მას ქართული ლიტერატურის თარგმანებოთ გამდიდრებაც სურდა. ამ მიზნით, გარდა ზემოხსენებული ბიბლიური წიგნებისა, მას რუსულიდან უთარგმნია სხვა ძეგლებიც, სახელდობრ, „ალექსანდრიანი“, „სრონოგრაფი“ (ბ. სოლოდაშვილთან ერთად) და ა. შ. პ. მოვილას შრომის „აღსარება მართლისა სარწმუნოებისა“ არჩილისეული თარგმანის ერთი გადამწერის ცნობით, არჩილი „იყო კეთილად წიგნისა ორისავე ქართულისა და რუსულისა სწავლული და მთარგმნელი“. სხვათა შორის, არჩილმა პოლტავის ბრძოლაზე (1709 წ.) დაწერა ლექსი (იგი მოღწეულია რუსულ ენაზე). ხანდაზმული ქართველი მეფე სიხარულსა და აღტაცებას გამოთქვამდა შვედების დამარცხებრსა და რუსი მეომრების გამარჯვების გამო.

მოსკოვს დამკვიდრებული არჩილი გულმოდგინედ ზრუნავდა საკუთარი ნაწერების დაცვასა და გავრცელებაზე; გივი თუმანიშვილის მიერ XVIII საუკუნის დამდეგს საქართველოში შედგენილი კრებული „არჩილიანი“, რომელიც შეიცავს ავტოგრაფულ ჩასწორებებს და რედაქციულად დიდ ნდობას იმსახურებს, არჩილს მოსკოვში მიუღია, წაუკითხავს, ჩაუსწორებია და შეუესია.

დასასრულ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსკოვში არჩილი „ვისრამიანსაც“ ლექსავდა.

ასე წარმოგვიდგება ჩვენ არჩილის კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობა მოსკოვში. როგორც ამ ზოგადი მიმოხილვიდან ჩანს, რუსეთის ძველ დედაქალაქში დასახლებული არჩილის საქმიანობა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო.

არჩილთან ერთად ნაყოფიერად მუშაობდნენ მოსკოვის ქართული ახალშენის სხვა წარმომადგენლებიც. ისინიც, — არჩილთან ერთად თუ მისი ინიციატივითა და მხარდაჭერით, — თხზავდნენ ორიგინალურ ნაწარმოებებს, თარგმნიდნენ რუსული ენიდან, ადგენდნენ კრებულებს, ამრავლებდნენ ხელნაწერებს და ა. შ.

ნაყოფიერ მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა ალექსანდრე არჩილის ძე (1674—1711) — რუსეთის არმიის არტილერიის გენერალი, პეტრე პირველის უანლოესი მეგობარი. იგი არა მარტო რუსული არტილერიის რეორგანიზაციასა და სა-

არტილერიო კადრების მომზადებაზე ზრუნავდა, არამედ ქართველთა სამხედრო გაძლიერებაზეც ოცნებობდა და შესაბამისად იღვწოდა. მან თარგმნა საარტილერიო წიგნი, რომელშიც მოცემულია პრაქტიკული ხასიათის დარიგებანი, ჭურვის შედგენილობის დახასიათება-აღწერილობა და სხვ.

ალექსანდრე არჩილის ძის ინტერესი მხოლოდ საარტილერიო საქმით არ ამოიწურებოდა, მას სხვა ძეგლებიც უთარგმნია:

ა. „სადიდებელნი გალობანი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“;

ბ. სვიმეონ პოლოცკის „სიტყვაი მიცვალებისათვის ღმრთისმშობელისა“;

გ. მეფის კურთხევის წესი;

დ. ტესტამენტი — ანდერძი ბასილ მაკედონელისა და სხვ.

არჩილის კარზე მოღვაწეობდნენ სხვა მწიგნობრებიც — პეტრე ნეჟაძე, დიმიტრი კავკასიძე, ნიკოლოზ გაბაღიძე, ფარემ ჩხეიძე და სხვ.

არჩილის კოლონიის წევრები არჩილის შემდეგაც დიდხანს ცხოვრობდნენ მოსკოვში და, შეძლებისდაგვარად, მოღვაწეობდნენ ლიტერატურულ ასპარეზზე.

მოსკოვის არჩილისეული ახალშენის ტრადიციების გამგრძელებელი იყო დარეჯან არჩილის ასული (1665—1740). მამის გარდაცვალების შემდეგ იგი ხელმძღვანელობდა მოსკოვის ქართველობას, ენერგიულად იღვწოდა ახალშენის სასიკეთოდ. დარეჯანის მღვდმარეობას ისიც განამტკიცებდა, რომ მასთან კავშირი და ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა ქართლის მეფეს ვახტანგ მეექვსეს. ამის შედეგად დარეჯანი რუსეთის ხელისუფლებას ხშირად ქართლის მეფის სახელით ელაპარაკებოდა. არც ისაა ინტერესს მოკლებული, რომ, როდესაც პეტრემ შვედები დაამარცხა და ძველ მტრებთან დაზავება აღნიშნა, სადღესასწაულო ზეიმი სოფელ ვსესვიატსკოეში, არჩილის სასახლეში, დარეჯანის ოჯახში დაიწყო (1722 წლის 30 იანვარს).

დარეჯანის სასახლე სოფელ ვსესვიატსკოეში იქცა საქართველოდან ჩასულ მოღვაწეთა საიმედო საფანედ. იქ, დარეჯან არჩილის ასულის ოჯახში გაატარა სიცოცხლის უკანასკნელი დღენი სულხან-საბა ორბელიანმა.

დარეჯან არჩილის ასული მწერალი არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის ცნობილი ხელნაწერი თუ ნაბეჭდი მასალა ამას არ ადასტურებს, მაგრამ ის საგანმანათლებლო საქმიანობით დაინტერესებული იყო, თვალს ადევნებდა სხვათა მუშაობას, თანამე-

მაშულებს მოუწოდებდა ლიტერატურული მუშაობისაკენ, ეხმარებოდა და მფარველობდა მწიგნობრებს. ცნობილია რამდენიმე წიგნი, რომლის დაწერა თუ თარგმნა მის სახელთანაა დაკავშირებული. ასე, მაგალითად, 1726—1727 წლებში დარეჯანის კარის წინამძღვარს იოსებს დარეჯანის ბრძანებითა და დავალებით გადაუწერია საგალობლების კრებული; დარეჯან ბატონიშვილთან მოღვაწეობდა დომენტი ჭანდიერისშვილი, რომელსაც „რუსულის წესით“ დაუწერია „სადღესასწაულო სრული, თვენი საგალობელითა, სვინაქსრითა“ და სხვ.

დარეჯანის სასახლეში მოღვაწეობდნენ, აგრეთვე, კალიგრაფი დათუნა მაგრაქველიძე, მთარგმნელი გაბრიელ ჩხეიძე და სხვა მწიგნობრები. გაბრიელ ჩხეიძემ, დარეჯან არჩილის ასულის მილარეთუბუცესმა; რუსულიდან თარგმნა ი. კობინსკის „კიბე სულიერი“, დიმიტრი როსტოველის „წვერთა პარსვათათვის“, თ. პროკოპოვიჩის „პირველი სასწაულო ყრმათა“ და სხვ.

დარეჯანის სასახლეში ქართული სტამბა გაიშართა და ერთ-ერთი პირველი წიგნი, რომელიც ამ სტამბაში დაიბეჭდა 1739 წელს თ. პროკოპოვიჩის ნაშრომის ქართული თარგმანი იყო. როგორც წიგნის ბოლოსიტყვაობიდან ჩანს, სასახლეში გამართულ სტამბასა და მის მუშაებს დიასახლისი ჯეროვნად ეხმარებოდა.

თ. პროკოპოვიჩის წიგნში გარკვეულია აღზრდის მნიშვნელობა, დასმულია რუსული პედაგოგიური აზროვნების საჭირობის საკითხები. პეტრე პირველის დროს ეს წიგნი საყოველთაოდ მიღებული იყო საერო თუ სასულიერო პირების სახელმძღვანელოდ. დარეჯანი, ჩანს, იზიარებდა თ. პროკოპოვიჩის აღმზრდელობით იდეებს და ცდილობდა მის დანერგვას ქართველთა შორის. ვფიქრობთ, ამით აიხსნება დასახელებული წიგნის თარგმნაც და დაბეჭდვაც.

მოსკოვის არჩილისეული კოლონიის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა ცხადყოფს, რომ ქართველ ემიგრანტთა მწიგნობრული ინტერესი მრავალმხრივი ყოფილა. ჩვენს განიზნულ წინაპრებს აინტერესებდათ ბიბლია (არჩილი), ჰაგიოგრაფია (პეტრე ნეჟაძე, დიმიტრი კავკასიძე), დოგმატიკა (არჩილი), ასკეტიკა-მისტიკა (ალექსანდრე არჩილის ძე), საეკლესიო ისტორია (არჩილი, ბაგრატ სოლოდაშვილი), დიდაქტიკა (არჩილი, დარეჯან არჩილის ასული, გაბრიელ ჩხეიძე), საარტილერიო საქმე (ალექსანდრე არჩილის ძე); მათ იზილავდათ ეპოსი — როგორც საგმირო („ალექსანდრიანი“), ისე რომანტიკული („ვისრამიანი“).

1725—1726 წლებში რუსეთში ჩავიდა და იქაურ ქართველო-

ბას შეემატა თანამემამულეთა დიდი ჯგუფი ვახტანგ მეექვსის ხელმძღვანელობით. ლტოლვილი მეფის ჩასვლა ნაკარნახევი იყო კონკრეტულ-ისტორიული ვითარებით.

1725 წლის 10 მარტს ვახტანგი მოსკოვს ჩაეიდა და დარეჯან არჩილის ასულ ბაგრატიონის სასახლეში დაბინავდა. მომდევნო წელს მოსკოვის ქართულ კოლონიას მიემატა ქართველ ემიგრანტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელიც ერთხანს ასტრახანში იცდიდა.

რუსეთის ხელისუფლებამ ახალჩასულ ქართველებს მიუჩინა საცხოვრებელი ადგილები მოსკოვში (ჯერ პრესნაზე, ოდნავ მოგვიანებით — არბატზე), უბოძა მამულები ნიჟნი ნოვგოროდის ასლოს), დაუნიშნა ყოველწლიური სარგო და ა. შ.

ვახტანგი და მისი ახლობლები დროებით დასახლდნენ მოსკოვში. ისინო საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებობდნენ და სამშობლოს განთავისუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად ემზადებოდნენ, მაგრამ გადიოდა ხანი და სასურველი მომენტი — ქართლის განთავისუფლების უამი არ ღვებოდა, მომავალი სანუგეშოს არას აჩენდა.

მოსკოვში ახალდასახლებულმა ქართველობამაც გააჩალა მეცნიერულ-ლიტერატურული საქმიანობა; ვახტანგის თაობამ გააღრმავა და განავითარა ის სახელოვანი ტრადიციები, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს არჩილმა და მისმა თანამოღვაწეებმა. კერძოდ, ვახტანგმა მოსკოვში შეთხზა ლირიკული შედევრები, ვალექსა „ამირნასარიანი“ და „სიბრძნე მალალობელი“, გადადგა ნაბიჯები ქართული წიგნების ბეჭდვის განახლების მიზნით, განაგრძო შეშაობა ქიმიის სახელმძღვანელოზე და სხვ. მისი ბაძვითა და ხელმძღვანელობით მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობაში ჩაება მოსკოვის ქართული ახალშენის ბევრი წარმომადგენელი. სახელოდობრ, ვახუშტი ბაგრატიონი — სახელოვანი მეცნიერი, გამოჩენილი გეოგრაფი და ისტორიკოსი, უბაღლო კარტოგრაფი და ნაყოფიერი მთარგმნელი, მამუკა ბარათაშვილი — ქართული ლექსთწყობის თვალსაჩინო სპეციალისტი და მგრძნობიარე პოეტი, ნიკოლოზ ორბელიანი — ქართული სტამბის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, ცნობილი ლიტურგისტი და დახელოვნებული კალიგრაფი, ზაალ-ზოსიმე ორბელიანი — სულხან-საბა ორბელიანის უცვლელი და დაუღლეი თანაშემწე, კალიგრაფი, ერასტი თურქისტანიშვილი — მთარგმნელი, მელქისედეკ კავკასიძე — კალიგრაფი, გაბრიელ გელოვანი — მთარგმნელი და სხვანი. თანდათან მათ მიემატნენ საქართველოდან გვიან ჩასული მწერლებიც (დიმიტრი სააკაძე, ვახ-

ტანგ ორბელიანი, დიმიტრი ბაგრატიონი და ა შ.). 1729 წელს მოსკოველ ქართველ მწიგნობართა კრებულს შეემატა დავით გურამიშვილი, რომელმაც იქ, — ვახტანგის სასახლეში (პრესნაზე), — დიდად გამოიჩინა თავი პოეტურ სარბიელზე.

მოსკოველმა ქართველებმა შეთხზეს მრავალი ორიგინალური ნაწარმოები, თარგმნეს რუსულ-ვეროპული მეცნიერულ-მხატვრული ლიტერატურის ძეგლები, დაამზადეს კრებულები, გაამრავლეს ხელნაწერები და სხვ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოვში ქართული სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობის განახლებასა და ახალი ძალით გაჩაღებას, რაშიც წვლილი მიუძღვით ბაქარ ბაგრატიონს, იოსებ სამებელს, ქრისტეფორე გურამიშვილსა და სხვა ქართველ მწიგნობრებს. ქართველი ემიგრანტების შთამომავლებმა წვლილი შეიტანეს რუსული კულტურის ისტორიაშიც.

ორიოდე სიტყვით მიმოვიხილავთ მოსკოვის ქართული ახალშენის ახალი თაობის — ვახტანგისა და მისი თანამოდგაწეების საზოგადოებრივ-ლიტერატურულ საქმიანობას. შეეჩერდებით მხოლოდ სამ მოღვაწეზე — ვახტანგ მეექვსეზე, ვახუშტი ბაგრატიონსა და ზამუკა ბარათაშვილზე.

როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგი საქართველოში ეწეოდა მრავალმხრივ კულტურულ-საგანმანათლებლო და ლიტერატურულ მოღვაწეობას, ამასთანავე, ენერგიულად ხელმძღვანელობდა ქართველთა მთელ ინტელექტუალურ საქმიანობას, პირადად უძღვებოდა და მფარველობდა, გულუხვად ეხმარებოდა და შემოქმედებით ცეცხლს გადასცემდა თანამემამულეებს.

არსებთანად ასევე მოქმედებდა ვახტანგი მოსკოვშიც — თვითონ ენერგიულად იღვწოდა და ახლობლებსაც აბამდა მეცნიერულ-ლიტერატურულ საქმიანობაში.

ვახტანგმა მოსკოვში დაწერა ლექსები, — „კაეშანი“, „სატრფი-ალონი“, „მაჯამა“, — და კიდევ უფრო გაამდიდრა და გაასხივოსნა თავისი პოეტური მემკვიდრეობა.

ვახტანგი უაღრესად საყურადღებო ლირიკოსია. მისი ლირიკა ინტერესს იწვევს თემატიკური მრავალფეროვნებით, იდეურ-პოლიტიკური მიზანდასახულობით, მხატვრული მეტყველების მაღალი კულტურით, განცდის სიწირფელითა და მგრძნობელობით, მოქალაქეობრივი ჰანგებითა და მღელვარე პათოსით.

განსაკუთრებული სიღრმითა და სიმძაფრით აღიბეჭდა ვახტანგის პოეზიაში სამშობლოს დასოვნებით გამოწვეული ტრაგიკული განცდა. შექმნილმა ვითარებამ, — სამშობლოს დატოვებამ, პოლიტიკურმა მარცხმა, — შეაშფოთა და შეაძრწუნა ვახტანგი. ამქვეყნ-

ნური ცხოვრების სიღუბსიერემ და ყოველ ნაბიჯზე ხელის მოცარვამ იგი დააღონა და დაამწუხრა, დაანადვლიანა.

როდესაც ვახტანგის ლექსებზე ვმსჯელობთ, — სულ ერთია, სადა დაწერილი ეს ლექსები, — უნდა გვახსოვდეს, რომ მიუხედავად გულგატეხილობისა და ამქვეყნიური ცხოვრების მკაცრი კრიტიკისა, ვახტანგმა შეინარჩუნა სულიერი მხნეობა, გონებრივი სიფხიზლე, ცხოვრებასთან შეკიდების უნარი და მართებულად დაასკვნა, რომ აუცილებელია მოქალაქეობრივი ვალის მოხდა, საქვეყნო საქმის მოგვარება, ცხოვრების ფერხულში ჩაბმა. მრავლისმეტყველია ვახტანგის ლექსი:

კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთისა მოივარგოს,  
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარჯი დაიბარგოს;  
მოყვარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,  
სახელის ხე საჩრდილებლად წყლისა პირსა სამე დარგოს.

ვახტანგის შეგონება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებითაა დაწერილი და ცხოვრებისადმი გულგრილი დამოკიდებულებისა და ადამიანის ღუნე განწყობილების წინააღმდეგაა მიმართული. ადამიანის კეშმარტ დანიშნულებად ვახტანგმა შინაარსიანი ცხოვრება, ნაყოფიერი საქმიანობა და საქვეყნო-სახალხო მოღვაწეობა აღიარა და თავისი ნაზრევი პრაქტიკულადაც დაადასტურა.

ვახტანგმა ადრევე მიაქცია ყურადღება ახალი თაობის აღზრდას. ამ მიმართულებით იგი ნაყოფიერად მოღვაწეობდა როგორც პრაქტიკულ-სახელმწიფოებრივ, ისე ლიტერატურულ სფეროში. საქართველოში დაწყებული საქმე მან განაგრძო მოსკოვში, სადაც თავისი დიდაქტიკური მოძღვრება ძირითადად თარგმნილ „ამირნასარიანსა“ და „სიბრძნე მალაღობელში“ განავითარა, მათში ჩააქსოვა საკუთარი დაკვირვება და ცხოვრებისეული გამოცდილება და მოგვცა მრავალი ბრძნული დარიგება და მოხდენილი სენტენციადფორიზმი. ორიოდე სიტყვა „სიბრძნე მალაღობელზე“.

ძველ ხელნაწერებში ხშირად გვხვდება დიდაქტიკურ-მორალური ხასიათის ნაწარმოები, გამოჩენილი მოღვაწეების მიერ გამოთქმული ბრძნული აზრების მოზრდილი კრებული — „აპოთეგმატა“, რომელიც რუსულიდან თარგმნა ვახტანგის მოსკოველმა თანამოღვაწემ — ერასტი თურქისტანიშვილმა. პროზაული თარგმანის მოკლე რედაქცია გალექსა და შინაარსობრივ-აზრობრივად გაამდიდრა ვახტანგმა. აი ეს გალექსილი რედაქცია იწოდება „სიბრძნე მალაღობელად“.

ვახტანგმა აღნიშნა, რომ მხოლოდ სხვათა გამონათქვამების გალექსავი იყო და არა ორიგინალური შემოქმედი, მაგრამ ამ შემ-

თსვევაში ზედმეტი თავმდაბლობა გამოიჩინა. მართალია, „სიბრძნე მალალობელი“ ვახტანგის ორიგინალური ნაწარმოები არაა, მაგრამ მიუხედავად პროზაულ თხრობაზე დამოკიდებულებისა, ვახტანგმა მაინც მოახერხა თავისი ნააზრევის გადმოცემა. მან ნაწარმოები შინაარსობრივად გაამდიდრა, იდეურად აამალა, აზრობრივად გააძლიერა, მხატვრულად გაასახვეოსნა და ისე მიაწოდა ახალგაზრდობას.

თანამემამულეთა განათლების დონის ამალღებასა და ქართული მეცნიერული აზრის განვითარებაზე ზრუნვის მაჩვენებელია ვახტანგისეული სახელმძღვანელო ქიმიისა — „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა“, რომელიც ვახტანგმა ირანში დაიწყო და რუსეთში დაასრულა.

ვახტანგის შემდეგ უნდა მოვიხსენიოთ მისი სწავლული ვაჟი-შვილი ვახუშტი ბაგრატიონი (1696—1757).

ვახუშტი მამას გაჰყვა რუსეთში, მოსკოვში დასახლდა და იქ ცხოვრობდა გარდაცვალებამდე. იქ დაამთავრა თავისი უკვდავი თხზულება — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელშიც მოთხრობილია ჩვენი ქვეყნისა და ხალხის თავგადასავალი ძველთაგან XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე. იმავე წიგნში მოცემულია საქართველოს ტერიტორიის დეტალური აღწერილობა, რომელსაც ჩვეულებრივ „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერას“ უწოდებენ. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ვახუშტის გეოგრაფიული ატლასები, რომლებიც მაღალმეცნიერულ დონეზეა შესრულებული. საყოველთაოდ გავრცელებული აზრით, ვახუშტის ისტორიულ-გეოგრაფიული ნაშრომები უმაღლეს შეფასებას იმსახურებენ; ვახუშტის წვლილი ეროვნული მეცნიერების განვითარებაში ქვეშარტად განუსაზღვრელი და უაღრესად საპატიოა.

აქვე შეიძლება დავასახელოთ მისი ძმა ბაქარი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა მოსკოვის ქართული სტამბის აღდგენაში, იჭაურ საგამომცემლო საქმიანობაში. 1743 წელს მისი ინიციატივით დაიბეჭდა ქართული ბიბლია, რომელიც ბაქარისეული ბიბლიის სახელითაა ცნობილი.

მოსკოვის ქართულ ახალშენში მცხოვრებ ქართველ მწერლებში გამოირჩეოდა მამუკა ბარათაშვილი — პოეტიკური ტრაქტატის „ლექსის სწავლის წიგნის“ — „ქაშნიკის“ ავტორი. საგულისხმოა, რომ „ქაშნიკი“ რუსეთში დაიწერა, ქართული ლექსის სპეციალური და საფუძვლიანი შესწავლის პირველი ცდა მოსკოვში განხორციელდა. იქვე გალექსა მამუკა ბარათაშვილმა საგმირო-საზღაპრო

თხზულების „რუსუდანიანის“ ერთი თავი („ჯიმედლიანი“), იქვე დაწერა არაერთი ლექსი.

მაშუკა ბარათაშვილის, — ისე როგორც მოსკოვში მცხოვრები ბევრი ქართველი მწერლის, — ლექსებში მწვავედ იგრძნობა სამშობლოს დაკარგვით გამოწვეული უსახლერო სევდა და გულის-ტკივილი.

მოსკოველ ქართველებზე, — ვახტანგსა და მის თანამოღვაწეებზე, — დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, მაგრამ ამჟერად ამით უნდა შემოვიფარგლოთ.

**პეტერბურგი.** ქართველებს არანაკლებ იზიდავდათ რუსეთის მეორე სატახტო ქალაქი, რომელმაც უაღრესად დიდი როლი შეასრულა ქართველებისა და რუსების სახელმწიფოებრივი, მეცნიერული და მწიგნობრულ-შემოქმედებითი ურთიერთობის ისტორიაში.

ჯერ კიდევ პეტერბურგის დაარსებამდე ნევის ნაპირას გმირულად იბრძოდა ზემოხსენებული ქართველი უფლისწული, გენერალ-ფელდცეიხმეისტერი ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი. შემდგომ წლებში იქ ხშირად ჩადიოდნენ ქართველი სახელმწიფო მოღვაწენი — მეფე-ბატონიშვილები და დიდებულები (ოჯახებითა და ანალით), მწერლები და მეცნიერები, სტამბის მუშაკები და კალიგრაფები. საფუძველი ჩაეყარა ქართულ ახალშენს. რუსეთის სატახტო ქალაქი თანდათან იქცა ქართველთა საზოგადოებრივ-კულტურული და ინტელექტუალურ-ლიტერატურული ცხოვრების კერად.

1725 და მომდენო წლებში პეტერბურგში მცირე ხნით იყვნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი: ვახტანგ მეექვსე, ვახუშტი ბაგრატიონი, მელქისედეკ კავკასიძე და სხვ. ცნობილია მათი შემოქმედებითი მუშაობის არაერთი ფაქტი: ვახტანგ მეექვსემ პეტერბურგში დაწერა რამდენიმე ლექსი, ვახუშტი ბაგრატიონმა თარგმნა რუსული წიგნები, მელქისედეკ კავკასიძემ გაამრავლა ხელნაწერები და სხვ.

1736 წელს „სამეუფოსა ქალაქსა პეტერბურგს“ იმყოფებოდა „მრავალ განსაცდელ შემთხვეული“ პოეტი ვახტანგ ორბელიანი, რომელმაც თანამემამულეთა რჩევით ინახულა პეტერბოფი და ვრცლად აღწერა მისი ბაღები და სასახლეები.

1761 წელს პეტერბურგში ჩავიდა თეიმურაზ მეორე, რომელმაც რუსეთის ხელისუფლებას ირანის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გეგმა წარუდგინა. თეიმურაზი დაუახლოვდა იქაურ სა-



ზოგადობრიობას, მონაწილეობდა საზეიმო შეკრებებში, ესწრებოდა სპექტაკლებსაც (პეტერპოფში), იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაშიც, სადაც მისი თანდასწრებით ააწყვეს და დაბეჭდეს მცირე ზომის ტექსტი ქართულად და რუსულად — მისალმება თეიმურაზისადმი. ცნობილია თეიმურაზის მიერ პეტერბურგში დაწერილი ლირიკული ნაწარმოებები: კიდურწერილობა („ვითა ფერობს სიკეთესა შენსა, ეგრეთ საქებელ ხარ დიდათ ევროპიასა შინა დასავით საყვარელო ჩემო“), ანბანთქება („ალივის გულიცა ჩემი...“) და გაბასება რუსთველთან („ყოველთა მელექსეთა უმჯობესსა, დიდსა ფილოსოფიისა მცოდნესა, ბრძენს რუსთველსა ზედა ბაასი პეტერბურღს“). სამივე 1761 წელსაა დაწერილი, სამივეში ერთი და იგივე ქალი—ბარბარე ალექსანდრეს ასული ზუტურლინაა შექმნილი და შემკული. ეს გარემოება არსებითად ერთი ციკლის ნაწარმოებებად წარმოგვიდგენს დასახელებულ სამიწიურ-სატრფიალო ლექსებს.

ხანდაზმულმა მგოსანმა ახალგაზრდული აღტყინებითა და კაბუქური გატაცებით შეამკო რუსი მანდილოსანი, მაგრამ თავისი ნაღვაწი საკმარისად არ ჩათვალა — „მე უსწავლელსა ვით მეძლოს“, „ბრძენს უნდა ექო იმისი ციმციმი და ბრწყინვალებანიო“. ასეთ ბრძენად მას რუსთაველი მიაჩნდა.

პეტერბურგში დაწერილ ლექსებში თეიმურაზმა დაიცვა და განავითარა არჩილის მიერ დამკვიდრებული „მართლის თქმის“ პრინციპი, გაილაშქრა არარსებულ პირთა შექმნისა და ფანტასტიკური სიუჟეტების დამუშავების წინააღმდეგ, უარყო ზღაპრული სიტუაციების აღწერა და გამოგონილ პირთა თავგადასავლის გადმოცემა, მოითხოვა კონკრეტულ-ისტორიული ფაქტებისა და რეალურ პირთა ცხოვრების მხატვრული ასახვა.

ქართველთა მოღვაწეობამ პეტერბურგში განსაკუთრებული გაჭახება მიიღო მას შემდეგ, რაც იქ ჩავიდნენ და სამუდამოდ დასახლდნენ ქართული სამეფო კარის წარმომადგენლები თავიანთი მრავალრიცხოვანი ამალით.

XIX საუკუნის დამდეგს პეტერბურგში თავი მოიყარა ბევრმა ქართველმა მწიგნობარმა (იოანე ბაგრატიონმა; დავით ბაგრატიონმა, თეიმურაზ ბაგრატიონმა, გაბრიელ რატიშვილმა, გიორგი ავალიშვილმა, იონა ხელაშვილმა, პეტრე ქებაძემ, პეტრე ლარაძემ, სიმონ ტაბიძემ და ა. შ.). რუსეთის დედაქალაქი იქცა ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს კერად.

პეტერბურგის ქართველობამ საფუძვლიანად შეისწავლა რუსულ-ევროპული მეცნიერება და ლიტერატურა, გააჩაღა მრავალ-

მხრივი ორიგინალურ-შემოქმედებითი თუ მთარგმნელობითი საქმიანობა, შეავსო და გაამდიდრა მშობლიური ლიტერატურული საგანძური.

პეტერბურგში დაიწერა ბევრი ქართული სამეცნიერო თუ მხატვრული თხზულება; რუსულიდან ითარგმნა დიდძალი ლიტერატურა (მხატვრული, საისტორიო, გეოგრაფიული, სამედიცინო და ა. შ. სიმრავლის გამო ძნელია მთარგმნელთა თუ თარგმნილ ძეგლთა დასახელება, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ სწორედ პეტერბურგელმა ქართველებმა — თეიმურაზ ბაგრატიონმა და სოლომონ რაზმაძემ აამეტყველეს პირველად ჩვენს ენაზე ა. პუშკინი). რუსულიდანვე ითარგმნა მრავალი ევროპელი ავტორის (ვოლტერის, ჟ. ანსილიონის, ა. ფერგიუსონისა და სხვ.) ნაწარმოებები; გაჩაღდა სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობა და დაიბეჭდა არაერთი ქართული წიგნი (დიმიტრი ბაგრატიონის „წამება წმინდისა ქეთევან დედოფლისა“ 1819 წელს, გოდერძი ფირალიშვილის „თვითმასწავლებელი“ 1820 წელს და „საზოგადო მდივნობაი“ 1821 წელს, აგრეთვე ბაგრატიონის, ტარასი ალექსიშვილისა და სხვათა მიერ რუსულიდან თარგმნილი თხზულებანი), იქვე რუსულ ენაზე გამოქვეყნდა ქართველი ავტორების წიგნები, რომელთაგან ზოგიერთი უკვე დავასახელებთ. სახელდობრ, დავით ბაგრატიონის „ასალი შიხი“ (1804 წ.), ვახტანგ ბაგრატიონის „წერილები“ (1812 წ.) და სხვ.

ქართველი და რუსი ხალხების ღირსეული შვილების მეგობრობა და მეცნიერულ-ლიტერატურული თანამშრომლობა ნათლად ჩანს პეტერბურგში მოღვაწე ქართველებისა და რუსული კულტურის მუშაკთა ურთიერთობაში.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ქართველ ემიგრანტთა ინტენსიური მეცნიერული მუშაობა, რომელიც დაგვირგვინდა პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის ჩამოყალიბებით, სკოლისა, რომლის სათავეებთან იდგა თეიმურაზ ბაგრატიონი. განუსაზღვრელია ის წვლილი, რომელიც ამ სკოლამ შეიტანა ქართველოლოგიის განვითარებაში.

ამრიგად, პეტერბურგი იქცა როგორც ქართული ლიტერატურის, ისე ქართული მეცნიერების დიდ ცენტრად, იქ მხარდამხარ იღვწოდნენ ქართველი მწერლები და მეცნიერები (ხშირად მწერალი თვით იყო მეცნიერიც და პირუკუ). ყველა მათგანის საქმიანობის მემოხილვა კი არა, დასახელებაც ძნელია, ამიტომ ამჯერად მხოლოდ ორ მოღვაწეზე შევჩერდებით — იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონებზე ვიტყვით რამდენიმე სიტყვას.

